PRIME Time

N6 (256) ორშაბათი, 17 თებერვალი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EXCLUSIVE

„კანონიერი ქურდები“, ბიუჯეტის ხარჯზე დასვენება და მოულოდნელი აღიარება

ნულუკიანის სკანდალური კარიერა გრძელდება

ნაუყენებენ თუ არა ბრალს გივი თარგამაძეს

კობა ოთანაძე: EXCLUSIVE

„გივის ეჭირა იარაღი და არ არის გამორიცხული, რომ მან მესროლა“

„თარგამაძის ვერსია თვითონ მაგათგან გამოვიდა, სხვათა შორის, გივი თარგამაძეს უტრაბახია, მე ვესროლე კობა ოთანაძესო. როგორც ჩანს, უგულავა თავს იზღვევს“



გია კრიალაშვილის შვილის ექსკლუზიური ინტერვიუ EXCLUSIVE „პრაიმტაიმთან“

„დილით დედაჩემის ყვირილმა გამაღვიძა, ტელევიზიით გავიგეთ, რაც მოხდა, ჯაცობაც არ ეყოთ, რომ შეეტყობინებინათ“

დავით საგანელიძე:

„თუ საჭირო იქნება ჩემი დაკითხვა, მზად ვარ, თუ საჭირო იქნება, იმუნიტეტსაც დღესვე მოვიხსნი, რომ საქმის გამოძიებას ხელი არ შეეშალოს“

EXCLUSIVE

ალექსანდრე ჭიკაიძე:

„თუ ადამიანს ხელში ჩაუვარდება პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო/აუდიომასალა და მას სხვა მიზნებისთვის გამოიყენებს, ვინც არ უნდა იყოს ის – სამართალდამცავი ორგანოსა თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, მისი პასუხისმგებლობა დადგება“

EXCLUSIVE

საყდრისის მითიდან აღარაფერი რჩება - 5400 წელი ოქროს მოპოვებიდან

EXCLUSIVE

რატომ არ შეინყალა პრეზიდენტმა რომან გვენცაძის დისშვილი?

შალვა რამიშვილი: „კონკრეტულად ამ შემთხვევაზე კომენტარს არ ვაკეთებთ“

SCANDAL

ევრაზიის ფონდმა ნანა კაკაბაძე თაღლითობაში ამხილა

ქეთი ხუციშვილი (ევრაზიის ფონდის ყოფილი დირექტორი):

„ეს პროექტი პირადად მე შევაჩერე. ძალიან მოკლედ გეტყვით, პროექტში აღმოვაჩინე არამიზნობრივი ხარჯვა“ „ხიდაშელი და სუბარი მითითებული იყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პროექტში საერთოდ არ მონაწილეობდნენ და მათ ამის თაობაზე არც კი იცოდნენ“

ნანა კაკაბაძე:

„მსგავსი არაფერი ყოფილა, პროექტი არც ერთხელ არ მქონია შეჩერებული, ყველა პროექტი იყო დასრულებული. პროექტის შეჩერება არ არის დამოკიდებული ვიღაცის ნება-სურვილზე“

EXCLUSIVE

სახელმწიფო და ეკლესია

EXCLUSIVE

ლევან ბერძენიშვილი:

„ვსწავლობ, რას ამბობს ჯონდი ბაღათურია, ვსწავლობ ჯახა კუკავას გამონათქვამებს და ახლა კიდევ ანაფორიანი პოლიტიკოსების გამონათქვამებს ვერ ვისწავლი“

პირველად „პრაიმტაიმში“

როგორ წაართვა 6 მილიონ-ნახევრის ქონება სააკაშვილის ხელისუფლებამ?

EXCLUSIVE

ილია დალაქიშვილი ალაპარაკდა

ზვიად სიჭინავა:

„საქართველოში წარმატებულ ადამიანებს ვერ იტანენ“

„ლევან ყიფიანს ერთი პრობლემა აქვს და მას ზვიად სიჭინავა ჰქვია“

EXCLUSIVE

როგორ აღმოჩნდა კრიზისში „გუდვილი“

თემურ ჭყონია: „დაიწყეს რაღაც ლაპარაკი, რომ თითქოს მე „თიბისი“-სთან ერთად ქონების წართმევა მინდოდა... რომ მაჩუქონ „გუდვილი“, არ მინდა, თავს შეურაცხყოფილად ჩავთვლი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კობა ოთანაძე: „გივის ეჭირა იარაღი და არ არის გამორიცხული, რომ მან მესროლა“

გია კრიალაშვილი

EXCLUSIVE

„თარგამაძის ვერსია თვითონ მაგათგან გამოვიდა. სხვათა შორის, გივი თარგამაძეს უტრაბახია, მე ვესროლე კობა ოთანაძესო. როგორც ჩანს, უგულავა თავს იზღვევს“

„სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური ვარ. რა უნდოდა ან პარლამენტარს, ან მერს ან მინისტრს სპეცოპერაციაზე. როდესაც სპეცოპერაციებს ვატარებდი იქ სხვა არავინ ყოფილა და პასუხისმგებელი მე ვიყავი. მინისტრების და ქალაქის მერის თვალწინ კაცს სცემენ, კლავენ - ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია“

ნანა შონია

ვანო მერაბიშვილს, დიდი ალბათობით, ბრალი მუხროვანის საქმესთან დაკავშირებით დაუმძიმდება. ამის ვარაუდს თავად ყოფილი ჩინოვნიკები გამოთქვამენ. აქამდე ამ საქმეში მათი გუნდის წევრის, გივი თარგამაძის სახელი და გვარიც ფიგურირებდა, თუმცა გიგი უგულავას სკანდალური განცხადების შემდეგ, არ არის გამორიცხული, რომ თარგამაძე მთავარ დამნაშავედ იქცეს.

გადაცემა „რეაქციაში“ სტუმრობისას ყოფილმა მერმა განაცხადა, რომ გამოძიება გივი თარგამაძის ბრალის „შეკერვას“ ცდილობს. რას ყვებიან თავად „მუხროვანის ამბოხების“ ფიგურანტები? ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ კობა ოთანაძეს და ლევან ამირიძეს ესაუბრა, თუმცა მანამდე შეგახსენებთ ქალაქის უფლებაშეჩერებული მერის სკანდალურ განცხადებას ამ თემაზე.

გიგი უგულავა, თბილისის ყოფილი მერი:

- კონკრეტულად, საქმე ეხება, თბილისში გლდანში ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის შედეგადაც ერთი მეამბოხე დაიღუპა, ხოლო მეორე დაიჭრა. პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს გაურკვეველი მიმართულებით, ასფალტიც კი გათხარეს და ეძებენ ეგრეთ წოდებულ გილზებს. შეკვეთა აქვთ მიცემული გამომძიებლებისთვის, რომ გივი თარგამაძე გაასაღონ, როგორც ადამიანი, რომელმაც ოთანაძეს დაუშინა ტყვიები. მე სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ გივი თარგამაძეს იქ არა თუ იარაღი არ უსვრია, არამედ გივი თარგამაძემ გადაარჩინა ეს ადამიანი. მე ეს შემიძლია დავადასტურო სასამართლოს წინაშე, რადგან იქ ვიყავი. მაგრამ აქ საქმე სხვა რამესთან გვაქვს. ხელისუფლებას უნდა ხელახლა შეთითხნოს სიბინძურე და წინასაარჩევნო პერიოდი ამ სიბინძურეში ჩაატაროს. მე მინდა ვუთხრა მათ, რომ ეს არ გამოუვათ და როგორც სხვა დანარჩენი საქმე, წყალში საპნის ბუშტივით გაუსკდებათ.

სკანდალური განცხადების შემდეგ საკუთარი მოსაზრებები თავად აღნიშნული საქმის მონაწილეებმა დააფიქსირეს. კობა ოთანაძის განცხადებით ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, შესაბამისად, პირადად ვერც დაინახავდა თუ ვინ ესროლა, თუმცა ვერსია, რომ იარაღი უშუალოდ თარგამაძემ ისროლა, მისთვის ახალი ნამდვილად არ არის.

კობა ოთანაძე

ლევან ამირიძე

„ვიღაცებმა მითხრეს, რომ გივის ეჭირა იარაღი და არ არის გამორიცხული, რომ მან მესროლა. მე არ ვიცი, ჩემ გარდა იქ ბევრი ადამიანი იყო, ყველა იტყვის სიმართლეს. გამოძიება დაადგენს ამ ყველაფერს“

კობა ოთანაძე:

- მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ან თარგამაძეს ან უგულავას ადგილზე რა უნდოდათ? მაგათ თვალწინ როგორც ტყვიას მესროდნენ, ისე მაწამებდნენ. თვითონაც და ყველა ვინც იქ იყვნენ. არ არის გამორიცხული, რომ მათ მესროლეს. მე იქ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. სხვათა შორის ვიღაცებმა მითხრეს, რომ გივის ეჭირა იარაღი და არ არის გამორიცხული, რომ მან მესროლა. მე არ ვიცი, ჩემ გარდა იქ ბევრი ადამიანი იყო, ყველა იტყვის სიმართლეს. გამოძიება დაადგენს ამ ყველაფერს.

- ანუ გამოძიება გამოკვეთს ვინ გესროლათ თქვენ და არის თუ არა ამ საქმეში თარგამაძის ბრალეულობა?

- რა თქმა უნდა, გამოკვეთს თარგამაძის ბრალეულობას. რა უნდოდათ იქ, უბრალოდ, მაინტერესებს. სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური ვარ. რა უნდოდა ან პარლამენტარს, ან მერს ან მინისტრს სპეცოპერაციაზე. როდესაც სპეცოპერაციებს ვატარებდი იქ სხვა არავინ ყოფილა და პასუხისმგებელი მე ვიყავი. მინისტრების და ქალაქის მერის თვალწინ კაცს სცემენ, კლავენ - ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია. ამაზე უნდა აგონ ამ ადამიანებმა პასუხი.

მუხროვანის საქმის ერთ-ერთი მონაწილე ლევან ამირიძე ადასტურებს, რომ გამოძიება, კობა ოთანაძის სროლის ეპიზოდში გივი თარგამაძის ვერსიაზე მუშაობს. თუმცა გიგი უგულავას „აღიარებასაც“ ახსნას უძებნის, მისი განცხადებით ამ სიტყვებით ყოფილმა მერმა თავი დაიზღვია...

ლევან ამირიძე:

- მე, იქ, გივი თარგამაძე ავტომატით ხელში არ მინახავს. მაგრამ გივი თარგამაძეც იყო, ვანო მერაბიშვილიც და სხვა ბევრი პოლიტიკოსიც. ვანო მერაბიშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ სპეცოპერაციას. ვინ ესროლა კობა ოთანაძეს, ამას ექსპერტიზა არკვევს და დაადგენს, ყველა ვერსიაზე მიდის მუშაობა. საუბარია რამდენიმე სპეცდანიშნულების რაზმის წევრზე, ასევე სხვადასხვა ვერსიებზე. თარგამაძის ვერსია თვითონ მაგათგან გამოვიდა, სხვათა შორის, გივი თარგამაძეს უტრაბახია, მე ვესროლე კობა ოთანაძესო. როგორც ჩანს, უგულავა თავს იზღვევს, ალბათ, გაიგო ეს ყველაფერი და ახლა აცხადებს, რომ შემდგომ თქვას ამას ვაცხადებდითო.

თარგამაძის ფაქტორი სრულიად უცხო აღმოჩნდა გარდაცვლილი გია კრიალაშვილის დის, ლია კრიალაშვილისთვის. მისთვის მთავარი მიზანი ერთია - დაისაჯოს როგორც უშუალო შემსრულებელი, ასევე ბრძანების გამცემიც.

ლია კრიალაშვილი, გია კრიალაშვილის და:

- ეტყობა თვითონ აწუხებთ ეს ვერსია, ალბათ, აქვთ რაღაც დანაშაული. ასეთი ვერსია არც ყოფილა და არც გამოძიება არ მუშაობას ამ საკითხთან დაკავშირებით. მე ასე ვიცი. მუშაობა მიდის იმაზე, რომ ეს იყო დაკვეთილი მკვლელობა. უნდა დაისაჯოს ის, ვინც გასცა მკვლელობის ბრძანება. გივი თარგამაძე მონაწილეობდა სპეცოპერაციაში, ის იყო ადგილზე, მაგრამ უშუალოდ თარგამაძემ ესროლა თუ სხვა ვინმემ, ეს არავინ იცის. ალბათ, ეს სროლა განახორციელა სოდის ხალხმა. ამიტომაც ეს ყველაფერი არის გიგი უგულავას ფანტაზიის ნაყოფი. აგონიაში არიან და ვეღარ ერკვევიან.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა გივი თარგამაძეს დაკავშირებოდა, თუმცა პარტიის ოფისში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაკეთდა.

„ვანო მერაბიშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ სპეცოპერაციას. ვინ ესროლა კობა ოთანაძეს, ამას ექსპერტიზა არკვევს და დაადგენს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია კრიალაშვილის შვილის ექსკლუზიური ინტერვიუ „პრაიმტაიმთან“

ლაშა კრიალაშვილი:

„ყველა იმ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც ვიდეოში ჩანს!“



EXCLUSIVE

ეკა სოსელია

2009 წლის მაისში 19 წლის იყო. კარგად ახსოვს, რომ დილით დედის ყვირილმა გააღვიძა... ოჯახმა ტელევიზიით გაიგო, რომ გენერალი გია კრიალაშვილი სპეცოპერაციისას დაიღუპა. მოხვედრილი სამი ტყვია მისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა. მას შემდეგ ლაშა კრიალაშვილი სიმართლის დადგენას ცდილობს. დარწმუნებულია, რომ მამა მიზანმიმართულად მოუკლეს. 24 წლის ლაშა კრიალაშვილი მამის კვალს მიჰყვება და უკვე 3 თვე სამხედრო სამსახურში მსახურობს.

– ეგრეთწოდებული ამბოხების დღეს სახლში ვიყავი, მეგობარმა მომაკითხა და ეზოში ვიდექით, ტელევიზორით გავიგეთ, რაც მოხდა... არანაირი ინფორმაცია არ გვქონია, 24 საათი ჩვენთან ერთად იყო მამაჩემი, არაფერი ეტყობოდა, რომ რაიმე ამბოხს, აჯანყებას გეგმავდა... მაგათ დაარქვეს, თორემ არანაირი ამბოხი მანდ არ ყოფილა... შემდეგ ძიებაში იყო და არ გვეკონტაქტებოდა. იმედი მქონდა, სადმე გააღწევდა და საჯარო განცხადებას გააკეთებდა, რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ ვერ შეძლო... მიზანმიმართულად მოხდა მისი ლიკვიდაცია. თიანეთის გზატკეცილზე ჩაცხრილეს... დილით დედაჩემის ყვირილმა გამაღვიძა, ტელევიზიით გავიგეთ, რაც მოხდა, კაცობაც არ ეყოთ, რომ შეეტყობინებინათ. მახსოვს, მარტო მე და დედა მივედით მორგში... არავინ არაფერში დაგვხმარებია...

შემდეგ საქმე გამოვითხოვე, სხვათა შორის, არ არის დიდი საქმე, მოკლედ წერია, მაგრამ საერთოდ არ ფიგურირებს იქ, რომ ამ ბიჭებს ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ, ანუ ორმხრივი სროლა როგორ იქნებოდა, თუ იარაღი არ ჰქონიათ? ამ კადრების გავრცელების შემდეგ კი ყველაფერი ისედაც ნათელია. მაგათი მკვლელობა გამიზნული იყო, ერთი მამაჩემის და მეორე კობა ოთანაძის, ალბათ. იმასაც გეტყვით, რომ ამ ორ ადამიანს მერაბიშვილსა და სააკაშვილზე მეტი ნონა ჰქონდა ჯარში. არ ერეოდნენ, მაგრამ ერთი სიტყვა რომ ეთქვათ, მართლა სამოქალაქო ომი და გადატრიალება მოხდებოდა. უკან დამხევი არავინ იქნებოდა. დღემდე აქვს სახელი მამაჩემს ჯარში.

„იმასაც გეტყვით, რომ ამ ორ ადამიანს მერაბიშვილსა და სააკაშვილზე მეტი წონა ჰქონდა ჯარში. არ ერეოდნენ, მაგრამ ერთი სიტყვა რომ ეთქვათ, მართლა სამოქალაქო ომი და გადატრიალება მოხდებოდა“

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ გავრცელებულ კადრებში, სადაც ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ახსენებს, მამათქვენს გულისხმობს? იყო განმარტება, რომ ის რუს მრჩევლებზე საუბრობდა...

– რად უნდა მაგას ლაპარაკი, თუ ეს ვიდეო ნამდვილია, მაშინ პირდაპირ ჩანს, რა ბრძანებასაც გასცემს. რა რუსი აგენტები, დავიღალეთ, ხალხნო, ამდენი ზღაპრებით, მამაჩემს სადაც საჭირო იყო, იქაც მინიმუმამდე დაჰყავდა მსხვერპლი. რომელი მაფიოზები ეგენი იყვნენ, რომ ჯერ ორი რუსი აგენტი ჩამოიყვანეს, შემდეგ დამალეს, მოკლეს.. „სანტა-ბარბარა“ ხომ არ არის, რეებს ბოდიალობენ. თან ეს რუსი მრჩევლები ბრალდებაშიც არ ფიგურირებენ, არსად არ არიან ნახსენები.

– გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რა ხდებოდა სამხედრო ნაწილში? მაშინდელი მთავრობის მიერ გავრცელებული ოფიციალური ვერსიით, შეიარაღებული ამბოხება მზადდებოდა. თავად ბრალდებულებმა კი მოგვიანებით თქვეს, რომ რამდენიმე ადამიანი აპირებდა გადადგომის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებას და ეს საერთო პროტესტი არ ყოფილა.

– მე როგორც ვიცი, ლევან ამირიძეს უნდოდა გადადგომა. ზოგადად, ჯარშიც იყო უკმაყოფილება, 8 აგვისტოს ომი წავაგეთ, ამდენი მსხვერპლი იყო და ჩვენ ვზეიმობდით, ვიცინოდით, მეც ჯარში ვარ და ვხვდები, რას ნიშნავს ეს. მეგობარს რომ მოგიკლავენ, ქართველი რომ დაიღუპება, რა გეკონცერტება. იმის მაგივრად, რომ გლოვის დღე გამოეცხადებინათ, ვმხიარულობდით. ამიტომაც არ უნდოდათ ეგეთ ჯარში და ეგეთ მთავარსარდალთან ყოფნა, რომელიც მსხვერპლის მიუხედავად კონცერტებს მართავს. სამხედროებიც ხომ ადამიანები არიან და ჰქონდათ პროტესტის გრძნობა, კაცური გრძნობა აღლუმის წინაშეც და სხვა ღონისძიებების წინაშეც. როგორ შეიძლება ოჯახის წევრი დაგეღუპოს და გვერდზე ოთახში ცეკვავდე. უკმაყოფილება იყო სამხედროებში ნამდვილად, სხვა არაფერი ვიცი.

„იმედი მქონდა, სადმე გააღწევდა და საჯარო განცხადებას გააკეთებდა, რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ ვერ შეძლო...“

– თქვენ, გამოძიების მოთხოვნით, პროკურატურას მიმართეთ, მაგრამ საქმე ამ დრომდე არ იყო დაძრული...

– პროკურატურას დაახლოებით ერთი წლის წინათ მივმართეთ, მაგრამ ამ კადრების შემდეგ გამოძიება დაჩქარდა. მაშინ მამიდაჩემი დაიბარეს ქალაქის პროკურატურაში, პოლიციელის უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე აღძრეს საქმე და აქეთ ეკითხებოდნენ, რა ინფორმაციას ფლობთო, გაგიჟდა ქალი...

– რატომ გაიწელა საქმე, როგორ ფიქრობთ?

– ჩემი აზრით, პროცესები იმიტომ იწელება, რომ მაგათ არ უნდათ, ისევ ნაციონალებს დაემსგავსონ, რომლებიც მოგკიდებდნენ ხელს და უცებ გაგიშვებდნენ ციხეში. ალბათ, უნდათ, რომ ყველაფერი საფუძვლიანად გამოიკვლიონ. ყოველ შემთხვევაში იმედი მაქვს, რომ ეს ესეა.

„დილით დედაჩემის ყვირილმა გამაღვიძა, ტელევიზიით გავიგეთ, რაც მოხდა, კაცობაც არ ეყოთ, რომ შეეტყობინებინათ. მახსოვს, მარტო მე და დედა მივედით მორგში... არავინ არაფერში დაგვხმარებია...“

– მამიდათქვენი ია კრიალაშვილი ამბობდა, რომ არსებობს აუდიოჩანაწერი, რომელიც კიდევ ერთი მტკიცებულება იქნება, რაც პირდაპირ დაადასტურებს, რომ 12-12-ათასიანი პრემიები აიღეს ადამიანებმა, ვინც ეს სპეცოპერაცია ჩაატარეს. რა მასალაზეა საუბარი და მოხდება თუ არა მისი გასაჯაროება?

– მე ჩემი თვალით არ მინახავს ეგ მასალა, მაგრამ მამიდაჩემისგან და იმ ჟურნალისტისგანაც ვიცი, რომ ასეთი რაღაც არსებობს. გამოქვეყნებულ ვიდეოშიც ხომ ისმის, პრემიებს მოგცემთო... როგორც ვიცი, ეს მასალები მამიდაჩემმა პროკურატურაში უკვე შეიტანა. რაც დანამდვილებით ვიცი, ის არის, რომ ორმხრივი სროლა არ ყოფილა, იმიტომ რომ იარაღი არც ერთ მათგანს არ ჰქონია. ვთქვათ, იყო ორმხრივი, ორ ტყვიას რომ ესვრი ადამიანს, იარაღს არ დააგდებს? რემბო ხომ არ არის, 8-9 ტყვიას რომ ესვრი, ესე იგი კლავ! მამაჩემს სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი – ორი ფეხში და ერთი მკლავზე, ოთანაძეს – 9 და კიდევ საკონტროლო ტყვიები, ამირიძეს – 8. მერე იძახდნენ, სასწრაფოთი წავიყვანეთ და ვუმკურნალეთო, რას ესროდი 9 ტყვიას, თუ მოკვლა არ გინდოდა, თან როცა ამ ადამიანს იარაღი არ ჰქონდა?

ნერვებიც აღარ მაქვს, ვერც ამათ ვუყურებ, ახალ მთავრობას. დაიჭირონ დროზე, ვეღარ ვზივარ სახლში! აქვთ ჩანაწერები, მასალები, ჰყავთ მოწმეები, თუნდაც გია ღვალაძე, რომელიც ერთადერთი ცოცხალი მოწმეა. დაწერს ჩვენებას, რა და როგორ მოხდა, იტყვის ყველაფერს! არ უნდა ბევრი ლაპარაკი. მაცხოვრებელიც იყო ვიღაც ბიჭი კიდევ თვითმხილველი. თიანეთის გზატკეცილზე, სადაც სპეცოპერაცია ჩატარდა, ლურსმნებით ჩიჩქნიდნენ კედლებს, ვითომ ნატყვიარები იყოო, – ამბობდა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში. ყველა იმ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც ამ ვიდეოში ჩანს. მარტო მერაბიშვილის ბრალეულობა არ არის მანდ. ძალიან მაინტერესებს, რა უნდოდა ქალაქის მერს სპეცოპერაციაზე. რა მაგის საქმეა? სულ სხვადასხვა განცხადებებს აკეთებდნენ ამ კადრების გავრცელების შემდეგ. ნაციონალებს ერთი კვირის დალაგებული აზრები თუ არ აქვთ, რომელსაც ვიღაც პიარტექნოლოგი უწერთ, მაშინ უჭირთ პასუხის გაცემა.

ახლა გამოძიების მოლოდინში ვართ, ღმერთა ქნას, რომ მარტო ეს კი არა. ყველა საქმე გამოიძიონ. ჩემი რჩევა ახალი მთავრობის მიმართ იქნება ის, რომ დააჩქარონ პროცესები. რაზე ლაპარაკობენ, რა პროექტების დაფინანსებაარდაფინანსებაზე მსჯელობენ, ხალხს შვილები, ოჯახები ჰყავთ დაღუპული. გირგვლიანებს რომ შევხედოთ... კიდევ არ არის დამთავრებული საქმე. ურჩევნიათ, დროზე ქნან, თორემ ამოუვა ხალხს მალე ყელში ეს ყველაფერი.

„ყველა იმ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, ვინც ამ ვიდეოში ჩანს. მარტო მერაბიშვილის ბრალეულობა არ არის მანდ. ძალიან მაინტერესებს, რა უნდოდა ქალაქის მერს სპეცოპერაციაზე“

„8-9 ტყვიას რომ ესვრი, ესე იგი კლავ! მამაჩემს სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი – ორი ფეხში და ერთი მკლავზე, ოთანაძეს – 9 და კიდევ საკონტროლო ტყვიები, ამირიძეს – 8. მერე იძახდნენ, სასწრაფოთი წავიყვანეთ და ვუმკურნალეთო, რას ესროდი 9 ტყვიას, თუ მოკვლა არ გინდოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ ამხილა ევრაზიის ფონდმა ნანა კაკაბაძე თაღლითობაში

my View
თამარ გორთამაშვილი

ქეთი ხუციშვილი: „ეს პროექტი პირადად მე შევაჩერე... ძალიან მოკლედ გეტყვით, პროექტში აღმოვაჩინე არამიზნობრივი ხარჯვა“

EXCLUSIVE

ნანა კაკაბაძე: „მსგავსი არაფერი ყოფილა, პროექტი არც ერთხელ არ მქონია შეჩერებული, ყველა პროექტი იყო დასრულებული“

ამ სკანდალის შესახებ არასამთავრობო წრეებში ყველამ იცის, თუმცა ხმამაღლა არავინ საუბრობს. მიზეზი შესაძლოა, კოლეგიალობა იყოს, რომელსაც ქართული „ენჯეოები“ ნანა კაკაბაძის მიმართ იჩენენ. ისტორია მართლაც ძველია, თუმცა იმის გამო, რომ კაკაბაძის მიმართ მიმართ დღესაც არსებობს ოპონენტთა ბრალდებები, პატიმართა საქმეებში ფინანსური დაინტერესების შესახებ, გადავწყვიტეთ, ამ ამბავზე დაგვეწერა. დღეს არსებული ბრალდებების საფუძვლიანობაზე ჩვენ ვერაფერს გეტყვით, სამაგიეროდ მოგიყვებით ისტორიას, რომელიც კაკაბაძის მიერ 2002 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში არამიზნობრივად გახარჯულ გრანტს ეხება, რასაც თავად კაკაბაძე არა, მაგრამ გრანტის გამცემი ორგანიზაციის ყოფილი დირექტორი ადასტურებს. საქმე ეხება ევრაზიის ფონდიდან მიღებული გრანტის არამიზნობრივ ხარჯვასა და ინვოისების გაყალბებას, რის გამოც ფონდმა კაკაბაძის ორგანიზაციასთან თანამშრომლობა შეწყვიტა.

როგორც უკვე გითხარით, ამბავი ძველია, თუმცა მოქმედი გმირი – დღესაც აქტუალური, რადგან პენიტენციარულ სისტემაში მისი სახელი დღესაც ისევე ხმაურიანად ჟღერს, როგორც 12 წლის წინათ, როდესაც იზოლატორების მონიტორინგისთვის ევრაზიის ფონდიდან სოლიდური გრანტი მიიღო, სამუშაო კი, როგორც ირკვევა, კეთილსინდისიერად არ შეასრულა. მეტიც, როგორც ფონდის მაშინდელი ხელმძღვანელი ქეთი ხუციშვილი ჩვენთან საუბარში ადასტურებს, კაკაბაძემ ინვოისები გააყალბა, რის გამოც ფონდმა პროექტი შეაჩერა.

ქეთი ხუციშვილი (ევრაზიის ფონდის ყოფილი დირექტორი): „ეს პროექტი პირადად მე შევაჩერე. ძალიან მოკლედ გეტყვით, პროექტში აღმოვაჩინე არამიზნობრივი ხარჯვა, რის გამოც 2004 წლის დასაწყისში მოგვიწია ამ პროექტის შეჩერება. ჩვენ ძალიან ზუსტად ვამოწმებდით ყველა ხარჯს და აღმოჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა არამიზნობრივ ხარჯებს.

– პროექტში, რომელშიც, როგორც მონიტორები, თინა ხიდაშელი და სოზარ სუბარიც მონაწილეობდნენ?

– ხიდაშელი და სუბარი მითითებული იყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პროექტში საერთოდ არ მონაწილეობდნენ და მათ ამის თაობაზე არც კი იცოდნენ.

– იყო თუ არა წარმოდგენილი გადახდის ინვოისები, რომელიც არ დასტურდებოდა?

– კი, იყო... და ამიტომაც მოგვიწია გაჩერება. ჩვენ მივეცით მას გრანტი, პროექტი მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ ამ მიზეზების გამო შევაჩერეთ.

– რა ოდენობის გრანტზე იყო საუბარი?

– ზუსტად არ მახსოვს...

– რა პასუხი გაგცათ თავად ნანა კაკაბაძემ?

– ჩემთვის მისი პასუხი მაშინ დამაჯერებელი არ იყო.

– ანუ თქვენ თავად ამხილეთ კაკაბაძე თაღლითობაში?

– სამწუხაროდ, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე ეს პროექტებში და როდესაც ადგილი აქვს არამიზნობრივ ხარჯს, ფონდი აჩერებს პროექტს.

– როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მას გრანტის მიცემაზე სხვა ორგანიზაციებმაც უარი უთხრეს...

– ყველას არ უთქვამს უარი, მაგრამ ჩვენს ორგანიზაციას მას შემდეგ ნანა კაკაბაძისთვის გრანტი აღარ მიუცია“.

ამ ისტორიის შესახებ თინა ხიდაშელმა და სოზარ სუბარმაც იციან, თუმცა ახლა, 10 წლის შემდეგ, ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას საჭიროდ არ მიიჩნევენ. რაც შეეხება ნანა კაკაბაძეს, ის მსგავს შემთხვევას ვერ იხსენებს.

ნანა კაკაბაძე: „მსგავსი არაფერი ყოფილა, პროექტი არც ერთხელ არ მქონია შეჩერებული, ყველა პროექტი იყო დასრულებული. პროექტის შეჩერება არ არის დამოკიდებული ვიღაცის ნება-სურვილზე

– გრანტის გამცემზე არ არის დამოკიდებული?

– რაიმე დარღვევა რომ ყოფილიყო, საქმეს მისცემდნენ იურიდიულ მსვლელობას...“

რატომ არ მიეცა საქმეს იურიდიული მსვლელობა, ეს სხვა საკითხია, თუმცა ფაქტი, რომ კაკაბაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა ფინანსურ მაქინაციას, გრანტის გამცემი ორგანიზაციის მხრიდან დასტურდება. კიდევ ერთი დეტალი. როგორც ჩანს, წლების წინათ ეს ინფორმაცია გარკვეული დოზით მაინც გახმაურდა, რადგან, როდესაც ევრაზიის ფონდისა და ნანა კაკაბაძის ურთიერთობის შესახებ ცნობებს ინტერნეტში ვეძებდით, თბილისის ფორუმზე ასეთ პოსტს გადავაწყდით:

„რატომ აქვს ერს სკლეროზი, ნეტა?! ეს ქალი ცოტა ხნის წინ ევრაზიის ფონდმა არ ამხილა ფულების მოტეხაში? თინა ხიდაშელსა და სხვა „ენჯეოშნიკებს“ ვითომ ხელფასს რომ უხდიდა და სინამდვილეში თვითონ იდებდა ფულს ჯიბეში. მერე მოერიდა ცოტახანი ეკრანს, გამოსაჩენი პირი აღარ ჰქონდა...“

ქეთი ხუციშვილი:
„ხიდაშელი და სუბარი მითითებული იყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პროექტში საერთოდ არ მონაწილეობდნენ და მათ ამის თაობაზე არც კი იცოდნენ“

asiko
ვალენტინა ტერეშკოვა
ჯგუფი: Members
წერილები: 11748
წევრი No.: 969
რეგისტრ.: 27-May 02

გამოგზავნილია: 25 Jun 2006, 22:16 #3312912 · პროფილი · პირადი მიმოწერა

რატო აქვს ერს სკლეროზი ნეტა?! ეს ქალი ცოტა ხნის წინ ევრაზიის ფონდმა არ ამხილა ფულების მოტეხვაში?? თინა ხიდაშელს და სხვა ეწკეოშნიკებს ვითომ ხელფასს რომ უხდიდა და სინამდვილეში თვითონ იდებდა ფულს ჯიბეში. მერე მოერიდა ცოტახანი ეკრანს, გამოსაჩენი პირი აღარ ქონდა. უფრო ადრე, ეს ქალი არ იყო ჯაბა იოსელიანის თავმგადამკვდარი ადვოკატი? ჯაბას გამოყვანა ციხიდან ალბათ მთავარ დამსახურებად მიაჩნია ცხოვრებაშI და მერე იუბილეების ხდა. ეს რაც მე ვიცი და რაც არვიცი ალბათ კიდე რამდენია. არგუმენტი სხვა უარესს აკეთებდა/ აკეთებს, ამ შემთხვევაში ვერ იმუშავებს. სხვებს ქვეყნის გასწორება არ მიაჩნიათ თავიანთ საქმედ და სხვას არ უკითხავენ მორალს, იმედია...

Zero Tolerance for Zero Intelligence!

რატო აქვს ერს სკლეროზი ნეტა?! ეს ქალი ცოტა ხნის წინ ევრაზიის ფონდმა არ ამხილა ფულების მოტეხვაში??

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თეა წულუკიანის სკანდალური კარიერა გრძელდება

„კანონიერი ქურდები“, ბიუჯეტის ხარჯზე დასვენება და მოულოდნელი ალიარება

ფოტოზე ვინმე „სკლინტაა“ გამოსახული, კრიმინალური ავტორიტეტი, ყოფილი „კანონიერი ქურდი“, სოცქსელებში წერენ, რომ ის თემქასა და გლდანში ქურდობებს მეთაურობს...

ქეთი ხატიაშვილი

სოციალურ ქსელებში კიდევ ერთი სკანდალური ფოტო გამოჩნდა. იუსტიციის მინისტრს კიდევ ერთხელ, ჟარგონზე რომ ვთქვათ, „გაუბაზრეს“ „კანონიერ ქურდებთან“ ურთიერთობა. ეს რიგით მეორე შემთხვევაა, ამჯერად ფოტოზე ვინმე „სკლინტაა“ გამოსახული. ეს მეტსახელია. ნამდვილი სახელი და გვარი – დავით ჯიმშელეიშვილი (მაღრაძე), ტიტულები ბლომად – კრიმინალური ავტორიტეტი, ყოფილი „კანონიერი ქურდი“. სოცქსელებში წერენ, რომ ის თემქასა და გლდანში ქურდობებს მეთაურობს.

ამ ფოტოს წულუკიანი აღარ გამოხმაურებია.

პირველ სკანდალურ ფოტოზე მცირე კომენტარი გააკეთა. მაშინ თეა წულუკიანი სოსო ჯოხაძესთან ერთად გამოჩნდა. სოსო ჯოხაძე კრიმინალური ავტორიტეტის ძმაა. ძმების სახელს კი არაერთი კრიმინალური ისტორია უკავშირდება. გიორგი ჯოხაძე შსს-მ რამდენიმე ხნის წინ დააკავა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის.

დოსიედან: გიორგი ჯოხაძე წარსულში ოთხჯერ ნასამართლევია. დაკავებულია 1997, 2000, 2002 და 2005 წლებში. გიორგი ჯოხაძისა და მისი ძმის, სოსო ჯოხაძის სახელი არაერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს. ჯოხაძეს სამართალდამცველები სასტუმრო „საქართველოსთან“ მომხდარი ინციდენტის გამო რამდენიმე თვის განმავლობაში ეძებდნენ. მაშინ, ორმხრივი სროლის დროს, სამი ახალგაზრდა დაიჭრა. ძმების სახელი 2004 წელს ვაკის საცურაო აუზთან მომხდარ ტრაგედიაშიც ფიგურირებს. გავრცელებული ინფორმაციით, პლეხანოვისა და საბურთალოს საძმოებს შორის დაპირისპირების გამო საცურაო აუზთან ცოლ-ქმარი ჩაცხრილეს. 2004 წელს სამართალდამცველები ამბობდნენ, რომ მკვლელობა ჯოხაძეებზე შურისძიების მიზნით მოხდა.

ქურდობაზეა ნასამართლევი „სკლინტაც“.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კარგად უგებს ქურდულ სამყაროს. შესაძლოა, ასეთი მენტალიტეტი მისთვის უცხო სულაც არ არის. ამიტომაც ცოტა გაუგებარია, რაში სჭირდება ასეთი მინისტრი ახალ ხელისუფლებას.

„კანონიერი ქურდები“ მინისტრთან მეგობრობენ, იუსტიციის სახლი უკვე მერამდენე თვეა დაკეტილია და ხალხს ძველ მისამართზე უწევს სიარული. იქ კი ერთი წივილ-კივილი და ალიაქოთია. რიგის ნომრებს აღარ იძლევიან და რიგშიც ქართულად დგანან – ყველა პირველია. მინისტრი არც ჟურნალისტებთან ურთიერთობს. თუ გაჭირდა და საქმეს დასჭირდა, პრესსამსახური გვეხმიანება ხოლმე. მაგალითად, ჯოხაძის ფოტოზე ასე იყო: „რა შეფასება უნდა მივცე, გადაიღო ადამიანმა ფოტო. მინისტრი რაღაც წვეულებაზე იყო და ეს ადამიანიც ფაქტია, რომ იქ იყო და ფოტო გადაიღო. მეგობრები არ არიან. მინისტრს უამრავი ადამიანი ხვდება სხვადასხვა შეკრებებზე, ან დაბადების დღეზე ან რაიმე სხვა წვეულებაზე და ვიღაცა ყოველთვის იღებს მასთან ფოტოს. აქ არაფერია მნიშვნელოვანი. მეტი არაფერი შემიძლია გითხრათ. არაფერი ისეთი ფოტო არ არის ახლა ეს...“ ეს მისი პრესსამსახურის უფროსის მარიამ მსხილაძის განმარტებაა. თანაც ისეთ ტონში – უკვირს, ჩვენ რომ გვიკვირს.

ისე, ამდენი ტყუილიც არ შეიძლება. რა ეტყობა ამ ფოტოს, რომ წვეულებაა.

ასე რომ, წულუკიანი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. არავისთან ურთიერთობს.

კრიმინალური ავტორიტეტი მეტსახელად „სკლინტა“

რა ვიცი, დიდი ამბავი ატეხა თაობამ ეს ფოტო. ეს ფოტო ეს ... ეს ... ეს ...



დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM

20 წელი თქვენს გვერდით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ დავით ზურაბიშვილთან

ანა ბარბაქაძე

ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“, სოჭის ოლიმპიადა, უკრაინის გავლენა საქართველოზე და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდი – ეს ის თემებია, რომლებიც ბოლო პერიოდში მაღალი ყურადღების ქვეშაა მოქცეული. ამ თემებზე „პრაიმტაიმმა“ კომენტარი სთხოვა პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველს დავით ზურაბიშვილს.

– რამდენიმე ხნის წინ ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე გააჟღერა, რომ ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მედიის კონტროლი იქნება. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ასეთი რამ?

– ბიძინა ივანიშვილის როლზე საუბრისას არ შეიძლება რაღაც კონტექსტიდან ამოგლეჯილ თემაზე ვისაუბროთ, რადგან ეს მიგვიყვანს არასწორ დასკვნამდე. ჩვენ რომ ვცხოვრობდეთ განვითარებულ, ბოლომდე დემოკრატიულ ქვეყანაში, გვქონდეს საკმარისი მემკვიდრეობა ნინა მთავრობისგან, არც დაგვჭირდებოდა მსგავსი ფიგურის არსებობა და მისი პოლიტიკაში მოსვლა. თუ დაუკვირდებით, ის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის პოზიციიდანაც ისე საუბრობს, თითქოს ისევ ხელისუფლებაში იყოს. ეს ბუნებრივია, რადგან რეალურად დღევანდელი მთავრობა მისი შექმნილია. ჩვენ თავს მოვიტყუებთ, თუ ვიტყვით, რომ ის გავლენას არ მოახდენს პოლიტიკაზე, სწორედ აქედან გამომდინარეობს მედიისადმი მისი დამოკიდებულებაც. მართალია, ივანიშვილს თავისებური დამოკიდებულება აქვს მედიისადმი, სულ ეჩხუბება მათ, მაგრამ ეს არასდროს მთავრდება უარყოფით შედეგებით. ჩვენ გვახსოვს ძველი მთავრობა, რომელთა პერიოდშიც შეზღუდული იყო სიტყვის თავისუფლება და არასწორი სიტყვის შემთხვევაში მედიის წარმომადგენლებს საფრთხე ემუქრებოდათ. დღეს ივანიშვილის ამ შენიშვნებს რაღაც მექანიზმების ამოქმედება, რეპრესიები არ მოჰყვება.

– მედიაზე საუბრისას აუცილებლად გაგვახსენდება საზოგადოებრივი მაუწყებელი და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, სადაც 5 ადგილი ჯერ კიდევ ვაკანტურია. ეს კი იმის ფონზე, როდესაც მაუწყებლის კანონში ცვლილებების მიღება 2013 წელს დაჩქარდა...

– ის, რომ ხალხის მოთხოვნილება და სტანდარტი მაღალია, კარგია. რა თქმა უნდა, აჯობებდა, პირველივე ჯერზე დამტკიცებულიყვნენ კომისიის მიერ შერჩეული ადამიანები, დროულად დაეწყოთ ფუნქციონირება, მაგრამ ასე არ გამოვიდა. ხოლო ის, რომ თავის დროზე კანონის მიღება დაჩქარდა, კარგია, რადგან სხვანაირად ამ შედეგამდეც არ ვიქნებოდით დღეს. ეს აბსოლუტურად მისაღები პროცესია, პირიქით, ხელს უწყობს კიდეც დემოკრატიული პროცესების განვითარებას. ხელისუფლებას რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დაქვემდებარება ნდომოდა, მაშინ გადაწყვეტილებას მარტივად მიიღებდა, მაგრამ ამის სურვილი არ იყო. შესაბამისად, ველოდებით ხელახალ კონკურსსა და მის შედეგებს. ჩვენ გვაქვს იმის გამოცდილება, როცა ხელისუფლება ცდილობდა, ჩარეულიყო და მათი საქმიანობა ეკონტროლებინა, რამაც, როგორც ვხედავთ, არ გაამართლა. ახლანდელი ხელისუფლების ნებაა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი დამოუკიდებელი იყოს.

– დღეს ყველაზე აქტუალური თემა სოჭის ოლიმპიადაა. არაერთი აზრი გამოითქვა სპორტსმენების წასვლა-არწასვლისა და შემდეგ ადგილზე რაიმე სახით პოზიციის გამოხატვის შესახებ, თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხისადმი.

– ჩემი აზრით, სოჭში ჩვენი სპორტსმენების წასვლა-არწასვლის საკითხი არც განიხილება, ცალსახად უნდა წავსულიყავით. მეორე თემაა იქ რაიმე სახით პროტესტის გამოხატვა და ყურადღების მიქცევა. თუმცა ესეც საკამათო თემაა. იქ არჩასვლით ყურადღებას ნამდვილად ვერ მივიქცევდით. რაც შეეხება ღრუბლებსა და სხვადასხვა სახის პროვოკაციებს, ეს ძალით შექმნილი თემებია. ეს ღრუბლები საქართველოზე სატელიტით გადაღებული ფოტოა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ვერავინ, ვერც ერთი ქვეყნის წარმომადგენელმა ვერ შეამჩნია. რუსეთს რომ რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება ნდომოდა, გააკეთებდა.

ამ შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლების მთავარი შეცდომა ისაა, რომ მათ არ გააკეთეს მკაფიო გზავნილი – ხალხისთვის გასაგები. ჩვენ არ უნდა აგვეხსნა, რატომ მივდივართ, პროპაგანდა უნდა წაგვეყვანა ისე, რომ არც დასმულიყო მსგავსი კითხვა. მთავრობის ამ შემადგენლობას არაფერი შეუცვლია, წინა მთავრობის დროსაც იყო გადაწყვეტილი ოლიმპიადაზე წასვლა. ხელოვნურადაა შექმნილი სხვადასხვა ამბები. მაგალითად, თიბილოვისა და ანქვაბის ვიზიტი, დანისლული საქართველო, ხინკლისა და ჩურჩხელის მითვისება დ ა.შ. ეს არაა სერიოზული არგუმენტები იმისა, რომ აი, ამიტომ არ უნდა მიგვეღო ოლიმპიადაში მონაწილეობა.

მე არ ვამართლებ გამონათქვამს, რომ სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთთან კავშირში არაა. ხელისუფლების გადაწყვეტილება ყოველთვის პოლიტიკაა, თუმცა, როგორც ვთქვით, მონაწილეობის საკითხი ადრევე იყო გადაწყვეტილი, ამ ხელისუფლებამ კი, თავის მხრივ, ის გააკეთა, რომ მხოლოდ სპორტსმენები გაუშვა საასპარეზოდ, პოლიტიკური დელეგაცია კი სოჭში არ ჩავიდა. ჩვენი სპორტსმენების სოჭში არჩასვლა არაკონსტრუქციულობის ილუსტრირება იქნებოდა მსოფლიოს თვალში და სხვა არაფერი.

– უკრაინაში მდგომარეობა კვლავ გაურკვეველი და დაძაბულია, რამდენად მოსალოდნელია მსგავსი სცენარის საქართველოში გამეორება?

– თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ რუსეთს უკრაინაზე მეტი ბერკეტი ჰქონდა, ვიდრე ჩვენს ქვეყანაზე აქვს, თუმცა ეს არ გვაძლევს დამშვიდების მიზეზს. ის, რომ რუსეთს არ სურს საქართველოსა და უკრაინის ევროკავშირში ინტეგრაცია, გასაგებია. გასაგები და მოსალოდნელია ისიც, რომ უკრაინის შემდეგ ჩვენზე ეცდება ყურადღების გადმოტანას, თუმცა აქ მას განსხვავებული სიტუაცია დახვდება. ჩვენთან ხელისუფლების განწყობა სხვანაირია, ცალსახაა საქართველოს საგარეო კურსი. ჩვენ მივილტვით ევროპისკენ, ვაპირებთ, გავაფორმოთ ასოცირების ხელშეკრულება. ეს, მართალია, არაფრის გარანტი არაა, მაგრამ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

„ხელისუფლებას რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის დაქვემდებარება ნდომოდა, მაშინ გადაწყვეტილებას მარტივად მიიღებდა, მაგრამ ამის სურვილი არ იყო“

უჩა ნანუაშვილი სექტანტია?

რა სკანდალებშია გაცვეული სახალხო დამცველი

ერეკლე სტურუა

ეს ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბავია. ვერავინ შეძლებს, მოუძებნოს ლოგიკა იმას, რომ უჩა ნანუაშვილმა თავის დროზე ისეთი ძლიერი ფიგურები დაჩრდილა სახალხო დამცველის პოსტზე, თვალსაჩინოებისთვის, მმართველი კოალიციის ფავორიტის ნინა ხატისკაცის გახსენებაც საკმარისი იქნებოდა.

მაშინ ცოტამ თუ იცოდა, რომ უჩა ნანუაშვილს ნანა კაკაბაძე ლობირებდა. ასე რომ, ჩვენი სახალხო დამცველი სწორედ იმ ქალბატონის რჩეულია, რომელიც ყველა ციხის ბუნტის უკან მოიაზრებოდა. ზოგან მას ღიად დაადეს ხელი, ზოგჯერ მხოლოდ მიანიშნეს. ნანას „ღვაწლზე“ ახლა არ ვისაუბრებთ, საინტერესო აქ მაინც ნანუაშვილია და მისი დამოკიდებულებები თუნდაც 2008 წლის ომთან, საქართველოსთან და რუსეთთან.

მის კარიერულ ზრდაზე საერთოდ ცოტა რამ არის ცნობილი. როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა მიიღო ომბუდსმენის პოსტი. პარლამენტმა ფართო ამნისტიას დაუჭირა მხარი, რომელიც ისტორიულად გამოაცხადა, და არც ნანუაშვილისთვის მხარის დაჭერა გაუჭირდებოდა. არც გასჭირვებია.

სერიოზულ კარიერამდე, როგორც სოციალურ ქსელებში ყვებიან, უჩა ნანუაშვილს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ჰქონდა. მაგალითად, ეს: Georgian Chapter of People to People International... Mr. Ucha Nanuashvili, President. რაში სჭირდებოდა, ახლავე აგიხსნით. ერთი და იგივე ფონდიდან ბევრი გრანტი რომ გაეტანა. ვისთვის ეს აფერაა, ვისთვის ქართული მოხერხებულობა.

ისე, ვერც ერთმა „ენჯეოშნიკმა“ ვერ გაიხსენა, რა ღირებული სამუშაოები აქვს ამ კაცს თავის დროზე ჩატარებული. ვინ იყენებდა ან ეყრდნობოდა მის „აჩოტებს“.

სახალხო დამცველი დიდ პოლიტიკურ სკანდალშიც გაეხვია. მის გამო კი პარლამენტი უკვე მერამდენედ ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში. თავად განსაჯეთ, საქართველოს პარლამენტი პრინციპების დონეზე აღიარებს, რომ 2008 წლის ომი რუსეთმა დაიწყო. ამ ფონზე კი კანონმდებლები ომბუდსმენად ამტკიცებენ პირს, ვისაც ამ პრინციპულ საკითხზე რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს. ნანუაშვილი ფიქრობს, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო. ნანუაშვილს მაშინ თავის მართლებაც მოუწია, მაგრამ პოზიცია მაინც არ შეუცვალა და თქვა:

– მე ახლაც ვთვლი, რომ ქართულმა სახელმწიფომ ბოდიში უნდა მოუხადოს როგორც აფხაზ და ოს ხალხს, ისე ეთნიკურ ქართველებს, რადგან ქართულმა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ მოქალაქეების უფლებების დაცვა და ისინი გამოდევნეს საკუთარი სახლებიდან. რაც შეეხება ომს, შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო ქართულმა მხარემ, ხოლო ომი – რუსეთის ფედერაციამ. ასევე, მე არასოდეს მითქვამს, რომ 2010 წელს საქართველო რუსეთთან ომისთვის ემზადებოდა. მახსოვს, მაშინ „რაშა თუდეის“ მივეცი ინტერვიუ და იქ საუბარი იყო მილიტარიზაციაზე. არც იმას უარვყოფ, რომ მოხდა ეთნოწმენდა, რაშიც რუსეთის როლი წამყვანი იყო.

მანამდე უჩა კამპანიას ატარებდა სახელწოდებით – „ბოდიში“. ისე, საინტერესოა, რა სახსრებით და ვისი გრანტებით. კამპანიის დროს ის მოითხოვდა, საქართველოს ბოდიში მოეხადა აფხაზებისა და ოსებისთვის 90-იანი წლების გამო. შესაძლოა, შემთხვევით არ ამბობდნენ, ნანუაშვილს ლუსტრაციის კანონი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნისო.

სხვათა შორის, სოციალურ ქსელებში იმის შესახებაც დაიწერა, რომ უჩა ნანუაშვილი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელია, ანუ ის მიეკუთვნება ერთ-ერთ უცნობ პატარა სექტას. საინტერესოა, რომ სოცქსელებით გავრცელებულ ამ ინფორმაციას არც პირადად ნანუაშვილი და არც მისი პრესსამსახური არ გამოხმაურება. ობუდსმენად მისი დანიშვნის დროს უჩა ნანუაშვილს პირდაპირ სექტანტი უწოდეს და პარლამენტს მოუწოდებდნენ, მართლმადიდებლური მრწამსიდან გამომდინარე მაინც არ დაემტკიცებინა მისი კანდიდატურა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხუდონჰესის ინვესტორი სვანეთის განვითარების ფონდში ყოველწლიურად რამდენიმე მილიონს გადარიცხავს

თეა ხომერიკი

„ხუდონჰესის ინვესტორი კომპანიის გადაწყვეტილებით, მოგების 5 პროცენტი მუდმივად გადაირიცხება ფონდში, რომელსაც ერქმევა ამ რეგიონის აღორძინების ფონდი. ეს არის ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ლარი“. ეს მნიშვნელოვანი განცხადება ხუდონჰესის ინვესტორი კომპანიის „ტრანსელექტრიკას“ ტექნიკურმა დირექტორმა დავით მირცხულავამ გუშინ, „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ ორგანიზებით მოწყობილ შეხვედრაზე „თბილისი მერიოტში“ განაცხადა.

ენერგეტიკოსებს, ეკონომისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გამართულ შეხვედრა-დისკუსიაზე, რომელიც ხუდონჰესის პროექტს მიეძღვნა, დავით მირცხულავამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ გააკეთა განცხადება:

„გაჩნდა ინიციატივა, რომ ინვესტორმა იფიქროს ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზის მშენებლობაზე. სახელმწიფოსთან ერთად ინვესტორი მიიღებს მონაწილეობას ამ გვირაბის მშენებლობაში. სვანეთი ზამთრის კურორტია, სათხილამურო სპორტისთვის გადასარევი ტრასებით. თეთნულდის ახალი საბაგირო გზები შენდება და სასტუმროები კი ცარიელია. იანვრის განმავლობაში, მხოლოდ ახალ წელს იყო რამდენიმე სასტუმრო დატვირთული. როდესაც გზა განახლდება, იქნება საშუალება კოპიტნარის აეროპორტიდან საათსა და 40 წუთში ადამიანი უშგულში მოხვდეს. ეს იქნება უზარმაზარი პლუსი ამ რეგიონის განვითარებისთვის. მაგალითად მოვიყვან იტალიის პატარა რეგიონს, ვანდაოსტას. ამ რეგიონში საშინელი დემოგრაფიული მდგომარეობა იყო, მაგრამ, როდესაც რამდენიმე ასეთი დიდი ობიექტის მშენებლობა განხორციელდა, საუბარი მაქვს ჰესებზე, დღეს ერთადერთი მთიანი რეგიონია იტალიაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა იზრდება.

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ არ ვართ ოპონენტები, ერთმანეთის მტრები, ნურც ნურავინ იტყვის, რომ აი, იქით მხარეს, ან აქეთ მხარეს საქართველო არ უყვარს. საქართველო უყვარს ორივე მხარეს, მაგრამ სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს. არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, რომ წყალსაცავის მშენებლობა და განსახლების თემა ყოფილიყოს ადვილად გადასაწყვეტი საკითხი“.

შვეიცარიული კომპანია „შტუკეს“ განცხადებით, ხუდონჰესის კაშხლის არსებული ადგილმდებარეობა საუკეთესოა

თეა ხომერიკი

„ის რაც სიმონ ბახტურიძემ განაცხადა, ნამდვილად არ შეესაბამება სინამდვილეს. პირიქით, ჩვენ ვამბობთ, რომ ხუდონჰესის კაშხლის დღეს არსებული ადგილმდებარეობა საუკეთესოა და ამ მხრივ, არანაირი ალტერნატივა არ არსებობს“ - ამ განცხადებით კომპანია „შტუკეს“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი გიორგი მაჭარაძე სიმონ ბახტურიძეს პასუხობს.

- ბატონო გიორგი, სიმონ ბახტურიძის თქმით, კომპანია „შტუკეს“ ხუდონის კაშხლის პროექტის დღეს არსებული ადგილმდებარეობა საუკეთესოდ არ მიაჩნია. მისი განცხადებით, ინვესტორ კომპანიას კაშხლის განლაგების ადგილად მდინარე ენგურის ზედა წელს სთავაზობთ. გთხოვთ განგვიმარტოთ, არის თუ არა ხუდონის კაშხლის განლაგების რომელიმე ვარიანტი დღეს არსებულზე უკეთესი?

- ის რაც ბახტურიძემ განაცხადა, ნამდვილად არ შეეფერება სინამდვილეს, იმიტომ რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენმა კომპანიამ შეასრულა სამუშაო კვლევები. ეს ანგარიში ჩაბარებულია ენერგეტიკის სამინისტროში და ის რასაც ბახტურიძე ამბობს, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ანგარიშში წარმოდგენილი არ არის. სულ სხვა შედეგებია და სულ სხვა გადაწყვეტილებაა მიღებული. ანუ ფაქტობრივად, ეს ანგარიში არსებული პროექტის ეფექტურობას ადასტურებს.

- ბატონო გიორგი, ადასტურებთ, რომ ადგილი, სადაც პროექტის მიხედვით კაშხალი განლაგდება, უალტერნატივოა?

- ძალიან ბევრი ალტერნატივა იყო განხილული და ამ კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ დღევანდელი, ანუ არსებული მდებარეობა საუკეთესოა.

კომპანია „შტუკემ“ კვლევა, რომელიც მოიცავდა ხუდონჰესის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, 2008-2013 წლებში ჩაატარა.

„ეს იყო გეოლოგიური, ტოპოგრაფიული, ჰიდროლოგიური, სოციალური, გარემოსდაცვითი და კიდევ სხვა საკითხები, რომელიც ჩვეულებრივ სრულდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დროს, მოკლედ, სრული სპექტრი იყო განხილული საკითხებისა, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნების მიხედვით აუცილებელია და სწორედ კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ არსებული მდებარეობა არის საუკეთესო“, - ამბობს გიორგი მაჭარაძე.



ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ორგანიზებით 2013 წლის ლიდერი კომპანიები გამოვლინდნენ

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ორგანიზებით 2013 წლის ნავთობპროდუქტების ბიზნეს-სექტორის შედეგების შემაჯამებელი დაჯილდოების რიგით მე-9 ცერემონია გაიმართა.

ღონისძიება, რომელსაც ხელისუფლების და ქვეყნის ლიდერი ნავთობკომპანიის წარმომადგენლები დაესწრნენ, „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა.

2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელი კომპანიად „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ დასახელდა, რომელმაც სახ-ფო ბიუჯეტში შეიტანა 130 მლნ ლარი. გასულ წელს ნავთობპროდუქტების ბიზნეს-სექტორის ყველაზე დიდი დამსაქმებელი კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაა“ გახდა. საკუთარი სამარკო ნიშნის ქვეშ ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელის მქონე კომპანიად „გალფ ჯორჯია“ დასახელდა. ყველაზე დიდი ინვესტიციების განმხორციელებლად კი „სოკარ ენერჯი ჯორჯია“. ასევე, 2013 წელს მნიშვნელოვანი სოციალური პროექტების განხორციელებისთვის შესაბამისი ნომინაციების ლიდერის პოზიციები „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ“, „გალფ ჯორჯიამ“ და „სოკარ ენერჯი ჯორჯიამ“ გადაინაწილეს.

2013 წელს საავიაციო ნავთის ყველაზე მსხვილი იმპორტიორი და რეალიზატორი „ჯორჯიან პეტროლიუმია“, პრემიუმ ხარისხის საავტომობილო ზეთების გაყიდვების სტაბილური ლიდერი - „ჯი-თი გრუპი“. გასულ წელს საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის პრიზი „ფასტ+1“, „ფახრე აზერბაიჯანს“, „ჯეოლიდერს“ და „GK TRADE“-ს გადაეცა. 2013 წელს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის „შავი ზღვის ტერმინალი“ და „ბათუმის ნავთობტერმინალი“ დასახელდნენ გამარჯვებულებად. ასევე, საავტომობილო ზეთების ბაზრის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის პრიზი „ჯეოტრინიკს“, „ავიასაწვავსერვისს“ და „ალფა მოტორსს“ გადაეცა.

ლიდერი კომპანიების დაჯილდოების ცერემონიალს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი დავით ნარმანია დაესწრო. მინისტრის განცხადებით, აღნიშნული ღონისძიება კომპანიებისთვის სტიმულია, რომ საუკეთესო მაჩვენებლები დადონ.

„დაჯილდოება ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი სტიმულია. კომპანიები, რომლებიც წლის განმავლობაში მუშაობდნენ ძალიან აქტიურად და წლის შედეგებიდან გამომდინარე საუკეთესო მაჩვენებლებს იღებენ, რა თქმა უნდა, იმსახურებენ ამას. ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ამ კომპანიების სეგმენტთან, რომლებიც დაკავებულები არიან ბითუმის იმპორტით. საგზაო სამუშაოებში დიდ წილად ჩვენ ვიყენებთ ბითუმს, აქედან გამომდინარე, გვაქვს მოთხოვნები, რომელსაც პერიოდულად ვაცნობთ ამ კომპანიებს. 2013 წელს ამ კომპანიებმა აქტიურად იმუშავეს, რომ ჩვენი მოთხოვნების შესაბამისად ხარისხიანი ბითუმი შემოეტანათ. კონტროლი, რა თქმა უნდა, მკაცრდება და ისინი მზად არიან, რომ გამკაცრებული კონტროლის პირობებში ხარისხიანი ბითუმი შემოიტანონ“,- განაცხადა დავით ნარმანიამ.

„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას განცხადებით 2013 წელი კომპანია „ვისოლისთვის“ წარმატებული აღმოჩნდა.

„უკვე მეცხრეჯერ ტარდება შემაჯამებელი შეხვედრები, რის შედეგადაც კომპანიები წარმოადგენენ ინფორმაციას გავლილი წლის განმავლობაში განხოციელებული პროექტების შესახებ. „ვისოლი“ წარმოდგენილია ნომინაციებში, როგორც „საუკეთესო გადამხდელი“, როგორც „საუკეთესო ავტოგასამართი სადგურების“ მქონე კომპანია, როგორც ერთ-ერთ ყველაზე „კარგი დამსაქმებელი“. მინდა გითხრათ, რომ გასული წელი კომპანია „ვისოლისთვის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წელიწადი იყო. გარკვეულწილად იმ შედეგების შეჯამება ხდება, რომლითაც ფაქტობრივად კომპანია „ვისოლი“ გამორჩეულია. 2014 წელი ჩვენთვის იწყება საუკეთესო სიახლეებით, ეს იქნება ინფრასტრუქტურული სიახლეები, ეს არის პროდუქტის კუთხით საკმაოდ კარგი ნაბიჯის გადადგმა, რამეთუ კომპანია „ვისოლმა“ განახორციელა საბერძნეთის პეტროლიუმიდან ეკოპროდუქრების იმპორტი და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კიდევ ერთი წარმატების საწინდარი იქნება კომპანიისთვის“,- აცხადებს ხორავა.

„სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ კორპორატიული და ბიზნესკომუნიკაციის განყოფილების უფროსის ირაკლი ზუბიტაშვილის განცხადებით, „სოკარმა“ რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვა.

„მათ შორის ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელის ნომინაციაში გამარჯვება. გასულ წელს ჩვენ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 130 მლნ ლარი, ხოლო მთლიანად საქართველოს ბაზარზე „სოკარის“ მონაწილეობის პერიოდში - მლრდ 700 მლნ ლარი. ჩვენი კომპანიისთვის ასევე მნიშვნელოვანია ნომინაცია 2013 წელს საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტიციის განმახორციელებელი კომპანია“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ არ შეიწყალა პრეზიდენტმა რომან გვენცაძის დისშვილი?

EXCLUSIVE

my View

მირიან ბოქოლიშვილი

ნანა გვენცაძე: „ნაციონალები იყვნენ რეზოს ციხეში ყოფნით დაინტერესებულნი და მარგველაშვილთან თავიანთი მეგობრული კავშირებით ახლაც ახერხებენ მისი საქმის დაბლოკვას“

„კონფლიქტი ჰქონდა ძმებ რურუებთან, ბარამიძესთან და გაბაშვილთან. ამიტომ, როგორც კი მოვიდნენ, ბარამიძის შს მინისტრად დანიშვნისთანავე დაიჭირეს. დღემდე მოჰყვებიან“

„თავიდან 8-წლიანი პატიმრობა ჰქონდა, 4 წლის შემდეგ დაუმატეს 11 წელი. შემოწმებაზე შევიდა 4 ბადრაგი, ერთ-ერთი ბუთლიაშვილი ახლა დაიჭირეს პატიმრების წამებისთვის“

„წულუკიანმა შემომთავაზა აქ, ადგილობრივ სასამართლოში გარჩეულიყო ეს საქმე. სასამართლოში, სადაც იგივე მოსამართლეები სხედან, რომლებმაც წლების წინათ უკანონო გადაწყვეტილებები გამოიტანეს“

შეწყალების კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაიბლოკა

„პრაიმტაიმი“ პატიმრის დედას, ნანა გვენცაძეს ესაუბრა.

– რეზოს დაკავება მოხდა 2003 წელს, როდესაც ნაციონალები მოვიდნენ, ზუსტად 10 დღეში დააპატიმრეს. ნარკოტიკის შეძენა-შენახვაში წაუყენეს ბრალი. მასზე პრაქტიკულად შური იძიეს, რადგან თავიდანვე ვერ ძოვდა ნაციონალებთან. რევოლუციის დროს არ დაუდგათ გვერდში, პირიქით, კახეთიდან რომ შემოჰყავდათ კოლონა, ეს ხელს უშლიდათ. კონფლიქტი ჰქონდა ძმებ რურუებთან, ბარამიძესთან და გაბაშვილთან. ამიტომ, როგორც კი მოვიდნენ, ბარამიძის შს მინისტრად დანიშვნისთანავე დაიჭირეს. დღემდე მოჰყვებიან. იმაზე აღარ ვლაპარაკობ, როგორ ჩაუდეს წამალი და რა უკანონობაც ჩაიდინეს. მეთოდები ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ამაზე არ ვდაობ. მან ეს სასჯელი მოიხადა. როცა იფიქრეს, რომ უკვე მალე დატოვებდა საპყრობილეს, ციხეში პროვოკაცია მოუწყვეს და 11 წელი დაუმატეს. 2007 წელს გაუფორმეს ისე, თითქოს თავს დაესხა ციხის ბადრაგს. და დაუმატეს ამდენი წელი. ამაზე სტრასბურგში მაქვს შეტანილი საჩივარი. 2007 წლის მერე ვარ ამ ბრძოლაში.

– თავიდან, ნარკოტიკებზე რომ დააკავეს, რამდენი მიუსაჯეს?

– თავიდან 8-წლიანი პატიმრობა ჰქონდა, 4 წლის შემდეგ დაუმატეს 11 წელი. შემოწმებაზე შევიდა 4 ბადრაგი, ერთ-ერთი ბუთლიაშვილი ახლა დაიჭირეს პატიმრების წამებისთვის. მეორე ბადრაგი კურტანიძე ამბობს, – ვუთხარი, ხელები დაიდე თავზეო და არ დამემორჩილაო. თვითონვე ამბობს, რომ არანაირ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია. ამის მიუხედავად, მაინც თავდასხმის ბრალდება წაუყენეს. როგორ დაესხმებოდა საკანში შესულ 4 ბადრაგს თავს?

– რაიმე ზეწოლა იყო ციხეში?

– რასაკვირველია. მან გამოიარა ცნობილი ციხის ბუნტი. სპეცრაზმი რომ შევიდა, პირდაპირ გვარით მოიხსენიეს, – ლალიაშვილი რომელიაო. ისეთი ნაცემი იყო, რომ ერთი თვე ფეხზე ვერ დგებოდა. შეწყალების კომისიაში გავიდა მისი საქმე, ყველა დაეთანხმა, მაგრამ პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა. რა საფუძვლით გააკეთა ეს მარგველაშვილმა? სამშობლოს გამყიდველი იყო თუ რა? ბარიგები და მკვლელები გამოუშვეს და ამან რა დააშავა ასეთი, რომ ახალგაზრდა კაცს არანაირ შანსს არ უტოვებენ. როცა ბადრაგზე თავდასხმა ხდება, პატიმარს რაღაც მიზანი ხომ უნდა ამოძრავებდეს? ან გაქცევა, ან ადმინისტრაციისთვის რაიმეს მოთხოვნა... მსგავსი არაფერი ყოფილა. ასე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, შეიძლება თავდასხმა? ეს ხომ აბსურდია. თავზე ხელის არდადების გამო შეიძლება ადამიანი წლობით ციხეში გამოკეტო? მით უმეტეს, თვითონ „დაზარალებული“ ამბობს, რომ თავს არ დამსხმიაო. ძალიან უკმაყოფილო ვარ პრეზიდენტით და მისი გადაწყვეტილებით.

– ანუ გქონდათ იმედი, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სიმართლე გაირკვეოდა?

> „ისეთი ნაცემი იყო, რომ ერთი თვე ფეხზე ვერ დგებოდა. შეწყალების კომისიაში გავიდა მისი საქმე, ყველა დაეთანხმა, მაგრამ პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა“

– ამ იმედით ვიყავით მეც, მთელი ჩემი ოჯახი და საახლობლო. გვერდით ვედექით წინასაარჩევნოდ ყველანაირად. ვინც ამათ გვერდით იდგა, ყველას იჭერდნენ, როგორც იცით, და ეს არც ჩემი სანათესაოსთვის ყოფილა უცხო, მაგრამ რა მივიღეთ? არც არაფერი. ვფიქრობდით, შეიცვლება ხელისუფლება და, ბოლოს და ბოლოს, მოვა სამართალიც-მეთქი, მაგრამ ახლა აბსოლუტურად დავკარგე იმედი. მგონია, რომ იგივე ხალხია ხელისუფლებაში, მხოლოდ სხვა სახელით. ჩემთვის არაფერი შეცვლილა – არც მატერიალურად, არც მორალურად და არც სამართლებრივად. მარტო ჩემზე არაა აქ საუბარი.

– სტრასბურგის სასამართლოში რა ეტაპზეა ეს საქმე?

– სტრასბურგის იმედი მქონდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე – „რევაზ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, შეკითხვები გადმოუგზავნა იუსტიციის სამინისტროს: დაირღვა თუ არა ლალიაშვილისთვის სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, იყო თუ არა ის არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი და დაირღვა თუ არა, ზოგადად, მისი უფლებები, რაზეც წულუკიანის უწყებამ უპასუხა, რომ ნაწილობრივო. მე კი წულუკიანმა შემომთავაზა აქ, ადგილობრივ სასამართლოში გარჩეულიყო ეს საქმე. სასამართლოში, სადაც იგივე მოსამართლეები სხედან, რომლებმაც წლების წინათ უკანონო გადაწყვეტილებები გამოიტანეს. მოკლედ, საბოლოოდ ეს იმედიც დავკარგე. პროკურატურას მივმართე, არც იქიდან ყოფილა პასუხი. ასე როგორ შეიძლება. წულუკიანმა მომწერა, დაელოდეთ სამართლიანობის დამდგენ კომისიასო. ველოდები, მაგრამ, როგორც იცით, საერთოდ აღარ აპირებენ ამ კომისიის შექმნას. შეწყალებაზე არ მინდოდა დაწერა, მაგრამ სხვა გზა აღარ მქონდა. 9 წელი კრიტში ამყოფეს ჩემი შვილი. გამცენ პასუხი, რა დააშავა ასეთი. მხოლოდ ერთი წლის წინათ გადმოიყვანეს ღია ზონაზე. პრაქტიკულად წინა ხელისუფლება ისე აკეთებდა, რომ ცოცხალი ვერ გამოსულიყო ციხიდან. ახლაც ასე გრძელდება. ერთმანეთთან ძალიან მეგობრულად არიან და გავლენას ახდენენ. რეზოს 2 წელი აქვს დარჩენილი, მაგასთან ერთად ვინც შეიტანა შეწყალების კომისიაზე და დარჩენილი ჰქონდათ 25 წელი და ზოგს კიდევ უფრო მეტიც, ისინი გამოუშვეს, ჩემს შვილზე კატეგორიული უარი მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ყველა წევრი ერთსულოვნად მომხრე იყო შეწყალების. მე ვიყავი კომისიის ერთ-ერთ წევრთან, მან მანახა ყველა წევრის ხელმოწერილი ფურცელი, რომლებიც დადებით რეკომენდაციას იძლეოდნენ რეზოს შეწყალებაზე... პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაიბლოკა ეს საქმე.

– ანუ თქვენი თქმით, მარგველაშვილი წინა მთავრობის გავლენის ქვეშ იმყოფება?

– ორი აზრი არ არსებობს ამაში. ისინი იყვნენ რეზოს ციხეში ყოფნით დაინტერესებულნი და მარგველაშვილთან თავიანთი მეგობრული კავშირებით ახლაც ახერხებენ მისი საქმის დაბლოკვას. ამასობაში ჩემს შვილს ცხოვრების საუკეთესო წლები ე.წ. კრიტში გამოატარეს. 33 წლის დაიჭირეს და ახლა 43 წლისაა.

რატომ არ შეიწყალა გიორგი მარგველაშვილმა რეზო ლალიაშვილი? ამის გასარკვევად ჩვენ პრეზიდენტის ადმინისტრაციას დავუკავშირდით. კომენტარი მარგველაშვილის პიარ-სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა რამიშვილმა გააკეთა.

„ზოგადად, პრეზიდენტის პრეროგატივა და დისკრეციაა, შეიწყალოს ან არ შეიწყალოს მოქალაქეები. კონკრეტულად ამ შემთხვევაზე კომენტარს არ ვაკეთებთ“, – განგვიმარტა შალვა რამიშვილმა.

ჩვენ დავუკავშირდით შეწყალების კომისიის თავმჯდომარესაც, თუმცა კონფიდენციალობიდან გამომდინარე ალეკო ელისაშვილმა კომისიის წევრების გადაწყვეტილებაზე საუბარი არ ისურვა. ჩვენ მიერ არაოფიციალურად გადამოწმებული ინფორმაციით კი, შეწყალების კომისიამ პრეზიდენტს რეზო ლალიაშვილის შეწყალების რეკომენდაციით ნამდვილად მიმართა.

ალექსანდრე ელისაშვილი, შეწყალების კომისიის თავმჯდომარე:

„კომისიაში ხმის მიცემის პროცესი არის კონფიდენციალური და შესაბამისად, მე ვერ გეტყვით დეტალებს. ამ პატიმრის საქმე ნამდვილად ვიცი, იყო შემოსული განცხადება, მაგრამ სხვა ინფორმაციის გაცემის უფლება არ მაქვს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირველად საქართველოში – სწავლა დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სკოლებში ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად

„ბრიტანული ცენტრი“ უკვე 10 წელია, რაც ამიერკავკასიის მასშტაბით ინგლისური ენის შემსწავლელ სკოლათა ყველაზე დიდ ქსელს წარმოადგენს. „ბრიტანული ცენტრი“ ინგლისის ქალაქის ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული ერთადერთი სკოლაა რეგიონში. ცენტრი ინოვაციური და უახლესი საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო მეთოდების დანერგვით საქართველოს მოსახლეობას უმაღლესი ხარისხის ინგლისური ენის კურსებით მუდმივად უზრუნველყოფს, თუმცა ორგანიზაციის საქმიანობა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით არ შემოიფარგლება და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება წამყვან საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობაა.

„ბრიტანული ცენტრის“ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნინო მგელაძის ინფორმაციით, „ბრიტანული ცენტრი“ თანამშრომლობს და საქართველოში წარმოადგენს ისეთი წამყვანი ბრიტანული სკოლების პარტნიორს, რომელთა სწავლების უმაღლესი ხარისხი აღიარებულია Quality English, Education UK, British Council, English UK, Education UK, Private Further Education და სხვა სწავლების დონის განმსაზღვრელი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

„გამომდინარე იქიდან, რომ „ბრიტანული ცენტრი“ თავისი საქმიანობის ფარგლებში მუდამ ორიენტირებულია ხარისხზე, უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთში არსებული ასობით სკოლიდან ჩვენ ვთანამშრომლობთ მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც წლების განმავლობაში უზრუნველყოფილი სწავლების უმაღლესი ხარისხის გამო მსოფლიო მასშტაბით სარგებლობენ საუკეთესო რეპუტაციით. ყველა ჩვენს პარტნიორ სკოლაში ინგლისური ენის სწავლება მიმდინარეობს Quality English (The Best of Independent English Language Schools) მიერ აღიარებული უმაღლესი სტანდარტის მქონე კომპლექსური სასწავლო პროგრამებით“, – ამბობს **ნინო მგელაძე.**

მისივე ინფორმაციით, აღნიშნული სკოლები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით. სკოლებში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი კლუბები, რაც ხელს უწყობს სწავლებისა და ენის პრაქტიკის გაღრმავებას, ტარდება ყოველდღიური საღამოს აქტივობები, ასევე სკოლების მიერ ხდება სხვადასხვა ექსკურსიების ორგანიზება დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

„ბრიტანული ცენტრის“ პარტნიორი სკოლები მთელი წლის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად, სთავაზობენ მრავალფეროვან სასწავლო პროგრამებს, როგორიცაა:

- ზოგადი ინგლისური კურსები
- სემესტრული და აკადემიური პროგრამები
- საერთაშორისო გამოცდებისთვის მოსამზადებელი პროგრამები
- ბიზნეს და პროფესიული ინგლისურის კურსები
- ოჯახური პროგრამები
- თინეიჯერებისთვის განკუთვნილი პროგრამები
- პროგრამა – შობა და ახალი წელი ლონდონში
- ინდივიდუალური სწავლების კურსები, სხვადასხვა მიმართულებებით და სხვა.

გასულ წელს ინგლისში იმყოფებოდა სტუდენტი ნანა ამირანაშვილი:

„ჩემთვის ინგლისში გატარებული სამკვირიანი საზაფხულო კურსი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება იყო. საგრძნობლად დავხვეწე ინგლისური და გავიუმჯობესე ენის ცოდნა, შევიძინე მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. აუცილებლად უნდა აღვნიშნო სკოლის კომფორტული და სასიამოვნო გარემო და მუდამ მსმენელებზე მზრუნავი მასწავლებლები და თანამშრომლები“.

ჩერჩილის სკოლაში სწავლით კმაყოფილია სტუდენტი ადელინა ფარადიანი:

„ძალიან მომეწონა ჩერჩილის სკოლა. ყველა ცდილობდა დახმარებას, თუ რაიმე გაუგებარი იყო. ძალიან საინტერესო გაკვეთილები გვქონდა, გაკვეთილზე არა მხოლოდ ინგლისურს ვსწავლობდით, არამედ ინგლისურ კულტურასაც ვეცნობოდით, რაც საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს ხდიდა. ინგლისურის გაკვეთილების შემდეგ შეგვეძლო ინტერნეტით სარგებლობა სკოლის შენობაში ან Rozetta Stone-ის პროგრამის გამოყენება, რომელიც მსმენელს ინგლისურის ათვისებაში ეხმარება. ძალიან კარგ ინგლისურ ოჯახში ვცხოვრობდი, საინტერესო გამოცდილება იყო კორეელ და იტალიელ სტუდენტებთან ერთ ოჯახში ცხოვრება. მასპინძელი ყოველთვის ცდილობდა, ბევრი ესაუბრა ჩვენთან ინგლისურად. შაბათ-კვირას ექსკურსიებზე დავდიოდით, ბევრი ლამაზი და საინტერესო ადგილი ვნახეთ“.

ამასთანავე, როგორც ბრიტანული ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო მგელაძე ამბობს, მათი პარტნიორი ბრიტანული სკოლები, ზრდასრულების გარდა, რვიდან ჩვიდმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს სთავაზობენ ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლებს. აღნიშნული კურსები ტარდება დიდი ბრიტანეთის ყველაზე პრესტიჟულ სკოლებში, სადაც ფუნქციონირებს ბავშვებისთვის სპეციალურად შემუშავებული მრავალფეროვანი სასწავლო-შემეცნებითი, გასართობი და სპორტული პროგრამები (ცურვა, ცხენოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, გოლფი), საღამოს საათებში ეწყობა თეატრალური წარმოდგენები, სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი თამაშები და საბავშვო დისკოთეკები. ასევე, კვირაში 2-ჯერ ეწყობა შემეცნებით ექსკურსიები სხვადასხვა ისტორიულ ადგილებში. სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვების უსაფრთხოებას. სკოლების ტერიტორია დაცულია და უცხო პირები არ დაიშვებიან.

„ბრიტანულ ცენტრში“ განმარტავენ, რომ ბრიტანეთის უდიდეს სკოლებთან თანამშრომლობა ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, ინგლისური ენის ცოდნა გაიღრმავონ და პრაქტიკაში გადაიტანონ. აქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ ორმხრივი ურთიერთობები ხელს უწყობს ქართული კულტურის ექსპორტსა და მულტიეროვნულ საზოგადოებებში ჩვენი ქვეყნის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციას.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მიმართონ ცენტრს შემდეგ მისამართებზე:
რუსთაველის #36; ტელ.: 2989999; 2933878;
აღმაშენებლის #189; ტელ.: 2941111; 2952222;
ფალიაშვილის #60; ტელ.: 2221915;
პეკინის #7/9;
ტელ.: 2332557; 2514143;
ან ეწვიონ ცენტრის ვებ-გვერდს:
www.britishcentre.ge

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რაზე ესაუბრა ვლადიმერ პუტინი მიხეილ ხუბუტიას პირისპირ შეხვედრისას?

EXCLUSIVE

my View

მირიან ბოქოლიშვილი

მიხეილ ხუბუტია: „საქართველოს გაბედნიერებას ღმერთისგან უნდა ველოდოთ, თუმცა ბატონი პუტინის გარეშე ეს საკითხი არასდროს გადაწყდება“

„ჩვენ გვქონდა პირადი საუბარი, სადაც პუტინმა გამოთქვა თანხმობა, შეხვდეს ირაკლი ღარიბაშვილს“

კრემლთან დაახლოებული ქართველი ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტია, რომელიც სოჭში ვლადიმერ პუტინს პირადად შეხვდა, ამბობს, რომ საქართველოს კეთილდღეობის გასაღები ღმერთისა და რუსეთის პრეზიდენტის ხელშია. რა თემებზე ესაუბრა ხუბუტია ვლადიმერ პუტინს პირისპირ შეხვედრაზე? რატომ ფიქრობს, რომ საქართველოსთვის ევროკავშირი დამღუპველია, საბაჟო კავშირი კი – მომგებიანი და როდის შედგება ღარიბაშვილი-პუტინის შეხვედრა? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ მიხეილ ხუბუტიას ესაუბრა. ინტერვიუ სოჭში მიმდინარე ოლიმპიადით დავიწყეთ.

– ბატონო მიხეილ, რა მისცა საქართველოს ქართველი სპორტსმენების მონაწილეობამ სოჭის ოლიმპიადაზე?

– ოლიმპიადაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, თუნდაც იმიტომ რომ ახალგაზრდა სპორტსმენები ერთმანეთს გაიცნობენ და დაუმეგობრდებიან. გარდა ამისა, რუსეთის მხარემ ძალიან დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და თბილად მიიღო საქართველოს დელეგაცია. სპორტი სპორტია, თუმცა ეს პოლიტიკურ პროცესსაც წაადგება.

– სწორედ ამ კუთხით მინდა გკითხოთ... თქვენ იყავით შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინთან... რა პოზიტივი დაინახეთ პუტინთან შეხვედრისას?

– საქართველოს გაბედნიერებას ღმერთისგან უნდა ველოდოთ, თუმცა ბატონი პუტინის გარეშე ეს საკითხი არასდროს გადაწყდება. მთავარია, რომ ნდობა აღდგეს, მოხდეს პირველი პირების შეხვედრა და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი. ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ პუტინს ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდეს, რადგან ეს უფრო პროდუქტიული აღმოჩნდებოდა. ბატონმა პუტინმა გამოთქვა შეხვედრის მზადყოფნა, ეს მოხდა საჯარო სივრცეში. შემდეგ ჩვენ გვქონდა პირადი საუბარიც, სადაც მან იგივე დაადასტურა და გამოთქვა თანხმობა, რომ შეხვდეს ირაკლი ღარიბაშვილს. თუ საქართველოს მხარის სურვილი იქნება, სიამოვნებით ჩავერთვები ამ შეხვედრის მოსამზადებელ სამუშაოებში, რადგანაც მაქვს კონტაქტები.

– პირადი საუბრის დროს სხვა რა თემებს შეეხო პუტინი?

– როგორც მოგეხსნებათ, მე რამდენიმე საბჭოს წევრი ვარ და ჩვენ შევეხეთ რუსეთის შიდა საქმეებს, თუმცა ყურადღება გამახვილდა საქართველოზეც. დასამალი არაა, რომ მას სურს საქართველოსთან მეგობრობა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

– რამდენად გულწრფელია რუსეთის პრეზიდენტი, როცა ამას ამბობს? პირადად თქვენ გჯერათ პუტინის?

– დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი უყვარს და ქართველი ხალხის მეგობარია. რაც შეეხება წარსულს, ამაში საქართველოს ყოფილ რეჟიმს ვადანაშაულებ.

– თქვენ, წარმოშობით ქართველი, ამბობთ, რომ პუტინს უყვარს საქართველო... და ფიქრობთ, რომ ამ „სიყვარულით“ ბომბავდა ის 2008 წელს საქართველოს, რა დროსაც უამრავი სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა... ცოტა უცნაური სიყვარული სცოდნია პუტინს... არ მეთანხმებით?

– არ მინდა ახლა წარსულის გახსენება. მთავარი ის არის, ვინ წამოიწყო ეს ომი. აი, მაგალითად, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ 2006 წლის აპრილში სააკაშვილი აფხაზეთთან ომს აპირებდა და მზადაც იყო ამისთვის. აწი, თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, ვინ იყო ამ ომის ინიციატორი. რაც შეეხება თვითონ საქართველოს, ქართველებსა და რუსებს შორის ოდითგანვე იყო გენეტიკური ურთიერთსიყვარული და ეს ასეც დარჩება. ბატონი პუტინი არ არის ისეთი ადამიანი, ვისაც შეიძლება რეალური კლასიციზმის ენით ელაპარაკო და თავი გაუტოლო. რუსეთი ძალიან დიდი ქვეყანაა და პუტინი არის ადამიანი, რომელიც ყველაზე რეიტინგულია მთელ მსოფლიოში.

– თქვენ ნინო ბურჯანაძის განცხადება მოიშველიეთ... მოგწონთ მისი პოლიტიკა, თუნდაც რუსეთთან ურთიერთობების კუთხით?

– მე ვიცი, რომ ის არის საკმაოდ წარმატებული პოლიტიკოსი, რა თქმა უნდა, აქვს კონტაქტები რუსეთთან, თუმცა კონკრეტულად რა კონტაქტები, ეს, ალბათ, მას უნდა ჰკითხოთ.

– რაც შეეხება საბაჟო კავშირს... ფიქრობთ, რომ პუტინის ეს ინიციატივა ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისთვის?

– ჯერჯერობით, ჩვენ უნდა მოვისმინოთ კონკრეტული წინადადება. როდესაც კონცეფცია ჩამოყალიბდება, დაჯდებიან ექსპერტები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები და მოხდება გაანალიზება, რას მისცემს ეს კავშირი საქართველოს. ჩემი აზრით, საბაჟო კავშირი მომგებიანი უნდა იყოს საქართველოსთვის, თუმცა ეს ჩემი პირადი აზრია.

– პრემიერ-მინისტრი, წინა ხელისუფლების მსგავსად, კვლავაც ხაზგასმით აფიქსირებს, რომ საქართველოს მთავარი ამოცანა ევროსტრუქტურებში ინტეგრაციაა და რომ ქვეყანა დასავლურ კურსს არ გადაუხვევს... როგორ ფიქრობთ, რამდენად იქნება ეს პრობლემატური თემა თუნდაც ღარიბაშვილ-პუტინის შეხვედრისას?

– ჯერჯერობით ძალიან საეჭვოა, გახდება თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი. რასაც დღეს საქართველოს ჰპირდებიან, მსგავსი დაპირება თურქეთს უკვე 30 წელია მიღებული აქვს, მაგრამ ჯერაც ვერ ახერხებს ეს ქვეყანა ევროკავშირში შესვლას. მნიშვნელოვანია, გავხსნათ ყველა კარტი და საქართველოს მოსახლეობას რეალურად დავანახოთ, რას მოგვცემს ევროკავშირი.

– რას მოგვცემს, თქვენი აზრით?

– კარგს არაფერს. მე მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ ევროკავშირს არც უკრაინა სჭირდება არაფერში და არც საქართველო. ამ გაერთიანების ზოგიერთი ქვეყანა თვითონ გაკოტრდა. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, როგორ აისახება ეს სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკაზე. ევროკავშირში შესვლა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ისინი არაფერს გაგვაკეთებინებენ, თვითონ შემოიტანენ ყველაფერს და აქ მოხდება რეალიზაცია. ეს ჩემი აზრია, არჩევანი კი საქართველომ უნდა გააკეთოს.

– საქართველოსა და მის მოსახლეობას არჩევანი გაკეთებული აქვს და არაერთხელ დადასტურდა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს ევროინტეგრაციას... აქედან გამომდინარე, მინდა გკითხოთ, ხედავთ რაიმე ნიშნებს, რომ ღარიბაშვილის მთავრობამ სამომავლოდ უარი თქვას ამ პროცესზე?

– ჯერჯერობით ამის ნიშნები არ ჩანს. სიმართლე გითხრათ, არც მინდა, რომ იყოს, რადგან ქვეყანას გეზი აქვს აღებული და მთავრობის მიერ ულამაზოდ გამოვა უეცრად ამ გეზის შეცვლა. ზოგჯერ ისმის გადაჭარბებული შეფასებებიც... მაგალითად, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ მთიანი ყარაბახი აზერბაიჯანის ტერიტორიაა და ამით ჩვენი სომეხი მეგობრები გაანაწყენა, გამოთქვა სურვილი, რომ სირიის დაბომბვა დაიწყოს... არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რომ ქალბატონ მაიას საერთაშორისო არენაზე ასეთი განცხადებები გაეკეთებინა. საბოლოო ჯამში, ყველაფერს დრო სჭირდება. ღმერთმა დაგვიფაროს, ის, რაც უკრაინაში ხდება, საქართველოშიც განმეორდეს. როგორც ხედავთ, რუსეთი არ ერევა უკრაინის შიდა საქმეებში.

– დარწმუნებული ხართ?

– შეიძლება თქვენ ამის არ გჯერათ, მაგრამ ეს ასეა. იანუკოვიჩი თვითონ ჩამოდის რუსეთში და ითხოვს თანამშრომლობას. არც ერთი რუსი პოლიტიკოსი არ ჩასულა კიევში და მომიტინგეებისთვის არ დაურიგებია კანფეტები და ტკბილეული, როგორც ამას სხვა ქვეყნის წარმომადგენლები აკეთებენ და ღიად გამოხატავენ პოზიციებს. რეალობა ისაა, რომ ჩვენი ქვეყანა, რუსეთი არ ერევა უკრაინულ პროცესებში. თუ უკრაინა ევროკავშირში შესვლას გადაწყვეტს, ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის მთელი წარმოება შეწყდება და გაიზრდება უმუშევრობა. ეს რუსეთმა კარგად გააანალიზა და დახმარების ხელი გაუწოდა მეზობელ ქვეყანას.

– რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომ რუსეთმა უკან წაიღოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება?

– დღეის მდგომარეობით ეს არარეალურად მეჩვენება. თვითონ საქართველოც არ არის მზად. დასავლეთსაც აწყობს ეს სტატუს კვო. უნდა მოვიფიქროთ სხვადასხვა ფორმები, რომ რამეს მივაღწიოთ. კიდევ ვიმეორებ, საქართველოს მოსახლეობაც არ არის მზად იმისთვის, რომ ხვალ რუსეთმა თავისი გადაწყვეტილება უკან წაიღოს.

– საქართველოს მოსახლეობა მზად არ არისო, ამბობთ... რას გულისხმობთ, იქნებ განმარტოთ?

– ჯერჯერობით საქართველოს მოსახლეობაში დათესილია აზრი, რომ რუსეთი არის საქართველოს მტერი, ამიტომ ვამბობ ამას.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაიწყებს თუ არა საქართველოს ხელისუფლებ

ნატა დვალიშვილი

„მან აღიარა აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა. ამიტომ რუსეთს ოკუპანტს დავარქმევთ, თუ არახელსაყრელ მეზობელს, პრობლემა არსებობს და მას გადაჭრა სჭირდება“

რუსეთის პრეზიდენტის კომენტარმა, რომელიც გასული კვირის პოლიტიკური განსჯის ერთ-ერთ მთავარ საგნად იქცა, აზრთა სხვადასხვაობა, პოლიტიკური ოპტიმიზმიც და სკეპტიციზმიც ერთდროულად გამოიწვია. შევხვდებით თუ არა პუტინს, ვინ, სად და როდის შეხვდება და რა იქნება მასთან საუბრის მთავარი თემა? იმაზე, რომ რუსეთს ყველაზე მტკივნეულ საკითხზე, დეოკუპაციაზე უნდა ვესაუბროთ, ყველა მხარე თანხმდება, თუმცა, სხვა დანარჩენზე – ვერა. ზოგი ამ ყველაფერს ჭიქაში ატეხილ ქარიშხალს ადარებს, ზოგი კი გაწბილებასა და განხიბვლას პროგნოზირებს... ხელისუფლებას ისევ საერთაშორისო თანამეგობრობის იმედი აქვს და რუსეთთან დიალოგის დაწყებისთვის მზაობას აცხადებს.

თუ პუტინის კომენტარი მართლაც შემთხვევითი არ იყო, წინ საინტერესო და სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანესი პროცესები გველოდება. ამ თემებზე კომენტარი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ქალბატონ მანანა კობახიძეს ვთხოვეთ. „პრაიმტაიმი“ ვიცე-სპიკერს შიდა თუ საგარეო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვან თემებზეც ესაუბრა:

– ქალბატონო მანანა, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ლიდერების შეხვედრა?

– პუტინის მხრიდან არ გაკეთებულა ოფიციალური ნოტა საქართველოს ხელისუფლების მისამართით. ეს იყო ჟურნალისტის შეკითხვაზე პასუხი. მეორე საკითხია, საერთოდ რომ არ დასმულიყო ეს კითხვა, რა გეგმები აქვს საქართველოს ხელისუფლებას? ჩვენ გვინდა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, ის გადაუჭრელი პრობლემა, რაც დღემდე არსებობს – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ის ოკუპაციის რეჟიმი, რაც შექმნილია ჩვენს ტერიტორიებზე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და მანამდე, ამის გადაჭრაში, გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთის ფაქტორს ვერ ავცდებით. ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობაც, ჩვენი პარტნიორი, მეგობარი ქვეყნების მონაწილეობა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში, მაგრამ რუსეთის გარეშე ამ პროცესს ვერ დავიწყებთ, რადგან მან აღიარა აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა. ამიტომ რუსეთს ოკუპანტს დავარქმევთ, თუ არახელსაყრელ მეზობელს, პრობლემა არსებობს და მას გადაჭრა სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენმა სახელმწიფომ ეს დღემდე ვერ მოახერხა, ვერაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ერთი ნაბიჯით მაინც წავსულიყავით წინ. ახლა საუბარია პროცესის როგორმე დაწყებაზე. რიტორიკა, რაც აქამდე იყო, ჩვენთვის მიუღებელია და ამიტომ რჩება მხოლოდ დიალოგის გზა. მთავარია, მარტო არ ვიყოთ რუსეთთან ამ პრობლემაზე საუბრისას, ეს ჩვენი სურვილიცაა და არც დასავლეთ ევროპა ამბობს უარს ჩვენს თანადგომასა და პროცესებში პოზიტიურ ჩარევაზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გვაქვს, გვინდა ერთი ნაბიჯით მაინც წავიწიოთ წინ, დავინახოთ პერსპექტივა, როგორ შეიძლება ამ მტკივნეული და გადაუჭრელი პრობლემის მოგვარება. სად შედგება შეხვედრა, როდის და რა ვითარებაში, ამაზე მთავრობამ, პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, საგარეო ურთიერთობების კომიტეტმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ყველამ ერთად უნდა იფიქროს. ეს არის პერსპექტივა, რომელიც ერთი ხელის მოსმითა და ხელაღებით გასაკეთებელი არაა, ამაზე მუშაობაა საჭირო.

– საპასუხო ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ? ჩვენ უნდა ვუთხრათ რუსეთს, რომ მზად ვართ იმ დიალოგისთვის, რაზეც მათმა პრეზიდენტმა ერთ-ერთი კითხვის პასუხად განაცხადა?

– ეს თემაც დასამუშავებელია. როგორ მოხდება, საპასუხო იქნება, კიდევ უნდა დაველოდოთ მათი მხრიდან რაღაცას, რომ ეს ოფიციალურ დონეზე განაცხადონ, თუ კიდევ სხვა რამ, არ ვიცი. ჩვენ რუსეთთან არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები. ამიტომ ეს მესამე ქვეყნის ჩარევით უნდა მოხდეს, სად – თბილისში, მოსკოვში, თუ შვეიცარიაში, ვერ გეტყვით. ეს არის ჰიპოთეზები, ამას უნდა კვალიფიციური სპეციალისტების მუშაობა. ჩვენ, დეპუტატებმა, უნდა მოვუსმინოთ მათ, ვისაც შეუძლიათ, უფრო ღრმად და კვალიფიციურად განგვიმარტონ, რა და როგორ უნდა მოხდეს. ეს არის ყველაზე დიდი ტკივილი ჩვენი ქვეყნის. ნებისმიერი ნაბიჯი, რასაც საგარეო ურთიერთობებში ვდგამთ, ევროკავშირსა თუ ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით, ემსახურება მხოლოდ ერთს, რომ ქვეყანა განვავითაროთ, დემოკრატიული ცხოვრების წესი დავამკვიდროთ და ამ ყველაფრის ტოლფასი, მეტი თუ არა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაა.

ამას პერსპექტივა და წარმატება ვერ ექნება, თუ რუსეთთან მარტო ვიქნებით. ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ჩართულობა, მათი რჩევები, პოზიცია მნიშვნელოვანია. მათი რჩევით, ჩვენ რუსეთთან დიალოგი უნდა დავიწყოთ. მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს დიალოგი, წინაპირობებით თუ მის გარეშე, ამ გადაწყვეტილების მიღება მარტო გაგვიჭირდება. კონსულტაციები ევროპელმა პარტნიორებმა უნდა გაგვიწიონ, მარტო მოთამაშეობა ამ რეალობაში ძალიან რთულია. როცა უკვე ასეთ დიალოგზე მივდივართ, გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ იქნება თანხვედრაში იმ პოლიტიკასთან, რასაც ჩვენ ევროკავშირთან ურთიერთობას ვეძახით, სწორი არ იქნება. აქ პროცესების ხელოვნურად დაჩქარება არ არის მართებული, ამას სკრუპულოზური მუშაობა სჭირდება. ყველაზე რთული სამუშაო ჩვენი ხელისუფლებისთვის სწორედ ეს არის.

„ვფიქრობ, ეს ყველაფერი რუსეთს გარკვეულწილად დააფიქრებს და საქართველოსთან მიმართებაში დამოკიდებულებას შეაცვლევინებს“

– საგარეო ურთიერთობები ახსენეთ და აქ ჩვენ მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს, რომ ეს ყველაფერი მიმართულია მთავარი პრობლემის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოგვარებისკენ. რა როლს ითამაშებს საგარეო დადებითი ტენდენციები ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურის დასაწევად, თუნდაც ის, რომ ნატოს წლევანდელ სამიტზე შესაძლებელია MAP-ის მინიჭებაც განიხილებოდეს...

– MAP-ის მიღებაზე თუ არა, ამ მიმართულებით იმ ინსტრუმენტის შემუშავებაზე საუბარი ნამდვილად იქნება, რაც უფრო მეტად დაგვაახლოებს ნატოსთან. ვფიქრობ, ეს ყველაფერი რუსეთს გარკვეულწილად დააფიქრებს და საქართველოსთან მიმართებაში დამოკიდებულებას შეაცვლევინებს. ამბობენ, რომ რუსეთი არ დაუშვებს საქართველოს ნატო-ში გაერთიანებას და ნატო-ს ჯარების განლაგებას თავის საზღვრებთან. შეიძლება, ცუდი შედარებაა, მაგრამ, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო და საბჭოთა კავშირი საერთაშორისო არენაზე ერთიან სუბიექტს წარმოადგენდა, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანა გახდა, სადაც ნატოს ჯარი იდგა და მოსწონდა თუ არ მოსწონდა, საბჭოთა კავშირი ამას ეგუებოდა. ანალოგიურად, ბალტიისპირეთის ქვეყნებთანაც. ჩვენთან პრობლემა ის არის, რომ რუსეთის მიერ აღიარებული ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს, რითაც რუსეთს მანიპულირებისა და მეტად ზეწოლის საშუალება აქვს. მაგრამ ისტორია იცნობს უფრო უარეს ფაქტებსაც და შემთხვევებსაც, როდესაც გარემოებები და სიტუაცია რადიკალურად იცვლება. შეიძლება, თავის დროზე არავის ეგონა ბერლინის კედლის დანგრევა ან საბჭოთა კავშირის დაშლა რეალურად თუ მოხდებოდა, მაგრამ ეს მოხდა. არის ისტორიაში ასეთი მოვლენები, რომელიც რადიკალურად ცვლის სიტუაციას და მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი სიტუაცია დადგება. მოვა ის დრო, როცა ჩვენ შეგვეძლება, ჩვენი განვითარებით, დემოკრატიით, ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებით დავანახოთ აფხაზებსა და ოსებს, რა ინტერესი აქვს რუსეთს; რომ თავად რუსეთს დიდად არ ეხატება გულზე და არ აწყობს მათი დამოუკიდებლობა; რომ ეთნიკურად საფრთხე მათ ახლა სწორედ რუსეთისგან ემუქრებათ და ეს საფრთხე საქართველოდან ნამდვილად არ აქვთ.

„თავად რუსეთს დიდად არ ეხატება გულზე და არ აწყობს მათი დამოუკიდებლობა; რომ ეთნიკურად საფრთხე მათ ახლა სწორედ რუსეთისგან ემუქრებათ და ეს საფრთხე საქართველოდან ნამდვილად არ აქვთ“

„სად შედგება შეხვედრა, როდის და რა ვითარებაში, ამაზე მთავრობამ, პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, საგარეო ურთიერთობების კომიტეტმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ყველამ ერთად უნდა იფიქროს“

– ანუ რუსეთის გააქტიურება დიალოგის დაწყებისთვის ან ამ პერსპექტივის განხილვისთვის აგვისტომდე, როცა დაგეგმილია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, არ ქმნის საფრთხეს, თუნდაც უკრაინის მაგალითიდან გამომდინარე?

– უკრაინას ამას ნუ შევადარებთ, ყველასთვის ცნობილია, რომ დასავლეთ უკრაინის მოსახლეობა აბსოლუტურად განსხვავებულად აზროვნებს, ვიდრე აღმოსავლეთ უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობა. დასავლეთ უკრაინა ყოველთვის იყო ევროპული, განსხვავებით აღმოსავლეთ უკრაინისგან. საქართველოში შეიძლება არის გარკვეული პროცენტი პრორუსულად განწყობილი მოსახლეობისა, მაგრამ ეს არ არის ის რაოდენობა, რომელიც სერიოზულ პრობლემას შეუქმნის საქართველოს ევროპეიზაციის პროცესს. აქ რუსეთისთვის რეალურად არ არსებობს დასაყრდენი ძალები. თვითონ ხალხის ფსიქიკაშია პროევროპულობა, სხვანაირად ვსწრაფვით ევროპისკენ. ამის გარდა, ჩვენ ეკონომიკურად არ ვართ რუსეთზე დამოკიდებული, ახლა არ არის ის დრო, როცა რუსეთს შეეძლო გზის გადაკეტვა ან დენის გათიშვა. ერთადერთი, რაც მას შეუძლია, ისევ ბომბები ჩამოყაროს, რასაც, უბრალოდ, გამოვრიცხავ. ის ნამდვილად ვერ მოგვექცევა ისე, როგორც 2008 წელს მოგვექცა – ომს ვერ დაგვიწყებს. ომი უკრაინასთანაც არ დაუწყია, მაგრამ იქ მანიპულირებს ფულით, ეკონომიკით, ხალხის განწყობებით. ჩვენთან ასე ნამდვილად არ არის. ამის გარდა, რეგიონში ევროკავშირისთვის ნამდვილად ვართ ლიდერი და დასაყრდენი ქვეყანა, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროექტში საქართველო არის მოწინავე. ამას ევროკავშირი ხედავს, ხედავს იმასაც, რა ხდება უკრაინაში, მოლდოვაშიც გარკვეული პრობლემებია... ეს ფონი კიდევ ერთხელ არწმუნებს ევროპელებს იმაში, რომ ჩვენ მარტო არ უნდა დავრჩეთ რუსეთთან, მეტი მხარდაჭერა უნდა გვქონდეს მათგან. ევროპასთან დაახლოება, განვითარება ნელ-ნელა მოიტანს იმას, რომ აფხაზებსაც და ოსებსაც მოუნდებათ, იყვნენ განვითარებულ ევროპასთან და დემოკრატიულ საქართველოსთან.

– პარლამენტში თვითმმართველობის კოდექსზე მუშაობა დასრულდა, რა არის შემდეგი ეტაპი, რა

„როცა საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო და საბჭოთა კავშირი საერთაშორისო არენაზე ერთიან სუბიექტს წარმოადგენდა, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანა გახდა, სადაც ნატოს ჯარი იდგა და მოსწონდა თუ არ მოსწონდა, საბჭოთა კავშირი ამას ეგუებოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

საშინაო და საგარეო გამოწვევების პოლიტიკური დიფუზია

„ის, რაც ხდება თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების ირგვლივ, გარწმუნებთ, არც „ქართულ ოცნებას“ აწყობს და არც არავის სიამოვნებს, ეს არც ჩვენი თვითმიზანია და არც ხელოვნურად დაგეგმილი პროცესები“

„მომივიდა ინფორმაციები, რომ ვილაცებს საბანკო ბარათების ნომრებს ართმევენ, რომ თანხები ჩაურიცხონ, გამოდის, რომ წინასაარჩევნოდ ბიუჯეტის ფულს პარტია თავისთვის იყენებს“

„ვის რაში სჭირდება მათ წინააღმდეგ რამის შეთითხვნა ან რამის მოგონება? უბედურება ისაა, რომ ეს არის ფაქტები, რეალობა და ხალხი ამის სააშკარაოზე გამოტანას ითხოვს – ეს არის ხალხის დაკვეთა“

ცვლილებებია შესატანი საარჩევნო კოდექსში იმისთვის, რომ მომავალი არჩევნების კონკრეტული თარიღი დასახელდეს?

– ეს ძალიან მალე მოხდება, ამის ინიცირება უკვე მოახდინა გასულ კვირას ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ბიუროზე, კომიტეტებს გადაეცათ და უკვე ამ კვირაში დაიწყებენ განხილვას და არ არის გამორიცხული, პირველი მოსმენითაც მივიღოთ. ჩვენც გვეჩქარება, ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, რა პროცედურით მოგვიწევს არჩევნების ჩატარება. მთავარი ის არის, რომ 12 თვითმმართველ ქალაქში უნდა ავირჩიოთ მერები 40%-იანი ბარიერით, თვითმმართველ თემებში – გამგებლები 33%-იანი ბარიერით, მაჟორიტარი კანდიდატების დასახელება შეეძლებათ საკრებულოს წევრების საინიციატივო ჯგუფებსაც, ხოლო მერების ან გამგებლების – პოლიტიკურ პარტიებს ან ბლოკებს. პარტიებისთვის ბარიერმა დაიწია 4%-მდე, პროპორციული სიით დეპუტატების რაოდენობა გაიზარდა 15-მდე. არჩევნების თარიღი პრეზიდენტმა უნდა დაასახელოს. ეს მალე გახდება ცნობილი, ჩვენ არ გვაქვს იმის ინტერესი, ვისარგებლოთ ვადის ამოწურვამდე, როგორც ეს „ნაციონალებმა“ გააკეთეს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. გვინდა, რომ ყველა პარტია და საარჩევნო კომისიაც ნორმალურად მოემზადოს არჩევნებისთვის. ამიტომ, რაც მალე გამოცხადდება არჩევნების თარიღი, უკეთესი იქნება.

– ის, რაც თბილისის მერიასა და საკრებულოს შორის ხდება, თუ არ დამტკიცდა თბილისის ბიუჯეტი და განხორციელდა კანონით დადგენილი პროცედურები, რამდენად იქონიებს გავლენას თბილისში არჩევნების ჩატარებაზე?

– ის, რაც ხდება თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების ირგვლივ, გარწმუნებთ, არც „ქართულ ოცნებას“ აწყობს და არც არავის სიამოვნებს, ეს არც ჩვენი თვითმიზანია და არც ხელოვნურად დაგეგმილი პროცესები. თუ ბიუჯეტი კონკრეტულ ვადამდე ვერ დამტკიცდა, რა თქმა უნდა, კანონით გათვალისწინებული ნორმები ამოქმედდება. დღეს, როცა ყველა გამგებელი „ნაცმოძრაობის“ წევრია, ხელოვნურად ხდება ბიუჯეტის თანხებით მანიპულირება, კორპუსების ამხანაგობების თავმჯდომარეებს, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს პერმანენტულად აფინანსებდა თბილისი მერია და მათი რეალური ფუნქცია პარტიული კოორდინაცია და პარტიული საქმიანობის განხორციელება იყო. ეს ადრე მასიურად ხდებოდა და ახლაც ხდება. მომივიდა ინფორმაციები, რომ ვილაცებს საბანკო ბარათების ნომრებს ართმევენ, რომ თანხები ჩაურიცხონ, გამოდის, რომ წინასაარჩევნოდ ბიუჯეტის ფულს პარტია თავისთვის იყენებს. სადღაც ტენდერები ჩააგდეს, ისეთ ფირმებთან დადეს პირდაპირი ხელშეკრულებები, რომლის უკანაც შესაძლოა, ისევ უგულავა იდგეს. არის ამის ფაქტები, რომელზეც საკრებულოს სარევიზიო კომისია საჯაროდ საუბრობს. ისევ იგივეს აკეთებენ. როცა სახეზეა, რომ ბიუჯეტის წარდგენა ხდება არასწორ პარამეტრებში, როცა ბიუჯეტში იდება საეჭვო შემოსავლები, როცა ბევრი გარემოება იწვევს ეჭვს, მე მესმის საკრებულოსი, რომელიც ასეთი ფორმით ბიუჯეტს არ ამტკიცებს. ეუბნებიან, რომ გაასწორონ და შეცვალონ, მაგრამ მერია ბოლომდე „აწვება“, უკაცრავად გამოთქმაზე, და არაფერის შეცვლას არ აპირებს. ასე თუ გაგრძელდა, მაშინ მივალთ იქამდე, რაც კანონში წერია. ქალაქი მაინც იღებს ყოველთვიურად გასული წლის ბიუჯეტის მეთორმეტედს, თბილისი არ არის თანხის გარეშე დარჩენილი. სამწუხაროა, მაგრამ ეს „ნაციონალების“ მხრიდან განხორციელებული დესტრუქციული ქმედებების შედეგია.

– „ქართულ ოცნებაში“ რა ხდება? საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი აღარ აპირებს, უხელმძღვანელოს საარჩევნო შტაბს, „ოცნების“ სხვა წევრებიც აცხადებენ, რომ ბევრი რამ არ მოსწონთ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში...

– დათო საგანელიძე ორი არჩევნების შტაბის ხელმძღვანელი იყო და ძალიან დიდი მადლობა იმისთვის, რაც გააკეთა. შესაძლოა, ამ არჩევნებზე სხვა კანდიდატურა იყოს დასახელებული პოლიტსაბჭოს მიერ, ეს არაფერს არ ნიშნავს, მუდმივი არაფერია და არც შტაბის ხელმძღვანელობა. საგანელიძე არის უმრავლესობის ლიდერი, გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა ჩვენს კოალიციაში და იქნება თუ არ იქნება ის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, მას თავისი როლი და ფუნქცია მაინც ექნება საარჩევნო პროცესში. არის დისკუსიები, მოსაზრებები, რაც ბუნებრივია. დარწმუნებული ვარ, შტაბი იქნება ორგანიზებული, კარგი ხელმძღვანელიც ეყოლება. ხელისუფლებისთვის ეს ახალი გამოწვევა კი არ უნდა იყოს, არამედ ჩვეულებრივი, მორიგი არჩევნები, რომელსაც მშვიდობიანად ჩაატარებს და ყველა პარტიას ექნება თანაბარი პირობები კამპანიის სანარმოებლად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, არ იქნება ძალადობა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ქვების სროლა... იქნება ჩვეულებრივი საარჩევნო გარემო. თუ ვინმე ძალიან მოინადინებს პროვოკაციების დაგეგმვას, „ნაცმოძრაობას“ ვგულისხმობ, როდესაც ცდილობდნენ, დაზარალებულის როლში წარმოაჩინონ თავი, თუ ძალიან არ შეეცდებიან, ადამიანები გამოიყვანონ წყობიდან და მერე დაზარალებულის პოზიციაში მოგვევლინონ, ყველაფერი კარგად იქნება, თუმცა, ყველა ასეთ მცდელობას აღვკვეთთ და გავაკონტროლებთ.

– ოპოზიციამ გასულ კვირას ხელისუფლების კორუფციულ სქემებზე, ნეპოტიზმზე ისაუბრა, თქვენი მხრიდანაც იყო პასუხები, საარჩევნოდ ბევრ ასეთ კომპრომატს უნდა ველოდოთ?

– ამაზე მათ უკვე გასცეს პასუხი პრემიერმაც და უმრავლესობიდანაც ჩვენმა დეპუტატებმა და საზოგადოებამაც კარგად ნახა, ვინ და სად იცრუა. ჩვენი მხრიდან პასუხი ბევრ საქმეზე გაეცემა. ყველამ იცის, რომ პროკურატურაში ათასობით საჩივარია შემოსული. ხალხი სამართლიანობის აღდგენას ელოდება, არიან კონკრეტული ადამიანები, რომლებმაც წინა ხელისუფლების დროს ბევრი უბედურება გაიარეს. პროცესები მიმდინარეობს, უამრავი მოწმე იკითხება. არ არის ეს დროში მარტივად გასაკეთებელი, როცა ათასი საგამოძიებო მოქმედებაა ჩასატარებელი. მარტო გამოძიების დაწყება არ კმარა, მთავარია, დასრულდეს და საქმე ხარისხიანად, ობიექტურად იყოს გამოძიებული. მძიმე ტვირთი დაგვრჩა წინა ხელისუფლების უკანონო ქმედებებიდან გამომდინარე, ვის რაში სჭირდება მათ წინააღმდეგ რამის შეთითხვნა ან რამის მოგონება? უბედურება ისაა, რომ ეს არის ფაქტები, რეალობა და ხალხი ამის სააშკარაოზე გამოტანას ითხოვს – ეს არის ხალხის დაკვეთა. ვისაც დაუმტკიცდება, რომ დანაშაული აქვს ჩადენილი, პასუხი უნდა მოეთხოვოს, გნებავთ ის ჩვენი ხელისუფლების წევრი იყოს. კი ბატონო, თუ ვინმეს კორუფციული გარიგებების შესახებ ეჭვები აქვს, გადაგზავნონ პროკურატურაში და დაინტერესდეს პროკურატურა, რა არის იმ დოკუმენტებში, რომელსაც ესენი აფრიალებენ. ფაქტია, რომ არის საქმეები, რომელთა გამოძიებაც უნდა დასრულდეს, რაზეც არის ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, ხალხი ელოდება შედეგს და იმედი მაქვს, რომ ეს კონკრეტული შედეგები დადგება.

„სამწუხაროა, მაგრამ ეს „ნაციონალების“ მხრიდან განხორციელებული დესტრუქციული ქმედებების შედეგია“

„დღეს, როცა ყველა გამგებელი „ნაცმოძრაობის“ წევრია, ხელოვნურად ხდება ბიუჯეტის თანხებით მანიპულირება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყოფილი დეპუტატი პირველად „პრაიმტ

მარიამ ნადირაძე

ამბავი, რაც ამ ყოფილ პოლიტპატიმარს გადახდა, თავისთავად საინტერესოა, ვინაიდან, თუ სხვა რომელიმე პოლიტპატიმრის შემთხვევაში მისი დევნა ერთი, ან ორი მაღალჩინოსანი ნაციონალის ინტერესი იყო, ილია დალაქიშვილის შემთხვევაში, მის დევნაში თითქმის მთელი სისტემა მონაწილეობდა. თუმცა ეს ყველაფერი არ არის...

ამ ადამიანის ისტორიის ფინალმა შესაძლოა, ძალიან სერიოზულ სკანდალამდე მიგვიყვანოს, რაც დღევანდელ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის აშკარა დაპირისპირებას ცხადზე უცხადესს გახდის.

თუმცა, სჯობს არ ვიჩქაროთ დასკვნების გაკეთება და ისტორიასაც თანმიმდევრობით მივყვეთ.

მაშ ასე, „პრაიმტაიმის“ მკითხველს ექსკლუზიურად წარმოუდგება ყოფილი პოლიტპატიმარი, ილია დალაქიშვილი. მისი ვინაობა სხვა პოლიტპატიმრებთან შედარებით უცნობი სწორედ იმიტომაც არის, რომ ის პირველად სწორედ ჩვენთან საუბრობს ყველაფერზე, რაც მას უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში გადახდა:

– ნავთობის ბიზნესში 1996 წლიდან აღმოვჩნდი.

– რა ერქვა თქვენს კომპანიას?

– „ბრენდი“ შეგნებულად არ შემიქმნია, რადგან ამ შემთხვევაში სერიოზული „კრიშა“ უნდა მყოლოდა. მქონდა დაახლოებით 15 მცირე საწარმო და გაფორმებული მყავდა ჩემი ოჯახის თითქმის ყველა წევრი. 2001 წლიდან 2003 წლის ჩათვლით ბაზარზე დიზელისა და ბენზინის იმპორტის 2/3-ს ვფლობდით. ბოლოს ერთადერთხელ გავერთიანდი ბრენდში, „ნუკოილის“ 28 ბენზინგასამართი სადგური შევიძინე მეგობართან ერთად, მაგრამ 6 თვეში ისევ გამოვედი იქიდან, ნაციონალები რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ნილი დავთმე.

– რატომ?

– ისინი რომ მოვიდნენ, ბიზნესი გავაჩერე და მოსკოვში გადავიტანე.

– რა გახდა ამის მიზეზი?

– შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში ბიზნესი თეთრმა და შავმა გადასახადებმა დაახრჩო. ლარს თუ გავაკეთებდით, ვიცოდით, რომ 95 თეთრი უნდა წასულიყო მარცხნივ. ამიტომ გავერთიანდით რამდენიმე კომპანია და გადავწყვიტე, რომ პოლიტიკაში წავსულიყავი. მარტო მანდატი მჭირდებოდა, თუნდაც იმისთვის, რომ ბიუჯეტში ძირითადი შემომტანების ლობი გავმხდარიყავი. ასე აღმოვჩნდი აღორძინების სიაში მე-19 ნომრად. თავისთავად მეც გურჯაანში უნდა დამეფინანსებინა საარჩევნო კამპანია. ასე აღმოვჩნდი პარლამენტში 2003 წელს სულ 15 წუთით დეპუტატი... ამის შემდეგ მალევე, 8 დეკემბერს შემოტანილი ბენზინი გამიჩერეს. ლეგიონის ხელმძღვანელმა, გელოვანმა მითხრა, ნოღაიდელმა შავი სია გადმომცა და შენი ყველა ბიზნესი ამ სიაში მოხვდაო. 16 დეკემბერს შევხვდი ზურაბ ჟვანიას, ჟვანიამ გამიშვა ნოღაიდელთან, ნოღაიდელმა – ოქრუაშვილთან... პირობა დამიყენეს, რომ გამეგრძელებინა ბიზნესი... მაგრამ ჩემთვის მიუღებელი იყო მათი პირობები.

– კონკრეტულად?..

– შევატყვე, რომ ჟვანიას ხალხი თავისკენ მექაჩებოდა, აქეთ ოქრუაშვილი მიბარებს, იქით მექაჩება, იქით კიდევ კეზერაშვილმა დამინყო მოლაპარაკება...

– მოლაპარაკების თემა რა იყო?

– ჩვენ კონტრაბანდით შემოსულ პროდუქციას კონკურენციას ვერ ვუწევდით. ფინანსთა სამინისტროდან ვყიდულობდი, მილიონიან, ორმილიონიან აქტივს და ამ აქტივებს ვითვლიდი. შესაბამისად, დისკაუნტი გვქონდა და ამით ვჯობნიდი კონტრაბანდულ ბიზნესს. ეს სქემა გაგრძელეო, მითხრეს. უარი განვაცხადე, რადგან მივხვდი, რომ ერთმანეთში ჰქონდათ გაურკვევლობა და მე გავიჭყლიტებოდი.

– ვინ რამდენ პროცენტს გთხოვდათ?

– ჟვანიას გუნდმა ჯერ 30 პროცენტი მომთხოვა, მერე 50-ზე ასწიეს, მერე შავი ფული მითხრეს, – 50 ათასი გვჭირდება დღესვეო და ა.შ. გადავწყვიტე, ყველაფერი გამეჩერებინა და ასეც მოვიქეცი. ბიზნესი მოსკოვში გადავიტანე... 2004 წლიდან დაიწყეს ოჯახის შევიწროება – სისხლის სამართლის დევნა დაიწყეს სიძეზე, ბიძაშვილებზე, დაახლოებით 15 კაცზე. ეს ის ხალხი იყო, ვისზეც გაფორმებული მქონდა შპს-ები. ოქრუაშვილთან მოვითხოვე შეხვედრა. შემხვდა მისი მარჯვენა ხელი, გიორგი ლაცაბიძე. მითხრა, შენზე დიდი ზეწოლაა, კეთილი ნება უნდა გამოიჩინო, რაღაც უნდა გაუკეთო ხელისუფლებას, რომ არ დაგვაინტერესოს შენმა საქმემო. დაკონკრეტება რომ მოვთხოვე, მითხრა, მილიონ-ნახევარი გვინდა. ამ რაოდენობის ნაწილს ქონების სახით წავიღებთ, დანარჩენი თანხადო. თვითონვე დამიდეს ხელი, „პირიმზის“ მე-5 და მე-6 სართული რომ გაქვს, გადმოგვეცი და პლუს 300 ათასი ფული სახით შემოიტანეო. დავთანხმდი, მინდოდა, რომ დროზე გავცლოდი აქაურობას და დამევიწყებინა, როგორც ცუდი სიზმარი. მართლაც, გაუშვეს ჩემები. დამიბარა კეზერაშვილმა, რა უნდა ჟვანიას ხალხს შენგან? მეუბნებიან, საქმე არ შეწყვიტოო. არადა მე ხომ ვიცი, რომ შენ ყველაფერი გააკეთეო... წამოდი, მიშას მოუყევი ყველაფერი, ვანოსთან და ზურასთან ერთად გველოდება, უთხარი, რა შეთანხმებებიც გქონდა ჟვანიასთანო... სამაგიეროდ თანამდებობას მპირდებოდნენ უშიშროებაში, მაშინ მერაბიშვილი იყო მინისტრი. საკუთარი ბიზნესის „კრიშა“ თვითონვე იქნებიო. 3 დღე ვითხოვე. სახლში მივედი, ჩანთა ავიღე და დავტოვე საქართველო. ჟვანია რომ გარდაიცვალა, დავბრუნდი. მეგონა, დამთავრდა ერთმანეთში ომი. ისევ ვხვდები დათო კეზერაშვილს. ამჯერად ბიზნესი შემომთავაზა. იმ დროს რუსეთიდან ტრანზიტი არ იყო საქართველოზე. მითხრა, დაგვეხმარეო. უნდოდა, რომ რუსეთიდან ნამოღებული ნავთობი აზერბაიჯანის გავლით საქართველოში მოხვედრილიყო. ბათუმში კი ჩემს ხალხს მიეციო. საქმიანი წინადადება იყო და დავთანხმდი. ეს საქმე 2005 წლის გაზაფხულზე დავიწყეთ, წლის ბოლოს კი წამართვეს 21 ვაგონი, დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარის ნავთობი.

– როგორ?

– სამი დღე ატრიალებდნენ „რუსთავი 2“-ზე, რომ მოხდა ტრანსნაციონალური დანაშაული – რუსულმა კომპანიამ ამერიკულ კომპანიას ნავთობის ნაცვლად შეაპარა წყალი.

– რუსული და ამერიკული კომპანიები რა შუაშია?

– კეზერაშვილს თავის დროზე შევუთანხმდი, რომ გამგზავნიც და მიმღებიც ჩემი კომპანია იქნებოდა. გემზე მე ჩავუტვირთავ თქვენებს-მეთქი. მათ კუთვნილ კომპანიებს გაჰქონდათ ევროპაში. თანახმა იყო. ასე რომ, ორივე კომპანია ჩემი იყო და ეს მათ ძალიან კარგად იცოდნენ. ჩამოვიყვანე ის კომპანია, რომელმაც ვაგონი დამიტვირთა. ორ დღეში ჩამოვიდნენ და ექსპერტიზა მოითხოვეს. ჩეჩნები იყვნენ. ამ მოთხოვნის შემდეგ, მათ გზაზე პატრული აჩერებს, იარაღი დაადეს, ნაიყვანეს ანტიტერორისტულ ცენტრში გაბუნიასთან. იქ დახვდა მერაბიშვილი და ჰკითხა ჩამოსვლის მიზეზი. ამათ აუხსნეს, პარტნიორს გვინდა დავუმტკიცოთ, რომ უხარისხო პროდუქტი არ მიგვიციაო. მერაბიშვილმა უპასუხა: „ჩვენ თქვენს გარეშეც გავერკვევითო“. მანქანა წაართვეს, მეშოკი ჩამოაცვეს თავზე და ჩამოაგდეს ლარსის ხეობაში. ასე გატყავებულები ჩამომივიდნენ მოსკოვში.

– ექსპერტიზამ რა დაადგინა?

– კურიოზია – შავი ზღვის წყალი იყო შერეულიო. რა საინტერესოა, მახაჩკალაში შავ ზღვას რა უნდა? მალევე, 2005 წლის 29 დეკემბერს სპეცოპერაცია ჩატარდა ჩემს ერთ-ერთ საწარმოში, ლილოში, რომელიც პარტნიორზე მქონდა მიქირავებული. ამ სპეცოპერაციაში მერაბიშვილიც მონაწილეობდა, კეზერაშვილიც და დათა ახალაიაც. 7 კაცი დახვდათ. დახოცეს ცემაში. თუ რამე იყო გასატანი, მიაყენეს მანქანები და წაიღეს და მას შემდეგ ზუსტად ერთი წლის მანძილზე „სპეცნაზის“ ყაზარმად გადააქციეს. ელოდებოდნენ, რომ იქ მე და ჩემი პარტნიორი, ალექსანდრე სუხიტაშვილი უნდა დავხვედროდით. შეჭრის მიზეზი კი ყოფილა ინფორმაცია, თითქოს სუხიტაშვილის ბანდა „ბი-პის“ მილიდან იპარავდა ნავთობს. ერთ-ერთი ასეთი ქურდობის დროს კი თითქოს მოკლეს მოწმეებიც, აზერბაიჯანელი ეროვნების ცოლ-ქმარი.

– რეალურად რა უნდოდათ?

– ამბობდნენ, ორივე სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთო. დიდხანს ვერ ვხვდებოდი, რა უნდოდათ ჩემგან. მერე ნელ-ნელა გავერკვიე, როდესაც ღიად დამიწყეს საუბარი, ბაზა უნდა გადმოგვიფორმოო. ამ სპეცოპერაციიდან ერთ თვეში კოდუამ გამომიგზავნა ვინმე გიორგი ნინიკაშვილი. ვლადიკავკაზში შევხვდით. ბიზნესის 50 პროცენტი უნდა გადაუფორმო, ვისაც გეტყვით, იმას, ეს ტრანზიტული მიმართულება ბიზნესის ისევ უნდა აღადგინო და ბათუმში ჩამოსული ნავთობი უნდა მისცე გოგი ლიპარტელიანსო და ახლანდელი „რომპეტროლი“ რომ არის, „ტრანსექსპრესი“ ერქვა მაშინ. დემპინგურ ფასში უნდა მემუშავა მაგათზე. 100 ათასიდან 90 ათასი პირდაპირ ნაციონალების ჯიბეში უნდა წასულიყო. ამასობაში იმ ადამიანებზე ახორციელებენ ზეწოლას, რომლებიც ლილოში დაიჭირეს. დააწერინეს, ილია დალაქიშვილი გვედგა თავზე და ნავთობს ვხდიდითო. მერე შვიდივემ რატომღაც ერთდროულად გაიხსენა, რომ ჩემ გარდა იქ მამაჩემიც ყოფილა. ამან მათ საფუძველი მისცა, რომ მამაჩემი მძევლად აეყვანათ, ანუ დაიჭირეს. პროკურორმა, ანზორ ხვადაგიანმა პირდაპირ უთხრა, ადეიშვილის ბრძანებაა, შენი შვილი რომ არ ჩამოვიდა, შენ უნდა გაგაჩეროთო.

– ადეიშვილი რას გერჩოდათ?

– არ ვიცი, რასაც მისი გუნდი მთხოვდა, ყველაფერს ვუკეთებდი. ლევან კენჭაძე გახსოვთ, კანცელარიაში 100 ათასი დოლარით რომ დაიჭირეს, ვანო მერაბიშვილთან ადიოდაო? ეს კენჭაძე ორი დღით ადრე შემხვდა და 50 ათასი მთხოვა, ვანოს უჭირს, უნდა ავუტანოო. არ მიმიცია...

– მერე?...

– მამაჩემის დაკავების შემდეგ ისევ მირეკავს გია ნინიკაშვილი და მხვდება კიევში. მეუბნება, დალაგებულია ყველ-

ილია დალაქიშვილი

როგორ წაართვა 6 მილიონ-ნახევრის ქონება სააკაშვილის ხელისუფლებამ?

„100 ათასიდან 90 ათასი პირდაპირ ნაციონალების ჯიბეში უნდა წასულიყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

და პოლიტპატიმარი აიმეი“ აღაპარაკდა

„2005 წლის 29 დეკემბერს სპეცოპერაცია ჩატარდა ჩემს ერთ-ერთ საწარმოში, ლილოში, რომელიც პარტნიორზე მქონდა მიქირავებული. ამ სპეცოპერაციაში მერაბიშვილიც მონაწილეობდა, კეზერაშვილიც და დათა ახალაიაც. 7 კაცი დახვდათ. დახოცეს ცემაში. თუ რამე იყო გასატანი, მიაყენეს მანქანები და წაიღეს“

EXCLUSIVE

„დაიწყეს ზეწოლები, პრეზიდენტის ოჯახია ჩარეული და ვის ეჭიდავებიო“

აფერი. კოდუამ შეათანხმა ყველაფერი. 100 ათასი დოლარი უნდათ, რომ მამაშენი გამოუშვან. ახლავე კი ადეიშვილს ავეჯისთვის და ოქროს საათისთვის 25 000 დოლარი უნდაო. ვიფიქრე, ეს რა ხალხიამეთქი და... მივეცი. ასე, ცალ-ცალკე 80 ათასამდე მქონდა მისთვის მიცემული...

– აღმოჩნდა, რომ რეალურად მას მისამართზე ფული არ მიჰქონდა?

– დიახ. ჩემმა ადვოკატმა იჩივლა და დაიჭირეს, მაგრამ სამ თვეში გამოუშვეს, ხელი მომაწერინეს, რომ პრეტენზია არ მქონდა... ამასობაში მამაჩემს 4 წელი მიუსაჯეს და ამიტომ 2007 წლის აპრილში განცხადებით მივმართე ადეიშვილს, ჩამოვდივარ და ყველაფერი გავარკვიოთ-მეთქი. იქვე ისიც მივწერე, ფული გამოგიგზავნეთ-მეთქი. ჩამოსვლიდან ერთ კვირაში, 6 მაისს სოდ-მა დამაკავა. თანაც მაყვედრიდნენ, წითელი ცირკულარით იძებნებოდი და რომც გესროლოთ, პასუხს არავინ მოგვთხოვსო. საბოლოოდ 3 წელი მომცეს. იქ ყოფნის დროს დამიწყეს მოლაპარაკება, 5 მილიონს მთხოვდნენ საპროცესოსთვის და ამის გარდა, ბაზის გადაფორმებას, სადაც ჩემი პარტნიორის წილიც იყო, ნახევარი. უარი ვთქვი. ამასობაში, 2008 წლის გაზაფხულზე, ციხეში შემომიტანეს დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც, 2007 წელს ჩემი სახელით გაუყიდიათ ჩემი ქონება, დღევანდელი „გეზის“ ტერიტორია ვაზიანში, 9 მილიონ დოლარად. მე სულ სხვა რამ ვიეჭვე: ეს ტერიტორია ქალაქზე გადადის და ამ დროისთვის მისი მინიმალური სახელმწიფო ღირებულება, უგულავას ბრძანებით, კვადრატული მეტრი 50 ლარი. ლარად გაყიდი, თუ ორად, შენ უგულავას ღირებულებიდან დაიბეგრები. ვიფიქრე, ახალ სიურპრიზს მიმზადებენ-მეთქი. დავიწყე განცხადებების წერა. დაიწყეს ზეწოლები, პრეზიდენტის ოჯახია ჩარეული და ვის ეჭიდავებიო. ეს ტერიტორია იყიდა ებრაელმა დენიელ ამორიომ. სხვათა შორის, მერე იმასაც წაართვეს. დაბალპროცენტიანი სესხი გამოიტანა ისრაელის ბანკიდან. მაგრამ აღარ განახორციელა, 2008-ში ომის დროს ისრაელში წავიდა. პირობა ჰქონდათ ჩადებული და წაართვეს. მე „რეზბალნიცაზე“ ვიყავი. მამაჩემი – რუსთავში. ამასობაში მაგებინებენ, მამაშენს ბალიშის ქვეშ 50 ლარი აღმოუჩინეს და 3 წელს დაუმატებენო. პირობა დამიყენეს, იმ საქმეზე გაჩუმდი, თანხას დაგისვამთ ანგარიშზე, დაივიწყე და მამაშენს საპროცესოს გავუფორმებთო. გამოსავალი არ მქონდა. პარტნიორი დავითანხმე. 150-150 ათასი გადაგვიხადეს. მამაჩემს კი 3-ის ნაცვლად ერთი წელი დაუმატეს. აქაც მოგვატყუეს. შემდეგში შევიწყალებთო. 33 დღე მქონდა დარჩენილი, რომ მე და მამაჩემი სპეციტაპით გაგვამწესეს მეექვსე დანესებულებაში, სამუდამო პატიმრების კორპუსში. ჭაკუამ რაკი იცოდა, რომ ადეიშვილი ვერ მიტანდა, „რასკრუტკისთვის“ შემამზადა. ამ რაკი იცოდა, რომ ადეიშვილი ვერ მიტანდა, „რასკრუტკისთვის“ შემამზადა. შემოვარდნენ და „აღმომიჩინეს“ ჯაყვა. გაგვიყვანეს, ჩხრეკა უნდა ჩავატაროთო, რომ შევბრუნდით, მაშინ „აღმოაჩინეს“ ეს ნივთი. ჭაკუას უნდოდა ადეიშვილის მომადლიერება, მაგრამ იქიდან პასუხი მოვიდა, არ გვაინტერესებსო. საბოლოოდ გამოვედი. მამაჩემს კი 4 წელი და 10 თვე იჯდა. ამასობაში მიაღწიეს იმას, რომ სტრასბურგიდან გამომატანინეს საჩივარი. ამას თუ არ გავაკეთებდი, საქართველოში ვეღარ ჩამოვიდოდი. ციხიდან გამოსულმა დავიწყე ბიზნესის ნანგრევების შეკოწიწება. პროექტი ციხეში ყოფნის დროს დავიწყე. ხელს ციხის უფროსი მიწყობდა, ე.წ. ქილერა. მისი დახმარებით ინტერნეტთან მქონდა წვდომა. უნდა გამეკეთებინა მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო. ნარჩენებიდან ვაწარმოებდი ნავთობს. მერიამ გამოგვიყო დაბალპროცენტიანი სესხი, სხვისი სახელით შევიტანე პროექტი. დავიწყე ეს საქმე. ნაგავიდან ვიღებდი ნავთობს, გაზს და ა.შ. გვქონდა ასეთი შემოთავაზება: თურქმა ინვესტორმა იყიდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ე.წ. ბენზეს ტერიტორია 30 ჰექტარი და უნდოდა ნარჩენებისგან გასუფთავება. დავდეთ ორმაგი ხელშეკრულება. გავუშვი მანქანები, ბრიგადა ჩავიყვანე. სამართლებრივად თითქოს ყველაფერი გამართული იყო, მაგრამ მაინც, რაკი ჩათვალეს, რომ ისევ ნავთობში ვიყავი, ეს ბრიგადა აიყვანეს. 28 კაცი დააპატიმრეს და წაგვიყენეს ბრალი, თითქოს ეს ტერიტორია საბაჟო კონტროლის ზონა იყო და იქიდან საქონლის განუბაჟებლად წამოღება არ შეიძლებოდა. 4 მუხლი წამომიყენეს. სინამდვილეში ეს იყო მიგდებული, ღია ტერიტორია. მე იმ ღამეს ბავშვი მიმყავდა ლონდონში, მამიდაჩემთან. სახლიდან გავდიოდით უკვე, როცა შემოვიდნენ. 25 წლის ჰალსტუხიანი ბიჭები იყვნენ. გასაოცარია, მაგრამ მათი პირველი კითხვა იყო, ოქრო და ძვირფასეულობა სად გაქვთო. ვერაფერი ნახეს. მე კი იზოლატორში წამიყვანეს. ჩემთან ერთი გასაცოდავებული მოხუცი შემოიყვანეს. გამოვკითხე, ცხადაძე იყო გვარად, ბათუმელი სკოლის დარაჯი. ვიღაც ილია დალაქიშვილის საქმეზე დამიჭირესო. ორი დღე არაფერი მითქვამს, გამოსვლის წინ კი ვუთხარი, ტყუილს ხელი არ მოაწერო, მე ვარ ილია დალაქიშვილი-მეთქი. გლდანის საპყრობილეში რომ წამიყვანეს, იქ უფროსად ჩემი ნაცნობი ქილერა

„მთხოვდნენ დამეწერა, რომ ბათუმში ბიზნესის დროს 250 ათასი კუდ-ის იქაურ უფროსს, თემურ პატარიძეს მივეცი. არადა ასეთი რამ არ ყოფილა. მემუქრებოდნენ, შენს ორსულ ცოლს მოგიჯენთ გვერდითო“

დამხვდა. დაღვ- რემილი იყო, შენზე ბრძანება მოვიდა, 2 კვირა „ფუქსებში“ უნდა ჩაგკეტოო. ეს არის მეტრა/მეტრაზე ბეტონის ყუთივით, სადაც ვერც დაწვები, ვერც გამართული დადგები. ერთადერთი, სიგარეტის ბლოკის ყუთი შემომიგდეს, ბეტონზე ძალიან რომ არ გავციებულიყავი. სამ დღეში გამომიშვა ქილერამ, ბაჩოს ვთხოვე შენზე და იმან გამოგიშვაო. ერთ თვეში ჩემთან შემოვიდა ვიღაც, გამეცნო, გია ნულაია ვარ, შენი ადვოკატი. იმ განყოფილებაში ვმუშაობდი, რომელმაც შენ დაგიჭირა. ახლა ადვოკატის რანგში შენ ჩემი პირველი კლიენტი ხარო. ადეიშვილის საადვოკატო კომპანიიდან იყო. ამ ადამიანზე შემოუთვალეს ჩემს ოჯახს, თუ გინდათ რამე გეშველოთ, ზურაბ თოდუას თავი დაანებეთ და ადვოკატად ეს აიყვანეთო. ნულაიამ თავშივე სახარჯოდ 15 ათასი მოითხოვა. ფული არ გვქონდა და თვითონვე მოაგვარეს – ჩემს მეგობარს, პაატა ჩეკურიშვილს მიწა დაუტვირთეს და იქიდან მიიღეს ეს ფული. მოგვიანებით ჩემმა მეგობარმა ეს მიწა აუქციონზე დაკარგა. ეს მიწა ნაციონალმა დეპუტატმა, ბუკიამ იყიდა... ერთ დღეს ეს წულაია ჩემთან შემოვიდა და უნდა ნაგიყვანოთო. საპყრობილიდან გამომიყვანეს, მანქანაში ჩამსვეს და ფინანსურ პოლიციაში წამიყვანეს. ყველა ხელმძღვანელი ესწრებოდა საუბარს. მთხოვდნენ დამეწერა, რომ ბათუმში ბიზნესის დროს 250 ათასი კუდ-ის იქაურ უფროსს, თემურ პატარიძეს მივეცი. არადა ასეთი რამ არ ყოფილა. მემუქრებოდნენ, შენს ორსულ ცოლს მოგიჯენთ გვერდითო. მაშინ მესამე შვილს ველოდებოდით. წარმოგიდგენიათ? – თემურ პატარიძე ახალაიას კაცი იყო და ამას რომ დავწერდი, მერე უნდა დავბრუნებულიყავი ქილერასთან. ადვილი წარმოსადგენი იყო, რასაც დამმართებდნენ. ამ ჭიდაობაში მთელი დღე გავიდა. უკვე ბნელოდა, როდესაც ტელეფონმა დარეკა. თავი დამანებეს და საპყრობილეში დამაბრუნეს. მერე მითხრეს, პირდაპირ ჩართული იყავი პროკურატურაში, ამ საუბარს „ის“ ისმენდაო... ერთი სიტყვით, საპროცესო შეთანხმება ვერ შედგა და პირველმა ინსტანციამ 30 წელი მომისაჯა.

– ამ საქმეზე დაპატიმრებული იმ 28 კაცის ბედი როგორ გადაწყდა?

– 19-მა ვერ გაუძლო ზეწოლას და მძღოლებმა და „პოვარმა“ კვალიფიციურად აღწერეს მყარი ნარჩენების შემადგენლობა და გადამუშავებული პროდუქტის სახე. ისეთ ფინანსურ ნიუანსებში „ერკვეოდნენ“, გამოცდილ ბუღალტერს შეშურდებოდა. 9 კაცი მყარად იდგა. უარს ამბობდა ყალბი ჩვენების მიცემაზე. 8 თვის მერე პროკურორმა ფალავამ დაწერა თავის კაბინეტში 9 ჩვენება, დაურეკა მათ ადვოკატებს, დაიბარა გლდანის სანამებელში და უთხრა, თუ პატიმრები ამას ხელს მოაწერენ, სასამართლო პროცესი დღესვე ჩატარდება და საღამოს სახლში გავუშვებთო. არც ერთს არ ვამტყუნებ, რადგან ამდენ ხანს იყვნენ სანამებელში. ზოგიერთის ჩვენებაში ბოლოს წერია: ჩვენება დაბეჭდილია ჩემ მიერო... როგორ მოახერხა იმ პირობებში იმ პატიმარმა თავის საკანში ამ მოცულობის ჩვენების დაბეჭდვა, ან როგორ ატვირთეს ელექტრონულ სერვერზე? და საერთოდ, როგორ აღმოჩნდა ციხეში კომპიუტერი, პრინტერი და სხვა საშუალებები?

ილია დალაქიშვილი პარლამენტმა პოლიტპატიმრად ცნო, თუმცა მისი ისტორია ამნისტიით არ დასრულებულა. მან აპელაციის უფლებით ისარგებლა და სასამართლო პროცესი გაგრძელდა. იმის შესახებ, თუ რა ხდება ყოფილი პოლიტპატიმრის თავს ახალი ხელისუფლების პირობებში, ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ მისი ადვოკატი, ზურაბ თოდუა უამბობს:

– ილია დალაქიშვილი 187 პოლიტპატიმრიდან ერთადერთია, რომელზეც მხოლოდ ნანილობრივ გავრცელდა ამნისტიის შესახებ კანონი, რადგან ერთადერთი იყო, რომელსაც ყველა ინსტანცია არ ჰქონდა მოვლილი. მე აპელაციის უფლებას ხომ არ გავუშვებდი ხელიდან? ბოლოს და ბოლოს, 6 მილიონ-ნახევრის ქონება აქვს დასაბრუნებელი. კრედიტები აქვს გამოტანილი, ვალდებულებები აქვს პარტნიორების მიმართ.

– აპელაცია რა შედეგით დამთავრდა?

– დამნაშავედ ცნეს, მაგრამ, რაკი შეკრებები გაუქმდა, სასჯელი 11 წელზე ჩამოუყვანეს.

– მაგრამ პარლამენტმა ის ხომ პოლიტპატიმრის სტატუსით აღჭურა? ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დევნა პოლიტიკური მოტივებით ხორციელდებოდა. თუ ამავდროულად სასამართლო მას დამნაშავედ აცხადებს, რა ხდება? პოლიტიკური დევნილია თუ დამნაშავე?

– საქმე სწორედ ეს არის. კანონმდებლობა ასეთი ბუნდოვანების შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტას ბრალდებულის სასარგებლოდ გვკარნახობს. მაგრამ ამათ ეს არ უნდოდათ.

– თუ ბოლო ინსტანციაც დალაქიშვილის დანაშაულს დაადასტურებს, მას პოლიტიკური სტატუსი მოეხსნება?

– ეს ნამდვილად კაზუსია.

– იმისთვის, რომ ასეთ წინააღმდეგობაში არ მოსულიყო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, რა უნდა მომხდარიყო?

– პროკურატურას უნდა გაეტანა საქმე და საფუძვლად პარლამენტის შესაბამისი დადგენილება და ამნისტიის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლი უნდა მიეთითებინა. მაგრამ ეს არ გააკეთეს ცნობილი მიზეზის გამო, რადგან ამ შემთხვევაში ქონების დაბრუნება დასჭირდებოდათ.

– ეს ყველაფერი პარლამენტს არ უნდა გაეთვალა თავის დროზე?

– პარლამენტმა ობიექტურად მიიღო თავის დროზე გადაწყვეტილება, მაგრამ ახლა ხომ ხედავთ, რა ნინააღმდეგობაში ვვარდებით? ამის დალაგება ერთადერთი სტრასბურგის გადაწყვეტილებას შეუძლია, რომელსაც ჩვენ აუცილებლად მივმართავთ.

ზურაბ თოდუა

„პროკურატურას უნდა გაეტანა საქმე და საფუძვლად პარლამენტის შესაბამისი დადგენილება და ამნისტიის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლი უნდა მიეთითებინა. მაგრამ ეს არ გააკეთეს ცნობილი მიზეზის გამო, რადგან ამ შემთხვევაში ქონების დაბრუნება დასჭირდებოდათ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არასაპარლამენტო ო

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნინო ბურჯანაძე ვადამდელი არჩევნების თემას კვლავ ააქტიურებს. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, რომლის ირგვლივაც მთელი არასაპარლამენტო ოპოზიცია თანხმდება. ნახევარწლიანი ლოდინის შემდეგ ყველა ერთხმად აცხადებს, რომ „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის კოჰაბიტაცია არ დასრულებულა. თემის „გაცოცხლებას“ უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის მიერ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გაკეთებულმა განცხადებამ მისცა ბიძგი. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ბერძენიშვილის სიტყვები საზოგადოებისთვის გარდამტეხი უნდა გახდეს.

ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:

– საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის უკვე დიდი ხანია, ნათელია, რომ არანაირი კოჰაბიტაციის დასრულება არ იგეგმება. ჩვენ ვხედავთ შეხმატკბილებულ პოზიციას „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის. როგორც ჩანს, ეს მართლაც სერიოზული გეგმის ნაწილია. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს მაძლევს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ბატონ ლევან ბერძენიშვილის განცხადება. ის ძალიან გულდაწყვეტით საუბრობს, რომ ვერ მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ რებრენდინგი და ეს თურმე ძალიან სამწუხაროა. ბერძენიშვილი ძალიან წუხს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ ახერხებს, პოსტსახელისუფლებო პარტიად ჩამოყალიბდეს. ის აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ გულშემატკივრობდა „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენას. ჩვენ ეს ადრეც მოვისმინეთ, როდესაც გვეუბნებოდნენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა არის ქართული დემოკრატიის გადარჩენა. ვფიქრობ, ქართველმა საზოგადოებამ მართლაც სერიოზული დასკვნა უნდა გააკეთოს. „ქართულ ოცნებას“ 1-ელ ოქტომბერს ხმა სწორედ სამართლიანობის აღსადგენად მივეცით და ის ამას გვპირდებოდა. გვპირდებოდნენ, რომ დასჯიდნენ დამნაშავე „ნაციონალურ მოძრაობას“. ბატონი მარგველაშვილი წინასაარჩევნო კამპანიის დროს გვპირდებოდა, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდებოდა. ამის ნაცვლად ქვეყანაში ორპარტიული სისტემა ჩამოაყალიბეს. ვფიქრობ, ამ განცხადებამ და გოდებამ „ნაციონალური მოძრაობის“ ვერგაძლიერების გამო, ნამდვილად უნდა მიგვაღებინოს გადაწყვეტილება, რომ ისეთი პარლამენტი მოვითხოვოთ ქვეყანაში, რომელიც რეალურად ასახავს საქართველოს მოსახლეობის განწყობას. აუცილებელია დაისვას საკითხი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ.

„ქალბატონ ბურჯანაძეს ვერ გაუგია რა ვთქვი, ან უბრალოდ კარგად არ მოუსმენია. მე ვთქვი, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ ივარგა“

ნინო ბურჯანაძე:

„აუცილებელია, დაისვას საკითხი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესახებ“

რეალურად ბერძენიშვილმა მხოლოდ ის თქვა, რომ ნაციონალები გაქრობისკენ მიექანებიან და რებრენდინგს ვერ ახერხებენ...

ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:

– „ნაციონალური მოძრაობა“ ხელიდან უშვებს იმ შანსს, რომ ყოფილიყო სერიოზული პოსტსახელისუფლებო პარტია. ყოფილიყო პარტია ხელისუფლების შემდეგ. ჩვენ ამას ვგულშემატკივრობდით. ძალიან გვინდა, რომ საქართველოს ჰყავდეს პარტიები, რომლებიც იყვნენ ხელისუფლებაში, არიან ოპოზიციაში, მერე შეიძლება კიდევ მოვიდნენ, ან არ მოვიდნენ ოპოზიციაში. მაგრამ ამისთვის საჭიროა „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ გადადგას სერიოზული ნაბიჯები. დღეს რასაც ვუყურებთ, „ნაციონალური მოძრაობა“ აშკარად დასასრულისკენ მიექანება და არა აღორძინებისკენ. რებრენდინგი, რომელიც უნდა მომხდარიყო, ვერ მოხდა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პირველად დიდი ხნის ისტორიაში აურია და განცხადებების გაკეთებისას აბსოლუტურად განსხვავებული პოზიციები დააფიქსირა. ეს მოხდა ვანო მერაბიშვილისა და მისი გვამების მოთხოვნის შეფასებების გაკეთებისას. შვიდმა კაცმა ილაპარაკა და შვიდივემ სხვადასხვა ვერსია მოგვასმენინა. არ არის გამორიცხული, „ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში არყოფნამ დაასუსტა. სააკაშვილი საქართველოში არ ჩამოდის და პირდაპირ აცხადებს, რომ არ აინტერესებს ეს ქვეყანა, თურმე ის უფრო დიდი იდეებისთვის არის გაჩენილი. იმ შემთხვევაში, თუ „ნაციონალურ მოძრაობაში“ გონივრული ძალები მოიძებნებიან, შეწყვეტენ ყვირილსა და ჭკუის სწავლებას, მაშინ შეიძლება გაძლიერდნენ. ძალიან სასაცილოა მათგან ჭკუის სწავლების მოსმენა. როცა ჩვენ ვიყავით ოპოზიციაში, ჩვენც ვლაპარაკობდით, მაგრამ არავინ არ გვისმენდა და სხვათა შორის, ყველაზე ჭკვიანი ოპოზიცია ვიყავით. ნაციონალები კი არ არიან ყველაზე ჭკვიანები. ჩვენ გვგონია, რომ მათთვის იქნება უკეთესი, თუ რიტორიკას გამოცვლიან და ჭკუის სწავლების ნაცვლად ძლიერ ოპონირებას დაიწყებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ბურჯანაძის გამოხმაურებაზე კომენტარებს არ აკეთებენ. ამბობენ, რომ ის თავის განცხადებებთან მარტო უნდა დატოვონ...

ლევან ბერძენიშვილი: „ქალბატონ ბურჯანაძეს ვერ გაუგია რა ვთქვი, ან უბრალოდ კარგად არ მოუსმენია. მე ვთქვი, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ ივარგა. მე მას რა უნდა ვუპასუხო. ვფიქრობ, ბურჯანაძე თავის განცხადებებთან მარტო უნდა დავტოვოთ“.

ფაქტია, რომ ვადამდელი არჩევნების საკითხმა წინა პლანზე წამოიწია და როგორც პოლიტიკოსები ამბობენ, ამის პოლიტიკურ წინაპირობა უკვე შექმნილია, რადგან პარლამენტში წარმოდგენილ პარტიებს ხალხის მხრიდან ნდობა იმაზე მეტად შეუმცირდათ, ვიდრე ეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ჰქონდათ.

„ქრისტიან-დემოკრატები“, „ქართული დასი“, „ერთიანი საქართველოსთვის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და კიდევ რამდენიმე პარტია ადასტურებს ერთობას აღნიშნული საკითხის ირგვლივ. მათი ნაწილი გაერთიანების გეგმაზეც მუშაობს და აცხადებს, რომ საკუთარი ამბიციების დათმობის შემთხვევაში ხელისუფლებას ძლიერი ოპონენტი გაუჩნდება, რომელიც სწორედ მეორე ძალად ჩამოყალიბდება...

ლევან ბერძენიშვილი:

„ვფიქრობ, ბურჯანაძე თავის განცხადებებთან მარტო უნდა დავტოვოთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პოზიციის მოთხოვნა

სოსო მანჯავიძე: „თუ ხელისუფლებას არ სურს, მივიღოთ ისეთივე აქციები და კრიზისები, როგორიც იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში, მაშინ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები“

სოსო მანჯავიძე, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“:

– ჩვენ ერთ-ერთი პირველები ვიყავით, როცა ვთქვით, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესები ჩიხში შევა და მოვლენები არაპროგნოზირებულად განვითარდება. როდესაც ამაზე ვსაუბრობდი, სწორედ კოჰაბიტაციას ვგულისხმობდი. მაშინვე ვამბობდი, რომ ეს პროცესი არ დასრულდებოდა. გახსოვთ, ალბათ, როცა ნაძალადევის რაიონის არჩევნებში ვმონაწილეობდი, ვამბობდი, პარლამენტში შესვლის შემთხვევაში ვადამდელი არჩევნები იქნება პირველი საკითხი, რომელსაც დღის წესრიგში დავაყენებ-მეთქი. „ნაციონალური მოძრაობა“ – ეს არის უამრავი დანაშაულის ჩამდენი და ქვეყნისთვის უბედურების მომტანი პარტია. სწორედ მათ გამოიწვიეს ომი, გაანიავეს ეროვნული აქტივები, დაშალეს მეცნიერება, განათლება. აქედან გამომდინარე, ნაციონალებისა და მათთან შეკრული უმრავლესობის წევრების პარლამენტში ყოფნა მიუღებელია. ასეთ პირობებში ქვეყანა ვერ განვითარდება. მთავრობის უპირველესი მოვალეობა იყო, ნაციონალების ცხრაწლიანი მოღვაწეობისთვის პოლიტიკური შეფასება მიეცა, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. სწორედ ამიტომ ქვეყანა განვითარების სწორ გზას ვერ დაადგება. თუ ხელისუფლებას არ სურს, მივიღოთ ისეთივე აქციები და კრიზისები, როგორიც ბოლო 20 წლის განმავლობაში იყო, მაშინ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ყველა ნორმალური და ჯანსაღი პოლიტიკური ძალა სწორედ ამ აზრზეა. მაგრამ არჩევნები არ უნდა გადაიქცეს თვალებში ნაცრის შეყრის პროცესად. პირველ რიგში, უნდა გასწორდეს საარჩევნო სიები, უნდა შეიცვალოს ნაციონალებისდროინდელი ცესკო.

– ვიცით თქვენი პოზიცია ნაციონალებთან დაკავშირებით, ფიქრობთ, რომ ამ ხელისუფლების პირობებშიც შეიძლება არჩევნები გაყალბდეს?

– ამ ხელისუფლებამ უცვლელად დატოვა საარჩევნო კოდექსი, არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს იმ გაყალბებაზე, რომელიც ნაციონალებისდროინდელმა ცესკომ ჩაიდინა, ძალაში დატოვა კაციტაძის ცნობილი სიები, ასევე უცვლელია კანონი პარტიების შესახებ, ანუ არაფერი არ გაკეთდა იმისთვის, რომ საარჩევნო გარემო გაუმჯობესებულიყო. ეს მდგომარეობა შეუძლებელს ხდის ნორმალური არჩევნების ჩატარებას საქართველოში. ამიტომ ჩვენი მოთხოვნა მარტო ვადამდელი არჩევნები კი არა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაცაა. ერთად უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი.

ლევან ვეფხვაძე: „თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდება, ყველა მათგანი, მათ შორის „რესპუბლიკური პარტიაც“, გემბანს მიღმა აღმოჩნდება“

ლევან ვეფხვაძე, ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი:

– „ნაციონალური მოძრაობის“ პარტია არის პარტია, რომლის წევრებზეც სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. ნაციონალებთან ერთად, პარლამენტში ყოფნა ძალიან მარტივი და კომფორტულია. მაგალითად, როცა ნაციონალები ხმას ამოიღებენ ბიზნესის თემაზე, „ოცნების“ წევრები აუცილებლად ეტყვიან, თქვენ არ იყავით, სისხლს რომ უშრობდით ბიზნესსო... ნაციონალები წუწუნებდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მათს შემომწირველებს შორის დაფიქსირებული არ იყო იურიდიული პირი. ხელისუფლებიდან მარტივია, წამოაძახონ, როცა თქვენ იყავით ხელისუფლებაში, არც მაშინ ჰყავდა ოპოზიციას შემომწირველად იურიდიული პირებიო... ამას ჰქვია სპარინგ-პარტნიორი. ბუნებრივია, „ქართულ ოცნებას“ ნაციონალები აწყობს ოპონენტებად, რადგან გამუდმებით გაახსენებენ მათ წარსულს. ეს მათთვის პრობლემის მოგვარების უმარტივესი გზაა. რა საკითხითაც არ უნდა შეუტიონ ნაციონალებმა, „ოცნების“ წარმომადგენლები მათ ნებისმიერ შემთხვევაში გააჩუმებენ. რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, პირველ რიგში, ვადამდელი არჩევნები სწორედ კოალიციის წევრ პოლიტიკურ პარტიებს არ აწყობთ. ყველამ კარგად იცის, რომ, თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდება, ყველა მათგანი, მათ შორის რესპუბლიკური პარტიაც, გემბანს მიღმა აღმოჩნდება. პარლამენტში ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში აბსოლუტურად სხვა განლაგება შეიქმნება. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ „ქართული ოცნება“ აუცილებლად იქნება წარმოდგენილი, ასევე, შეძლებენ ბარიერის გადალახვას ნაციონალებიც და დარწმუნებული ვარ, პარლამენტში ძლიერი მეორე ძალაც იქნება წარმოდგენილი.

„პარლამენტს რომ გადახედო, დაინახავ, რომ იქ არის გაურკვეველი, ურეიტინგო პარტიების ერთობა, რომელიც ივანიშვილმა შეიტანა პარლამენტში და დადო“

– ვის გულისხმობთ?

– მეორე ძალაში რატომღაც აქამდე „ნაციონალური მოძრაობა“ იგულისხმებოდა, მაგრამ ასე არ არის. თუ ჩვენ მოვახერხებთ უთანხმოების შეჯერებას და გაერთიანებას, მინდა გითხრათ, რომ სწორედ ამ ჩვენი გაერთიანებით შეიქმნება ძლიერი მეორე ძალა.

– რომელ პარტიებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები?

– არასაპარლამენტო ოპოზიციაში რამდენიმე პარტიაა, რომლებსაც გარკვეული ელექტორალური თუ სხვა ტიპის ღირებულებები აქვს. ვფიქრობ, ამ ყველაფრის გამოყენება შესაძლებელია, მით უფრო, რომ ჩვენ ეს ყველას ერთად გვჭირდება, ბუნებრივია, პირველ რიგში, ნაციონალების ინტერესში შედის, რომ ჩვენ ვერ მოვახერხოთ გაერთიანება. თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ძლიერად წარვდგეთ თვითმმართველობის არჩევნებზე. რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, მას სჭირდება გარკვეული კონსტიტუციური პირობა. ახლა ეს კონსტიტუციური პირობა ნამდვილად არ არის. რაც შეეხება პოლიტიკურ პირობას, ის არსებობს. პარლამენტს რომ გადახედო, დაინახავ, რომ იქ არის გაურკვეველი, ურეიტინგო პარტიების ერთობა, რომელიც ივანიშვილმა შეიტანა პარლამენტში და დადო. ამომრჩეველმა ხმა მისცა პერსონალურად ივანიშვილს და დღეს ივანიშვილი აღარ არის ხელისუფლებაში. ის გვერდიდან აკვირდება და სწავლობს, ალბათ, არაადეკვატურ პოლიტიკოსებს. მოსახლეობის ნდობა ამ პარლამენტს არ აქვს, ანუ პოლიტიკური წინაპირობა ვადამდელი არჩევნებისთვის არსებობს, დარწმუნებული ვარ, უახლოეს რამდენიმე თვეში იურიდიული წინაპირობაც შეიქმნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მერიასა და საკრებულოს შორის ურთიერთობა კურიოზული ხდება

ქეთი ხატიაშვილი

მესამე პოლიტიკური ცენტრი ჯერ არ ჩანს. ბიძინა ივანიშვილის შემდეგ უკვე ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ოპოზიციად არ განიხილავს. მისი შეფასებით, ოპოზიცია უნდა იყოს კონსტრუქციული, ნაცებს კი „უფლებაც არა აქვთ, ჩვენ კითხვა დაგვისვან“.

ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ეს თემა კიდევ უფრო გამძაფრდა. იქით ნინო ბურჯანაძე ითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, აქეთ სხვადასხვა ძალები აანონსებენ ახალი კოალიციებისა თუ პარტიების შექმნას.

ნინო ბურჯანაძე თითქოს მოლაპარაკებებს აწარმოებს ზოგიერთ არასაპარლამენტო პარტიასთან, ცალკე თემაა შალვა ნათელაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ მონაწილეობას არ მიიღებს არც ერთ კოალიციაში. არჩევანის გაკეთებას ჯერ არც კახა კუკავა ჩქარობს. ამასობაში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე არასაპარლამენტო ოპოზიციას პრაიმერისის ჩატარებას სთავაზობს. ზაზა ხატიაშვილი მიიჩნევს, რომ ერთიანი კანდიდატის შემთხვევაში არასაპარლამენტო ოპოზიციას გამარჯვების შანსი ექნება. ამ შემთხვევაში კი გამარჯვება მეორე ადგილია. ახუ ამ ტენდენციიდან, შეიძლება ითქვას, მერის კანდიდატის სიძლიერე განსაზღვრავს, ვინ გახდება ის მესამე, ვინც მეორე გახდება, ანუ ნაციონალებს ჩაანაცვლებს ჯერ ადგილობრივ არჩევნებში, შემდეგ კი უკვე პარლამენტშიც.

ალბათ, სწორედ ადგილობრივი არჩევნების მოახლოებას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ, როგორც ბათუმის, ისე ქუთაისის მერები ლამის ერთ დღეს გადადგნენ. ახალი კანონმდებლობით, თბილისის გარდა, სხვა მსხვილ ქალაქებშიც ჩატარდება არჩევნები და მათ შორის, რა თქმა უნდა, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში.

საინტერესოა, რომ სამივე ამ ქალაქის მერი სხვადასხვა ვითარებაში გადადგა, მაგრამ ამ გადადგომების სერიალს ერთი რამ აერთიანებს – ადგილობრივი არჩევნების ფონი.

ბათუმმა, როგორც გამოთვალეს, 2003 წლიდან მოყოლებული 11 მერი გამოიცვალა, ბოლო 6 თვეში – 4. ბათუმში უკვე ხუმრობენ, ნახევარ ქალაქს დასაქმების ადგილად ქუთაისის მერია აქვს მითითებულიო.

ბოლო, მეთერთმეტე მერი საკრებულოს თავმჯდომარემ გადააყენა, თანაც პერსონალურად. ასეთი პატივი ერგო მას იმიტომ, რომ პერსონალურად საკრებულოს თავმჯდომარემ დანიშნა და მოხსნაც მის კომპეტენციაში შედიოდაო.

კოპალიანის შემდეგ ლომიძე, თოფურიძე, ისევ ლომიძე, შარაბიძე და ბოლოს

მურლულია. უმეტესობა მათგანი ვიცემერობიდან გახდა მერი. პირველი მერი, ვინც ნაციონალების კანდიდატი ბესიკ ბრეგაძე შეცვალა, დიმიტრი კოპალიანი სამი თვის შემდეგ გადადგა. ბოლო მერმა შოთა მურლულიამ კი გადადგომა არ მიიღო და თქვა, სამართლებრივ გზას მივმართავო. სანამ მურლულია გზას იპოვის, ქუთაისს, გამოდის, ორი მერი ჰყავს პარალელურად – ერთი, ვინც პარლამენტის თავმჯდომარემ გადააყენა

და თავს გადაყენებულად არ თვლის და მეორე, ვინც ამავე საკრებულოს თავმჯდომარემ მერობის მოვალეობის ახალ შემსრულებლად დანიშნა. ანუ ახლა თემურ მურლულიაც მერის მოვალეობას ასრულებს და ნიკო კაჭკაჭიშვილიც.

კულუარებში ამბობენ, რომ მთელი ეს არეულობა „პატრიოტთა ალიანსმა“ გამოიწვია, რომელიც ცდილობს, მყარად მოიკიდოს იქ ფეხი. ადრე ისინი საკრებულოში თითქმის უმრავლესობასაც კი ფლობდნენ, ამიტომაც მარტივად შეძლეს, საკრებულოს თავმჯდომარედ საკუთარი კანდიდატურა გაეყვანათ. მაგრამ შემდგომ მათ დაკარგეს უპირატესობა. ახლა ფრაქციაში მხოლოდ 6 კაცია, ადრე 12-ნი იყვნენ.

თამაზ მარგველაშვილი ამ დრომდე ასრულებდა ამ ფუნქციას. თუმცა, როგორც ჩანს, ის მერის მოვალეობის შემსრულებელ შოთა მურლულიასთვის უფლებამოსილების შეჩერების სკანდალს გადაყვა.

მარგველაშვილის გადაწყვეტილება არ გაიზიარეს არც „ქართულ ოცნებაში“ და როგორც ჩანს, არც ნაციონალებში. თუნდაც, იმიტომ რომ მერების შეცვლამ უკვე კომიკური ხასიათიც კი მიიღო. ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე კახა ნემსიწვერიძე ამბობს, რომ მერების ცვლა სინამდვილეში ხელისუფლების ინიციატივა იყო, რადგანაც სწორედ ხელისუფლება აიძულებდა, მერებს გადამდგარიყვნენ.

თუმცა, ბოლო შემთხვევა, რომელიც თემურ მურლულიას ეხება, საწინააღმდეგოზე მეტყველებს. კონფლიქტის თემა, რომელმაც საბოლოოდ დრამატული სახე მიიღო, საკმაოდ მარტივია.

დაძაბულობა საატესტაციო კომისიაში გამოცხადებულ ვაკანსიებს მოჰყვა. კახა ნემსიწვერიძის განმარტებით, მერის მოვალეობის შემსრულებელი არ ასრულებდა თავის მოვალეობებს. მაგალითისთვის ნემსიწვერიძეს სწორედ საატესტაციო კომიტეტი მოჰყავს. თავმჯდომარემ მერს წარუდგინა დასამტკიცებლად დასანიშნი ადამიანების სია, მერმა კი თავად დაიწყო იქ დანიშვნები. კონფლიქტიც მაშინ მოხდა.

თუმცა, არსებობს სხვა ვერსიაც. „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი წევრი „პრაიმტაიმს“ უყვება, რომ კონფლიქტი მართლაც საატესტაციო კომისიამ გამოიწვია. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა საკრებულოში „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, ამ კომისიის თავმჯდომარე მოეხსნათ. მთელი ფოკუსი კი ის არის, რომ საკრებულოს თავმჯდომარე იმავე დროს არის საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე. და სანამ მარგველაშვილს გადააყენებდნენ, გამოდის, მან თავად გადაუყენა „ქართულ ოცნებას“ მერის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც მისი „დანიშნული“ იყო და ჩათვალა, რომ მოხსნაც მისი პრეროგატივა უნდა ყოფილიყო.

დაძაბულობაც მერე დაიწყო. საკრებულოს თავმჯდომარეს კარებიც კი აუჭედეს. კახა ნემსიწვერიძის განმარტებით, ეს ხელისუფლებამ თავად მოაწყო. მისი აზრით, ეს ყველაფერი „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ მიზანმიმართული ქმედებაა. „ჩვენ გვებრძვიან“, – აღნიშნა მან.

მიმართავს თუ არა „პატრიოთა ალიანსი“ პროტესტის რაიმე ფორმას? ითქვა, რომ მათ შეიძლება ბოიკოტი გამოუცხადონ საკრებულოს. კახა ნემსიწვერიძე ამბობს, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქება იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები.

„არ ვაპირებ, თ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ირგვლივ სკანდალი გრძელდება. დავით საგანელიძე ახლა თავად ითხოვს პროკურატურისგან, გამოიძიონ მის წინააღმდეგ გავრცელებული დოკუმენტაციის წარმომავლობა. ამ მიზნით, ის მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს, ირაკლი შოთაძესაც შეხვდა და პირობა მიიღო, რომ უმრავლესობის წევრების „აგენტობის საქმეს“ პირად აღრიცხვაზე აიყვანდა. საგანელიძეს მიაჩნია, რომ ბინძური კამპანია არა მხოლოდ მის წინააღმდეგ, არამედ მისი პარტიის წინააღმდეგაც მიმდინარეობს და აცხადებს, რომ საკითხის შუა გზაზე მიტოვებას არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება.

დავით საგანელიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:

– როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება თქვენს წინააღმდეგ ასეთი კამპანიის წარმოება და ვინ შეიძლება იდგას ამის უკან?

– ეს კამპანია ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში დაიწყო, მასში ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები მედიის წარმომადგენლები, კონკრეტული ჯგუფები. თუმცა ეს არ იყო პირადად ჩემს წინააღმდეგ მიმართული კამპანია. ეს იყო მიმართული როგორც მაშინდელი საარჩევნო შტაბის, ასევე პარტიის წინააღმდეგ. თავის დროზე ეს თემა მედიის წევრებსაც და სამართალდამცავებსაც რატომღაც უყურადღებოდ დარჩათ, თუმცა მიმაჩნია, რომ საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ქვეყანაში მმართველი პარტიის ლიდერების მიმართ გამოქვეყნდა ყალბი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დაახლოებით ათ პოლიტიკოსს ბრალი ედებოდა აგენტურულ გარიგებაში. ეს თავისთავად ცხადია, პირველ რიგში, ზიანს აყენებდა პარტიას და ქმნიდა გაუგებრობას საზოგადოებაში. ეს მარტო მე არ მეხებოდა. შეიძლება ვინმე უფრო მსუბუქად უყურებს ამ თემას, მაგრამ მე არ ვაპირებ, თვალი დავხუჭო არც ერთ ბრალდებაზე. მაშინვე ვთქვი, სანამ არჩევნები იქნება, შეგნებულად არ შევალ არავისთან პოლემიკაში, მაგრამ როგორც კი არჩევნების პერიოდი ჩაივლის, ყველას მოვთხოვ პასუხს-მეთქი. მაშინვე მივმართე პროკურატურას და მოვითხოვე, შეესწავლათ, ვინ იდგა რეალურად ამ მასალების უკან, გამოეძიებინათ ის ადამიანები, ვინც მსგავს დოკუმენტაციას ქმნიდა. ასევე, მივმართე სასამართლოს ჩემი და ჩემი კოლეგების შეურაცხყოფის გამო. მოვითხოვე, პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ იმ ადამიანებს, ვინც ეს დოკუმენტაცია გამოაქვეყნა, თუმცა ამ მიზანს ძველი პროკურატურის პირობებში ვერ მივაღწიე.

– ამ მხრივ, არც ახალი პროკურატურა აქტიურობს, როგორც ჩანს...

– დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი პროკურორი გამოიძიებს. რამდენიმე დღის წინ შევხვდი მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს, მან ძალიან ყურადღებით მომისმინა, პირობა მომცა, რომ უახლოეს პერიოდში პირადად დაინტერესდება ამ საკითხით. ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ უმრავლესობის არც ერთ ლიდერს არ აქვს უფლება, საზოგადოებას ესაუბროს მაშინ, როცა მის მიმართ მსგავსი კითხვები არსებობს. რა ევალება ამ დროს სამართალდამცავ სტრუქტურებს, თუ არა მსგავსი საკითხების გამოძიება? ბუნებრივია, უნდა დადგინდეს, ვინ შექმნა აღნიშნული დოკუმენტაცია, ვინ მიიტანა ელისო კილაძესთან და ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან. თუ ასეთი დოკუმენტი ბუნებაში რეალურად არსებობს, პირველ რიგში, ეს უნდა იცოდეს პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ... სწორედ ამ უწყებებმა უნდა გამოაქვეყნონ ეს დოკუმენტები და საზოგადოებამ უნდა გაიგოს მათი არსებობის შესახებ. პირადად მე თუ რამე მეხება, მოვითხოვ, ყველა დოკუმენტი გამოაქვეყნონ და საჯარო გახადონ, თუ ასეთი დოკუმენტები არ არსებობს, და მათ ძალიან კარგად იციან, რომ არ არსებობს, მაშინ მოვიდნენ, ბოდიში მოიხადონ და პასუხი აგონ საკუთარ დანაშაულზე.

– თქვენ იცით, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან?

– ნამდვილად არ მაქვს ინფორმაცია. რომ ვიცოდე, აუცილებლად ვიტყოდი ხმამაღლა, თუმცა ჩემი ვარაუდები, ბუნებრივია, მაქვს და ვიცი, რატომ არ ხდებოდა თუნდაც წინა პროკურატურის, წინა ხელისუფლების პირობებში ამ საკითხის საერთოდ განხილვაც კი. ზოგი მირჩევს, საერთოდ შევეშვა ამ საკითხზე ფიქრს. მიმაჩნია, რომ რჩევა, თითქოს სჯობია, თავი დავანებო გამოძიების მოთხოვნას, რადგან ამით რეკლამას ვუკეთებ იმ ერთადერთ გამოცემას, სადაც ეს მასალები დაიბეჭდა, სწორი არ არის. თუ არსებობს კითხვის ნიშანი, თუნდაც ერთ ადამიანში, ვალდებული ვარ, ეს კითხვები და ეჭვები გავფანტო. რადგან ჩვენი გუნდი დღეს ხელისუფლებას წარმოადგენს, ვართ უმრავლესობაში და მით უმეტეს, ვარ პარტიის ლიდერი, არ მაქვს უფლება, ერთი კითხვა მაინც დავუტოვო საზოგადოებას. მე მოვითხოვ, რომ ყველაფერი იყოს გამოძიებული. წარმოიდგინეთ, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში რომ დაბეჭდილიყო მსგავსი მასალა და მმართველი პარტიის ლიდერებს ბრალი დასდებოდათ აგენტობაში, რამხელა სკანდალს გამოიწვევდა ეს. მე ისიც მაინტერესებს, რატომ არის მედია ასე ჩუმად?

– გამოძიებას ელოდებიან...

– მედიამ ეს თავადაც უნდა გამოიძიოს, თქვან, რომ ეს არის სიმართლე ან თქვან, რომ ეს იყო ცილისწამება.

– წინა პროკურატურაზე საუბრისას ფიქრობთ, რომ ნაცვლიშვილის ინტერესებში არ შედიოდა ამ საკითხის გამოძიება?

– არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტულ სახელსა და გვარს. თქვენ ახლა გინდათ, ეს ყველაფერი გვარებსა და სახელებზე გადაიტანოთ. მე სისტემაზე ვსაუბრობ, თქვენ გინდათ, ვილაცა ვილაცას დაუპირისპირდეს. თქვენ ის უფრო გაინტერესებთ, ვინ აფარებდა ხელს ამ საკითხის გამოძიებას, თუ ის უფრო საინტერესოა, მართლა არის თუ არა პარტიაში ნაციონალების მიერ ჩანერგილი 15-20 აგენტი?

– ბუნებრივია, ვინც ხელს აფარებდა, ისიც დამნაშავეთა რიგებში გადის...

– რასაკვირველია. ამიტომ უნდა გარკვეს ეს ყველაფერი. თქვენ გამოიძიეთ ის, რატომ არ იძიებდა პროკურატურა ამ საკითხს და თუ ახალი პროკურორიც არ გამოიძიებს, მაშინ ამითაც უნდა დაინტერესდეთ ჟურნალისტები.

– პირველ მოადგილესთან შეხვედრისას კონკრეტული ვადები დასახელდა, როდის მოხდება საკითხის გამოძიება?

– მინდა, ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა პროკურორის პირველ მოადგილეს, მან არ იცოდა დეტალები და როცა გაიგო, ძალიან შეწუხდა. თქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს საქმის გამოსაძიებლად. მე ამას ვითხოვ იმ დღიდან, როცა აღნიშნული მასალა დაიბეჭდა. თავის დროზე მივმართე კბილაშვილს, შემდეგ წერილობით მივმართე ფარცხალაძეს, ახლა ახალ პროკურორს, ასევე, ამაზე არაერთხელ გავაკეთე განცხადება პარლამენტში, მთავრობის დამტკიცების დღეს მივმართე ირაკლი ღარიბაშვილს. თუ ჩვენ ბრალი მიგვიძღვის რამეში, მაშინ არ გვაქვს უფლება, საერთოდ ხელისუფლებაში ვიყოთ და ქვეყანას ვმართავდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკრეტულმა პირებმა პასუხი უნდა აგონ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვალი დავხუჭო არც ერთ ბრალდებაზე“

„თუ საჭირო იქნება ჩემი დაკითხვა, მზად ვარ, იმუნიტეტსაც დღესვე მოვიხსნი, რომ საქმის გამოძიებას ხელი არ შეეშალოს“

დავით საგანელიძე:

„მაშინვე მივმართე პროკურატურას და მოვითხოვე, შეესწავლათ, ვინ იდგა რეალურად ამ მასალების უკან, გამოეძიებინათ ის ადამიანები, ვინც მსგავს დოკუმენტაციას ქმნიდა... თუმცა ამ მიზანს ძველი პროკურატურის პირობებში ვერ მივაღწიე...“

EXCLUSIVE

„ჩემს ღირსებას ვერავის დავუთმობ. ვინც ამ ღირსებას შეეხება, ხელებს მოვამტვრევ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს საკითხი ბოლომდე მივიყვანო“

თუ საჭირო იქნება ჩემი დაკითხვა, მზად ვარ, იმუნიტეტსაც დღესვე მოვიხსნი, რომ საქმის გამოძიებას ხელი არ შეეშალოს. ვფიქრობ, უნდა დაიკითხოს ელისო კილაძე. თუ სადმე ჩემი ხელმოწერა აღმოჩნდება, ოღონდ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ორიგინალ ხელმოწერას და არა ქსეროასლით გადმოღებულს, მზად ვარ, პასუხი ვაგო. როგორ შეიძლება, ასეთი ყალბი დოკუმენტების შემქმნელს პასუხი არ მოეთხოვოს?

– თქვენ პირველივე დღიდან კატეგორიულად ითხოვდით საკითხის გამოძიებას, თქვენთან ერთად დასახელდნენ, ასევე, ირინა იმერლიშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი... თუმცა მათი რეაქცია ასეთივე მწვავე არ ყოფილა. როგორ ფიქრობთ, ისინი რატომ არ არიან მოწადინებულები, ეს საკითხი გამოიძიონ?

– არ ვიცი, კაცია და ხასიათი, ალბათ. მე სხვანაირი ადამიანი ვარ. ალბათ, ვინმემ ჩათვალა, რომ ასეთ სისულელესა და ასეთ ყბადაღებულ სიბინძურეს რეაქცია არ უნდა მოაყოლოს. მე ასე არ ვთვლი. მიმაჩნია, რომ, ერთი ადამიანი თუ მაინც არსებობს, რომელსაც კითხვის ნიშნები დარჩა, უნდა გაეცეს პასუხი.

„რამდენიმე დღის წინ მე შევხვდი მთავარი პროკურორის პირველ მოადგილეს, მან ძალიან ყურადღებით მომისმინა და პირობა მომცა, რომ უახლოეს პერიოდში პირადად დაინტერესდება ამ საკითხით“

„ჩემი ვარაუდები, ბუნებრივია, მაქვს და ვიცი, რატომ არ ხდებოდა თუნდაც წინა პროკურატურის, წინა ხელისუფლების პირობებში ამ საკითხის საერთოდ განხილვაც კი“

გარდა ამისა, მე პატარა შვილები მყავს. როდესაც ისინი გაიზრდებიან, არ უნდა დახვდეთ პასუხგაუცემელი კითხვები. მე ჩემს შვილებს ჩემს სახელსა და გვარზე ძვირფასს ვერაფერს დავუტოვებ, ამიტომ ჩემთვის ღირსება უპირველესია. ჩემს ღირსებას ვერავის დავუთმობ. ვინც ამ ღირსებას შეეხება, ხელებს მოვამტვრევ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს საკითხი ბოლომდე მივიყვანო და თუ ეს არ მოხდება, იმასაც გამოვიძიებ, ვინ დაიფარებს ამ საქმეს ხელს.

– პრემიერის გაჟღერებულ საკითხებსაც მინდა შევეხო. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საარჩევნოდ ოპოზიციას სიურპრიზები ელის. თუ იცით, რა სიურპრიზებზეა საუბარი, მით უმეტეს მაშინ, როცა არასაპარლამენტო ნაწილი განსაკუთრებით უკმაყოფილოა ხელისუფლების ქმედებებით...

– იმ შეთავაზებაში, რომელიც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით არსებობს, იმდენი რამ არის ჩადებული, რომელიც ოპოზიციამ უნდა დაინახოს. ფაქტია, რომ, ამ მხრივ, ძალიან დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ, დემოკრატიისკენ. რასაც ჩვენ ოპოზიციაში ყოფნისას ვითხოვდით სწორედ ახალ ვარიანტშია ჩადებული. რაც შეეხება სიურპრიზებს, ის მაშინ არის სიურპრიზი, როდესაც მოულოდნელად მოხდება გაჟღერება, შესაბამისად, ჩემი მხრიდან არასწორი იქნება ამ საკითხებზე ახლა საუბარი. საერთოდ, ოპოზიცია თავის დროზე ითხოვდა, რომ საქართველოში ყველა მერი არჩეული ყოფილიყო, მაშინ როდესაც მხოლოდ ერთ მერს ვირჩევდით. ახლა საქართველოში თორმეტი მერი იქნება არჩევითი, იგივე ცვლილება შედის გამგებლებთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია ბარიერის თემა. საერთოდ არ არსებობდა ბარიერი და ახლა გამგებლებზე დაწესდა ბარიერი, მერზე იყო 30%-იანი ბარიერი და აიწია 40%-ზე. სიახლეა პარტიების დაფინანსებაშიც. აქამდე მხოლოდ ერთჯერადად ფინანსდებოდნენ. ცვლილებების შედეგად დაფინანსდება ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ბარიერს გადალახავენ. სიახლეებზე საუბრის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. ცუდია, რომ ოპოზიცია ვერ ხედავს ამ ყველაფერს. კი, ბატონო, ვიკამათოთ ბარიერთან დაკავშირებით და იმაზე, რომელი სჯობია – 40%-იანი თუ 50%-იანი, მაგრამ მანამდე აღიარონ და დაინახონ ეს ცვლილებები... თქვან, რომ ეს კარგია, მადლობა გადაიხადონ... ვერ ხედავენ ამ ყველაფერს და ეს ძალიან ცუდია. მათი მიზანია, საკუთარი სამარცხვინო ნაგება სწორედ ცვლილებებს დააბრალონ და თქვან, აი, ჩვენ ამას რომ ვითხოვდით და არ გაკეთდა, ამიტომ წავაგეთო. მე ვერავინ მასწავლის ოპოზიციის ენას, ამიტომ ვურჩევ, გულახდილები იყვნენ. ყველას ძალიან კარგად ვიცნობ, ზოგიერთ მათგანთან ერთად ბევრი ომი მაქვს გამოვლილი და ვთხოვ, აღიარონ, ხმამაღლა თქვან, რამდენი ნაბიჯი გადაიდგა უკეთესობისკენ და შემდეგ სხვა საკითხებზე ვისაუბრებთ.

– არსებობს იდეა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიან კანდიდატს პრაიმერისის საშუალებით გამოავლენს...

– ძალიან კარგი იქნება, თუ საკუთარი ამბიციების გადალახვას შეძლებენ და ერთიან კანდიდატზე შეჯერდებიან. საქართველოს ძალიან სჭირდება ძლიერი ოპოზიცია. ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, თუ მას ძლიერი, სამართლიანი ოპოზიცია არ ეყოლება, ხელისუფლება ნირვანაში ჩავარდება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ძლიერი ოპოზიცია, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამის ნიშნებსა და შესაძლებლობებს ვერ ვხედავ. როგორც წესი, ძლიერი მოწინააღმდეგის პირობებში წინასაარჩევნო პერიოდიც ბევრად საინტერესო ხდება ხოლმე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ORBELI ორბელი

ერისთავის ქ. N1

ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13

ORBELI ორბელი

100 ლარიანი

ვაუჩერი ორბელისგან

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პერსონალური მონაცემების უკანონო ჩაწერა-გასაჯაროება 7-წლიანი პატიმრობით დაისჯება

my View

მირიან ბოქოლიშვილი

ალექსანდრე ჭიკაიძე: „თუ ადამიანს ხელში ჩაუვარდება პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო/აუდიომასალა და მას სხვა მიზნებისთვის გამოიყენებს, ვინც არ უნდა იყოს ის – სამართალდამცავი ორგანოსა თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, მისი პასუხისმგებლობა დადგება“

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხზე მომუშავე კომისიამ, როგორც იცით, მუშაობა დაასრულა და სპეციალური ანგარიშიც გამოაქვეყნა. ამ საკითხზე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი კი მთავრობამ ერთხმად მოიწონა. პროექტი მთავრობის კანცელარიიდან მალე საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლებს. უკვე ცნობილია, რომ მას მმართველი გუნდის მხარდაჭერა ექნება. „პრაიმტაიმი“ კომისიის ანგარიშსა და დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებზე პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს, თამარ ქალდანს ესაუბრა. თუმცა მანამდე მოდით, ვნახოთ ალექსანდრე ჭიკაიძის პოზიცია. შს მინისტრის განმარტებით, ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის სამ მუხლს შეეხება.

„უკანასკნელი წლების განმავლობაში ხდებოდა პირადი და ინტიმური ცხოვრების უკანონო მიყურადება-ჩაწერა, რითაც უხეშად ირღვეოდა ადამიანის უფლებები. ამ მიმართულებით კანონის დარღვევა ითვალისწინებდა სამ წლამდე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ცვლილების შემდეგ კი, პასუხისმგებლობა იქნება 7 წელი. თუ ადამიანს ხელში ჩაუვარდება პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო/აუდიომასალა და საგამოძიებო ორგანოში წარადგენს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება. ხოლო თუ მას სხვა მიზნებისთვის გამოიყენებს, ვინც არ უნდა იყოს ის – სამართალდამცავი ორგანოსა თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, მისი პასუხისმგებლობა დადგება“, – აღნიშნა ჭიკაიძემ.

უკანონო მიყურადებასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრებას პოზიტიურად აფასებს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი. როგორც ნანუაშვილი განმარტავს, სანქციების გამკაცრება ერთ-ერთი ნაბიჯია იმისთვის, რომ ქვეყანაში დაცული იყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

„კომისიამ, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებთან დაკავშირებით, ერთ-ერთ გადაწყვეტილებად მიიღო სწორედ სანქციის გამკაცრება, რათა უფრო მეტი გარანტიები ყოფილიყო შექმნილი პირადი ცხოვრების დაცვის. ვფიქრობ, პირადი ცხოვრების ამსახველ მასალებთან დაკავშირებით სანქციების გამკაცრება ერთ-ერთ ნაბიჯია იმისთვის, რომ მომავალში დაცული იყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“, – განაცხადა ნანუაშვილმა.

კომისიის წევრებს შორის ანგარიშის შინაარსობრივ მხარეზე აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა, თუმცა გამოითქვა განსხვავებული აზრი იმ მეთოდების აღნუსხვასთან დაკავშირებით, რომლის გამოყენებაც ხდებოდა უკანონო ჩანაწერების წარმოებისას. კომისიის რამდენიმე წევრმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ ანგარიშში არ მოხვდა ამ მეთოდების სრული ჩამონათვალი, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ უკანონო მიყურადება მხოლოდ რამდენიმე მეთოდის გამოყენებით ხდებოდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, თამარ ქალდანი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამას დროის უკმარისობას უკავშირებს, რადგან კომისიის მუშაობა კონკრეტული ვადებით იყო შემოსაზღვრული და შესაბამისად, ანგარიშში სრულად ვერ აისახა ყველა ის მეთოდი, რომელიც უკანონო მიყურადებისთვის გამოიყენებოდა. ქალბატონ თამართან საუბრისას ჩვენ დავინტერესდით, როგორ აისახება კანონის გამკაცრება უკანონო მიყურადების შემთხვევებზე.

თამარ ქალდანი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი:

– ეს არის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება, თუმცა არა ერთადერთი. ის საკანონმდებლო ფორმულირება, რომელიც აქამდე არსებობდა, ვერ მოიცავდა ფართო სპექტრს შესაძლო დარღვევებსა და დანაშაულებზე. წარმოდგენილ ცვლილებებში არა მარტო სანქციების გაზრდაზეა სუბარი, არამედ თვითონ შემადგენლობაზე. მაგალითად, კანონში არაფერია ნათქვამი პერსონალური მონაცემების უკანონო მოპოვებაზე. აქედან გამომდინარე, სანქციების გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია თვითონ შინაარსობრივი მხარეც.

– სხვა რა ცვლილებები იგეგმება?

– საუბარია სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელთა ნაწილიც უკვე ინიცირებულია, რათა უფრო მყარი გარანტიები შეიქმნას მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად. მთელი გეგმებია ამ მიზნით შემუშავებული, რა უნდა გაკეთდეს 2014 წლის განმავლობაში.

– კომისიის რამდენიმე წევრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ანგარიშში სრულად არ არის ასახული ის მეთოდები, რა მეთოდებითაც გაკეთდებოდა ჩანაწერები...

– უბრალოდ, ვერ მოესწრო სრულად ასახვა. როგორც იცით, კომისიის მუშაობის ვადები საკმაოდ შემჭიდროებული იყო. შინაარსობრივი დავა თვითონ მეთოდებთან დაკავშირებით არ ყოფილა, აქ საუბარია ტექნიკურ საკითხზე. კომისიას ჰქონდა მსჯელობა და რა თქმა უნდა, სასურველი იყო, უფრო ფართო ყოფილიყო ეს ჩამონათვალი, თუმცა ეს შინაარსობრივ მხარესთან არაფერ შუაშია. ბუნებრივია, მათ დამატებით დოკუმენტში დააფიქსირეს თავიანთი აზრი და არა მგონია, ამას რომელიმე კომისიის წევრი არ დასთანხმებოდა. უბრალოდ, ძირითად დოკუმენტში სრული ჩამონათვალის გაკეთება, დროის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ანგარიში დროულად გამოქვეყნებულიყო, რადგან მუშაობის ვადა 31 იანვარს იწურებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გვიან გაირკვა, რომ ბოლო წლებში „გუდვილი“ არასწორ ფინანსურ მონაცემებს აწვდიდა ბანკს, იმისთვის, რომ დაფინანსება მიეღო“

როგორ აღმოჩნდა კრიზისში ყველაზე მსხვილი ჰიპერმარკეტების ქსელი?

ნატა სამხარაძე

ბოლო დროს, წინა ხელისუფლების პირობებში ე.წ. მსხვერპლად შენირულთა რიცხვს, არც მეტი, არც ნაკლები, გოგი შევარდნაძე შეემატა.

ვისაც ახსოვს ტყავებში გამოწყობილი და ნიანგის ტყავის ფეხსაცმელებიანი ბიზნესმენის წარსული, მისთვის ეს ახალი იმიჯი რთულად წარმოსადგენი იქნება. ხოლო მათ, ვისაც ეს არ ახსოვთ, მცირე პრეისტორიას შევთავაზებთ, თუმცა მანამდე, რაღა თქმა უნდა, მთავარი ამბის არსს შევეხოთ:

ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ დამფუძნებელი დიდხანს არ ტყდებოდა, რომ მის ბიზნესს გაუჭირდა. არც მაშინ, როდესაც „გუდვილი“ „ქარვასლაში“ დახურა და არც მაშინ, როდესაც იგივეს გაკეთება „თბილისი ცენტრალში“ მოუხდა. თუმცა, ამის აღიარება გასული წლის სექტემბერში გადაწყვიტა, როდესაც სასამართლოს განცხადებით მიმართა და კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება მოითხოვა. მალე პრესის ფურცლებზე „მთავარი დამნაშავეც“ დასახელდა – „თიბისი ბანკი“.

„2012 წლის დეკემბერში ბანკმა სარჩელი შეიტანა გოგი შევარდნაძის წინააღმდეგ, როგორც „გუდვილის“ სესხებზე თავდები პირის წინააღმდეგ, და მოითხოვა ყადაღის დადება მის კუთვნილ წილზე, რომელიც არის 49% „გუდვილში“. გიორგი შევარდნაძეს 100 პროცენტი ეკუთვნის „გუდვილში“, მაგრამ 51 პროცენტზე ბანკს ჰქონდა გირავნობა, 49%-ზე კი ყადაღის დადებამდე ბანკმა გიორგი შევარდნაძესთან შეთანხმებით მოხსნა გირავნობა. მაგრამ ერთი თვის შემდეგ, თავდებობიდან გამომდინარე, ისევ დააყადაღა ეს წილი სასამართლოს გზით“. – აცხადებს კომპანიის ადვოკატი, ლაშა ნოდია...

მისი განმარტებით, გოგი შევარდნაძეს იმ შემთხვევაში დაეკისრება ვალის გადახდა, თუ რეაბილიტაცია ვერ შედგება და „გუდვილი“ გაკოტრდება:

„თუ რეაბილიტაცია შედგა, ამ ვალს ისტუმრებს „გუდვილი“ და, შესაბამისად, წილის დაყადაღება მხოლოდ ფსიქოლოგიური ზეწოლის მექანიზმია“. – განმარტავს ნოდია.

აღმოჩნდა, რომ „დამნაშავე“ ნაადრევად გაიშიფრა და „გუდვილი“ რეაბილიტაციის რეჟიმზე გადავიდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს ზავს. ბრძოლის შემდეგი ფაზა მაშინ გაიხსნა, როდესაც საქმე რეაბილიტაციის მმართველის დამტკიცებაზე მიდგა. კანონით, ის დამოუკიდებელი, ობიექტური ადამიანი უნდა იყოს, რომელიც კომპანიასა და კრედიტორებს შორის ურთიერთობას დააბალანსებს. თუმცა, დაპირისპირებული მხარეები მიიჩნევენ, რომ მონინააღმდეგეს მმართველის გავლენის ქვეშ მოქცევა უნდა. „გუდვილის“ თქმით, „თიბისი“-ს მიზანი მისი ქონების ხელში ჩაგდებაა, ხოლო მთავარი კრედიტორი, ანუ ბანკი, კი ეჭვობს, რომ გოგი შევარდნაძეს თავისი კანდიდატურის, კომპანია PKF-ის გაყვანა მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ მართვის ბერკეტები ისევ მას დარჩეს.

ისე, ქონების წართმევაზე ერთი ისტორია გვახსენდება:

„თბილელექტროაპარატის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სავაჭრო სახლ „საბას“ მფლობელი პაატა კაჭარავა ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ „თბილელექტროაპარატის“ 3 მილიონად შეფასებული წარმოება, სადაც ფართო გამოყენების პლასტმასის ნივთები მზადდებოდა, 2010 წლის 10 მაისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა, პირდაპირი მიყიდვის წესით, „გუდვილის“ ერთ-ერთ მეწილეს, სარფის საბაჟოს ყოფილ უფროსსა და, თავის დროზე, ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ გოგი შევარდნაძეს 500 ათასად უბოძა. პაატა კაჭარავას კუთვნილ 29 500 კვადრატულ მეტრზე შევარდნაძემ მაღაზია, სანყობი და წარმოება „მარშე“ გახსნა.

რაკი ასლან აბაშიძეც გავიხსენეთ, ბარემ სტატიის დასაწყისში დაპირებულ ისტორიასაც შეგახსენებთ გოგი შევარდნაძის წარსული საქმიანობიდან.

„დაიწყეს რაღაც ლაპარაკი, რომ თითქოს მე „თიბისი“-სთან ერთად ქონების წართმევა მინდოდა მისთვის“

მის შესახებ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ხშირად უხდებოდა მტკიცება, რომ ის მისი მხოლოდ მოგვარეა. ვინაიდან, როგორც ცნობილი იყო, შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში გოგი შევარდნაძემ სიგარეტისა და სხვა ბიზნესების მონოპოლია სნორედ ამ გვარის წყალობით მოიპოვა. ის სარფის საბაჟოს სწორედ მაშინ ხელმძღვანელობდა, როცა იქიდან კონტრაბანდული საქონლისა და არააქციზური სიგარეტების შემოტანის შესახებ პრესა ინტენსიურად წერდა. მაშინ კულუარებიდან ასეთი ინფორმაციაც გამოვიდა: როდესაც ედუარდ შევარდნაძე ასლან აბაშიძესთან ჩავიდა, მისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა, რომ საბაჟოს გოგი შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. აბაშიძემ ის დაახასიათა, როგორც კარგი პროფესიონალი, თუმცა იქვე დასძინა, რომ მას ერთი ნაკლი ჰქონდა – გვარად შევარდნაძე იყო. როგორც დამსწრეები იხსენებენ, მაშინ ამაზე ორივემ გულიანად იცინა.

არადა, როგორც ამბობდნენ, გოგი შევარდნაძე თავად ავრცელებდა ხმებს იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის ოჯახის წევრი იყო, რადგან ეს მას საქმეში კარგად შველოდა.

აჭარაში მისი მოღვაწეობის პერიოდში არაერთ გადაგდებულ „მევალესაც“ იხსენებენ, თუმცა, როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, გოგი შევარდნაძე, მიუხედავად ასლან აბაშიძესთან მჭიდრო ურთიერთობისა, მაინც „გადარჩა“. ამის მიზეზს ზემოხსენებული პაატა კაჭარავა ასე ხსნის: „როგორც ვიცი, გოგი შევარდნაძე ე.წ. აჭარის რევოლუციის დროს ახალაიებს დაუახლოვდა – მაშინ შევარდნაძე სარფის საბაჟოს უფროსი იყო. სანამ ასლან აბაშიძე საქართველოდან წავიდოდა, სააკაშვილმა აჭარაში, საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად, როგორც მსმენია, ახალაიები და ვასილ სანოძე გაგზავნა. დეტალები არ ვიცი, მაგრამ შევარდნაძემ და ნაციონალებმა საერთო ენა, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გამონახეს“...

...და სწორედ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გამოჩნდა ბაზარზე პირველი ჰიპერმარკეტი „გუდვილი“, რომელიც ამ წლების განმავლობაში მხოლოდ ფართოვდებოდა... მეტიც, როდესაც კომპანიამ ვაკეში გახსნა მორიგი ჰიპერმარკეტი, პრესა მაშინაც წერდა იმის თაობაზე, რომ მერია მინისქვეშა გადასასვლელში მდებარე ფართების კერძო მესაკუთრეებს საკუთრების დათმობას გოგი შევარდნაძის სასარგებლოდ სთხოვდა.

ამდენად, ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა „გუდვილის“ დირექტორის, ირინა ქოსაშვილის მიერ სააკაშვილის ხელისუფლების წასვლის შემდეგ გაკეთებული განცხადება წინა ხელისუფლების მიერ კომპანიაზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებზე... მისი თქმით, კომპანიას ძალიან ბევრი არამიზნობრივი ხარჯის გაწევა უწევდა და მათ რაბათის ციხის რეაბილიტაციის ფონდში 3 მილიონი ლარის ჩადება აიძულეს, ასევე, 50 „ტოიოტა ჰაილუქსის“ შეძენა მოსთხოვეს...

როგორც იტყვიან, „სე ლა ვი“...

იმისთვის, რომ მთავარ თემას არ ავცდეთ, ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ, როდესაც, დღეის მდგომარეობით, გოგი შევარდნაძე ყველაზე პოპულარულ ტაქტიკაზე გადადის და კრედიტორების წინაშე, რომელთა რაოდენობაც უკვე 500-ს აღწევს, თავს იმით იმართლებს, რომ მისი გაკოტრება „თიბისი“-ს ინტერესებშია...

ალბათ, ზოგიერთზე ამან ერთხანს იმოქმედა კიდეც. მაგალითად, „კოკა-კოლას“ დამფუძნებელი, თემურ ჭყონია ცოტა ხნის წინ აცხადებდა, რომ ის თავისი ქონებით ჩაუდგებოდა თავდებში გოგი შევარდნაძეს, თუმცა მოგვიანებით პოზიცია რატომღაც შეიცვალა:

– ხუთჯერ გა-

„რომ მაჩუქონ „გუდვილი“, არ მინდა, თავს შეურაცხყოფილად ჩავთვლი“

თიბისი ბანკი
TBC BANK

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გუდვილი“?

„არ მომწონს, ჩემს წინააღმდეგ რაღაცებს რომ ხლართავენ... ჰოდა, გადავწყვიტე, საქმეს ემოციებით არ უნდა მივდგომოდი“

ვუკეთე შეკრება კრედიტორებთან. დახლები ცარიელი ჰქონდა. აღარავინ აწვდიდა პროდუქტს. დავარწმუნე ისინი, ისევ გავაგრძელოთ თანამშრომლობა, რომ სული მოითქვას და ვალის დაბრუნება შეძლოს-მეთქი. დამიჯერეს. მაგრამ მერე სხვა ხმები გავრცელდა, რაღაც ინტრიგანობა დაიწყეს...

– ვინ?

– „გუდვილმა“... არ მომწონს, ჩემს წინააღმდეგ რაღაცებს რომ ხლართავენ... ჰოდა, გადავწყვიტე, საქმეს ემოციებით არ უნდა მივდგომოდი... შევუწყვეთ ხელი, რომ ადვოკატებს საქმე რეაბილიტაციამდე მიეყვანათ. კარგი ადვოკატები ჰყავს და ყველაფერი კარგად გააკეთეს. გოგიმ ეს უნდა გამოიყენოს. თუ სწორად გამოიყენებს, ყველასთვის კარგი იქნება, თუ ისევ ცუდად მოიქცევა, როგორც ადრე, მაშინ ეს არავისთვის იქნება კარგი და პირველ რიგში მისთვის.

– ახლა საქმე რეაბილიტაციის მმართველის შერჩევაზეა. როგორ ფიქრობთ, PKF-ის არჩევა ნიშნავს იმას, რომ რეალურად მართვას ისევ გოგი შევარდნაძე გააგრძელებს?

– ასეთი ხმები გამოვიდა, მაგრამ ეს, პირველ რიგში, გოგის არ უნდა უნდოდეს. ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ იმ მართვამ, რომელმაც აქამდე მიგვიყვანა, ისევ ისე გააგრძელოს ყველაფერი. თუ სწორი პროგრამა არ შეიქმნა, მევალეების უშველებელი არმიაა და რაღაც ზომებს მივიღებთ.

– თქვენი ვალი რამდენი აქვს შევარდნაძეს?

– 800 ათასამდე.

– თქვით, რომ „გუდვილის“ ინტრიგების გამო მხარდაჭერა გადაიფიქრეთ...

– დაიწყეს რაღაც ლაპარაკი, რომ თითქოს მე „თიბისი“-სთან ერთად ქონების წართმევა მინდოდა მისთვის. შეურაცხყოფილისა და დაჩაგრულის პოზიციაშია ახლა თითქოს... რომ მაჩუქონ „გუდვილი“, არ მინდა, თავს შეურაცხყოფილად ჩავთვლი. ამას სჯობს, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოაყალიბონ ნორმალური ბიზნესგეგმა. ბოლოს და ბოლოს, მარტო ხომ არ ვარ? ოჯახი მყავს, შვილიშვილები...

რაც შეეხება „გუდვილის“ მთავარ კრედიტორს, „პრაიმტაიმი“ „თიბისი ბანკის“ პოზიციას თავის მკითხველს მის ადვოკატთან, გიორგი ბათლიძესთან (იურიდიული კომპანია BLC) საუბრით გააცნობს:

– როგორ დაგროვდა „თიბისი ბანკისადმი“ „გუდვილის“ დავალიანება?

– ბანკი 2003 წლიდან ახორციელებდა „გუდვილის“ დაფინანსებას, მისი ქსელის შექმნასა და გაფართოებას. როდესაც მისმა დამფუძნებელმა, გიორგი შევარდნაძემ „მარშეს“ წარმოების აწყობა გადაწყვიტა, ისევ „თიბისი ბანკმა“ გამოუყო შესაბამისი დაფინანსება... დიდი ვალდებულებების წარმოშობა იმ არაერთმა უმსხვილესმა პროექტმა განაპირობა, რომლებსაც „გუდვილის“ მენეჯმენტი გაანალიზების გარეშე ახორციელებდა: „ჯი-მარტის“ განვითარების გზით კომპანიის ქსელის გაზრდა, ვაკეში „გუდვილისთვის“ შენობის შეძენა და არა ქირაობა, „მარშეს“ წარმოებაში გაუმართლებლად დიდი ინვესტიციის ჩადება, გოგი შევარდნაძის მიერ სხვა პარტნიორის წილის გამოსყიდვა...

სესხის დამტკიცება მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ხდებოდა. გვიან გაირკვა, რომ ბოლო წლებში „გუდვილი“ არასწორ ფინანსურ მონაცემებს აწვდიდა ბანკს, იმისთვის, რომ დაფინანსება მიეღო.

– ანუ ბანკს შეგნებულად ატყუებდა?

– დიახ, ისეთ მონაცემებში, რომლის გადამოწმებაც ბანკს ტექნიკურად არ შეეძლო - მარაგების ღირებულების, საოპერაციო ხარჯების და ა.შ. 2013 წლის 29 მარტს „გუდვილის“ დამფუძნებელმა ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრისას თავადვე აღიარა, რომ შეგნებულად ატყუებდა ბანკს. როგორც კი ყველაფერი გაირკვა, მაშინვე მოვთხოვეთ ფინანსური უწყისების წარმოდგენა... საეჭვოდ გაქრა 2012 წლამდე პერიოდის ფინანსური ინფორმაცია... შექმნილი მდგომარეობის ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ ბანკი მსესხებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადაიფორმებდა იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების ნაწილს. ამის შედეგად მას დავალიანება შეუმცირდებოდა, შესაბამისად, შემცირდებოდა სესხის მომსახურების ხარჯები და თანხების ბრუნვისასაც ნაკლები პრობლემა შეექმნებოდა. ეს ერთადერთი გზა იყო იმისთვის, რომ კომპანიას ფუნქციონირება გაეგრძელებინა.

– „გუდვილის“ ადვოკატი აცხადებს, რომ თქვენ აქტივები მიზერულ ფასად გადაიფორმეთ...

– აბსურდია და ამას ისიც ადასტურებს, რომ მაშინ ბანკმა ხელშეკრულებაში შეიტანა პირობა, რომ „გუდვილს“ ნებიერმიერ დროს შეეძლო იმავე ფასად გამოესყიდა ქონება, რა ფასადაც ბანკმა გადაიფორმა. ცნობისათვის, ჩვენ შეგვეძლო, ბანკის ხელთ არსებული ქონება გაცილებით მომგებიან კლიენტზე გაგვექირავებინა, მაგრამ ეს არ გაგვიკეთებია. ამჟამად ბანკი ფლობს აქტივს, რომელიც არაფერში სჭირდება და თუ მის გამოსყიდვას გადაწყვეტენ, სიამოვნებით განვიხილავთ ამ წინადადებას.

– თუმცა, „გუდვილი“ ბანკის სურვილს, ხელში ჩაიგდოს მისი ქონება, იმითაც ასაბუთებს, რომ თქვენ მხარს არ უჭერთ რეაბილიტაციის მმართველად PKF-ის არჩევას...

– რეალურად ასე არაა. ჩვენ არ დავეთანხმეთ PKF-ს მიერ წარმოდგენილ ხედვას, რომლის თანახმად, მისი უფლებამოსილებები ძირითადად აუდიტორული და საზედამხედველო საქმიანობით იყო შემოფარგლული. ეს ნიშნავს, რომ რეალურ გადაწყვეტილებების მიმღები ისევ პირადად გოგი შევარდნაძე დარჩებოდა. ამიტომ არ დაუჭირეს კრედიტორებმა მხარი PKF-ს. ჩვენი მიზანი არაა, რომ თიბისი ბანკის კანდიდატი გახდეს რეაბილიტაციის მმართველი. მთავარია რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებები სწორად იყოს განსაზღვრული და მან სრულად შეძლოს პროცესების მართვა. თუკი PKF „გუდვილის“ საქმიანობაზე სათანადო კონტროლს უზრუნველყოფს და გამორიცხავს „გუდვილის დამფუძნებლის თვითნებობას, ჩვენ მის კანდიდატურას მხარს დავუჭერთ. ჩვენი ეს პოზიცია კრედიტორებს უკვე გავაცანით კიდეც.

როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, მმართველის ვინაობა დღეს გახდება ცნობილი. ხოლო, რაც შეეხება მთავარ კითხვას – გაკოტრდება თუ არა „გუდვილი“? შეგვიძლია მოგახსენოთ: კომპანიის გაკოტრება იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მოვალე და კრედიტორი ვერ შეთანხმდებიან. პროცედურების თანახმად, მოვალის ქონება აუქციონზე გავა და მიღებული შემოსავლით კრედიტორების ვალი დაიფარება.

ამ ისტორიის დასასრულ კი, გოგი შევარდნაძის ფრთიან ფრაზასაც გაგაცნობთ, რომელსაც არცთუ იშვიათად „ისვრის“ მეგობრების წრეში: „თუ ბანკის მიმართ შენი ვალი მილიონია, ვერ დაიძინებ... და თუ 50 მილიონია, მაშინ ბანკი ვეღარ დაიძინებს...“

მთელი ამ ისტორიის ფაბულაც, ალბათ, ამ ფრაზაში შეგვიძლია დავინახოთ.

„გუდვილის“ დამფუძნებელმა ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრისას თავადვე აღიარა, რომ შეგნებულად ატყუებდა ბანკს“

„დიდი ვალდებულებების წარმოშობა იმ არაერთმა უმსხვილესმა პროექტმა განაპირობა, რომლებსაც „გუდვილის“ მენეჯმენტი გაანალიზების გარეშე ახორციელებდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზვიად სიჭინავა: „საქართველოში ნ

„სულ იყო საუბარი ქეცბაიას ხელფასზე და ვითხოვეთ, რომ ამაზე შიგნით, ფედერაციაში გვემუშავა. შევხვდით მინისტრს და ვუთხარით, რომ, თუ ქეცბაია ბიუჯეტის პრობლემა იყო, ამ პრობლემას ჩვენ მოვხსნიდით“

მაგდა კლდიაშვილი

2015 წლის იანვარში ზვიად სიჭინავას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ვადა ეწურება. ვადის ამოწურვამდე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა არაერთხელ მიანიშნა თუ პირდაპირ უთხრა მას, რომ პოსტი დაეტოვებინა, თუმცა სიჭინავამ „გულში ჩაიხედა“, ვერაფერი დაინახა და თანამდებობის დატოვებაზე, საკუთარი ნებით, უარი განაცხადა. რა არ მოსწონს ყიფიანს სიჭინავაში და იცნობს თუ არა სფფ-ს მოქმედი პრეზიდენტი მინისტრის მიერ მომზადებულ პროგრამას ფეხბურთის განვითარებაზე? საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ყიფიანის ბრალდებებს „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში პასუხობს.

– სამთავრობო შეხვედრებმა როგორ ჩაიარა, რა დაპირება მიიღეთ პრემიერისგან და რა პროექტებს განახორციელებთ, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად?

– პრემიერ-მინისტრს ექვსი პროექტი წარვუდგინეთ. ესაა კლუბების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა და შეგიძლიათ, თქვენც გაეცნოთ, ფედერაციის საიტზე დევს და დასამალი არაფერია, რომ არ იყოს კითხვები, რა საიდან აქვს ფედერაციას, ყველაფერი გარკვეულად წერია. ამ პროექტში ყველაფერია ჩადებული. მეორე პროექტი სტადიონების რეაბილიტაციას შეეხება. სახელმწიფოს დახმარებით, სამ სტადიონზე შეიცვალა საფარი და რეკონსტრუქცია მოხდა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები კი გააკეთებენ იმ დამატებით დეტალებს, რაც ჩემპიონატის ლიცენზირებისთვის არის საჭირო. მესამე საკითხი უეფას 2015 წლის სუპერთასს ეხება. სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებები აქვს აღებული. ამაზე იყო საუბარი და სწორედ ამ დღეს დაიგეგმა ნარმანიასთან შეხვედრაც. სამი პროექტი ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადაეცა და სწორედ მათთან ერთად განვახორციელებთ, მათ შორის ერთ-ერთი სწორედ სუპერთასია. კიდევ ერთი პროექტი, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ პრემიერს წარუდგინა, ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის მასპინძლობაა, რომელიც 2017 წელს უნდა ჩატარდეს. ამისთვის, უნდა მომზადდეს ოთხი სტადიონი – „დინამო არენა“, „მიხეილ მესხი“, რუსთავში „ფოლადის“ და გორში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონები. გარდა ამისა, სავარჯიშოდ „მცხეთა პარკისა“ და ნაკრების „ტექნიკური ცენტრის, „ბასას“ მოედნების გამოყენება მოხდება. მეხუთე პროექტი ტექნიკურ, ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებას ეხება, რომელიც უეფას სტანდარტებით გაკეთდება. ამისთვის გათვალისწინებულია აკადემიის მშენებლობა, რომელიც ნიჭიერი ბავშვებისთვის უფასო იქნება. მასობრივი ფეხბურთის განვითარება კი სფფ-ს მეექვსე პროექტია. პრემიერთან შეხვედრის შემდეგ დაიგეგმა, რომ საქართველოში, ფეხბურთის განვითარებისთვის, სპორტისა და განათლების სამინისტროები, ერთობლივად სკოლბურთის პროგრამას განახორციელებენ და მასში 6-დან 14 წლამდე მოსწავლეები ჩაერთვებიან.

– საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასის გადახდა საკუთარ თავზე აიღო. ეს იმით ხომ არ იყო განპირობებული, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო პერიოდულად აგვიანებდა სამწვრთნელო შტაბისთვის ხელფასის გადმორიცხვას?

– სახელმწიფოს არასდროს დაუგვიანებია მისი ხელფასი. ეს ტყუილია, მაგრამ ბოლო ბოლო პერიოდში სამინისტროს მხრიდან ბევრი განცხადება გაკეთდა ქეცბაიას ხელფასთან დაკავშირებით, რომ მათთვის მისაღები არ იყო ამ ფულის გადახდა და ეს გადაწყვეტილება ამიტომ მიიღეს.

– სამინისტრო ხომ ვალდებული იყო, დადებული კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები შეესრულებინა? რამდენიც არ უნდა ელაპარაკათ იმაზე, რომ არ მოსწონდათ, ვალდებულები ხომ იყვნენ, რომ შეესრულებინათ? და მაშინ რატომ შეხვედით ჩიხში?

– არ ვიცი. მათ თავიანთი პოზიცია ჰქონდათ და ჩვენ დავეთანხმეთ – ქეცბაიას ხელფასის გადახდა საკუთარ თავზე ავიღეთ.

– რისი დათმობის ხარჯზე გადაიხდით ქეცბაიას ხელფასს?

– აგიხსნით – არაფრის ხარჯზე. ჩვენ ნორმალური ორგანიზაცია ვართ, რომელიც ბიუჯეტს გეგმავს დეკემბერში. ზუსტად ვიცი რაოდენობა ადამიანებისა, ვინც ჩემთან მუშაობს, რაოდენობა თამაშების, რომელიც მელის, და ის ხარჯები, რაც იქნება. ჩემთვის პრიორიტეტად, ოთხი წლის წინათაც და დღესაც, რჩება ადამიანების ანაზღაურება. ყველასი – დაწყებული დამლაგებლიდან, დამთავრებული გენერალური მდივნით. თუ კომპანიას არ შეუძლია ხელფასის გაცემა დროზე, რაც კონტრაქტში უწერია, ის ვერასდროს მიაღწევს წარმატებას. ამიტომ, რაც პირველი გავაკეთეთ, დავგეგმეთ სახელფასო ფონდი, მწვრთნელებისა და ყველასი. სულ იყო საუბარი ქეცბაიას ხელფასზე და ვითხოვეთ, რომ ამაზე შიგნით, ფედერაციაში გვემუშავა. შევხვდით მინისტრს და ვუთხარით, რომ, თუ ქეცბაია ბიუჯეტის პრობლემა იყო, ამ პრობლემას ჩვენ მოვხსნიდით. ჩვენ გვაქვს ჩვენი ფული, სპონსორების, უეფასი, რაღაცებს ვგეგმავთ პერიოდულად. ვიცით, როგორ უნდა გამოვიყენოთ. იძულებულები ვიყავით, პრობლემა მოგვეგვარებინა. საქართველოში, ყველა ნაკრების მწვრთნელი ხელფასს სახელმწიფოსგან იღებს, გარდა ფეხბურთის ფედერაციისა. გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა მილიონნიანი საპრიზო ფონდი იმ შვიდი მილიონიდან, რომელსაც სფფ სახელმწიფოსგან იღებს. კლუბებთან შეთანხმებით, მოვილაპარაკეთ, რომ ამ 7 მილიონიდან, 2 მილიონ 400 ათასი ლარი კლუბებს გადასცემოდათ, მათი გასაჭირიდან გამომდინარე და ეს მათ, გათვლებით, მაისის ბოლომდე ეყოფათ. ეს ფული დავახმარეთ კლუბებს. ქეცბაიასთან კი გადაიხედა ყველაფერი. მას ახლა სხვა სისტემით ვუხდით ფულს. მასთან მოვილაპარაკეთ და გადახდა სამ ეტაპად იქნება. ბოლო ეტაპი მიმდინარე წლის 31 დეკემბერს დასრულდება. ყოველწლიურად, სფფ გადის რაღაც მოგებაზე, ჩვენ არ ვართ მათხოვარი კომპანია. სახელმწიფოს მოგების გადასახადს ვუხდით. დავგეგმეთ ქეცბაიას ხელფასი, მაგრამ ის იქნება 30%-ით ნაკლები, ვიდრე მანამდე ჰქონდა. ვიცი, დაწერენ ახლა, ხელფასი დააკლეს ქეცბაიასო, მაგრამ მართლა გასაჭირია დღეს და ასე გადაწყდა. წელს ერთი სტადიონი ამოვარდება და არ გაკეთდება. ამით, ვფიქრობ, ქეცბაიას პრობლემა ამოწურულია ფედერაციისთვის.

„ვიცი, დაწერენ ახლა, ხელფასი დააკლეს ქეცბაიასო, მაგრამ მართლა გასაჭირია დღეს და ასე გადაწყდა“

– ქეცბაია რამდენად გაგებით მოეკიდა ხელფასის 30%-ით შემცირებას?

– შექმნილი სიტუაციიდან და რეალობიდან გამომდინარე მოხდა ეს ყველაფერი და თემური გაგებით შეხვდა ამას.

– მაშინ, როდესაც ეროვნულ ნაკრებს არ აქვს შანსი ჯგუფიდან გასვლის და მესამე ადგილზეც ვერ გავდივართ, ხომ არ არის გადასახედი ნაკრების მთავარი მწვრთნელის ანაზღაურების სისტემის საკითხი? არ შეიძლება, ბონუსები დაწესდეს აღებული ქულების გათვალისწინებით?

– მართლა გეუბნებით, ამაზე ვფიქრობთ, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია. დარწმუნებული ვარ, რომ გავალთ ევროპაზე, საქართველო ამას შეძლებს. ჩვენც ხომ უნდა გაგვიმართლოს ჯგუფში. ნილისწყრა 23 თებერვალს არის და ვნახოთ, იმედი გვაქვს, რადგან გვახსოვს 1964 და 1981 წლები. საქართველოს დროც უნდა დადგეს.

„ამაზე ჩვენთან ფიქრიც კი არ ყოფილა. წერილი ქაღალდია და ის ყველაფერს იტანს. რაც წავიკითხე, ჩემთვისაც არ იყო სასიამოვნო, მაგრამ ეს იყო წერილი, რომელიც უკვე დაგვავიწყდა“

„ეედეგით – არა. ასჯერ ვთქვი და კიდევ ვიტყვი“

„სკანდალი ყოველთვის ცუდია. ემოციური ხალხი ვართ, ვამბობთ და მერე ვნანობთ. როცა ეს კონფლიქტები დაიწყო, თუ გახსოვთ, ერთი განცხადება გავაკეთე, სადაც ვთქვი, რომ ყველამ ერთმანეთში უნდა გაარკვიოს და საჯაროდ არ უნდა გაიტანოს“

– სპორტის სამინისტროს წერილი მისწერეთ, სადაც სთხოვთ, რომ იმ შვიდი მილიონიდან, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს, 2 მილიონ 400 ათასი ლარი უმაღლეს ლიგაში მონაწილე 12 კლუბს თანაბრად გადაუნაწილდეს, მაგრამ მოიხსნება საპრიზო ფონდი, გამოდის, რომ კლუბებს ფინანსური მოტივაცია აღარ ექნებათ ჩემპიონობისთვის საბრძოლველად და მათი მიზანი მხოლოდ ევროსაგზურის მოპოვება იქნება?

– ვფიქრობ, ყველაზე დიდი მოტივაცია, რომელიც კლუბს უნდა ჰქონდეს, ევროსარბიელზე, ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაა. არ არსებობს ამაზე დიდი პრესტიჟი არც კლუბის მეპატრონისთვის და არც ქართველი ფეხბურთელისთვის.

– იმის გათვალისწინებით, რომ ახლა თემურ ქეცბაიას ხელფასიც ფეხბურთის ფედერაციას დააწვა, საინტერესოა, რა აქტივებსა და ქონებას ფლობს სფფ?

– სფფ-ს აქტივში 107 მილიონი ლარის ქონება აქვს, მაგრამ თემურ ქეცბაიას ხელფასი ამაზე მიბმული არასდროს ყოფილა. ოთხი წლის განმავლობაში, რვა შესაძლებლობიდან, შვიდჯერ ელიტ-რაუნდზე გავე-

„ არ მინდა, ვინმე დავადანაშაულო. შეიძლება რამე გამომრჩა, ამნეზია მაქვს, მომთხოვეს და დამავიწყდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„არმატებულ ადამიანებს ვერ იტანენ“

EXCLUSIVE

„ლევან ყიფიანს ერთი პროგლემა აქვს და მას ზვიად სიჭინავა ჰქვია“

„თუ მარაზმს იძახის, ამას თავის სახელი აქვს – ზვიად სიჭინავა. ჩემი ეპოქაც დასრულდება“

„რა არ მოსწონს, ეს მას უნდა ჰკითხოთ. საერთოდ, წარმატებული ხალხი არავის მოსწონს“

„არის უკეთესი პროექტი? დაამტკიცონ, მთავარია, საქმე დაიწყოს. შეიძლება ორი პროექტიდან ერთი გამოვიდეს“

„მე წარმატებული ვიყავი ოცი წლის წინათ, ახლაც წარმატებული ვარ და ვიქნები კიდეც. სანამ აქ ვარ, ვიცავ აქაურ პოზიციას. წავალ - დავიცავ იმას, რასაც გავაკეთებ“

„ჩემი ფავორიტი არც ერთი არ იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ ფეხბურთიდან მივდივარ“

დით, ორჯერ – ევროპის ჩემპიონატზე. კლუბებს ამდენი რაღაცით ვეხმარებით და ეს ხარჯები, ნელინადში 5-6 მილიონ ევროზე მეტს არ შეადგენს. ეს ევროპაში წელინადში ერთი ფეხბურთელის ხელფასია, ჩვენ კი ამით ბევრ რამეს ვაკეთებთ აქ.

– ლევან ყიფიანი გწერდათ, რომ ფედერაციამ უნდა შეასრულოს მწვრთნელთან დადებული კონტრაქტის პირობები, მაგრამ ამავე დროს აცხადებდა, რომ ქვეყანას მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი არ სჭირდება. ეს ორი რამ გამორიცხავს თუ არა ერთმანეთს და იყო თუ არა სამინისტროს მხრიდან ზეწოლის მცდელობა, რომ მწვრთნელი შეგეცვალათ?

– ამაზე ჩვენთან ფიქრიც კი არ ყოფილა. წერილი ქაღალდია და ის ყველაფერს იტანს. რაც წავიკითხე, ჩემთვისაც არ იყო სასიამოვნო, მაგრამ ეს იყო წერილი, რომელიც უკვე დაგვავიწყდა.

– მინისტრი ასევე გწერდათ, რომ მისთვის და საზოგადოებისთვის უცნობი იყო, როგორ აფასებდით თემურ ქეცბაიას მუშაობას ნაკრებში. ქეცბაიას მუშაობით კმაყოფილი ხართ?

– შედეგით – არა. ასჯერ ვთქვი და კიდევ ვიტყვი.

– შედეგზე არ არის საუბარი, მის მუშაობაზე, ქეცბაიასთან კონფლიქტის გამო ნაკრები ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა.

– სკანდალი ყოველთვის ცუდია. ემოციური ხალხი ვართ, ვამბობთ და მერე ვნანობთ. როცა ეს კონფლიქტები დაიწყო, თუ გახსოვთ, ერთი განცხადება გავაკეთე, სადაც ვთქვი, რომ ყველამ ერთმანეთში უნდა გაარკვიოს და საჯაროდ არ უნდა გაიტანოს. ჩვენ არ ვყოფილვართ იმ პროცესებში ჩართული და ვერც ვიქნებოდით, რადგან ეს მწვრთნელის საქმეა.

– ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რა კრიტერიუმებითა და პრიორიტეტებით არჩევთ ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელებს.

– არც ერთი არ არის ჩემი ნათესავი და მეგობარი, ამაზე თავს დავდებ.

– მინისტრი გადანაშაულებთ, რომ რეგიონებში ფეხბურთის განვითარების პროექტი არ გაგაჩნიათ.

– სფფ აჭარასა და სამეგრელოში სამსაჯო პროგრამას ახორციელებს. რეგიონულ ფედერაციებს ვეხმარებით ადგილობრივი კადრების მომზადებაში, შარშან დაიწყო ეს პროექტი. გვინდა, რომ ადგილობრივები ემსახურებოდნენ რეგიონს. ვეხმარებით მათ ტურნირების ჩატარებაში, ვაფინანსებთ თასებს, როდესაც მათ ამის საშუალება არ აქვთ. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რეგიონებში ფეხბურთი განვითარდეს.

– ვიცი, რომ დიდი ხანია, ფეხბურთის განვითარების გეგმა გაქვთ შემუშავებული, თუმცა ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ, მოთხოვნის მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში თქვენგან ეს განვითარების პროექტი ვერ ნახა. ის პროექტი, რომელიც პრემიერ-მინისტრს წარუდგინეთ, პირველად როდის ნახა სპორტის მინისტრმა?

– საქმე ისაა, რომ ეს პროექტი შეფუთული და აკინძული არ გვქონდა. თუმცა შარშან, ოქტომბერში, გვქონდა შეხვედრა და იყო საუბარი ამაზე, ალბათ, ვერ მივიტანე მათთან შესაბამისად. არ მინდა, ვინმე დავადანაშაულო. შეიძლება რამე გამომრჩა, ამნეზია მაქვს, მომთხოვეს და დამავიწყდა.

– „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ სამინისტროს ფეხბურთის განვითარების პროექტი აქვს. თუ იყო პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას სამინისტროს პროექტზე საუბარი და თავად თქვენ თუ იცნობთ მათი განვითარების გეგმას?

– პირადად ჩემთვის, ამას ვამბობ ფედერაციის სახელით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენს პროექტს დაამტკიცებენ თუ სხვისას. მთავარი და მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო დაინტერესებულია და მზად არის, რომ გვერდში დაუდგეს ქართულ ფეხბურთს. არის უკეთესი პროექტი? დაამტკიცონ, მთავარია, საქმე დაიწყოს. შეიძლება ორი პროექტიდან ერთი გამოვიდეს. შეიქმნება ჯგუფი, როგორც პრემიერმა განაცხადა. რაც შეეხება ყიფიანს, მას აქვს გამოცდილება ფეხბურთში და პროექტიც ექნება, ალბათ.

– მინისტრი საბიუჯეტო თანხების რაციონალურად გადანაწილებასა და მწყობრი პოლიტიკის გატარებას გთხოვთ, რა არ მოსწონს მას თქვენს პოლიტიკაში?

– რა არ მოსწონს, ეს მას უნდა ჰკითხოთ. საერთოდ, წარმატებული ხალხი არავის მოსწონს.

– „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ ის მარაზმი, რაც დღეს ფეხბურთის ფედერაციაშია, უნდა დასრულდეს. რას გულისხმობდა მინისტრი?

– თუ მარაზმს იძახის, ამას თავის სახელი აქვს – ზვიად სიჭინავა. ჩემი ეპოქაც დასრულდება.

– წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, რომელიც სპორტის სამინისტრომ გამართა, საუკეთესო მენეჯერად რაგბის კავშირის პრეზიდენტი დაასახელეს. ამ ნომინაციაში თქვენ წარდგენილიც კი არ იყავით, თუმცა, თუ გასულ წელს თვალს გადავავლებთ, მინიმუმ, ნომინირებას იმსახურებდით. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი ლევან ყიფიანის თქვენს მიმართ სუბიექტური დამოკიდებულების გამო მოხდა?

– ამას ბატონი ლევანი აკეთებს? ეს შეკითხვა იმ ხალხს უნდა დაუსვათ, ვინც აფასებდა, რა კრიტერიუმები ჰქონდათ. რაგბის კავშირის პრეზიდენტს ვიცნობ, კარგად მუშაობენ, თხილამურებისა და სხვების – არ ვიცი. მაგათ უკეთესად იციან, ვინ რას აკეთებს და ამის მიხედვით გადაწყვიტეს.

– ვადის ამოწურვამდე კიდევ რა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას გეგმავთ, რომელი სტადიონების რეაბილიტაცია მოხდება?

– რაც ინფრასტრუქტურის მინისტრთან ვისაუბრეთ, წლის ბოლომდე, მინიმუმ, სამი სტადიონი უნდა გაკეთდეს. ესენია – მარტვილი, საჩხერე და ბოლნისი. ამ კვირიდან კიდევ ვიწყებთ პროექტს და ექსკლუზიურად გეტყვით. შევიძინეთ ტექნიკა, რომელსაც დავდებთ მანქანაზე, რეგიონებს მოვივლით, და სადაც მოედანს ვნახავთ, იქ ჩამოვსვამთ და ის გაასწორებს პროცედურულად იმ მოედანს. ამის გაკეთებას ყველგან ვაპირებთ. პროექტი კი 18 ათასი ლარი დაჯდა.

– თქვენი და ილია კოკაიას ურთიერთობაზე მინდა გკითხოთ. კულუარებში ამბობენ, რომ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი იმიტომ შემოგწყრათ, რომ გორგიაშვილის საქმესთან დაკავშირებით მას მოგებას დაჰპირდით. კლუბმა კი ფეხბურთელთან დავა წააგო. იყო თუ არა თქვენს შორის ამ თემაზე საუბარი?

– არ ყოფილა და არც მგონია, კოკაია პირადულად მერჩოდეს რამეს.

– ილია კოკაიამ საჯაროდ განაცხადა, რომ, თუკი თქვენ პრეზიდენტის პოსტიდან გადადგებოდით, ის კლუბში დაბრუნდებოდა, არ გერჩით პიროვნულად?

– ის არც წასულა. დიდი ხანია, არ მქონია მასთან ურთიერთობა. „ზესტაფონთან“ წერილებით ვურთიერთობდით აღნიშნულ საკითხზე და დღემდეც გვაქვს ურთიერთობა. ვფიქრობ, ეს თემა ჟურნალისტების გაბერილია.

– თქვენი პრეზიდენტობის ვადა 2015 წლის იანვარში იწურება, თუმცა კანდიდატები უკვე გამოჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანი თქვენი გუნდის წევრი, გენერალური მდივანი, რეზო არველაძეა. მან, შეიძლება ითქვას, უკვე დაიწყო მზადება არჩევნებისთვის. არაკორექტული ხომ არ არის მისი მხრიდან, ასე ნაადრევად, სანამ ჯერ კიდევ პოსტზე ხართ, აგიტაციის წარმოება?

– არ მგონია, არაკორექტული იყოს. ყველა ადამიანს რაღაც უნდა და თავად განსაზღვრავს დროს. ყველაზე მთავარი ამ ცხოვრებაში დროა. ვისაც აქვს შიში, რომ დროში ვერ ჩაეტევა, რაღაც უფრო ადრე უნდა დაიწყოს. ახლა მე ვარ პრეზიდენტი, ის გენერალური მდივანია. 2015 წელს უკვე კანდიდატი იქნება.

– პოსტის დატოვების შემდეგ თუ გეყოლებათ თქვენი ფავორიტი იმ სამი კანდიდატიდან – კობიაშვილი, არველაძე, ყაველაშვილი, რომლის სახელებიც ყველაზე ხშირად ისმის და რომლის გაპრეზიდენტებაც იქნებოდა თქვენი სურვილი?

– ჩემი ფავორიტი არც ერთი არ იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ ფეხბურთიდან მივდივარ.

– არანაირი ფორმით არ აპირებთ დარჩენას ფეხბურთში?

– წავალ იქ, სადაც ჩემი ადგილი იქნება. საქართველოში პრობლემა ის არის, რომ წარმატებული ადამიანები არ უყვართ, მათი ეშინიათ. მე წარმატებული ვიყავი ოცი წლის წინათ, ახლაც წარმატებული ვარ და ვიქნები კიდეც. სანამ აქ ვარ, ვიცავ აქაურ პოზიციას. წავალ – დავიცავ იმას, რასაც გავაკეთებ. ლევან კობიაშვილს ძალიან დიდ პატივს ვცემ, ორი წელი მომიწია ამ ბიჭთან თანამშრომლობა. რეზი არველაძე გენერალური მდივანია და 4 წელია, ამ კაცთან ვმუშაობ. ყაველაშვილი, მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი ლეგენდარული ფეხბურთელია და მე არც ერთ მათგანთან არ მაქვს პრეტენზია. ერთი წლით ადრე რომ ვთქვა, რომელიმეს გვერდში ვუდგავარ, აბსურდი იქნება. მოვიდეს დრო და ვნახოთ, რა იქნება.

– ფუტსალის ასოციაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, ბექა კვიციანმა სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფუტსალის ნაკრების თავკაცად თქვენ ერთწლიანი ხელშეკრულება ისევ ავთანდილ ასათიანს გაუგრძელეთ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ ისე გქონდათ დოკუმენტზე ხელი მოწერილი, თითქოს საქმის კურსში არ იყავით, რა მოხდა სინამდვილეში?

– თქვენი მეშვეობით ბექა კვიციანს ვეტყოდი, თუ შეიძლება, გაასწოროს ის დავალიანება, რომელიც არსებობს და ჭორებს დაანებონ თავი.

– ის დავალიანება, რაც არსებობს, ამჟამინდელი პრეზიდენტის, ვახტანგ წერეთლის მემკვიდრეობაა?

– აბა, რა! არავის შევარჩენ, ვინც არ უნდა იყოს. ხომ მოვიდა და ჩაიბარა, მოსთხოვოს ყველას, ან თვითონ გადაიხადოს. ასე ვიყავი მეც, მოვედი და როდესაც ვერავის მოვთხოვე, ჩემით დავდე ყველაფერი. როდესაც სადმე მიდიხარ, შენ უნდა გააკეთო, შენი ვალდებულებაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოუხსნიან თუ არა იმუნიტეტს გოგი თოფაძეს?

როგორ დაბლოკა დეპუტატმა სოჭის ოლიმპიადაში იასონ აბრამაშვილის „მედროშეობა“?



EXCLUSIVE



GSF Georgian Ski Federation

L/Adm No 013/01.13

2013 წლის 23 იანვარი

ცნობა

ცნობა ეძღვნება იასონ აბრამაშვილს (პირადი №11001005225) მის'ხედ, რომ იგი ნამყოფად არის საქართველოს სამთო-მოთხილამურეთა ეროვნული საკრებულ. წევრი. იასონი ერთ-ერთი წამყვანი გიგი მოთხილამურეა, რომელიც 2007 წლიდან დღემდე საქართველოს სახელით მონაწილეობას იღებს ზამთრის სეზონის პერიოდში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით გამართულ შეჯიბრებებსა და ტურნირებში პროფესიონალურ მოთხილამურეთა (FIS), კალეტურ (CIT), ევროპასა (EC) და მსოფლიო თასის (WC) გაიმართებში, რის გამოც მას სშირად უწევს საქართველოს ფარგლებს გარეთ მგზავრობა ეროვნულ სავარჯიშო შეჯიბრებსა და ზამთრის საშეჯიბრო სეზონის განმავლობაში.

2008 წლის 4 და 5 დეკემბერს იასონ აბრამაშვილი ამყოფებოდა იტალიის სათხილამურო კურორტ ხდეკეი ვალ გარდენაში, სადაც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) შეჯიბრებებში, კერძოდ სლალომში (ოსიდეი დანარი).

ცნობა ეძღვნება საჭიროების მიხედვით წარსადგენად.

საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ადმინისტრაციული მდივანი

გიორგი ცაცანაძე

Georgian Ski Federation
Ilia Chavchavadze Ave. Tbilisi 0162 Georgia Tel: +995 32 2253581/2/3 Fax: +995 32 2253584 E-mail: info@gsf.ge

მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, სოჭში წასული ოლიმპიური ნაკრების მედროშის ტიტული მოთხილამურე ნინო წიკლაურს ერგო. კომიტეტის ეს გადაწყვეტილება კითხვებს არც გააჩენდა, რომ არა დეპუტატ გოგი თოფაძის უნებლიე აღიარება, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ნაკრების წევრის, იასონ აბრამაშვილის მედროშეობის საკითხი, პირადად დეპუტატმა დაბლოკა. რატომ? საქმე ის გახლავთ, რომ აბრამაშვილებსა და თოფაძეს შორის ბაკურიანში სადავო მიწის ნაკვეთზე ცხარე სამართლებრივი დავა მიმდინარეობს. ოლიმპიური ნაკრების წევრი დეპუტატს, დოკუმენტაციის გაყალბების გზით, მისი ქონების მისაკუთრებაში ადანაშაულებს. სანამ აბრამაშვილის ადვოკატის პოზიციას გაგაცნობთ, მოდით ვნახოთ, რას ამბობს თავად გოგი თოფაძე აბრამაშვილებთან დაპირისპირების შესახებ.

„ეს საქმე გადაცემულია სასამართლოზე და ძალიან მალე მიიღებს ის შედეგს. ცოტა ხანში გაიგებთ, ვინ არის მართალი და ვინ – მტყუანი... ძალიან კარგად გაიგებთ ყველაფერს. პროკურატურაში, სადაც საქმე არის აღძრული... იასონ აბრამაშვილი ჩვენი სპორტსმენი იყო. მე, როგორც იცით, ფედერაციის პრეზიდენტი ვიყავი. ვეხმარებოდი, ვინახავდი მას, გადიოდა „ზბორებზე“, მერე მამამისმა აიძულა, რომ მსგავსი პასკვილი გაეკეთებინა, იმიტომაც ვერ მიაქვს დროშა ოლიმპიურ თამაშებში. ის პასუხისგებაშია მიცემული. მაგის საქმე ძიებაშია. იმის გამო, რომ არაერთხელ მოიტყუა ტელეეთერით, მოუწევს პასუხისგებაც. საქართველოს დროშას ეგ ვეღარ წაიღებს, რადგან მალე მოედავებიან და პასუხი უნდა აგოს. მას ვიღაც კარნახობს, რა თქვას“, – ამბობს გოგი თოფაძე.

ადვოკატი: „იმის გამო ვერ წაიღო დროშა ამ წარმატებულმა სპორტსმენმა სოჭის ოლიმპიადაზე, რომ ის დაპირისპირებულია საქართველოს პარლამენტის წევრთან“

თოფაძის ამ განცხადების შემდეგ ჩვენ აბრამაშვილების ადვოკატს გაგი მოსიაშვილს დავუკავშირდით. მან გადმოგვცა კონკრეტული დოკუმენტაციაც, რომლის მიხედვითაც, ადვოკატის მტკიცებით, ნათელი ხდება სანოტარო აქტისა და ნასყიდობის ხელშეკრულების გაყალბების ფაქტი. ადვოკატი საგამოძიებო ორგანოებს ეფექტური გამოძიებისკენ მოუწოდებს და იმ შემთხვევაში, თუ გაყალბების ფაქტი დადასტურდა, შესაძლოა, დეპუტატ გოგი თოფაძეს იმუნიტეტი მოეხსნას და მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

გაგი მოსიაშვილი, ადვოკატი:

– აბრამაშვილებისა და თოფაძეების ოჯახი 2006 წლიდან დაბა ბაკურიანში ახორციელებდნენ სპორტული კომპლექსის მშენებლობას. ეს ფაქტი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ისინი იყვნენ ბიზნესპარტნიორები. შპს-ში, რომელიც ამ ორი ოჯახის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს 50-პროცენტიანი წილი იასონ აბრამაშვილს ეკუთვნოდა, რომელიც დღეს საქართველოს სახელით გამოდის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, 50 პროცენტი კი ბატონ გოგი თოფაძის შვილის, ირაკლი თოფაძის იყო. მოხდა გარკვეული ინვესტიციის ჩადება. ინვესტირების ჩადება 2011 წლამდე ხდებოდა აბრამაშვილების მიერ. საკმაოდ სოლიდური თანხაა გაღებული ამ მიზნით. საბოლოოდ, ვითომ გაფორმდა წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რა დროსაც იასონ აბრამაშვილმა თითქოს საკუთარი წილი გადაუფორმა მთლიანად გოგი თოფაძეს და ირაკლი თოფაძეს. საინტერესოა ის, რომ წილის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია 2008 წლის 4 დეკემბერს, როგორც ეს სანოტარო აქტიდან ირკვევა. საქმე ისაა, რომ ამ დროს იასონ აბრამაშვილი ფიზიკურად საქართველოში არ იმყოფებოდა და ვერც ვერანაირ წილს ვერ გაასხვისებდა. ჩვენ გვაქვს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ 2008 წლის 4 დეკემბერს იასონი შეჯიბრებაზე იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ, იტალიაში. ეს დასტურდება, როგორც ოლიმპიური კომიტეტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, ასევე საზღვრის კვეთის დოკუმენტით. მეტიც, ნასყიდობის ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს 2008 წლის 4 აგვისტოს პარტნიორთა კრების ოქმი, რომლის საფუძველზეც ვითომ იასონ აბრამაშვილი გადის პარტნიორობიდან. მნიშვნელოვანია, რომ იასონ აბრამაშვილი არც ამ პერიოდში იმყოფებოდა საქართველოში, რასაც ასევე ადასტურებს საზღვრის კვეთის ცნობა. ამ ცნობით ირკვევა, რომ მას საზღვარი გადაკვეთილი აქვს ივლისში და საქართველოში დაბრუნდა 19 აგვისტოს. შესაბამისად, იასონ აბრამაშვილი 4 აგვისტოს ვერანაირად ვერ დაესწრებოდა პარტნიორთა კრებას. ცალსახაა, რომ სანოტარო აქტის შედგენის დროს ის საქართველოში არ იმყოფებოდა. 2008 წლის 4 აგვისტოს სანოტარო აქტზე ხელმოწერის გრაფაში „აბრამაშვილის“ ნაცვლად, ხელი აქვს მონერილი „აბრამიშვილს“. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, იასონს საკუთარი გვარი შეეშლებოდა ხელმოწერის დროს და აბრამაშვილის ნაცვლად აბრამიშვილს ჩაწერდა?

– გამოძიება რა ეტაპზეა?

– მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს დოკუმენტაცია პროკურატურას წარვუდგინეთ, გამოძიება დუმს და აშკარა უმოქმედობით გამოირჩევა. ორი წელი გავიდა და არანაირი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა. ფაქტია, რომ გამოძიება ჭიანურდება და ეს ხდება დეპუტატ გოგი თოფაძის ინტერესების სასარგებლოდ. დანარჩენი თქვენმა მკითხველმა განსაჯოს.

– იმ შემთხვევაში, თუ აბრამაშვილების ინტერესი დაკმაყოფილდა, ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება კონკრეტულად?

– ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სავარაუდო დოკუმენტების გაყალბებას. ეს ფაქტი უნდა დადასტურდეს გამოძიების მიერ. ამ შემთხვევაში შესაძლოა, დადგეს თოფაძეების წარმომადგენლის პასუხისმგებლობა, მათ შორის ირაკლი და გოგი თოფაძეების.

– გოგი თოფაძემ სოჭის ოლიმპიადაზე მედროშეობის საკითხიც ახსენა. თუ იცით მისი ეს პოზიცია?

– დიახ, მე გავეცანი მის ამ განცხადებას. ამგვარი სახის განმარტება ობიექტურ დამკვირვებელს შეუქმნის შთაბეჭდილებას, რომ იმის გამო ვერ წაიღო დროშა ამ წარმატებულმა სპორტსმენმა სოჭის ოლიმპიადაზე, რომ ის დაპირისპირებულია საქართველოს პარლამენტის წევრთან. ეს ცალსახადაა განმარტებული გოგი თოფაძის ამ განცხადებაში. არასწორია ინფორმაცია, რომელსაც გოგი თოფაძე ავრცელებს, თითქოს იასონ აბრამაშვილი პასუხისგებაშია მიცემული. ეს არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან გამოძიება საერთოდ არ არის დაწყებული.

გოგი თოფაძე: „მამამისმა აიძულა, რომ მსგავსი პასკვილი გაეკეთებინა, იმიტომაც ვერ მიაქვს დროშა ოლიმპიურ თამაშებში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სახელმწიფო და ეკლესია

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

რა საფრთხეები არსებობს იმისთვის, რომ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების დოკუმენტს ხელი არ მოაწეროს? რისკების შესახებ ბიძინა ივანიშვილმაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გარკვეული ძალები არსებობენ, თუმცა ისინი ვერაფერს შეძლებენ. ექსპერტებმა მაშინვე თქვეს, რომ ეს გარკვეული ძალები რუსეთთან არიან დაკავშირებული. ზოგი მათ პოლიტიკურ სპექტრში ეძებს, ზოგიც – ეკლესიაში. უკვე ღიად დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ გარე ძალას ეკლესიაშიც შეუძლია ერთი-ორი მომხრე იპოვოს და ევროინტეგრაციის საწინააღმდეგო აქციებისკენ მოუწოდოს მრევლს.



ნანა ჩაჩუა: „17 მაისი იყო ერთეული პერსონების მიერ გამოვლენილი ქმედება. ეს არც ქართული მოსახლეობის, არც ქართული ეკლესიისა და არც ქართული კულტურის გამოვლინება არ ყოფილა. ამიტომ აღმოჩნდა ეს მოვლენა მიუღებელი ქართველი ხალხისთვის და ეკლესიისთვისაც“

დავით ზურაბიშვილის განცხადებით, ეკლესია ყოველთვის იყო რუსეთის მთავარი დასაყრდენი ძალა.

ამ თემის შეფასებებისგან საზოგადოების უდიდესი ნაწილი თავს იკავებს. ეკლესიაზე და მით უფრო ხელისუფლებასთან დაპირისპირებაზე საუბარი ხმამაღლა არავის სურს. დაახლოებით ათი რესპონდენტიდან ნახევარზე მეტმა თემის ხსენებისთანავე უარი თქვა ინტერვიუზე. თავის გასამართლებელი პასუხი ბევრნაირი იყო, მათ შორის ასეთიც: მე რომ ის ვთქვა, რასაც გულწრფელად ვფიქრობ ეკლესიაზე, ჩამქოლავენ, ამიტომ მირჩევნია, საერთოდ გავჩუმდე... ყველა მათგანი პროცესის გაგრძელებას ელოდება. დარწმუნებულები არიან, რომ ის აუცილებლად იქნება... დანარჩენები კი ზომიერი შეფასებებით შემოიფარგლნენ.

მამუკა გამყრელიძე, ყოფილი ელჩი:

– თავს შევიკავებდი ეკლესია-ხელისუფლების თემაზე საუბრისგან, რადგან დღეს ეკლესია წარმოადგენს ძალიან ძლიერ სტრუქტურას. ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში და იმედს ვიტოვებ, რომ ეკლესიის მესვეურებს ეყოფათ სიბრძნე, მაქსიმალურად შეიკავონ თავი მძაფრი გამონათქვამებისგან, რადგან მსგავსმა გამონათქვამებმა შეიძლება არასასურველი შედეგები გამოიწვიოს. 17 მაისი, ვფიქრობ, საკმარისი იყო იმისთვის, რომ ეკლესიას თავისი ძალა ეჩვენებინა ხელისუფლებისთვის. მთავრობა, მგონი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეკლესია კმაყოფილი იყოს, დაფინანსებით დაწყებული... ამის იქით ვფიქრობ, რომ არც ერთი მხარე არ გადადგამს დაძაბვისკენ ნაბიჯს.

– თავად უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ რუსეთის ისტორიაში ნებისმიერ ეტაპზე ეკლესია სერიოზული დასაყრდენი იყო...

– ყველა ადამიანს თავისი ინდივიდუალური შეხედულებები აქვს. ეკლესიას ნუ გავაიგივებთ პოლიტიკასთან. დავით ზურაბიშვილი ძალიან კარგი ადამიანია და მე მას მეგობრულად ვურჩევ, რომ არ ღირს ამ თემების განხილვა.

თემა მაინც განიხილება. ეს, ალბათ, უკვე მოწმობს იმას, რომ ტაბუდადებული საკითხები არ არსებობს. ფსიქოლოგი, ნანა ჩაჩუა ოპტიმისტთა მხარეს მიეკუთვნება. მიიჩნევს, რომ დაპირისპირება და მით უფრო რუსეთის გეგმის განხორციელება საქართველოში გამორიცხულია... თემის პროპაგანდას კი მედიას აბრალებს.

ნანა ჩაჩუა, ფსიქოლოგი:

– ორივე მხარეს აქვს თავისი თამაშის წესები. ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ, თუ მოხდება არსებული ვითარების, ქვეყნის მიზნების გათვალისწინება, პოლიტიკა შესაძლებელია გონივრული აღმოჩნდეს. რამდენად შეიძლება პოლიტიკურად დაინტერესებულმა სუბიექტებმა ეკლესია ბერკეტად გამოიყენონ? – შემიძლია ვთქვა, რომ ეს, ალბათ, ასეც მოხდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ეკლესიას, ამ მხრივ, დიდი გამოცდილება აქვს. მას ძალიან ხშირად რთავდნენ პოლიტიკურ თამაშებში. ეს ხდებოდა არა საკუთარი ნებით. სწორედ ასეთმა გამოცდილებამ მისცა ეკლესიას საშუალება, მანევრირება ესწავლა. ეკლესიას ისტორიულად დაუგროვდა მანევრირების გამოცდილება. ეს არის სტერეოტიპი თვითგადარჩენისა და თვითგანვითარების გზაზე. ბუნებრივია, გარეთა ძალები დაინტერესებულები არიან ქართულ პოლიტიკაში ჩარევით, სურთ ქართულ რეალობაში ცვლილება შეიტანონ თავიანთ სასარგებლოდ, თუმცა ქართული ეკლესიის განწყობა არის მყარ გამოცდილებაზე დაფუძნებული, ამიტომ მათი შანსები დაბალია.

– როდესაც მანევრირების გამოცდილებაზე საუბრობთ, ამ მოსაზრებას რამდენად გააბათილებს თუნდაც მხოლოდ 17 მაისის გახსენება?

– ერთეული შემთხვევები არასოდეს ნიშნავს საერთო ტენდენციას. ერთეული შემთხვევების განზოგადება ვერ გახდება პასუხის გამცემი ამა თუ იმ მოვლენაზე. 17 მაისი იყო ერთეული პერსონების მიერ გამოვლენილი ქმედება. ეს არც ქართული მოსახლეობის, არც ქართული ეკლესიისა და არც ქართული კულტურის გამოვლინება არ ყოფილა. ამიტომ აღმოჩნდა ეს მოვლენა მიუღებელი ქართველი ხალხისთვის და ეკლესიისთვისაც. მაშინ პატრიარქმა მხოლოდ ლოცვისკენ მოუწოდა ხალხს. იგივე შემიძლია გითხრათ ერთეული მღვდლის, ან ერთეული მოქალაქის პოზიციის შეფასებისას. თქვენ მკითხეთ მამა დავით ისაკაძის ქადაგებაზე, ეს არ არის არც ქართული ეკლესიის და არც ქართველი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი. განზოგადება არ უნდა მოვახდინოთ. საერთოდ კი, ამ ძალაუფლების მიმნიჭებელი ხშირად მედია ხდება ხოლმე, ისევე როგორც სახელის დარქმევაში. ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ რას დავარქმევთ ამ მოვლენას. სახელის დარქმევაში კი მედიას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის.

კონკრეტულ სახელს არქმევს ამ მოვლენას თამარ ჩხეიძე. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარის განცხადებით, ეკლესიას ხელისუფლებები ისტორიის ყველა ეტაპზე ებრძოდნენ. მისი თქმით, არც ივანიშვილის გუნდი იქნება გამონაკლისი, მით უფრო ახლა, როცა პატრიარქს ასეთი რეიტინგი აქვს...

თამარ ჩხეიძე:

– ეკლესია რუსეთის ერთ-ერთი სამზნეა. ამის მიზეზი ძალიან მარტივია – პატრიარქს ყოველთვის მტკიცე პოზიცია უკავია ძირითად საკითხებთან მიმართებაში. ეს არის ორი მნიშვნელოვანი თემა: ტერიტორიული მთლიანობა და ოკუპირებული ტერიტორიები. ამის გამო ქართული ეკლესია და პატრიარქი რუსეთს ყელში ეჩხირება. მართალია, ისინი აგრესიას ასე პირდაპირ არ გამოხატავენ, მაგრამ სინამდვილეში მათთვის ძალიან საშიში და მიუღებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პატრიარქს ასეთი სერიოზული გავლენები აქვს. აქედან გამომდინარე, ეკლესია რუსეთის მხრიდან შეტევის საგანი გახდება აუცილებლად. ეკლესიას ორი მიმართულებით უტევენ, სინამდვილეში ორივე რუსეთიდან იმართება, მაგრამ ფორმა აქვთ განსხვავებული: ათეისტური პოზიციიდან – სამწუხაროდ, აქ ოპოზიციის ნაწილია წარმოდგენილი, სამწუხაროდ იმიტომ, რომ მათი საგარეო კურსი ჩემთვის ძალიან მისაღებია და ცუდია, რომ მათ ასეთი პოზიცია უჭირავთ ეკლესიასთან მიმართებაში.

– ნაციონალებს გულისხმობთ?

– ნაციონალების ნაწილს ვგულისხმობ და არამარტო ნაციონალების ნაწილს, „ოცნების“ ნაწილსაც ვგულისხმობ.

თავად უმრავლესობის ნარმომადგენლებს შეთქმულების თეორიების, როგორც წესი, არ სჯერათ. ისინი, ასევე, გამორიცხავენ რუსეთის გავლენას ქართულ პოლიტიკაზე. მაგალითად, ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ქართველები პატრიოტები არიან და შეთანხმდებიან, რომ ქვეყანას დასავლეთი სასიცოცხლოდ სჭირდება, ამ აზრს თითოეული მოქალაქე გაიზიარებს და დაიცავს. ეს, ალბათ, უფრო რომანტიკული შეფასებაა, თუმცა აზრის გასამყარებლად ბერძენიშვილს, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ფეხბურთის მაგალითი მოჰყავს.

ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– თუ საქართველოს სჭირდება ევროპა, მაშინ ყველას სჭირდება ევროპა. ამ მხრივ, საქართველოში ყველა პატრიოტია. ჩვენ რომ ევროპას კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებდეთ, მაშინ მსოფლიო ჩემპიონატზე გაცილებით ადვილად მოვხვდებოდით ევრაზიის შემადგენლობიდან, ვიტყოდით მაინც, აზიაში ვართ და 2014 წელს ნავიდოდით ბრაზილიაში, ერთ გოლს მაინც მოვუტანდით ქვეყანას და პატარა გამარჯვებას. მაგრამ ჩვენ გვინდა, რთულ გზას დავადგეთ და ისე მოვხვდეთ მსოფლიო ჩემპიონატზე. ეს ისეთი უტყუარი რამ არის, რომლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაც არ ღირს. ევროპას მოსახლობის 80% უჭერს მხარს, ფეხბურთს კი საქართველოს მოსახლეობის 92% გულშემატკივრობს და ასეთ მნიშვნელოვან მომენტშიც კი არ დავაყენეთ ევროინტეგრაცია კითხვის ნიშნის ქვეშ. საქართველოსთვის ასოცირების ხელმოწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, ხელმოწერა აუცილებლად შედგება. იმის გადაჭრით თქმა, რომ ვინმეს საქართველოში რომელიმე ინსტიტუცია ჯიბეში ჰყავს, არასწორი იქნება და არც მგონია, რომ რომელიმე პოლიტიკოსი, პოლიტიკური პარტია ან საზოგადო მოღვაწე ვინმეს ჩანერგილი ჰყავდეს სადმე. სხვა ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის გაცილებით ნაკლები პროცენტი უჭერდა მხარს ევროინტეგრაციას, პროცესები მაინც ვერ შეაფერხეს, მით უმეტეს ამას ვერ იზამენ საქართველოში, სადაც დასავლეთის მომხრე 80-90%-ია.

– ბიძინა ივანიშვილის შეფასებამ პატრიარქზე ხმაური გამოიწვია...

– ეს არის კერძო შემთხვევა, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი აზრი ღიად გამოთქვას, დააფიქსიროს, მით უფრო საზოგადოებრივ სექტორში მყოფმა. ამას არავითარი კავშირი ევროინტეგრაციასთან, ევროპასთან და რუსეთთან არ აქვს. თუ ვინმეს მაინცდამაინც სურს ამ კავშირის დანახვა, ერთს ვეტყოდი, არავის არ ვურჩევდი საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ წასვლას, არც საკუთარ და არც სხვა რომელიმე პარტიას...

– ამ კერძო მოსაზრებას სასულიერო პირებმა შეფასება მისცეს, მამა დავით ისაკაძემ საკუთარ ქადაგებაში პირდაპირ მიმართა ყოფილ პრემიერს...

– არ ვიცი, არ ვუსმენ ქადაგებებს, სხვა საქმით ვარ დაკავებული, თავად ვკითხულობ ლექციებს... თუმცა ვერ ვხედავ ამაში პრობლემას და ვერც პასუხს გავცემ არაპოლიტიკოსის პოლიტიკურ განცხადებებს. არც ვიცნობ ამ განცხადებას და არც გავეცნობი არასოდეს. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ უნდა გავეცნო პოლიტიკური პარტიების ყველა განცხადებას. მე ვსწავლობ, რას ამბობს ჯონდი ბაღათურია, ვსწავლობ კახა კუკავას გამონათქვამებს და ახლა კიდევ ანაფორიანი პოლიტიკოსების გამონათქვამებს ვერ შევისწავლი. იმანაც არ უნდა შეისწავლოს პოლიტიკოსის აზრები. პოლიტიკა და ეკლესია გაყოფილია. შეიძლება ქართველები ყველა მნიშვნელოვან პრინციპს ვერ ვიცავთ, მაგრამ ამას ნამდვილად ვახერხებთ. ამ ძირითად წესებს საქართველოში პოლიტიკაც იცავს და ეკლესიაც. ცალკეული გამოხტომები ორივე მხრიდან შეიძლება იყოს, მაგრამ მთლიანობაში ეკლესია არ ჩაერთვება იმ საქმეებში, რომელშიც არ უნდა ჩაერთოს. ასევე, უნდა მოიქცეს პოლიტიკაც, გაყოფა ნიშნავს გაყოფას.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თენგიზ პაჭკორიას მშვიდობიანი პროტესტი

„ჩამოვიდოდი იმისთვის, რაც გავაკეთე - ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე, აღვმართავდი საქართველოს დროშას და წარწერას - Georgia – Sokhumi. მქონდა ამის უფლება, როგორც მოქალაქეს, როგორც ჟურნალისტს“

მაგდა კლდიაშვილი

სოჭის ზამთრის ოლიმპიადის ოფიციალური გახსნის ცერემონიალზე სოხუმიდან დევნილი ჟურნალისტი, თენგიზ პაჭკორია, ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც, მშვიდობიანი ფორმით, ტრიბუნაზე აქცია გამართა და რუსეთისა და სხვა ქვეყნების პირველსა და მეორე პირებს დაანახვა ბანერი, წარწერით - **Georgia – Sokhumi.** პაჭკორია იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც გაბედა ის, რაც მთელ საქართველოს სურდა და სხვებმა ვერ გაბედეს. რა დააბარა ამერიკის ელჩმა რუსეთში ქართველ სპორტსმენებთან ჟურნალისტს და შეხვდა თუ არა თენგიზ პაჭკორია ვლადიმერ პუტინს - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ თენგიზ პაჭკორიასთან.

- ბევრი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, საქართველომ სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება მაინც გადაწყვიტა. თქვენ ხართ დევნილი ჟურნალისტი აფხაზეთიდან, როგორ აფასებთ ქართველი სპორტსმენების მონაწილეობას ოლიმპიადაში?

- ჩემი აზრი, საქართველოს და ქართველი სპორტსმენების მონაწილეობა-არმონაწილეობასთან დაკავშირებით, არაერთხელ გამოვთქვი შარშან მედიის საშუალებით. არსებობდა და არსებობს ორი საპირისპირო აზრი. საზოგადოების ნაწილი თვლიდა, რომ ქართველი სპორტსმენების მონაწილეობა საჭირო იყო სოჭის ოლიმპიადაში და ამის არგუმენტებიც მოჰყავდათ, მეორე ნაწილი კი ამას მხარს არ უჭერდა, ორივე პოზიციას ჰქონდა თავისი არგუმენტები. 4 თებერვალს, სოჭში ოლიმპიური დელეგაციის პირველი ჯგუფი ჩავიდა. ამერიკელმა, გერმანელმა, უკრაინელმა, რუსმა ჟურნალისტებმა პირდაპირ აეროპორტში დაგვისვეს შეკითხვები, ვინ იყო მომხრე და ვინ წინააღმდეგი ქართველი სპორტსმენების სოჭში ჩამოსვლისა. ავუხსენი მათ, რომ იყო ორი აზრი. რეფერენდუმი და პლებისციტი ამ საკითხთან დაკავშირებით არ ჩატარებულა. იყო ტელედებატები, აქციები, გამოსვლები და საბოლოო ჯამში, გადაწყდა, რომ ქართველი სპორტსმენები სოჭში წასულიყვნენ. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო საქართველოს და წავიდოდა თუ არა სპორტული დელეგაცია სოჭის ოლიმპიადაზე, მე, როგორც ჟურნალისტი, მაინც წამოვიდოდი, იმისთვის, რომ გაეშუქებინა ეს ოლიმპიადა არა მარტო ქართული, არამედ უცხოური მასმედიისთვის და აუცილებლად ჩამოვიდოდი იმისთვის, რაც გავაკეთე - ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე, აღვმართავდი საქართველოს დროშას და წარწერას - Georgia – Sokhumi. მქონდა ამის უფლება, როგორც მოქალაქეს, როგორც ჟურნალისტს. ვერ დავიწყებ რომელიმე პოზიციის ლანძღვა-გინებას. ორივე აზრს თავისი წონა და არგუმენტაცია აქვს. იმ ფაქტმა, რომ მიუხედავად დიდი პოლემიკისა, ქართულმა სპორტულმა დელეგაციამ მაინც მიიღო მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში და ჩამოვიდა სოჭში, საერთაშორისო და სპორტული საზოგადოების წინაშე უფრო მეტი წონა მისცა საქართველოს სპორტული დელეგაციის ჩამოსვლას. ერთ მაგალითს მოგიყვებით, 6 თებერვალს, ადლერის ოლიმპიურ სოფელში, ტრადიციული დროშის აღმართვის ცერემონიალი იყო. მისი დაწყების წინ, ქართული დელეგაცია გასული იყო პლაცზე, მე შესაბამის კონტროლს გავდიოდი. ვიყავი ოლიმპიური ნაკრების ქურთუკში, რომელიც თავად შევიძინე, მოვიდა ჩემთან ამერიკის ელჩი რუსეთში, მაიკლ მაქფოლი, ხელი ჩამომართვა. მკითხა, საქართველოდან ხართო, მე ამერიკის ელჩი ვარ რუსეთში, თქვენი წარწერა დავინახე. უცებ გადავამოწმე იყო თუ არა ნამდვილად ელჩი - დავხედე მის სააკრედიტაციო ბარათს, სხვებმაც დამიდასტურეს და ვუთხარი, გისმენთ, ბატონო ელჩო-მეთქი. მითხრა, გადაეცით ქართველ სპორტსმენებს, რომ ძალიან კარგია, რომ სოჭის ოლიმპიადაზე ჩამოვიდნენო. ამის შემდეგ ისევე უცებ გაქრა, როგორც გამოჩნდა. მისი დანაბარები ჩვენს დელეგაციას გადავეცი.

„გისმენთ, ბატონო ელჩო-მეთქი. მითხრა, გადაეცით ქართველ სპორტსმენებს, რომ ძალიან კარგია, რომ სოჭის ოლიმპიადაზე ჩამოვიდნენო. ამის შემდეგ ისევე უცებ გაქრა, როგორც გამოჩნდა“

- თქვენ მიერ, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ბანერის აღმართვა იყო ერთგვარი მესიჯი და პროტესტი. მაგრამ ის, რაც თქვენ გააკეთეთ, არ გაუკეთებია ოფიციალურ დელეგაციას. მათ ეს ვერ გაბედეს?

- სანამ ამ შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, პატარა შესავალს გავაკეთებ. ამ მაისურებით წელიწადის ნებისმიერ დროს დავდივარ, აქტიურად, 2011 წლის ზაფხულიდან, თუმცა მანამდეც ეპიზოდურად მქონდა ასეთი სახის აქციები. 2011 წლის მაისში, თბილისში გარდაიცვალა დედაჩემი, ნანული ქაჯაია. 1993 წლის 20 თებერვალს, სოხუმში, ავიადაბომბვის დროს, ჩვენი და მეზობლების სახლი დაინგრა. მამაჩემი, ბოჩია დაიღუპა, დედაჩემმა ჭრილობა მიიღო, მას შემდეგ ვმკურნალობდით სოხუმში, მოსკოვსა თუ თბილისში. დედაჩემი ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი ქალი იყო, ყოფილი სპორტსმენი, კარგი მოცურავე. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ეს იყო 2011 წლის მაისი, მითხრა, მაშინ ერთ-ერთი მაისური მქონდა წარწერით - Georgia – Sokhumi, ქართულადაც მიამატე ერთ ადგილას და გთხოვ, ამით იარე ყველგანო. ალბათ, გრძნობდა, რომ ცუდად იყო. 2011 წლის ზაფხულიდან ყველგან ამით დავდივარ, საქართველოში თუ საზღვარგარეთ. ასე ვიყავი ევრობასკეტზე სლოვენიაში, იურმალაში, მუსიკალურ ფესტივალზე ტალინში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, მატჩებსა და ტურნირებზე ჰოლანდიასა და ბელგიაში და ა.შ. ყველგან, სადაც ქართველი სპორტსმენები და ხელოვნების მოღვაწეები დადიან. ჩემს ჟურნალისტურ საქმიანობას, ერთდროულად ვუთავსებ ქომაგობასაც ტრიბუნაზე, ჩემი მაისურით, ბანერითა და მეგაფონით. სოჭის ოლიმპიადისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი. წინასწარ, ერთი წლით ადრე გავიარე აკრედიტაცია ოლიმპიადაზე. ბოლო ორი წელი ქართულ სპორტულ საინფორმაციო სააგენტო - „მსოფლიო სპორტთან“ ვთანამშრომლობ და ახლა მათთვის ვწერ მასალებს სოჭიდან. არავისთვის მითქვამს საქართველოში წინასწარ, არც ოჯახისთვის, არც მეგობრებისა თუ ოლიმპიური დელეგაციის წევრებისთვის, რომ ამ ბანერის აწევას ვაპირებდი სოჭში. არ მინდოდა ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა. პატარა საიდუმლოს გეტყვით, ერთი ბანერი სპეციალურად გავამზადე, ადრე ბანერის მხოლოდ ერთ მხარეს მქონდა ეს წარწერა, ახლა კი ორივე მხარეს აქვს და კარგად ჩანს ყველა მხრიდან. ოლიმპიადას სხვა დატვირთვა აქვს. ამას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ატარებს, საკუთარი წესდებით. ოფიციალური გახსნის ცერემონიალამდე ოფიციალური ეკიპირებით დავდიოდი და ჩემი განუყრელი ქუდით - „კაპიტან ბანი“, რომელიც ზამთარში ხშირად მახურავს, ჩემი ჩანაფიქრის განხორციელება მხოლოდ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე მინდოდა. სტადიონზე ჩავიცვი ახალი მაისური წარწერით - Georgia – Sokhumi და ახალი ქუდი - Georgia. პრესის ლოჟაში ისეთი ადგილი ავირჩიე, რომელიც ახლოს იყო საპატიო სტუმრების ლოჟასთან; ზემოთ, დაახლოებით, 30 მეტრში VIP-ლოჟა იყო, სადაც სხვადასხვა ქვეყნის პირველი და მეორე პირები ისხდნენ. სანამ ჩვენი დელეგაცია გამოჩნდა მოედანზე, ჩამოვედი დაბლა, რათა კოლეგებისთვის ხელი არ შემეშალა და უკეთ გამოჩენილიყო ჩემი ბანერი. ბანერის აწევა დაახლოებით, 5 წუთი გრძელდებოდა. ათეულობით ჟურნალისტმა მთხოვა, შემოტრიალდიო, რაკურსით გადაგიღებთო. ხმებიც მესმოდა საპატიო სტუმრების ლოჟიდან, ვიღაცები ყვიროდნენ, ბიჭო, ბიჭო, გრუზია. ზემოთ რომ გავიხედე, ვიპ-ლოჟისკენ ახლოს, დავინახე, რამდენიმე კაცმა ხელიც აწია. მშვიდობიანი აქცია იყო. ვიდრე ჩვენი სპორტსმენები სპეციალურ ტრიბუნაზე დასხდებოდნენ, მანამ გრძელდებოდა ეს. უკრაინის დელეგაციის არენაზე შემოსვლის შემდეგ, კოლეგებმა მთხოვეს, მათ მხარდასაჭერადაც ამეწია ბანერი და კვლავ აღვმართე. რაც შეეხება გაბედვას, გახსოვთ, შარშან იყო საუბარი მასმედიით, სოციალურ ქსელებში, თუ როგორი ფორმით უნდა წავიდეს სპორტული დელეგაცია საქართველოდან და როგორ უნდა გამოვიდეს მოედანზე. იყო სხვადასხვა აზრი, მათ შორის ისიც, რომ ქურთუკებზე საქართველოს რუკა დაგვეხატა და ა.შ. ეს სპორტსმენების გადასაწყვეტია და ამაში ვერ ჩავერეოდი - ეს მათი ნებაა. საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და სპორტსმენებს ჩემგან დიდი მადლობა, რომ ჩამოვიდნენ სოჭში. ჩემი პირადი ამოცანა რაც იყო, პრესის ლოჟიდან ამ ბანერის აღმართვა, გავაკეთე. ბევრმა ჟურნალისტმა მკითხა, რას ნიშნავსო და ავუხსენი მათ, რომ Georgia ჩემი ქვეყანაა, ხოლო Sokhumi ჩემი მშობლიური ქალაქი. გაეროს დოკუმენტებისა და რეზოლუციების მიხედვით, სოხუმი არის საქართველოს შემადგენელი ნაწილი და, რაც მთავარია, ჩემს გულსა და გონებაში სოხუმი არის საქართველო და იმედი მაქვს, რომ საქართველო მშვიდობიანად გაერთიანდება და ეს მოხდება ყველა მხარის თანხმობითა და კომპრომისების საფუძველზე. ჩემი მაქსიმუმი ამოცანა იყო,

„გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ეს იყო 2011 წლის მაისი, მითხრა, მაშინ ერთ-ერთი მაისური მქონდა წარწერით - Georgia – Sokhumi, ქართულადაც მიამატე ერთ ადგილას და გთხოვ, ამით იარე ყველგანო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოჭის ოლიმპიადას - სოხუმი საქართველოა!

„პატარა საიდუმლოს გეტყვით, ერთი ბანერი სპეციალურად გავამზადე, ადრე ბანერის მხოლოდ ერთ მხარეს მქონდა ეს წარწერა, ახლა კი ორივე მხარეს აქვს და კარგად ჩანს ყველა მხრიდან“

„ჩემი პირადი ამოცანა რაც იყო, პრესის ლოჟიდან ამ ბანერის აღმართვა, გავაკეთე. ბევრმა ჟურნალისტმა მკითხა, რას ნიშნავსო და ავუხსენი მათ, რომ Georgia ჩემი ქვეყანაა, ხოლო Sokhumi ჩემი მშობლიური ქალაქი“

„ზემოთ, დაახლოებით, 30 მეტრში VIP-ლოჟა იყო, სადაც სხვადასხვა ქვეყნის პირველი და მეორე პირები ისხდნენ. სანამ ჩვენი დელეგაცია გამოჩნდა მოედანზე, ჩამოვედი დაბლა, რათა კოლეგებისთვის ხელი არ შემეშალა და უკეთ გამოჩენილიყო ჩემი ბანერი. ბანერის აწევა დაახლოებით, 5 წუთი გრძელდებოდა. ათეულობით ჟურნალისტმა მთხოვა, შემოტრიალდიო, რაკურსით გადაგიღებთო“

მოვხვედრილიყავი მოედანზე, ოლიმპიური დელეგაციის გვერდით. ოფიციალური გახსნის ცერემონიალამდე, ერთი-ორი დღით ადრე, ჟურნალისტური ხერხებით ვცდილობდი ამის გაკეთებას. რასაკვირველია, რთული და მკაცრი წესებია და ბოდიში მომიხადეს, ვერ მოხერხდებაო თქვენი მოედანზე გამოჩენა. მართალიც არის, იქ სპორტსმენები და ოფიციალური დელეგაციის წევრები გამოდიან, არენაზე მოხვედრის შემთხვევაშიც იგივეს ვაპირებდი - ბანერის აწევას, მაგრამ, შესაძლოა, ეს პოლიტიკურ აქციად ჩაეთვალა ვინმეს და ამის გამო საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას შენიშვნა მიეღო ან დაეჯარიმებინათ. ტრიბუნაზე ის გავაკეთე, რაც მოვახერხე. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ჩემი აქცია არის ჰუმანური, მშვიდობიანი და არ არის მიმართული არც აფხაზების, არც რუსების და არავის წინააღმდეგ. ჩემი თანამემამულეების გულისტკივილი გამოვხატე. სოხუმი საქართველოს შემადგენელი ნაწილია.

- ყველას აინტერესებს - დაგინახათ თუ არა რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა?

- სადაც ვიჯექი, უკვე გითხარით. ვფიქრობ, ყველა დაინახავდა. შემდეგ კადრებიც იყო. რუსულ პრესაში მასალები დაიწერა. ცნობილმა მიმომხილველმა, პროფესორმა ანდრეი რაევსკიმ დიდი მასალა დაწერა და ერთ აბზაცს წერს კორექტულად ჩემს აქციაზე. ბოლო დღეებში ბევრმა უცხოელმა კოლეგამ დამირეკა და მკითხა, მართლა შევხვდი თუ არა ვლადიმერ პუტინს. ვიფიქრე, თუ სერიოზულად მეკითხებიან, ცოტას ვიხუმრებ-მეთქი. ვუპასუხე, როგორ გამოგრჩათ, ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს და მას გადავეცი ეს ბანერი. ზოგმა დაიჯერა, ზოგმა არა. შემდეგ ავუხსენი, რომ ვხუმრობ და რა თქმა უნდა, არანაირი შეხვედრა არ ყოფილა და არც უნდა ყოფილიყო.

- სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობა რას მოგვიტანს. როგორ გგონიათ, დაათბობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს?

- ჯერ კიდევ შარშან, რამდენიმე ტელეარხზე გამოსვლისას ვთქვი, რომ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებისა და ოლიმპიადის შემდეგ, შესაძლოა, მოხდეს გარკვეული დათბობა რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებს შორის. ჩემი ჟურნალისტური წყაროებიდან, რუსეთიდან, ამის მინიშნებებიც მქონდა. რამდენად გამართლდება, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ასეთი მოვლენები პროგნოზირებადი არ არის და მარტო ამ ორ ქვეყანაზე არ არის დამოკიდებული. ეს ეხება გეოპოლიტიკურ ურთიერთობას ამერიკა-რუსეთს შორის და ა.შ. ვცხოვრობ იმის იმედით, რომ საქართველოს გაერთიანება მოხდება, ეს იქნება რთული და მძიმე, მაგრამ ყველამ თავისი მიმართულებით უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯი.

- ის სპორტული დელეგაცია, რომელიც ახლა სოჭში იმყოფება, დიდი იმედებით არ არის განწყობილი ჩვენი სპორტსმენებისადმი. თქვენ რა პროგნოზები გაქვთ, გვექნება შედეგები?

- საბჭოთა კავშირის დროს და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც, საქართველოს დიდი მიღწევები ჰქონდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. რაც შეეხება ზამთრის სახეობებს, არასოდეს, საქართველოს მედალი არ აუღია. მაქსიმალურად მაღალი ადგილი 1960 წელს, კობა წაქაძეს, ლეგენდარულ სპორტსმენს ჰქონდა. მან მეცხრე ადგილი დაიკავა. დამოუკიდებლობის ისტორიაში კი ყველაზე კარგი შედეგი ელენე გედევანიშვილს ჰქონდა - მეათე ადგილი. ამიტომ, თუ ამ ოლიმპიადაზე ელენე ათეულში შევა, ესეც წარმატება იქნება. თუკი იასონ აბრამაშვილი, რომელიც უკვე მესამედ მონაწილეობს ოლიმპიადაში, წინაზე 29-ე იყო, ახლა 30-ში, ან 25 საუკეთესო სპორტსმენში დაიმკვიდრებს ადგილს, კარგი შედეგი იქნება. ზამთრის სახეობებს დიდი ხარჯი აქვს, მას ინფრასტრუქტურა სჭირდება, რომელიც საქართველოში შესაბამისი დონით არ არსებობს. თუკი ზაფხულის ოლიმპიადაში მეოთხე ადგილი წარუმატებლობად ჩაითვლება, რადგან პირველს ელი, ზამთრის სახეობებში შესაძლოა, მეხუთეს ოქროს ფასი ჰქონდეს. რაც შეეხება ელენეს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი მსაჯობა იქნება ფიგურულ სრიალში. სოჭში ჩამოსვლისას, როცა გვითხრეს, კარგია, რომ აქ ხართ, ვიხუმრე, კარგი მსაჯობა თუ იქნება, ცუდი არ იქნება-მეთქი. არ ვიცი, რომელ ადგილს დაიკავებენ ჩვენი სპორტსმენები, მაგრამ ისინი აქ მოსახვედრად 4 წელი ემზადებოდნენ და უარი რომ გვეთქვა, ისედაც ნაკლებ მიმზიდველი სახეობებია, კიდევ უფრო მძიმე ვითარება გვექნება მომავალ წლებში. გახსოვთ, ლეგენდარული მოციგავე, ნოდარ ქუმარიტაშვილი, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა, ამის შემდეგ, ბევრმა მშობელმა ჩათვალა, რომ ეს საშიშია და აღარ შეიყვანეს ბავშვები საციგაო სპორტზე. ვინც ოლიმპიადის ბოიკოტს აცხადებს, მათიც მესმის და იმ ხალხის გულისტკივილიც, ვინც საჭიროდ მიიჩნევდა ამას.

- ნოდარ ქუმარიტაშვილი ახსენეთ, რომელიც ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად დაიღუპა. გაიხსენეს ნოდარი სოჭში?

- 5 თებერვალს, სოჭში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია გაიმართა. სხდომის დაწყების წინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ინიციატივით ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს... 12 თებერვალს, მისი დაღუპვის დღეს, საქართველოს ოლიმპიურმა დელეგაციამ მაცნობა, რომ ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაც სოჭში წუთიერი დუმილით დაიწყო. ნოდარი გაიხსენეს ვანკუვერშიც. გავიგეთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საქართველოს დაეხმარება, ბაკურიანში იმ სპორტული ცენტრის მშენებლობაში, რომელზეც დიდი ხანია მიდის საუბარი. ნოდარი ლატვიაშიც გაიხსენეს, სიგულდაში, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს საციგაო ცენტრში, სადაც წლების განმავლობაში ემზადებოდა სახელოვანი სპორტსმენი. მე გახლდით შარშანწინ იქ და ნოდარი ახსოვთ, ძალიან უყვართ და არ დავიწყებიათ.

- სოჭში სპორტული მოვლენები საყოფაცხოვრებო პირობებმა გადაფარა, საკვებში ჭიები, საერთო საპირფარეშოები და ა.შ. თავად თქვენ რა პირობებში გიწევთ ცხოვრება?

- ხუთი დღე ვცხოვრობდი სასტუმროში, ოლიმპიურ სოფლიდან სამას მეტრში. ნორმალური პატარა სასტუმროა, კარგი პირობებით. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი ჩამოსვლის მიზანი აქ სასტუმროსა და კვების ობიექტების ინსპექტირება ან რევიზია არ ყოფილა. დრო არ მქონდა შემესწავლა. ახლა ვცხოვრობ მეგობრებთან. რუსეთში და კერძოდ სოჭში, ბევრი ახლობელი და მეგობარი მყავს.

- ადგილობრივების დამოკიდებულება როგორია თქვენ მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგებენ, რომ ქართველები ხართ?

- ძალიან თბილი დამოკიდებულებაა. ორგანიზატორების და ადგილობრივების მხრიდან. როდესაც ხედავდნენ ჩემს ქუთუკს - საქართველო, მაჩერებდნენ, მადლობას გვეუბნებოდნენ ჩამოსვლისთვის და გვეპატიჟებოდნენ. სხვათა შორის, აქ ბევრი დევნილი ქართველი ვნახე, რომელიც მოხალისედ მუშაობს ოლიმპიადაზე, დევნილები გაგრიდან, სოხუმიდან, გალიდან და ა.შ. საქართველოს სპორტული დელეგაციის მიმართ თბილი დამოკიდებულებაა და სხვა არაფერი გამიგია.

„5 თებერვალს, სოჭში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია გაიმართა. სხდომის დაწყების წინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ინიციატივით ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს“

„ბევრმა უცხოელმა კოლეგამ დამირეკა და მკითხა, მართლა შევხვდი თუ არა ვლადიმერ პუტინს. ვიფიქრე, თუ სერიოზულად მეკითხებიან, ცოტას ვიხუმრებ-მეთქი. ვუპასუხე, როგორ გამოგრჩათ, ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს და მას გადავეცი ეს ბანერი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ დაიწყო ბ

სალომე გოგოხია
მარიამ ნადირაძე

ნამლის შეტანის სამი ნივთეზი, ე.წ. „საერთო“



„ვთავაზობ, მათვე აირჩიონ ნებისმიერი დანესებულება და დანესებულების სულ 2 საკანში აღმოვაჩენ 10 აკრძალულ ნივთს“

გეგუთის დაწესებულება სოზარ სუბარისთვის ყელში გაჩხერილ ძვლად იქცა. რატომღაც, ყველა შეტევა სუბარის ადმინისტრაციაზე ამ დაწესებულებიდან იწყება, თუმცა, ძნელი სათქმელია, რომ უსაფუძვლოდ.

მართალია, პატიმრებმა შიმშილობა უკვე რამდენიმე დღეა შეწყვიტეს, მაინც გაურკვეველია რეალური მიზეზები, თუ რატომ დაიწყო ხმაური ამ დაწესებულებაში. „პრაიმტაიმი“ სწორედ ამის გარკვევას შეეცადა.

პირველ რიგში უკვე გავრცელებული ინფორმაციების შესახებ მოგახსენებთ:

ერთი ვერსიით ორ მოშიმშილე პატიმარს სამედიცინო დახმარება არ ჩაუტარეს და დანარჩენებმა სოლიდარობა გამოუცხადეს. მათგან 460-მა პატიმარმა კი თვითდაზიანებები მიიყენა...

მეორე ვერსია აბსოლუტურად განსხვავდება წინა ორისგან და „პრაიმტაიმს“ ამის შესახებ რუსთავის კოლონიის ერთ-ერთი პატიმარი გვესაუბრება, რომლის ვინაობასაც, ბუნებრივია, ვერ გავამხელთ: „მაყურებლების“ მეშვეობით გარეთ დიდი ფული გროვდება, რომელიც გადის ევროპაში, ქართველ კანონიერ ქურდებთან. იქაურობას ლაშა შუშანაშვილის კლანი აკონტროლებს. რეალურად, ციხეში „ობშიაკის“ შეგროვება „მაყურებლების“ კომფორტს და პატარა-პატარა საქმეების მოგვარებას ხმარდება. „ობშიაკის“ ფულით ხდება ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომლის მოსყიდვა, მნიშვნელობა არ აქვს რა თანამდებობას იკავებს. შეიძლება ყველაზე დაბალი რანგის იყოს. „მაყურებლები“ თავისუფლად ელაპარაკებიან პატიმრებს, რომლებიც თავისი გავლენის ქვეშ ჰყავთ. გეტყვით ფულის შეგროვების ერთ-ერთ მაგალითს. „მაყურებლები“ პატიმრებს ავალებენ, რომ ციხის მაღაზიაში რაღაც იყიდონ. მაგალითად, სიგარეტი. პატიმარი ყიდულობს სიგარეტს, შემდეგ გაუხსნელ კოლოფს ნაგვის ურნაში აგდებს. ამის შემდეგ მოდის ნაგვის მანქანა, რომელსაც „ნაგავი“ მიაქვს. ციხეში აგროვილი „ობშიაკის“ ფული ამ „ტრასას“ ხმარდება, რომ მანქანა დაუბრკოლებლად გადაადგილდეს. შემდეგ ამ სიგარეტებს ნახევარ ფასში აბარებენ. აღებული ფული მიდის ევროპაში კანონიერ ქურდებთან. ზუსტად ამას მოჰყვა გეგუთის ამბები. ახალმა ციხის ადმინისტრაციამ ფულის გასვლა გადაკეტა, რასაც პატიმრების „პროტესტი“ მოჰყვა. ნანილმა სწორედ „მაყურებლების“ მოთხოვნით მიიყენა თვითდაზიანება. როცა ასეთი პრობლემები ექმნებათ, საზღვარგარეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები ხმაურს ტეხენ, რომ პატიმრებზე ზეწოლაა. ციხის კადრების გავრცელების შემდეგ, კოზირი ხელში უჭირავთ, ბადრაგი ვერაფერს ეუბნება პატიმარს, მაშინვე საჩივარს წერენ და ადმინისტრაცია სამსახურიდან ათავისუფლებს“. - ამბობს პატიმარი.

ამ ვერსიას ერთგვარად ჩამოჰგავს მეოთხეც, თუმცა ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ უფლებადამცველი ირაკლი კერესელიძე ესაუბრება, რომელიც გეგუთს პენიტენციალური სისტემის ერთადერთ პრობლემად არ განიხილავს.

ირაკლი კერესელიძე

ირაკლი კერესელიძე:

- იყო ძალიან კონკრეტული კონფლიქტი, რომელიც დაიწყო არსებულ „მაყურებლებსა“ და მაყურებლობის მსურველ ძველ ბიჭებს შორის. ამ უკანასკნელებმა დაინახეს „მაყურებლების“ მიმართ ადმინისტრაციის მყარი მხარდაჭერა, შესაბამისად ე.წ. დიდი ციფრების თეორიით იმოქმედეს და გადაწყვიტეს - მოდი, მოვაშოროთ დირექტორი და ავტომატურად მოშორდება ეს მხარდაჭერაც... ამ მიზნის მისაღწევად ხომ არ გამოვიდოდნენ და იტყოდნენ, „კაი ბიჭები“ ვართ და აწი ჩვენ წავიყვანთ „პალაჟენიასო“? ამიტომაც დაიწყეს სპეკულირება იმ თემებით, რაც აქტუალურია. ასობით პატიმარი რაში შეგიძლია აიყოლიო, თუ არა საერთო ტკივილში? - თუნდაც სამართლიანობის აღდგენის თემაში. ასე ხდება თემის აწევა, რომელსაც ლობისტებიც გამოუჩნდებიან ხოლმე... პატიმრების უმრავლესობა აჰყვა მთავარ იდეას, რომ ისინი იქ უსამართლოდ არიან და სამართლიანობის აღდგენა იგვიანებს. ეს ის ფორმატია, რომელიც არჩეულია საჯარო სტეიტმენტებისთვის... მოქმედ მაყურებლებს ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ე.წ. „პალაჟენია მოეყვანათ“. ეს კი გულისხმობს, რომ უნდა შეკრებილიყო ე.წ. „საერთო“, „დაჩკები“ ყოფილიყო გახსნილი, ყოფილიყო წვდომა მობილურ ტელეფონებთან და სხვა კრიმინალური აქტივობებთან, რაც დამახასიათებელია იქაური ცხოვრებისთვის. ანუ, ქაოტურობის ხარისხი არის შემაშფოთებელი. როდესაც სამართლებრივი მართვის სფეროში შემოგყავს კრიმინალი, თუნდაც კრიმინალური ავტორიტეტი და იმ ფუნქციას, რომელსაც კანონის მიხედვით უნდა ასრულებდეს სასჯელაღსრულების სათანადო სამსახური, უნაწილებ ამ პირს, თუნდაც ეს პირი კარგად ასრულებდეს ამას, მერე ვიღებთ ქაოსს... თუნდაც დილის და საღამოს შემოწმებას აბარებ მაყურებლებს... ისინი უზრუნველყოფენ ყველა პატიმრის გამოსვლას პლატსზე. ასე ხდება ყველა ზონაში, პატარა, ე.წ. „წითელი ზონების“ გარდა... მაყურებლები უზრუნველყოფენ, რომ ყველა გამოვიდეს, რომ დათვლა სწრაფად მოხერხდეს. ცუდი იმაში, რომ რეჟიმი დაცული იქნას, არაფერია, მაგრამ, როდესაც შენ ეს კონკრეტული მაყურებელი გისრულებს დავალებას, ეს ნიშნავს იმას, რომ შენ, ანუ ადმინისტრაციას, ის გავალდებულებს. არც ერთი მაყურებელი და ე.წ. შებერტყილი ძველი ბიჭი ადმინისტრაციას წინასწარ არ ეუბნება - მე შენ „პრავერკის“ თემას დაგილაგებ და შენ მე წამალი, ან თუნდაც ლუდი შემომიტანეო. ამის ასე მარტივად წარმოდგენა არ არის საჭირო. როგორც კი ერთად კონცეტრირებული დამნაშავეთა სამყაროს მიმართ ეფექტური ბრძოლა ჩერდება, ის სამყარო თვითონ იღებს პოზიციებს. როდესაც ადმინისტრაციამ ზუსტად იცის კონკრეტული პატიმრისგან რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეს, ყველა ნეგატიური მოლოდინი, რომელიც მის მიმართ ჩნდება, ექვემდებარება პროფილაქტიკას - აღიკვეთება, ისჯება. მაგრამ როდესაც მას ყველაზე ნეგატიური მუხტის მქონე პატიმრები ჩაყენებული ჰყავს სარეჟიმო სამსახურის მიზნების შესრულებაში, ეს, ძალიან მალე, ძალიან ცუდ შედეგებს გაძლევს - ეს პირები გარკვეულ სეგმენტში მართავენ სასჯელაღსრულების დაწესებულებას. როდესაც ამ ტიპის ადამიანები იღებენ ძალაუფლებას და მათი გადასაწყვეტი ხდება საკითხები, ამით, პირველ რიგში, პატიმრების ყველაზე დიდი რაოდენობა, ე.წ. პატიმრების საერთო მასა ზარალდება, რადგან ის ამ ძალაუფლებით სწორედ ყველაზე დაუცველ მასას უტრიალდება და „საერთოში“ ფულის დადებას სთხოვს.

- რა ოდენობას?

- პატიმრის სოციალურ მდგომარეობას გააჩნია. თუ მას უნდა ჰქონდეს კაუჩუკის „ნოკია“, ასეთ შემთხვევაში, მისი საერთოში შენატანის ოდენობა მეტია, ვიდრე ე.წ. „მუჟიკის“, რომელსაც არ უნდა ეს კომფორტი, უბრალოდ ზის და „ბალანდას“ ელოდება. თუ პატიმარს არაფრის საშუალება არ აქვს, მაშინ ისინი ეხმარებიან „საერთოს“, ანუ, ისინი თავისი შრომით გამოიმუშავებენ ადგილზე ფულს, თავისი შრომით, ოღონდ ამას უფასოდ აკეთებენ - ვთქვათ, რეცხავენ სარეცხს... ასე რომ, ძალიან უკონტროლოა სიტუაცია სისტემაში. ის თვითმიმედოვნებაზეა მიშვებული და ინგრევა.

- თუმცა, როგორც ჩანს, სუბარს სისტემაში სიმკაცრე აქვს გადაწყვეტილი. სამინისტრო ინიციატივით შევიდა პარლამენტში, რომ უნდათ სპეცსაშუალებების გამოყენების უფლება მიიღონ...

- ძალიან მინდა, რომ ჩემი სიტყვები გაემიჯნოს ნაციონალების განცხადებებს. თუმცა ვთვლი, რომ ამით ძალადობის ლეგიტიმაცია ხდება. ეს კი გამოსავალი ნამდვილად არ არის.

- გეგუთის მოვლენებმაც აჩვენა, რომ დაწესებულებებში პატიმრებს აკრძალული ნივთები აქვთ. ბოლოს და ბოლოს 46-მა პატიმარმა დაისერა თავი...

- მე შემიძლია ნებისმიერი ექსპერიმენტი შევთავაზო, თუნდაც სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფს, რა თქმა უნდა, თუ სახალხო დამცველი ამას გაბედავს. ვთავაზობ, მათვე აირჩიონ ნებისმიერი დაწესებულება და დაწესებულების სულ 2 საკანში აღმოვაჩენ 10 აკრძალულ ნივთს, რადგან ეს ყოველთვის არის, მაგრამ ზღვარი იცით რაზე გადის? - ეს იქნება სამზარეულოს დანა, რომელიც პატიმარს სჭირდება იმისთვის, რომ თუნდაც შეალამაზოს საჭმელი, ცოტა გემრიელი შეჭამოს, ხახვი დააჭრას და მარილი დაამატოს, თუ ეს არის აიფონი „5 S“, რომელიც არც ერთი ლოგიკით არ უნდა იყოს შიგნით და არის. არის ძვირადღირებული „გერბერის“ დანები, რომლითაც ერთმანეთს საკუთარ პოზიციებს უმტკიცებენ და, რაც მთავარია, არის ფული და წამალი.

- ადმინისტრაციასთან შეთანხმებით?

- ზოგი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ზოგიც - წაყრუებით. წამლის შეტანის ყველაზე აპრობირებული მეთოდია, ე.წ. „პერებროსის“ მეთოდი, როდესაც წამალს დებენ ასანთის კოლოფში, კენჭთან ერთად, სიმძიმის გამო. მას აკრავენ ნათურიან სანთებელას და ე.წ. „ზაპრეტკიდან“ ისვრიან. განათება იმისათვის არის საჭირო, რომ პატიმარმა მიაგნოს, სად დაეცა, რადგან ეს ძირითადად ღამით ხდება. თუ თანამშრომელი შეესწრება ამას, ამისთვისაც მზად არიან, რადგან წამხობილი აქვთ კაპიშონები, ან ახურავთ ქუდები და პირდაპირ თავს ესხმიან თანამშრომელს. არის უფრო „ცივილიზებული მეთოდი“, როდესაც ე.წ. „დაჩკებიდან“, საიდანაც ამანათები შედის, შედის კომუფლირებული წამალიც. მესამე გზა ყველაზე რადიკალურია, როდესაც კონკრეტულ თანამშრომელთან წამლის შემოტანაზე აქვთ კონკრეტული „სტავკა“.

- რამდენი?

- გააჩნია წამალს და რაოდენობას. ვთქვათ, „სუბოტექსის“ ერთი აბის ციხეში შეტანა 100 დოლარი ღირს. როდესაც ამ ყველაფრის აღკვეთა არ ხდება, ეს აქტივობა დივერსიფიცირებას განიცდის და საბოლოო ჯამში ეს სრულ ანარქიამდე მიდის. ასეთი „პალაჟენიის“ მოყვანა კი ყველაზე დაუცველი პატიმრების ხარჯზე ხდება, თორემ კორუმპირებული დი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეგუთმი „ბუნტი“?

მეთოდი, აკრძალული და „მაყურებლების“ ომი

● რეალურად, ციხეში „ობშიაკის“ შეგროვება „მაყურებლების“ კომფორტს და პატარა-პატარა საქმეების მოგვარებას ხმარდება. „ობშიაკის“ ფულით ხდება ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომლის მოსყიდვა...

● ახალმა ციხის ადმინისტრაციამ ფულის გასვლა გადაკეტა, რასაც პატიმრების „პროტესტი“ მოჰყვა. ნაწილმა სწორედ „მაყურებლების“ მოთხოვნით მიიყენა თვითდაზიანება...

EXCLUSIVE

- ჩვენი ინფორმაციით რეჟიმის ერთი სეგმენტი, პლატსზე პატიმრების გამოყვანის ორგანიზება, ჩაბარებული აქვთ „მაყურებლებს“...

- თუ ვინმე არის რამეში ჩართული, ეს არის მომსახურე პატიმრები და ჩვენ მოვახდინეთ ამის კანონმდებლობით ასახვა. დღეისათვის 619 პატიმარი არის დასაქმებული როგორც მომსახურე პატიმარი და ყოველთვიურად იღებს 250-275 ლარამდე ხელფასს. ესენი არიან პატიმრები, რომლებიც ახორციელებენ დაწესებულებაში გარკვეულ სამუშაოებს, რაც კანონით ნებადართულია. რაც შეეხება კრიმინალურ ლიდერებს და მათ რაიმე ტიპის ზეგავლენებს პატიმრებზე, ეს თუ ხდება, ამასთან, თანამშრომლობის თვალსაზრისით, ადმინისტრაცია კავშირში არ არის. მათი დავალებაა, რომ მოხდეს ამ პრობლემის შემცირება, აღმოფხვრა და ამის წინააღმდეგ ბრძოლა. ამის გარდა მე ვერ დაგიდასტურებთ, რომ სხვა რაიმე თანამშრომლობა არსებობდეს. ეს თემა არის ხელოვნურად შექმნილი. იმის გამო, რომ ის ექვსი თვე, სანამ ჩვენ ვზრუნავდით სასიცოცხლო პრობლემებზე, ოპონენტებმა გამოიყენეს. ჩვენ საბაზისო პრობლემები მეტ-ნაკლებად მოვაგვარეთ და დღეს პრეტენზიები იმაზე არის, რომ ადმინისტრაცია მკაცრია.

- ამიტომაც მოითხოვეთ სპეცსაშუალებების გამოყენების უფლება საკანონმდებლო დონეზე? ამას თქვენი ოპონენტები ძალადობის ლეგალიზაციას არქმევენ...

- ეს ევროკავშირის გამოცდილებაზე დაყრდნობით მოხდა. მის განხილვაში ყველა დაინტერესებული მხარე ჩაერთო - არასამთავრობები, ექსპერტები, სახალხო დამცველი. ეს არ არის სამინისტროს ეგოისტური წამოწყება. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ამ ქვეყანაში აღარასოდეს იყოს დავა, რა შემთხვევაში შეიძლება გამოიყენებოდეს ესა თუ ის სპეცსაშუალება. ძალადობის ლეგალიზაციას ამას ვერ დავარქმევდი, რადგან ეს ზომები საქართველოსთვის არ არის ახალი. ამაში დარწმუნდებით, თუ გადახედავთ პოლიციის შესახებ კანონს, ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონს. ესტონეთს, დანიასა და სხვა ქვეყნებს უფრო ფართო ჩამონათვალი აქვთ.

- ციხეში ნარკოტიკების არსებობის შესახებ დღეს არა ერთი უფლებადამცველი საუბროს. ყველაზე მიღებული, ე.წ. „პერებროსის“ მეთოდი ყოფილა. თუ გსმენიათ ამის შესახებ...

- კი, ვიცი ეს მეთოდი. ნლების განმავლობაში ეს პრობლემა იყო. ციფრებს გეტყვით, რომლის გადამოწმებაც შეგიძლიათ: 2004 ნლიდან 2012 ნლის ჩათვლით 501 საქმე იყო აღძრული ნარკოტიკების უკანონო მოხმარებაზე სასჯელაღსრულების სისტემაში. ეს ციფრი ის არის მხოლოდ, რაც რეგისტრირებულია. ეს სტატისტიკა მაფიქრებინებს, რომ ეს თემა არახალია. იმ უფლებადამცველებს, ვინც ამას ამბობენ, მინდა გამოცდილება დავუწუნო და შეკითხვითვე მივმართო - შეუძლიათ დაასახელონ დასავლეთ, ან აღმოსავლეთ ევროპაში, ან თუნდაც ამერიკის კონტინენტზე რომელიმე სასჯელაღსრულების სისტემა, სადაც არ დგას ეს პრობლემა? ამიტომ ამ პრობლემის მოგვარების გასაღები არ არის მხოლოდ ეფექტური კონტროლით და დაგეშილი ძალლებით ამის მოგვარება. ნარკოდამოკიდებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური მკურნალობა და რეაბილიტაციის საშუალება.

- ე.წ. „საერთოს“ თემა საკმაოდ აქტუალური გახდა...

- ეს არის არაფორმალური საგადასახადო სისტემა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ამ სისტემაში არსებობს. მე გეტყვით, რა გავაკეთეთ ჩვენ, დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს: ადამიანები ვინც ორგანიზებას უკეთებენ ამ პროცესს, გავარიდეთ დანარჩენ პატიმრებს და ამის გარდა, როდესაც ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ე.წ. „აბსლუგისთვის“ სახელმწიფოს გადაეხადა ხელფასი, ეს არის ერთ-ერთი დიდი დარტყმა ამ არაფორმალური საგადასახადო სისტემის წინააღმდეგ... გაგახსენებთ ერთ ძალიან გახმაურებულ ფაქტს რუსთავის დაწესებულებიდან, როდესაც ერთი მსჯავრდებული ჩიოდა, რომ თითქოს მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხდება ადმინისტრაციის მხრიდან, სინამდვილეში გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს იყო ადამიანი, რომელიც იყო ე.წ. „ბრიგადირი“ და ორგანიზაციას უწევდა მომსახურე პატიმრებისგან ე.წ. გადასახადების აკრეფას, როდესაც ადმინისტრაციამ ის „ჩაკეტა“, აღმოჩნდა, რომ ის რამდენიმე ათასი ლარის საქონელს აგროვებდა წლის განმავლობაში... ანუ, მისი მთავარი წუხილი იყო ის, რომ შეუწყდა შემოსავალი და არა ის, რომ ვინმე მასზე ზეწოლას ახდენდა. ასე რომ, ხშირად ჩივილებს აქვს ქვეტექსტები. ვთქვათ, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი გიჩივის ვადაგასულ რძეზე, აძლევ რძეს, მაგრამ ის რეალურად გეუბნება, რომ რძე კი არა, წართმეული პრივილეგია უნდა.

- პრეტენზიები გამოითქმება „უდოს“ კომისიის მისამართითაც. უფრო მეტიც, ხშირად საუბრობენ იქ არსებულ კორუფციაზე. რატომ არ ცდილობთ, რომ კრიტერიუმები მკაფიოდ გაიწეროს?

- ენას ძვალი არ აქვსო... მე არ ვარ კომისიის ნევრი, მაგრამ ციფრებს მოგიყვანთ: მხოლოდ 2013 წელს 11 ათასი პატიმრის პირობებში დაახლოებით 2 000 ადამიანი გათავისუფლდა პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმით, მაშინ, როდესაც ნინა ნლებში, 24 ათასი პატიმრის პირობებში სულ გათავისუფლებული იყო 400 ადამიანი. ამის გარდა, კომისია არის დივერსიფიცირებული და გადაწყვეტილებას იქ არ იღებს ერთი ადამიანი - არც სასჯელაღსრულების სამინისტრო, არც პარლამენტი, არც თვითმმართველობა, არც არასამთავრობო ორგანიზაცია. რეალურად გადაწყვეტილების მიღება ხდება კომისიურად. ამ შემთხვევაში ვერავის ექნება გარანტია, რომ ესა თუ ის ადამიანი გათავისუფლდება...

- თუმცა კორუფციის შესახებ როცა საუბრობენ, მხედველობაში ჰყავთ დაწესებულების ადმინისტრაცია...

- ადმიანისტრაციას არავითარი გავლენა არ აქვს „უდოს“ კომისიაზე.

- ადმინისტრაცია არ გასცემს პატიმრის დახასიათებას, რომელზეც დიდწილად არის დამოკიდებული კომისიის გადაწყვეტილება?

- კომისია ყველა შემთხვევას ინდივიდუალურად განიხილავს. ვერ ვიტყოდი, რომ მხოლოდ დახასიათება ახდენს გავლენას გადაწყვეტილებაზე. მე მახსენდება ქალბატონი ფოთიდან. როდესაც მისი შვილი გათავისუფლდა და ამ ქალბატონს შევხვდით, ავუხსენით, რატომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, ამ ქალბატონმა ერთ-ერთ თავის თანაქალაქელს უჩივლა, რადგან მან „უდოთი“ გათავისუფლებისთვის გამოართვა კონკრეტული თანხა. სინამდვილეში ამ თანხას გადაწყვეტილებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ვერ გამოვრიცხავ, რომ თაღლითები სარგებლობდნენ გათავისუფლების მაჩვენებლის მატებით. მკითხავის სერვისივით არის: მკითხავი გეუბნებათ, რომ თქვენ გაგიჩნდებათ ბიჭი, მომეცით 50 ლარი და თუ არ გაგიჩნდებათ, ფულს უკან დაგიბრუნებთ... როგორ შეიძლება ეს ადამიანი ამ სერვისში შეზღუდო?

- ჩვენი ბოლო კითხვა შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ შეგიძლიათ გვითხრათ, რომელი მობილური ტელეფონით სარგებლობთ?

- აიფონ 4-ით, რომელიც ჩემმა მეუღლემ 2 ნლის წინ დაბადების დღეზე მაჩუქა.

არჩილ თალაკვაძე

რექტორი და „მაყურებელი“ ყოველთვის ნახავს ერთმანეთში გამოსავალს. როცა უყურებ, რომ ზონაში ეს ყველაფერი შედის და გადის, ან სუპერარაკომპეტენტურობასთან გვაქვს საქმე, ან - კორუფციასთან. თუ გნებავთ ამ კუთხითაც ჩავატაროთ მონიტორინგი და ვნახოთ, ახლადდანიშნული დირექტორი, რა მანქანით დადიოდა მანამდე და რა მანქანით დადის დანიშვნის შემდეგ.

- გაქვთ კონკრეტული მონაცემები?

- სულ მარტივ რამეს გეტყვით, რაც ძალიან სიმპტომატურია: სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელებში ძალიან გაჰიტებულია აიფონ „5 S“, როდესაც თანამდებობაზე მივიდნენ ფანარიანი ნოკიით... რასაც უყურებენ ზედა ვერტიკალში, იმას აკეთებენ ქვედა ვერტიკალში.

- პატიმრებს პრეტენზიები აქვთ ე.წ. „უდოს“ კომისიაში არსებულ კორუფციაზეც...

- თუ მინისტრმა ნლის განმავლობაში სამი ბინა იყიდა, ერთი ნლის განმავლობაში, ამის საფუძველი აქვთ კიდეც. დაადგინონ გამჭვირვალე სტანდარტები ამ კუთხით და პრობლემაც მოგვარდება...

ამ ინტერვიუს შემდეგ, ბუნებრივია, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მისამართით ბევრი კითხვა დაგვიგროვდა. ამ კითხვებზე კი პასუხს მინისტრის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე სცემს:

- არ შეიძლება გეგუთი განვიხილოთ კონტექსტიდან ამოგლეჯილ პროცესად. როდესაც ეს სისტემა გადავიბარეთ, გახსოვთ, ალბათ, რომ პატიმრების პირობების გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე დაწესებულება დავხურეთ. დავიწყეთ ინფრასტრუქტურის აღდგენა. პრობლემა იყო კვებაზეც. რაც შეეხება ჯანმრთელობას, აქ საერთოდ, სავალალო მდგომარეობა დაგვხვდა. ჩვენ 7 000 პატიმარი გადავიყვანეთ სამოქალაქო დაწესებულებებში. ასეულობით ადამიანს ჰქონდა სერიოზული დაზიანებები მიღებული ნლების განმავლობაში. ეს იყო სახის, ძვლების მოტეხილობები. ხანდაზმული, ქალა-ტვინის ტრავმები, ხერხემლის სერიოზული დაზიანებები. ეს იყო კიდურების დაზიანებები და სხვა. ამას თან ერთვოდა დაზიანებები, რომლებიც ნლების განმავლობაში არ იყო ადეკვატურად ნამკურნალევი. ამ საბაზისო პრობლემების მოგვარების შემდეგ დავიწყეთ თანმიმდევრული მოქმედება, რომ დაწესებულებებში აღდგენილიყო რეჟიმი. გავაანალიზეთ რისკები და პატიმრები გადანაწილებული იყვნენ რისკების მიხედვით. როგორც კი დისციპლინა და წესრიგი მკაცრდება, პატიმრები ამას მაშინვე შიმშილობით პასუხობენ. გეგუთი არის ამის ერთ-ერთი მაგალითი. როდესაც შიგნით იყო ურყევი ნება, რომ ადმინისტრაცია იყოს მოწოდების სიმაღლეზე და კორუფცია აღარ არსებობდეს, რომ პრივილეგირებული პატიმრები, რომლებსაც არ სჭირდებათ სამედიცინო პუნქტში მოთავსება აღარ იყვნენ, რომ აკრძალული ნივთები არ შედიოდეს და ჩხრეკები მოხდეს მასობრივად. ადამიანები, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ პერსონალს იყვნენ დასჯილნი სათანადოდ, ამ ზომების გატარებას მოჰყვა შიმშილობის აქცია. ეს არის რეალობა.

როდესაც პატიმრები საუბრობენ მედიკამენტებზე, პირობებზე, სინამდვილეში ამ აქციების მთავარი მოტივი არის ის, რომ დაწესებულებებში დარჩეს ისეთივე სიტუაცია, როგორიც იყო ნლების განმავლობაში, როცა ადმინისტრაცია და პატიმრები იყო ერთიანი სივრცე. გაუგებარი გახლდათ ვის რა ფუნქცია ჰქონდა, ამიტომაც ეს ასე ვერ გაგრძელდება.

- გამოდის, რომ რეჟიმის გამკაცრებისთვის ახლა მოიცალეთ?

- არა, რეჟიმისთვის ჩვენ 6 თვეში მოვიცალეთ, ვინაიდან ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემებით ვიყავით დაკავებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლელა აფციაური: „ერთი-ორჯერ ვინათხოვრე მანქანა“

პარაოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მანქანით სარგებლობას ადასტურებს

EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი, ლელა აფციაური, 2013 წლის საუკეთესო პარასპორტსმენად აღიარებული, ბესიკ ლეკიაშვილის ბრალდებებს პასუხობს. ინტერვიუ ლეკიაშვილთან „პრაიმტაიმის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა, სადაც ის აცხადებდა, რომ ამჟამინდელი პრეზიდენტი არალეგალურად იკავებს პოსტს, ხელფასი მოუხსნა მას და კომიტეტში ხელფასის წილი მოსთხოვეს. ბესიკ ლეკიაშვილის განცხადებითვე, ლელა აფციაური, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებისთვის ნაყიდი მანქანით თავად სარგებლობს და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილის, თამაზ თევზაძის მფარველობის ქვეშ იმყოფება. რატომ შეუწყდა გასული წლის საუკეთესო პარასპორტსმენს სტიპენდია და რატომ უწოდებს აფციაური ლეკიაშვილს მატყუარას - ლელა აფციაური სპორტსმენებისთვის ნაყიდი მანქანით სარგებლობას „პრაიმტაიმთან“ ადასტურებს.

- რატომ შეუწყდა ბესიკ ლეკიაშვილს ხელფასი?

- ლელა აფციაურს, ბესო ლეკიაშვილისთვის ხელფასი არ შეუწყვიტავს. მას სტიპენდია შეუწყდა პარაოლიმპიური კომიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებით, ვინაიდან პარაოლიმპიური კომიტეტის სტრატეგიაა, ამ სახეობების განვითარება. აღნიშნული სპორტსმენი კი სტიპენდიას იღებდა არაოლიმპიურ სახეობაში, როგორიც მკლავჭიდია. მკლავჭიდი არ არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული პარაოლიმპიური სახე. ამ სახეობაში, უბრალოდ, ვარჯიშობს ეს კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.

- თუ ის არაოლიმპიურ სახეობაში გამოდის, მაშინ როგორ გახდა 2013 წლის საუკეთესო პარასპორტსმენი?

- მისი დასახელება წლის პარასპორტსმენად იყო შეცდომა და ამის შესახებ სამინისტროშიც ვთქვი, რომ ლეკიაშვილი არ არის პარაოლიმპიელი. ის არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენი, თუნდაც, რომ არის წლის საუკეთესო პარასპორტსმენი, არ ნიშნავს, რომ კომიტეტიდან სტიპენდია ჰქონდეს. მით უმეტეს, ხაზგასმით ვამბობ, რომ სტიპენდიას არ იღებდა როგორც სპორტსმენი. მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდი მოვიდა, ერთი წლის განმავლობაში ჩვენ არაფერი შევცვალეთ. 2013 წლის 5 თებერვლიდან ვმუშაობთ მუდმივი მუქარების, შეურაცხყოფების და დამანგრეველი განცხადებების ქვეშ. ეს პერიოდი იყო ჩვენი კეთილი ნება და ესაა სწორედ ჩვენი შეცდომა, რომ სტიპენდიები დავუტოვეთ ამ ადამიანებს, რომელიც ხელოვნურად იყო გაზრდილი. იმ მედლებით, რომლითაც ლეკიაშვილი წარადგინეს, სწორედ იმ საქციელის გამო, რომ სამინისტროში მივიდა და იჩხუბა. ვიღაც მაღალჩინოსნებზე აკეთებდა აქცენტს. აი, თქვენ რას გიზამთ, იმუქრებოდა და მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო წარადგინეს. სამინისტროს პრობლემები არ უნდოდა. რომ ტრაბახობს მედლებით, იმ ტურნირებზე წასვლა პარაოლიმპიურმა კომიტეტმა დაუფინანსა. სანაცვლოდ მივიღეთ დაპირისპირება და სიბინძურეები.

ლელა აფციაური

- მაღალჩინოსნები ახსენეთ და თავად ლეკიაშვილიც გდებდათ ბრალს, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილის, თამაზ თევზაძის პატრონაჟის ქვეშ იმყოფებით.

- არ ვიმყოფები, ეს არის სიცრუე და პატიოსან ადამიანს, თამაზ თევზაძეს ცხებენ ჩირქს. რას ჰქვია, დავინიშნე. 2012 წლის დეკემბერში დაინიშნა არჩევნები და 55 დელეგატმა მხარი მე დამიჭირა. თავად აქვთ მცდელობა, რომ პოსტებზე დაინიშნონ. თამაზ თევზაძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, მაგრამ პატრონაჟი სპორტსა და საქმეში არ არსებობს.

- ლეკიაშვილი თქვენს მიერ რეესტრის გაყალბებაზე საუბრობდა. თქვენ ხომ წააგეთ სასამართლო?

- რეესტრის გაყალბება შეუძლებელია. მათაც ჰქონდათ შეტანილი განცხადება რეესტრში, სადაც გასაუბრება ჩატარდა. როგორ უნდა გამეყალბებინა?

- თუმცა სასამართლოში საქმე წააგეთ და ლეგიტიმურ პრეზიდენტად თქვენ არ გცნეს.

- მერე რა. სასამართლო არ იყო წაგებული და არჩევნები ჯერ არ იყო დასრულებული, უკვე შეტანილი ჰქონდათ სარჩელი.

- გაასაჩივრეთ სასამართლოს გადაწყვეტილება?

- დიახ, გასაჩივრებულია სააპელაციოში. მინდა გითხრათ, რომ თუკი ლეკიაშვილი და მისი თანამოაზრეები არ დაასრულებენ ლელა აფციაურზე ლაპარაკს და ჩემი რეპუტაციის შელახვას, მოვამზადებ სარჩელს და მათ მხოლოდ სასამართლოს გზით დაველაპარაკები.

- ლეკიაშვილმა განაცხადა, რომ პარაოლიმპიურ კომიტეტში, მას ხელფასიდან 150 ლარის დათმობა მოსთხოვეს?

- იტყუება. არავის მოუთხოვია მისთვის წილი და არავის სჭირდება სპორტსმენების ფული. რატომ მოვთხოვდით მაინცდამაინც ბესიკ ლეკიაშვილს. გორგოძეს რატომ არავინ სთხოვა? როდესაც ჩემს არაპროფესიონალიზმზე ლაპარაკობენ, მე პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გახლავართ, რომელმაც საქართველოში ადაპტური სპორტი დააარსა და წლების განმავლობაში ვმუშაობ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპორტში. ამ საკითხზე 35 ნაშრომიც მაქვს დაწერილი და ფიზიკური აღზრდის 8 სახელმძღვანელო გამოვუშვი, ერთი, მათ შორის, უნარ-შეზღუდულთა სპორტზე. ჩემს პროფესიონალიზმში ეჭვი როგორ უნდა შეეპაროთ. ლევან ოდიშარია, (პარაოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი. ავ.) რომელსაც თავი პროფესიონალად მოაქვს და ყველგან მლანძღავს, ჩემი სპეციალობის, ადაპტური სპორტის, ჩემი კათედრის სტუდენტი იყო. ჩემი ჩამოყალიბებული სპეციალობა აქვს დასრულებული. თქვენ განსაზღვრეთ სიმართლე. როგორ გგონიათ, ისე უჭირს პარაოლიმპიურ კომიტეტს, რომ სპორტსმენს მოსთხოვოს 150 ლარი?

- ლეკიაშვილმა განაცხადა, რომ ის ვარჯიშობდა ოლიმპიურ სახეობაში, ბადროს ტყორცნაში, თუმცა პარაოლიმპიური კომიტეტის ზეწოლის შედეგად თავი დაანება ამ სახეობაში ვარჯიშს.

- ჩემთვის ეს ფაქტი უცნობია. როდესაც ხელმძღვანელობაში მოვედით, ის მკლავჭიდში ვარჯიშობდა. პირად საუბრებში თქვა ერთხელ, როდესაც მოსული იყო დოკუმენტაციის წასაღებად, რომელიც ტურნირზე წასასვლელად სჭირდებოდა და ჩვენ დავუფინანსეთ, რომ ბადროს ტყორცნაში ვარჯიშობდა. მე მას ვუთხარი, კარგი იქნება, თუ დაუბრუნდები-მეთქი.

- ბესიკ ლეკიაშვილის თქმითვე, ახლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებს სავარჯიშო ბაზა აღარ აქვთ და თავად უწევთ დარბაზის ქირის გადახდა. სიმართლეს შეესაბამება ეს ინფორმაცია?

- ბაზა რომ არ ჰქონდეთ, სპორტის შვიდი სახეობა როგორ განვითარდებოდა. ჩემი მოსვლის დროს, მხოლოდ ორი სახეობა იყო და სამი სპორტსმენი. მათგან ერთი, ომარაშვილი ოლიმპიურ თამაშებზე გაიყვანეს და დოპინგის გამო მოხსნეს, დაუნგრიეს კარიერა. ომარაშვილი, გორგოძე და თვაური დამხვდა და სამი მწვრთნელი. ახლა 34 სპორტსმენი ვარჯიშობს. არის ფარიკაობის დარბაზი, ველოსპორტში მომზადების ბაზა, საცურაო აუზი. მარტო წოლჭიმს ოთხი კლუბი აქვს, სადაც სპორტსმენები ემზადებიან.

- მისი კიდევ ერთი პრეტენზია იმას ეხებოდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებისთვის ნაყიდი მანქანით თქვენ სარგებლობთ.

- ეს არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მანქანა. რას ეძახიან ამ მიზნით ნაყიდ მანქანას საერთოდ, არ მესმის. ერთი-ორჯერ ვითხოვე ეს მანქანა, მაგრამ საკუთარიც მყავს და კიდევ, რა ნახონ ჩირქის მოსაცხებად, არ ვიცი. მანქანა გაფუჭებულია და ფარეხში დგას, რომ არ გაყინულიყო... მისით გადაადგილება შეუძლებელია. მასში ერთი ეტლიც კი არ ეტევა და როგორ არის ამ მიზნით ნაყიდი, არ ვიცი. ეს ეკუთვნოდა ირაკლი სამყურაშვილს, (პარაოლიმპიური კომიტეტის კიდევ ერთი ყოფილი პრეზიდენტი. ავ.) რომელმაც სამმაგ ფასში მიჰყიდა ეს მანქანა ოლიმპიურ კომიტეტს და ამის საბანკო ამონაწერებიც არსებობს. ახლა, პარაოლიმპიურმა კომიტეტმა იყიდა სპეციალური მანქანა, „ფოლკსვაგენ გრაფტერი“, რომელშიც შვიდი ეტლი ეტევა და მის გარეშე უფრო მეტი ადამიანი. ეს მანქანა გამოიყენება შეზრუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადასაყვანად სავარჯიშო ბაზებზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოში 33 281 სტატუსშეჩერებული სტუდენტია



„99%-ს სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალიანების გამო. სტუდენტები და მათი ოჯახები ვერ ახერხებენ, დაფარონ სწავლის საფასური. ასევე, სტუდენტებისთვის სამუშაო ადგილები თითქმის არ არსებობს. მეტიც, კურსდამთავრებულების მხოლოდ 5% ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას და სამუშაო ადგილის პოვნას“

MY VIEW
ანა ბარბაქაძე

რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა კოალიცია „საზოგადოებრივმა ინიციატივამ“ და „სტუდენტურმა ომბუდსმენმა“ სტატუსშეჩერებული სტუდენტების ოფიციალური მონაცემები გამოაქვეყნეს, სადაც იმ მიზეზებსა და გამოსავლებზეა საუბარი, რაც სუდენტების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანია. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „პრაიმტაიმი“ ესაუბრა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს და თავად სტუდენტებს, რომლებსაც ამ მომენტისთვის სტატუსი აქვთ შეჩერებული.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ფინანსური დავალიანების გამო, სტატუსი შეჩერებული აქვს 33 281 სტუდენტს, რაც წერილობით დაგვიდასტურა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. ეს ციფრი, წინა წლებთან შედარებით, თითქმის სამჯერ არის გაზრდილი. აღნიშნა ჩვენთან საუბარში **კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივისა“ და „სტუდენტური ომბუდსმენის“ წარმომადგენელმა ვასო ურუშაძემ.**

„სამწუხაროდ, აღნიშნული მონაცემები ნათლად ასახავს საქართველოში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან 99%-ს სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალიანების გამო. სტუდენტები და მათი ოჯახები ვერ ახერხებენ, დაფარონ სწავლის საფასური. ასევე, სტუდენტებისთვის სამუშაო ადგილები თითქმის არ არსებობს. მეტიც, კურსდამთავრებულების მხოლოდ 5% ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას და სამუშაო ადგილის პოვნას, ისიც ხშირ შემთხვევაში არა თავისი სპეციალობითა და კვალიფიკაციით“.

ვასო ურუშაძე ასევე იხსენებს 2013 წლის გაზაფხულს, როცა სტუდენტები მოითხოვდნენ საზაფხულო დასაქმების, Summer Job-ის აღდგენას. განათლების მაშინდელმა მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა, განაცხადა, რომ სტუდენტური დასაქმების პროექტი არ განხორციელდებოდა, რომ ეს პროექტი წინა ხელისუფლების მიერ პიარკამპანიაზე იყო გათვლილი, თუმცა სხვადასხვა გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ სტუდენტებს ამ დასაქმების პროგრამამ ნანილობრივ შეუმსუბუქა სწავლის გადასახადის ტვირთი. მეტიც, ასობით სტუდენტმა გააგრძელა მუშაობა დროებით დასაქმებულ უწყებებში და მათ დღემდე აქვთ სამსახური. ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა ასევე დასძინა, რომ აღნიშნული თანხები მოხმარდებოდა სტუდენტების სწავლის დაფინანსებასა და სტიპენდიებს, თუმცა, როგორც ვხედავთ, სიტუაციის გაუმჯობესების ნაცვლად სავალალო შედეგი მივიღეთ.

ასევე, საყურადღებოა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი, მაშინ 11 000 სტუდენტს ჰქონდა სტატუსი შეჩერებული, იმართებოდა საპროტესტო აქციები, სტატუსის აღდგენის მოთხოვნით. მაშინდელი ოპოზიციური ძალების ლიდერები ხელისუფლებას სდებდნენ ბრალს და ამ პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას ითხოვდნენ. ამჟამინდელი მმართველი გუნდის, მაშინდელი ოპოზიციური პარტიის, კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება იყო სწორედ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის აღდგენა და ფინანსური დავალიანების დაფარვა, რის გამოც სტუდენტების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მაშინდელ ოპოზიციურ ძალას საპარლამენტო არჩევნებში.

„პრაიმტაიმმა“ ვერ მოიპოვა კონკრეტული დაპირების შემცველი, წინასაარჩევნოდ გაკეთებული განცხადება სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის დავალიანების გაუქმების თაობაზე. პირიქით, 2012 წლის დეკემბერში „ტაბულისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განათლების მაშინდელი მინისტრი გიორგი მარგველაშვილი ამბობს: „უფასო არანაირი განათლება არ შეიძლება იყოს. ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტებს გრანტის ფარგლებში ვაძლევდით 2250 ლარს და ვიღებდით რაღაც ტიპის განათლებას. ამ ზღვარის დაწევა და მოლოდინი, რომ უკეთეს განათლებას მივიღებთ, არის საბაზრო აბსურდი.



NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

№ 5061 03.02.2014 წ.

ბატონო გიორგი,

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) განიხილა თქვენი 2014 წლის 29 იანვრის განცხადება საგამოსაცდელი დაწესებულებების რეესტრის (შემდგომში - რეესტრი) მოსაზღვრის მოთხოვნის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 აგვისტოს №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგამოსაცდელი დაწესებულების რეესტრის წარმოების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად რეესტრს აწარმოებს საერო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საიერო დაწესებულება ვალდებულია არ გასცეს პერსონალური მონაცემები, იმგვარმანი თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლის დასაბუთებული გადწყვეტილების გარეშე; თანხმობის პირი (ფიზიკური თანხმობისაზე წარდგენილ კანდიდატია) პერსონალური მონაცემების გარდა. ხოლო, პერსონალურ მონაცემია დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მუ-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის თანმხვედ, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით ამ პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

ოქმენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია - უმაღლესი საგამოსაცდელი დაწესებულებების სტატუსშეჩერებული სტუდენტების სახ. სახელის, გვარისა და უმაღლესი სასწავლებლის მითითებით, მოიცავს პირთა პერსონალურ მონაცემებს, რომელთა გაცემაც შეზღუდულია კანონმდებლობით.

საქართველო, ანაგლი 0160, ჭავჭავაძის ქ.74-ბ, ტელეფონი/ (+995 32) 2 200220(1040), (+995 32) 2 200220(1040) , www.eqe.ge, info@eqe.ge
L.M. Akhvlediani str.,N-10 Tbilisi, Georgia. Phone/ Fax:(+995 32) 2 200220(1040);(+995 32)2 200220(1040) www.eqe.ge, info@eqe.ge

„99%-ს სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალიანების გამო. სტუდენტები და მათი ოჯახები ვერ ახერხებენ, დაფარონ სწავლის საფასური. ასევე, სტუდენტებისთვის სამუშაო ადგილები თითქმის არ არსებობს. მეტიც, კურსდამთავრებულების მხოლოდ 5% ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას და სამუშაო ადგილის პოვნას“



ქვემოთ მოცემული ცხრილში მოცემულია სტატუსშეჩერებული სტუდენტების საერთო რაოდენობა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიხედვით.

უწყება	რაოდენობა
ა(ა)ი(ა) - აბორტის ტოქსიკოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია	530
ა(ა)ი(ა) - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო სასწავლებელი	125
ა(ა)ი(ა) - მართლმადიდებლური საეკლესიასტანდარტული უმაღლესი საგამოსაცდელო დაწესებულება - ეკონომიკურ-მოამზადებელი სახელმწიფო საკონსერვატორიის უმაღლესი სასწავლებელი	0
ა(ა)ი(ა) - მართლმადიდებლური საეკლესიასტანდარტული უმაღლესი საგამოსაცდელო დაწესებულება - საქართველოს სამხედროო ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიის სასულიერო აკადემია და სემინარია	0
ა(ა)ი(ა) - მართლმადიდებლური საეკლესიასტანდარტული უმაღლესი საგამოსაცდელო დაწესებულება ფარიდან წმიდა ანიმის ზეციერ სახელმწიფო სასულიერო სემინარია	0
ა(ა)ი(ა) - ნიკეფორწმინდიერ-ბენედიქტინელები	9
ა(ა)ი(ა) - საქართველოს ეკონომიკურ უნივერსიტეტი	1146
ა(ა)ი(ა) - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერაბინრონო სამედიცინო კოლეჯი-ეროვნული საგამოსაცდელო კოლეჯი ხარეზოგადოება ლიანი	15
ა(ა)ი(ა) - საქართველოს ხარეზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	86
ა(ა)ი(ა) - საქართველოს სამოგზაურო ავტომობილიერი მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	0
ა(ა)ი(ა) - საქართველოს სასტრატეგიის წმიდა ოთხმეტმეტეკლესიის სახელობის ბალეშის სასულიერო სემინარია	0
ა(ა)ი(ა) - საქართველოს მოიხ რესპუბლიკის ოფიციალის ფა კონის სახელმწიფო -ინსტიტუტები	287
ა(ა)ი(ა) - წმიდა ანანიე ალმასოვნელის სახელობის ეკლესიის სასულიერო სემინარია	0
ა(ა)ი(ა) "საქართველოს სასტრატეგიის წმიდა ტაბორ ამფესოლის სახელობის სასწავლო -ინსტიტუტი"	72
ა(ა)ი(ა) - საქართველოს სასტრატეგიის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული ინსტიტუტი	236
ბ(ბ) - ალეკსიოს ინსტიტუტი	677
ბ(ბ) - ბუტრე ზოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	73
ბ(ბ) - სახელგალ სასწავლო ცენტრი ანრი	1
ბ(ბ) - სასწავლო ინსტიტუტი "ოდესა"	101
ბ(ბ) - სასწავლო ინსტიტუტი ვეფხვი	82
ბ(ბ) - საქართველოს ბარბარეს ეკალენი - SBA	0
ბ(ბ) - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	235
ბ(ბ) - საქართველოს ინსტიტუტი	667
ბ(ბ) - ნოდეტან-ნაბა ინსტიტუტის სასწავლო ინსტიტუტი	48
ბ(ბ) - ინსტიტუტი "ალინა"	50
ბ(ბ) - ქართველ-ამერიკული ინსტიტუტი	211
ბ(ბ) - ბაკო ზოფის საერთაშორისო ინსტიტუტი	398
ბ(ბ) "საქართველოს ეროვნული ინსტიტუტი ხელ"	693
ბ(ბ) ალმასიანელი ფერიანის სასწავლო ინსტიტუტი	22
ბ(ბ) თბილისის ბარბარეს და ზენონ ტაბაგარის ეკალენი	0
ბ(ბ) ინსტიტუტი ეკალენი ეკალენი	11
ბ(ბ) სასწავლო ინსტიტუტი ეფრემელი ეკალენი	36
ბ(ბ) საქართველოს ფაალი ალმასმენელის სახელობის -ინსტიტუტი	212
ბ(ბ) ნიკოლოზის სასწავლო ინსტიტუტი	209
ბ(ბ) -უმაღლესი სასწავლებელი ეკალენი ეკალენი	0
ბ(ბ) ქართველ-ევროპელი ეკალენი	2
ბ(ბ) -ქოთანის ინსტიტუტი	104

ბატონებმა,

ნინო წერეთელი

რეესტრის წარმოების, პირველადის და ლიცენზიაციის სამსახურის უფროსი

„თანხის გადაუხდელობის გამო შევიჩერე სტუდენტის სტატუსი, იმედი მაქვს, რომ სექტემბერში ისევ განვაახლებ სწავლას. თუმცა ის დრო, რაც დამეკარგა, ძალიან მენანება“

„მე მეორე კურსის სტუდენტი ვარ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ახლა დროებით აღარ ვარ სტუდენტი, რადგან აკადემიური ავიღე. ალბათ, მიხვდებით, რა მიზეზითაც აღარ ვსწავლობ“

„თანხის გადაუხდელობის გამო შევიჩერე სტუდენტის სტატუსი, იმედი მაქვს, რომ სექტემბერში ისევ განვაახლებ სწავლას. თუმცა ის დრო, რაც დამეკარგა, ძალიან მენანება“

ეს ციფრი, წინა წლებთან შედარებით, თითქმის სამჯერ არის გაზრდილი. აღნიშნა ჩვენთან საუბარში **კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივისა“ და „სტუდენტური ომბუდსმენის“ წარმომადგენელმა ვასო ურუშაძემ.**

„სამწუხაროდ, აღნიშნული მონაცემები ნათლად ასახავს საქართველოში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან 99%-ს სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალიანების გამო. სტუდენტები და მათი ოჯახები ვერ ახერხებენ, დაფარონ სწავლის საფასური. ასევე, სტუდენტებისთვის სამუშაო ადგილები თითქმის არ არსებობს. მეტიც, კურსდამთავრებულების მხოლოდ 5% ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას და სამუშაო ადგილის პოვნას, ისიც ხშირ შემთხვევაში არა თავისი სპეციალობითა და კვალიფიკაციით“.

ვასო ურუშაძე ასევე იხსენებს 2013 წლის გაზაფხულს, როცა სტუდენტები მოითხოვდნენ საზაფხულო დასაქმების, Summer Job-ის აღდგენას. განათლების მაშინდელმა მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა, განაცხადა, რომ სტუდენტური დასაქმების პროექტი არ განხორციელდებოდა, რომ ეს პროექტი წინა ხელისუფლების მიერ პიარკამპანიაზე იყო გათვლილი, თუმცა სხვადასხვა გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ სტუდენტებს ამ დასაქმების პროგრამამ ნანილობრივ შეუმსუბუქა სწავლის გადასახადის ტვირთი. მეტიც, ასობით სტუდენტმა გააგრძელა მუშაობა დროებით დასაქმებულ უწყებებში და მათ დღემდე აქვთ სამსახური. ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა ასევე დასძინა, რომ აღნიშნული თანხები მოხმარდებოდა სტუდენტების სწავლის დაფინანსებასა და სტიპენდიებს, თუმცა, როგორც ვხედავთ, სიტუაციის გაუმჯობესების ნაცვლად სავალალო შედეგი მივიღეთ.

ასევე, საყურადღებოა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი, მაშინ 11 000 სტუდენტს ჰქონდა სტატუსი შეჩერებული, იმართებოდა საპროტესტო აქციები, სტატუსის აღდგენის მოთხოვნით. მაშინდელი ოპოზიციური ძალების ლიდერები ხელისუფლებას სდებდნენ ბრალს და ამ პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას ითხოვდნენ. ამჟამინდელი მმართველი გუნდის, მაშინდელი ოპოზიციური პარტიის, კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება იყო სწორედ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის აღდგენა და ფინანსური დავალიანების დაფარვა, რის გამოც სტუდენტების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მაშინდელ ოპოზიციურ ძალას საპარლამენტო არჩევნებში.

„პრაიმტაიმმა“ ვერ მოიპოვა კონკრეტული დაპირების შემცველი, წინასაარჩევნოდ გაკეთებული განცხადება სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის დავალიანების გაუქმების თაობაზე. პირიქით, 2012 წლის დეკემბერში „ტაბულისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განათლების მაშინდელი მინისტრი გიორგი მარგველაშვილი ამბობს: „უფასო არანაირი განათლება არ შეიძლება იყოს. ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტებს გრანტის ფარგლებში ვაძლევდით 2250 ლარს და ვიღებდით რაღაც ტიპის განათლებას. ამ ზღვარის დაწევა და მოლოდინი, რომ უკეთეს განათლებას მივიღებთ, არის საბაზრო აბსურდი.

მიმაჩნია, რომ ფული, რომელსაც წაიღებს უმაღლესში სტუდენტი, უნდა იყოს არა იმდენი, რამდენიც იყო, არამედ ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ მეტი. იმისთვის, რომ სტუდენტმა მიიღოს ეფექტური განათლება, რომ ეს განათლება არ დამთავრდეს ერთ წელიწადში და პროფესურის მომავალი თაობა გაიზარდოს. რაც შეეხება უფასო განათლებას, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ აქეთ მეტი ფული უნდა მიმართოს. ვფიქრობ, რაღაც სეგმენტებში ეს შესაძლებელია. მე თქვენი ჯიბიდან ვაძლევ ფულს და ვამბობ, რომ ამ ფულით ვიღაცამ ისწავლოს რაღაც. ხართ თქვენ თანახმა, რომ თქვენი ჯიბიდან ავიღო ფული და მივცე ვიღაცას, რომელიც სწავლობს იმას, რაც თქვენ არ მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად და პრიორიტეტულად? საზოგადოება იტყვის, რომ მას სჭირდება ინჟინერი იმიტომ, რომ სახლებია ასაშენებელი“.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „საზოგადოებრივ ინიციატივას“ და „სტუდენტურ ომბუდსმენს“ მიაჩნია, რომ ეს საკმაოდ საგანგაშო მაჩვენებელია. მათი ინფორმაციით, მხოლოდ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტატუსი შეუჩერდა 6598 სტუდენტს, რაც სრული შემადგენლობის თითქმის ერთი მესამედია, ანუ ყოველ მესამე სტუდენტს აქვს სტატუსი შეჩერებული. მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამჯერ გაუარესდა, ფაქტია, რომ სტუდენტებისა და მათი ოჯახების სწავლის საფასურის გადამხდელუნარიანობა შეუსაბამოა სწავლის ღირებულებასთან და ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან შეფარდებაში. ისინი აპირებენ, მიმართონ ხელისუფლებას, დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით და იპოვონ გამოსავალი აღნიშნული სიტუაციიდან.

ის, რომ სახელმწიფოს გაუჭირდება, დაარეგულიროს კერძო სასწავლებლების გადასახადის ოდენობა, ფაქტია. ასევე, რთულია ბიუროკრატიული ნორმების გადალახვა და სტუდენტებისთვის დავალიანებების გაუქმება. ვფიქრობ, ამ თემაში უფრო საინტერესო მარგველაშვილისა და ზოგადად მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებია, რომელთა საფუძველზეც განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტია. მათივე თქმით, ზემოხსენებული Summer Job და სხვა მსგავსი პროგრამები იმიტომ გაუქმდა, რომ თანხები უფრო რაციონალურად გადანაწილებულიყო სტიპენდიებსა და დაფინანსებაზე. მართალია, განათლების სამინისტროს ინიციატივით, 14 სპეციალობაზე სწავლა უფასო გახდა, მაგრამ ეს არანაირ შეღავათს არ აძლევთ იმ სტუდენტებს, რომლებმაც რამდენიმე წლის წინათ ჩააბარეს და შემდეგ თანხის გადაუხდელობის გამო სტატუსი შეიჩერეს და ახლა სრულ გაურკვევლობაში არიან. სწორედ აქ შედიან ჩიხში სტატუსშეჩერებული სტუდენტები. რამდენიმეს ჩვენც გავესაუბრეთ.

ანანო დარჩია: „მე მეორე კურსის სტუდენტი ვარ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ახლა დროებით აღარ ვარ სტუდენტი, რადგან აკადემიური ავიღე. ალბათ, მიხვდებით, რა მიზეზითაც აღარ ვსწავლობ. ამ მომენტში ჩემს ოჯახს არ აქვს იმის საშუალება, რომ შევძლო გადასახადის გადახდა და სწავლა გავაგრძელო. ეს კი, რა თქმა უნდა, ხელს მიშლის შემდგომ განვითარებაში. პირველი კურსი, ასე ვთქვათ, საკმაოდ კარგად გავიარე და იმედი იმისა, რომ მეორე კურსსაც ასევე კარგად და უკეთესადაც გავივლიდი, სამწუხაროდ, გაქრა, რადგან გაჩნდა დიდი პრობლემა – სწავლის საფასურის გადახდა. დავიწყე მუშაობა, თუმცა ფიქსირებული ხელფასი არ მქონდა, ენთუზიაზმზე მუშაობა კი მაშინ, როდესაც გინდა საკუთარი შრომით გამოიმუშაო უნივერსიტეტის სწავლების დასაფარი თანხა, თითქმის წარმოუდგენელია. ახლა სხვა სამსახურის ძიებით ვარ დაკავებული, რომ შევძლო და სექტემბრიდან ისევ შევუერთდე ჩემს უნივერსიტეტს, რომელიც ძალიან მიყვარს. აქტიური სტუდენტი ვიყავი და ჩემი სწავლის შეწყვეტის გამო ლექტორებმაც კი გამოთქვეს თავიანთი წუხილი“.

დაახლოებით მსგავს სიტუაციაშია ჩვენი მეორე რესპონდენტი **ჯემუკა ღამბაშიძე:** „თანხის გადაუხდელობის გამო შევიჩერე სტუდენტის სტატუსი, იმედი მაქვს, რომ სექტემბერში ისევ განვაახლებ სწავლას. თუმცა ის დრო, რაც დამეკარგა, ძალიან მენანება. ასევე, რთული იყო ჯგუფთან დაშორება. იმედი მაქვს, რომ არ გამიჭირდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ გამირთულდეს ახალ ჯგუფელებთან ინტეგრირება. ჩვენს ასაკსა და მდგომარეობაში ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. მისასალმებელი იქნება, თუ სახელმწიფო, განათლების სამინისტრო გადახედავს თავის პოლიტიკას და გაზრდის დაფინანსებას“.

ამ საკითხზე, ასევე, ვესაუბრეთ პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველს, დავით ზურაბიშვილს: „ამ სტუდენტებს ვერაფრით ვერ ვუშველით, არის გადასახადი, უნდა გადაიხადონ. თუ გვაქვს შემთხვევა სოციალურად დაუცველ ადამიანებთან, მათთვის სპეციალური დახმარებები და შეღავათები არსებობს სახელმწიფოსგან. რას ვიზამთ, ამ მომენტში სხვა შესაძლებლობა არ არის. ერთადერთი, რის გაკეთებაც სამომავლოდ შეიძლება, არის ის, რომ გაიზარდოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის დონე, ამით გაიზრდება კონკურენცია და აბიტურიენტებს ექნებათ არჩევანის გაკეთების საშუალება და იმის აბსოლუტური შესაძლებლობა, რომ მიიღონ კარგი განათლება. მომხრე ვიქნები, თუ, ზოგადად, დაფინანსებები გაიზრდება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევას სახელმწიფო ვერაფერს უშველის. ან უნდა გადავიხადოთ, ან უნდა ჩავაბაროთ იქ, სადაც შევძლებთ სწავლის საფასურის გადახდას“.

როგორც უკვე ვახსენეთ, სახელმწიფოს არ აქვს არანაირი ბერკეტი, რომ უკვე სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს დაეხმაროს, რადგან მათი უმრავლესობა კერძო უნივერსიტეტების სტუდენტი იყო, შესაბამისად, სწავლის საფასურის ოდენობას მათ ვერავინ გაუკონტროლებს.

სამინისტრომ შეღავათები დააწესა მათთვის, ვინც შარშან ჩააბარა ან შემდგომში აპირებს უმაღლესი განათლების მიღებას. ის მათ სრულად დაფინანსებულ 14 სპეციალობასა და დანარჩენ მიმართულებებზე სრული და ნაწილობრივი დაფინანსების სისტემას სთავაზობს. ეს კი მაინც გაურკვევლად ტოვებს სტატიის მთავარ გმირებს – 33 281 სტატუსშეჩერებულ სტუდენტს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საყდრისის მითიდან

რამდენად რეალურია ე.წ. საყდრისი-ყაჩაღიანის 5000 წლით დათარიღება?

თითქმის ერთი წელია არ ცხრება აჟიოტაჟი ე.წ. „საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს“ ირგვლივ. თუ თავდაპირველად თითქოს ეჭვი არავის შეჰქონდა ასეთი უძველესი ძეგლის არსებობაში, შემდგომ, საკითხის განხილვის კვალდაკვალ გაჩენილმა კითხვებმა წყალი შეუყენა ერთი შეხედვით თითქოსდა უტყუარად დადასტურებულ „აღმოჩენას“. ჯერ იყო და გაირკვა, რომ კვლევა, რაც საფუძვლად უნდა დადებოდა სტატუსის მინიჭებას - საერთოდ არც კი იყო წარდგენილი არც მეცნიერებათა აკადემიაში, არც კულტურისა და ძეგლთადაცვის სამინისტროში და საერთოდ - არც არსად, გაირკვა ისიც, რომ სტატუსის მინიჭების საკითხი საერთოდ არ განხილულა - დღემდე არ მოიძებნა არც ერთი სპეციალისტი, რომელსაც ეხსომებოდა მაინც ასეთი ფაქტი - ნუთუ ყველას ტოტალური ამნეზია დაემართა? - საბედნიეროდ არა - უბრალოდ ასეთი განხილვა არასდროს მომხდარა, აქედან გამომდინარე, არც მინისტრის ეს სათანადო ბრძანება არსებობს, რაც აუცილებელი იყო ასეთი სტატუსის მისანიჭებლად და ა.შ. და ა.შ.

საყდრისი-ყაჩაღიანის უბანი. ბუნებრივი ვიწრო ტექტონიკური ნაპრალები და არა მაღაროები

დღეისათვის დადგენილია, რომ „უძველესი ოქროს მაღაროს“ ძეგლის სტატუსი ფალსიფიცირებული, გაყალბებული დოკუმენტაციის საფუძველზე ჰქონდა მინიჭებული, ამაზე უკვე არავინ დაობს, თუმცა რჩება სამეცნიერო მხარე - აქ მაინც თუ აქვს ძეგლის სტატუსს რამდენადმე მყარი საფუძველი? როგორც ირკვევა - არა! გასაოცარი კი ის გახლავთ, რომ კვლევები, რომლებზედაც ძირითადად აპელირებენ „ძეგლის“ მომხრეები, მოგვიანებით, ანუ სტატუსის მინიჭების შემდეგ არის ჩატარებული: როგორც ცნობილია, სტატუსის მინიჭება მოხდა 2006 წელს, ხოლო შესაბამისი კვლევები კი 2007-2010 წლებშია ჩატარებული - ეს როგორ? რა მანქანებით? „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს?“ საკუთრივ კვლევებისადმიც ბევრი კრიტიკული კითხვა გაჩნდა, მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს აქ უძველესი მაღაროს არსებობას.

„ძეგლის“ დამცველთა ერთ-ერთი ბოლო ციტადელი, ერთ-ერთი ბოლო არგუმენტი - მისი დათარიღებაა, თუმცა აქაც გაჩნდა გარკვეული საფუძვლიანი ეჭვი - არის კი ეს დათარიღება კორექტული? რამდენად შეესაბამება იგი სინამდვილეს? ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შოთა ადამიას.

- რამდენად ზუსტია საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს დათარიღება, იქ აღმოჩენილი ნახშირის მიხედვით?

- პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ეს ყბადაღებული „მაღაროები“ სინამდვილეში ბუნებრივი ნაპრალებია, რაც ეჭვს არ იწვევს, ამაში დარწმუნდება ნებისმიერი ექსპერტი მათი ადგილზე დათვალიერების შემთხვევაში. „მაღაროების“ მომხრე კოლეგების შრომებში მოცემულია არა ერთი სურათი თუ ნახაზი ამ ნაპრალების ზომების და გეომეტრიის თაობაზე. მაგალითად შეიძლება მივუთითოთ ი. ღამბაშიძის და სხვ. მონოგრაფია, სადაც „მაღაროების“ ჭრილებია გამოსახული. ნახაზის მასშტაბი გიჩვენებთ, რომ მათი განი მთელ რიგ კვეთებში მხოლოდ 15-25 სმ-ის ტოლია. ასეთი სიგანის ხვრელში ქონდრის კაცებიც ვერ იმუშავებდნენ (გერმანელ კოლეგებს თუ დავუჯერებთ ბავშვებს ამუშავებდნენ). #1 ე.წ. მაღაროში „ღარიანი ურო“ არის, რომელთა ზომაც 10 სმ. უდრის – მართლაცდა „საბავშვო“ ურო ყოფილა.

საყდრისი-ყაჩაღიანის უბანი.ბუნებრივ ტექტონიკურ ნაპრალში ჩაცვივდა ყველაფერი რაც კი ნაპრალის გაჩენამდე და შემდგომშიც იყო - ე.წ. კოლუვიუმი.

კოლეგა არქეოლოგები (ი. ღამბაშიძე და სხვ.) იმასაც აღნიშნავენ, რომ „მაღაროში“ გაკაჟებული ქანების მონგრევის გასაადვილებლად „ბავშვები“ თუ ქონდრისკაცები ცეცხლსაც ანთებდნენ. როგორ ახერხებდნენ მრავალი მეტრის სიღრმეში, იმ ვიწრო ნაპრალებში ცეცხლის დანთებას და მუშაობას? ეს აუხსნელი გამოცანა ჩვენი კოლეგების მხრიდან დღემდე უპასუხოდ არის დარჩენილი.

ახლა, რაც შეეხება დათარიღებას. როგორც ქ-ნი ი. ღამბაშიძის და მისი კოლეგების პუბლიკაციებიდან ჩანს, ე.წ. მაღაროს (ანუ ბუნებრივი ნაპრალების) ნახშირის იზოტოპით -ჩ 14-ით დასათარიღებლად, მათ განსაზღვრეს ამ ნაპრალებში ფერდობებიდან ჩაცვენილი ქვიშა-ღორღში (კოლუვიუმში) არსებული ნახშირის რადიოკარბონული ასაკი. მათი კვლევებიდან არ ჩანს, თუ რა ნახშირზეა საუბარი - ეს არის ხის მერქნის დაწვის შედეგი, თუ უბრალოდ, უჰაერო სივრცეში ლპობის შედეგად წარმოქმნილი განახშირებული მცენარეული ნაშთებია? ამის დადგენა კი აუცილებელია, რათა გაირკვეს - ეს ნახშირი ადამიანმა შექმნა თუ ბუნებამ - ეს კი არ ჩანს. მონოგრაფიაში მოყვანილი ცხრილის მიხედვით ოთხმა ნიმუშმა უჩვენა ნახშირის (განახშირებული მცენარეულის?) ასაკი 2500-3500 წლის ფარგლებში ჩვენ წელთაღრიცხვამდე, მაშინ როცა ამავე კოლუვიუმში ამოღებული კერამიკული მასალა, მათივე განცხადებით, უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება, ანუ მათივე მონაცემების თანახმად უკვე არის მნიშვნელოვანი სხვაობა ნახშირისა და კერამიკული მასალის ასაკებს შორის. მეტიც - თვით ნახშირის ასაკებს შორის ძალზე სერიოზული სხვაობაა - წარმოიდგინეთ, მთელი ერთი ათასწლეული!!! ამის საპასუხოდ ზოგიერთი ჩვენი ქართველი და გერმანელი კოლეგა ჯიუტად ამტკიცებს, რომ თურმე ყაჩაღიანში ოქროს მაღაროების დამუშავება მთელი 1000 წლის განმავლობაში გრძელდებოდაო. ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთოთ?

- ანუ თქვენი აზრით, ეს დათარიღება არ არის ზუსტი?

- დიახ, არც ზუსტია და არც სარწმუნო, რადგანაც დათარიღებისას კოლუვიუმია გამოყენებული, რაც დაუშვებელია.

გვინდა ვურჩიოთ კოლეგა არქეოლოგებს ჩაიხედონ ცნობილ სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში, თუ რას ნიშნავს „კოლუვიუმი“, _ კოლუვიუმი არის ფერდობებიდან სიმძიმის ძალით ან სხვადასხვა ატმოსფერული მოვლენებით (ქარი, წვიმა და ა.შ.) ჩამოყრილი ან ჩამოტანილი გადაადგილებული მასალა, რაც რაიმე საგნის, ადგილის, მოვლენის, სხვ. დათარიღებისათვის არ გამოდგება. დათარიღების (გეოქრონოლოგიის) სფეროში მომუშავე სპეციალისტებმა ეს მარტივი ჭეშმარიტება კარგად იციან და გაუგებარია რატომ არ ითვალისწინებენ ამას ჩვენი კოლეგები.

უფრო გასაგები რომ იყოს ჩვენი ნათქვამი, მოვიყვანთ ერთ მაგალითს. 1978 წელს დმანისში, საყდრისიდან სულ 30 კმ-თ აღმოსავლეთით, მოხდა რვაბალიანი მიწისძვრა, გაჩნდა ნაპრალები. ნაპრალებში ჩაცვივდა ყველაფერი, რაც მათ პირას იყო. ესენია ქანების ნატეხები, სხვადასხვა ასაკის ნიადაგების ნაფლეთები, ძველი თუ ახალი საყოფაცხოვრებო ნაყარი და ა.შ. ნაპრალებში, რომლებიც 1978 წელს გაჩნდა, შეგეძლოთ აღმოგეჩინათ განსხვავებული ასაკის ნივთები თუ ფრაგმენტები, მათ შორის, მრავალი მილიონი წლის, ასეული, ათეული და ერთეული ათასი და ერთეული საუკუნეების წინა, მათ შორის სულ ახლახან განახშირ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აღარაფერი რჩება

საყდრისი-ყაჩაღიანის უბანი. სპილენძის მეორადი მინერალები

სავარაუდოა, რომ ყაჩაღიანის უბანზე ისტორიულ წარსულში, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვით შუა საუკუნეებში ხდებოდა სპილენძის მოპოვება ბუნებრივი ტექტონიკური ნაპრალებიდან. ცნობილია, რომ ყაჩაღიანის უბანზე მადანში სპილენძის რაოდენობა ტონაში 0.3% უდრის, ხოლო დათვლილი მარაგები მხოლოდ ყაჩაღიანში არის 48 500 ტონა.

ებული და სხვა ნაყარი. ამრიგად, კოლუვიუმში არსებული საგნების (მათ შორის ნახშირისაც) დათარიღება მხოლოდ მათ ასაკს გიჩვენებს და არა იმ გარემოსი, სადაც ისინი გადაადგილების შემდგომ მოხვდნენ.

ამრიგად, აბსოლუტურად უსაფუძვლოა ვარაუდი იმის შესახებ, რომ თითქოს არსებობს რაიმე სახის პირდაპირი კავშირი ნახშირისა და ნაპრალების ასაკებს შორის. მეტიც, ნახშირის ასაკის პირდაპირი მიბმა ნაპრალის ასაკზე აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ნახშირის აღმოჩენის ადგილი არაფერს არ ნიშნავს, თუ არ გაირკვა თვით ნახშირის წარმომავლობა. თუ ნახშირი აღნიშნული „გვირაბების“ თერმული დამუშავების შედეგადაა გაჩენილი, მაშინ ამ „გვირაბებში“ ნაცრისა და ნახშირის მთები უნდა შექმნილიყო, და აქ კანტი-კუნტად ნაპოვნი, გაურკვეველი წარმოშობის ნახშირის ერთეული ფრაგმენტები არ კმარა ამის დასასაბუთებლად, ხოლო თუ ნახშირის ეს მცირე მასა საერთოდ გარედანაა ნაპრალში მოხვედრილი, მაშინ ასეთ ნახშირებზე დაყრდნობით „გვირაბების“ დათარიღებაც ყოველგვარ ლოგიკას და აზრს კარგავს.

- რას გვეტყვით ისტორიული მონაცემების შესახებ, რომელიმე ისტორიულ წყაროში თუ არის ნახსენები რომ ქვემო ქართლში ანუ 5000 წლის წინათ იბერიაში ოქროს მოიპოვებდნენ?

- როგორც პროფესორი ვახტანგ ლიჩელი ბრძანებს, არც ერთ ისტორიულ წყაროში ცნობები იმის შესახებ, რომ 5400 წლის წინ ჩვენი წინაპრები ქვემო ქართლში ოქროს მოიპოვებდნენ, არ არსებობს.

რაც შეეხება მოსაზრებას თუ რას შეიძლება წარმოადგენდეს და რა პერიოდის იყოს ობიექტი, შეგვიძლია მოვიშველიოთ ვახუშტი ბატონიშვილი, რომელმაც დეტალურად აღწერა მთელი საქართველო, მისი ბუნება, ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა, მეურნეობა, გეოგრაფია და ისტორია, მიუთითებს, რომ აქ, აბულმუგში მის დროს ანუ XVIII საუკუნეში, მოიპოვებდნენ სპილენძს.

- რა აზრის არიან საერთაშორისო სამეცნიერო წრეები საყდრისის შესახებ, როგორც ვიცით შტოლნერის აღმოჩენას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს დასავლეთში, თქვენს ეჭვებს თუ იზიარებენ უცხოელი მეცნიერები?

- საგულისხმოა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი წარმოდგენა არსებობს სამეცნიერო წრეებში, მაგალითად, წარმოგიდგენთ ლონდონის ანტიკური საზოგადოების და არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრის, დოქტორი პოლ ევერილის წერილის (22.04.2013)ამონარიდს. „2013 წ. 5 აპრილს მოვინახულე ძეგლი და შესაბამისად ვფიქრობ, რომ ქანებში არსებული ვიწრო ვერტიკალური ბზარები სავარაუდოდ უნდა იყოს სოლიფლუქციის შედეგები - ქანებში ეროზიის ბუნებრივი პროცესი, რომელიც გამოწვეულია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წყლის მოძრაობით“. „საყდრისში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნიმუშები, ჩემი მოსაზრებით, ადასტურებენ უფრო რიტუალურ დანიშნულებას და არა სამთო საქმიანობას. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს აღმოჩენილ ნივთებს შორის ორი განგმირული ადამიანის თავის ქალის არსებობა, რომელიც შეესაბამება... რიტუალურ ჩვენებას ან მსხვერპლშეწირვას“.

- დარჩება კი რაიმე მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტი საყდრისის უძველესი ოქროს უძველესი მაღაროს ვერსიის სასარგებლოდ? თუ ეს მითია?

- ჩემია ზრით – არა, არავითარი მეცნიერულად დადასტურებული ან თუნდაც რაიმე სახით დასაბუთებული არგუმენტი არ არსებობს. რაც მეტად ვეცნობით ამ საკითხთან დაკავშირებულ მასალას, სულ უფრო და უფრო მეტი პასუხგაუცემელი კითხვები ჩნდება. დათარიღებაზე უკვე მოგახსენეთ - არ არის და ვერც იქნება სანდო. ასევე გაუგებარი და აუხსნელია, თუ როგორ ანთებდნენ ცეცხლს 15-20 მეტრის სიღრმეში, ვიწრო და უსწორმასწორო გვირაბებში, პრაქტიკულად დახშულ, უჰაერო სივრცეში - მაშინ რა, ფიზიკის სხვა კანონები მოქმედებდა? ან როგორ უნდა ემუშავათ იქ თუნდაც ბავშვებს ან ქონდრისკაცებს? ან რატომ და როგორ არ დარჩა არც ერთ „ურიზე“ ოქროს კვალი? და სხვა მრავალი ასეთი, რომელი ერთი ვთქვა? მოკლედ, საყდრისის უძველესი მაღაროს მითიდან ხელმოსაჭიდი აღარაფერი რჩება, ამ მითის გულშემატკივართა სურვილების გარდა, მაგრამ მხოლოდ სურვილები საკმარისი არ არის - ამის დამტკიცებას არგუმენტირებული მეცნიერული დასაბუთება, სერიოზული არგუმენტებით აპელირება სჭირდება და არა უსარგებლო, მხოლოდ ზიანის მომტანი აჟიოტაჟის ატეხვა, რაც არ ემსახურება სიმართლის დადგენას.



სურ. 22. მაღარო №1, სამხრეთის მხარის დაზიანებული გვირაბები (პ. ტომახი, ტ. შტოლნერი).

„მაღარო“ რომელთა სიგანე მასშტაბის გათვალისწინებით “ 15-20 სანტიმეტრია (ღამბაშიძე და სხვა, 2010). ცხადია, რომ ადამიანი არათუ მუშაობას ამ სიგანის ნაპრალში ჩაძრომასაც ვერ შეძლებდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელენე გედევანიშვილი: „ეს ოლიმპიადა ჩემთვის ბოლოა“

მაგდა კლდიაშვილი

ქართველი ფიგურული მოციგურავე ელენე გედევანიშვილი სოჭშია და გამოსვლისთვის მზადებას ოლიმპიურ სოფელში აგრძელებს. 24 წლის სპორტსმენი „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ ეს ოლიმპიადა შესაძლოა მისთვის ბოლო იყოს და მომავალში მონაწილეობა ვეღარ შეძლოს. ინტერვიუს დაწყებამდე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრესატაშემ გაგვაფრთხილა, რომ ელენესთან პოლიტიკური კითხვები არ დაგვესვა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ იმის გაგება, მიიღებდა თუ არა მონაწილეობას მოციგურავე ოლიმპიადაში, სახელმწიფოს ბოიკოტის შემთხვევაში. რა კოსტუმით წარსდგება და რა სიახლეებია ელენე გედევანიშვილის პროგრამაში - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზივი.

- როგორ ჩაიარა ოლიმპიადისთვის მოსამზადებელმა პროცესმა და რა სიახლე იქნება შენს პროგრამაში?

- მომზადების პროცესმა ისე ჩაიარა, როგორც ვგეგმავდით, ანუ ნორმალურად. ყველაფერი რიგზეა. მუსიკას რაც შეეხება, გადავწყვიტე, რომ დამებრუნებინა შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის გრძელი პროგრამა და ისევ „დონ კიხოტი“ მექნება ძველი გამოსვლიდან.

- თქვენს კოსტიუმზე ვინ იზრუნა, რას იცვამთ ოლიმპიადაზე გამოსვლისას?

- რაც ევროპაზე მეცვა შარშან, ისევ იმ წითელ კაბას ჩავიცვამ. ბალეტის მოცეკვავის კაბას წააგავს. კაბას დეტალები დააკლდა და ქვები დავუმატეთ. მეტი ისეთი განსაკუთრებული, არაფერია.

- ყველაზე მეტად ქართულ სპორტულ დელეგაციას შენ ეიმედები. როგორ გგონია, გაიმეორებ ვანკუვერის ოლიმპიადის მიღწევას და რა იქნება შენთვის მისაღები შედეგი?

- ჩემთვის, შეიძლება, ეს ბოლო ოლიმპიადა იყოს. არ ვიცი, შემდეგ, რამდენად შევძლებ ისევ ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებას. მინდა მაქსიმალურად დიდი სიამოვნება მივიღო მონაწილეობით და ჩემი გამოსვლით. სურვილი მაქვს, საუკეთესო გამოსვლა იყოს, რაც შემიძლია ამჟამად გავაკეთო და ეს არის ჩემი მიზანი.

- ფიგურულ სრიალში დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტურ მსაჯობას. ხომ არ გეშინია ამის?

- ეს ისეთი რაღაცაა, რასაც მე ვერ ვაკონტროლებ და არ შემიძლია ყველაფერზე ერთად ვიფიქრო, არაობიექტურ მსაჯობაზე, ვინ რას ფიქრობს და ა.შ. ნამდვილად ვეღარ შევძლებ ჩემი საქმის გაკეთებას. ვეცდები, მაქსიმალურად კონცენტრირებული ვიყო პროგრამაზე, ნახტომებზე და მაქსიმუმი გავაკეთო.

- ანუ არაობიექტურ მსაჯობასა და დაჩაგვრაზე არ ფიქრობთ საერთოდ?

- მსაჯობაზე საერთოდ არ ვფიქრობ, ეს ჩემი კომპეტენცია არ არის. მსაჯი რომ ვიყო, გეტყოდით, ყინულზე ვარ, მოციგურავე ვარ და ამაზე ახლა ვერ ვილაპარაკებ.

- შენ იყავი ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც განაცხადა, რომ თუკი სახელმწიფო უარს იტყოდა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, სპორტსმენებიც ბოიკოტს გამოუცხადებდნენ, მაშინ რატომ თქვენ არ განაცხადეთ უარი?

- ხელისუფლებას რომ ეთქვა, მონაწილეობას არ მივიღებთ ოლიმპიადაშიო, რა თქმა უნდა, მონაწილეობას არ მივიღებდი. იმას ვაკეთებ, რასაც ჩემი უფროსობა ნყვეტს. რა ფერის კაბა ჩავიცვა, ამ გადაწყვეტილებასაც კი არ ვიღებ მე.

- სოციალურ ქსელში თქვენი ძველი ვიდეო გავრცელდა, სადაც ამბობთ, რომ ყოფილი პრეზიდენტისგან კარგი ხელშეწყობა გქონდათ, რომ მომზადებულიყავით, ახლა ხომ არ შეიცვალა რამე?

- კანადაში ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ კარგად მოვემზადო.

„რა ფერის კაბა ჩავიცვა, ამ გადაწყვეტილებასაც კი არ ვიღებ მე“

საკითხავი

MY VIEW
ანა ბარბაქაძე

ახალი საკითხავი

***

7 თებერვალს BOOK CITY-ში გაიმართა კარლო კაჭარავას წიგნის „მგზავრობის ანგელოსის“ პრეზენტაცია. წიგნი წარმოადგენს კარლო კაჭარავას პირადი ალბომის ზუსტ ასლს. ალბომი ასახავს 1991 წლის ბოლოსა და 1992 წლის დასაწყისის გერმანიაში მიღებულ შთაბეჭდილებებს. ეს ჩანახატები, ჩანაწერები და ტექსტები, ძირითადად, შესრულებულია კელნში, სადაც მხატვარი ფრანცუაზა ფრიდრიხის გალერეაში სამუშაოდ იყო მიწვეული.

წიგნს სახელად მისი ლექსის სათაური „მგზავრობის ანგელოსი“ ეწოდა. პრეზენტაციის თარიღი დაემთხვა მის იუბილეს – კარლო კაჭარავას 7 თებერვალს 50 წელი შეუსრულდებოდა.

„მგზავრობის ანგელოსი“ პირველი წიგნია, რომლითაც დაიწყო კარლო კაჭარავას ჩანაწერებისა და დღიურების სისტემატური გამოცემა. თითოეული წიგნი იქნება ამა თუ იმ პერიოდის ტექსტების ლოგიკური გაერთიანება. წინამდებარე წიგნი კარლო კაჭარავას „ჯარის პერიოდის“ ორი დღიურის ტექსტებს აერთიანებს.

***

„მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ“ – ეს არის ფრაზა ეკატერინე ტოგონიძის რომანიდან „ასინქრონი“, რომლის პრეზენტაციაც 6 თებერვალს გაიმართა.

ამ აქცია-პრეზენტაციამ ლიტერატურის გარშემო გააერთიანა ხელოვნებისა და ბიზნესის წარმომადგენლები და მხარდაჭერა გამოუცხადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს. საღამოზე წარმოდგენილი იყო რომანის თემატიკაზე მხატვარ ქართლოს კახიძის მიერ შექმნილი ინსტალაციები და ჩანახატები. ამით სტუმრებისთვის უფრო ხელშესახები გახდა რომანის თემები და მოტივები, მთავარი გმირების ცხოვრება და მათი ნივთები.



რომანში მოთხრობილი ამბავი განსაკუთრებული შემთხვევაა – თემა, რომელზეც ნაკლებად საუბრობენ. მთავარი გმირების პროტოტიპები რეალური ადამიანები, ამერიკელი დები არიან, თუმცა მოვლენები ქართულ გარემოში ვითარდება, შეუწყნარებელ საზოგადოებაში, სადაც უჭირთ განსხვავებულის მიღება, სადაც პირადი ტრაგედია შესაძლოა, სასტიკ საცირკო სანახაობად იქცეს.

მკითხველიც გმირებთან ერთად განიცდის შიშს, სიყვარულს, მიჰყვება გაორებულ ფიქრებს – მუდმივ არჩევანს გონებასა და გულისთქმას, სიცოცხლესა თუ სიკვდილს შორის. წარსულის, ერთი შეხედვით, უკვალოდ ჩავლილი შეცდომები ზოგჯერ მოულოდნელად გვიბრუნდება – წინასწარ არავინ იცის, რომელ ნაპირზე გაგვრიყავს ჩვენს ცხოვრებაში მოვარდნილი წყალდიდობა. მარტოობა, ყველაზე მჭიდრო თანაარსებობის პირობებშიც კი, გმირების გარდაუვალი რეალობა და სასჯელია.

წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხა მოხმარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემაზე ტრენინგის მომზადებას, რომლის მიზანიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

კვირის საკითხავი

1. შტეფან ცვაიგი – „მოუთმენლობა გულისა“

„ორნაირი თანაგრძნობა არსებობს: პირველი – სულმოკლე და სენტიმენტალური, რომელიც არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა მოუთმენლობა გულისა, ანუ ცდილობს, რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს სხვისი უბედურებით გამოწვეული სიმძიმისგან. ეს თანაგრძნობა კი არა, სხვისი უბედურებისგან ინსტინქტური თავდაცვაა. მეორე – ჭეშმარიტი, არასენტიმენტალური, მაგრამ ქმედითი თანაგრძნობა, რომელმაც იცის, რა უნდა და მზადაა, ყველაფერს გაუძლოს, ვიდრე სასოება ნაერთმეოდეს და მას შემდეგაც კი...“

2. უილიამ ფოლკნერი – „ხმაური და მძვინვარება“

1929 წელს დაიწერა. ნაწარმოების სათაური აღებულია შექსპირის „მაკბეტის“ ცნობილი მონოლოგიდან. მწერალი ურთიერთობის ორიგინალურ ფორმას სთავაზობს მკითხველს, რომელსაც იმდენად დიდი სამუშაოს შესრულება უხდება, თანაავტორობის უჩვეულო განცდა უჩნდება. ინფორმაციის მიღება ამ წიგნიდან უაღრესად შრომატევადი პროცესია. ფოლკნერი მიმართავს XX საუკუნის მოდერნისტული მწერლობისთვის დამახასიათებელ მეთოდს, რომელსაც ცნობიერების ნაკადს უწოდებენ. ცნობიერების ნაკადში აზრები, შეგრძნებები, მოგონებები, უეცარი ასოციაციები გამუდმებით ეჯახება ერთმანეთს. ხშირად საჭირო ხდება მიბრუნება და „ძირს დაბნეული“ ნაწილების (მხედველობიდან გამორჩენილი დეტალების) აკრეფა, შეკრება, შესაბამის ადგილას ჩასმა, რითაც ამა თუ იმ ეპიზოდის, ფრაზის, პერსონაჟის ქმედების, ჟესტის მნიშვნელობა განუზომლად, თვალსა და ხელს შუა იზრდება. ნაწარმოების შინაარსი უზარმაზარ მოზაიკურ პანოს ჰგავს, რომლის ნაწილები ოთხ თავშია მიმოფანტული. კითხვის დამთავრებისას ეს პანო დასრულებულ სახეს იძენს და მთელი თავისი მონუმენტურობით წარმოგვიდგება.

3. ფრედერიკ ბეგბედერი – „99 ფრანკი“

წიგნში აღწერილი გარემო და მოვლენები ავტორის პირადი გამოცდილების ანარეკლია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს რომანისადმი ინტერესს. ბეგბედერი ცინიკურად აღწერს იმ გამოჩენილ ადამიანთა ზღვარგადასულ სიმდიდრეს, რომელთაც კეთილდღეობა დანარჩენი მსოფლიოს უბედურებისა და სულიერი გაღატაკების ხარჯზე მოიპოვეს.

4. პაულო კოელიო – „ალქიმიკოსი“

ბრაზილიელი მწერლის, პაულო კოელიოს „ალქიმიკოსი“ თანამედროვე კლასიკად არის აღიარებული და რამდენიმე წელია, მსოფლიო ბესტსელერების სიის სათავეშია. ეს არის იგავი ადამიანზე, რომელიც თავის გზას მიჰყვება. მოგზაურობის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი, ის ჯერ მწყემსი გახდება, შემდეგ ზღაპრული განძის მოსაპოვებლად ეგვიპტეში გაემგზავრება, შეხვდება ალქიმიკოსს და შეიცნობს ბუნების საიდუმლოებებს.

5. დათო ტურაშვილი – „ტიბეტი არ არის შორს“

ეს წიგნი პირველად ათი წლის წინათ გამოქვეყნდა, როცა ტიბეტი ჩვენგან უფრო შორს იყო, ისევე, როგორც თავისუფლება, მაგრამ ამ წიგნისადმი ინტერესი ახლაც დიდია მკითხველებს შორის და სწორედ მათი სურვილების გათვალისწინებით, ეს წიგნი მესამედ იბეჭდება.

პირველი გამოცემა ნათია აბრამიამ ტიბეტელების მეთოთხმეტე დალაი-ლამასაც კი აჩუქა, როცა ქართველი ჟურნალისტი მას დარამსალას რეზიდენციაში ესტუმრა და ეს წიგნი ტიბეტელების სულიერ ლიდერს თვითონვე წაუკითხა. დალაი-ლამა მოთმინებით ისმენდა იქვე, მისთვის სახელდახელოდ თარგმნილ ქართულ წიგნს და, ალბათ, სიამოვნებით უკვირდა, რომ შორეულ საქართველოშიც არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც სხვისი ბედნიერებაც ისეთივე ძვირფასია, როგორც საკუთარი თავისუფლება.

ტიბეტელების ღრმა რწმენით კი, ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ბედნიერი, როცა ის თავისუფალია...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პატრიარქის ქადაგება
დითირამბი განწყობის თეორიისა

(ციკლიდან „დროის იეროგლიფები“)

იმ დღეს სამების ტაძარში დიმიტრი უზნაძის სახელი დატრიალდებოდა, აღტაცების შარავანდით გარემოსილი.

2014 წლის 26 იანვარს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგება ლამის მთლიანად დაეთმობოდა განწყობის თეორიის მნიშვნელობის წარმოჩენას და მისი დამკვიდრების აუცილებლობას ჩვენს ყოველდღიურობაში.

აღნიშნავდა ამ თეორიის საკაცობრიო დანიშნულებას.

მისით განსაკუთრებულ დაინტერესებას დასავლეთში, სულ უფრო მიზანმიმართულად რომ ცდილობენ ამ თეორიის გამოყენებას ყოფით ცხოვრებაში.

იმათ რატომ უნდა დაგვასწრონო! - ამასაც კი განაცხადებდა პატრიარქი.

მისთვის მთავარი სწორედ ის გახლდათ, რომ დიმიტრი უზნაძის მიერ მიგნებული და შთამბეჭდავად წარმოსახული ეს დაფარული ძრე ადამიანური ბუნებისა ზოგადფსიქოლოგიური კვლევის არეალი კი არ არის, არამედ ერთი ყველაზე ზუსტი ორიენტირია საზოგადოების წინსვლისათვის, და: მაშ კიდეც უნდა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისაო, - ბარათაშვილურად რომ ვთქვათ და მრჩევლად ამჯერადაც ჩვენი სულიერი მამა დავისახოთ.

ნაიკითხეთო, - შეაგონებდა სამების ტაძარში შეყრილ მრევლსაც და მთელ საქართველოსაც, - შეითვისეთ და მიჰყევითო.

შესაფერისი განწყობის შექმნას მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ოღონდ, ცხადია, სასიკეთო მიზნისათვის უნდა იყოს მიმართული, რათა სიცრუე-სიყალბის დასანერგავად მომართულ პიარტექნოლოგებს ხელიდან გამოვაცალოთ საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებანი, უპირველესად მაინც ტელევიზია, რომელსაც - სხვადასხვა სახელწოდებათა მიუხედავად - შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად ერთი ცნობიერება მართავს, ყოვლად მცდარ, წინასწარ შემუშავებულ შეხედულებებს რომ ქმნის ჩვენს რეალობაზე.

ის შინაგანი, იდუმალი პროცესი, რომელიც ჩვენი ერის სასიკეთო ფერისცვალებას მოასწავებს, მაინც შესამჩნევია და უსათუოდ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიასაც უნდა მოეჭიდოს მღელვარე ზღვაში ტორტმანისას.

პატრიარქი ყურადღებას უმთავრესად გაამახვილებდა შრომის განწყობის შექმნის აუცილებლობაზე, რათა ყველამ, დიდიან-პატარიანად, შეიგრძნოს მისი მადლი და წუთიც აღარ დაიკარგოს ფუჭად და უსარგებლოდ.

ვთქვათ, წიგნზე მუშაობს ადამიანი და დაიქანცა, ვეღარ აგრძელებს - უსაქმურობას კი არ უნდა მიეცეს, არამედ თუნდ ბაღში გავიდეს და ხეხილს მოუაროს, ასე რომ, თან დაისვენოს და თან შრომაც გააგრძელოს.

ყაზბეგის მხარეში ისეთი ნოყიერი მიწაა, მთელი საქართველოს სამყოფი კარტოფილის მოყვანა შეიძლებაო, - სამაგალითოდ ამასაც დასძენდა, - და თუ შესაფერისი განწყობა იქნა, ასეც მოხდებაო.

სათვალსაჩინო ნიმუშებს რა დალევს.

და მართლაც რატომ უნდა დაგვასწრონ უცხოელებმა ჩვენი ერის წიაღში შექმნილი თეორიის მომარჯვება?!.

ჯერ ამ თეორიის გაცნობა დაგვვალებია ილია მეორისაგან, ღრმად გააზრება და ჩვენი ყოველდღიურობისათვის მისადაგება.

მერე მისი დამკვიდრება ცხოვრების ყველა სფეროში.

ისედაც ძალიან დაგვიგვიანდა და ახლა მაინც ნუღა გადავდებთ.

მეოცე საუკუნის შუა ხანები განწყობის თეორიის შექმნითა და მისი გადარჩენით აღინიშნებოდა.

მარქსისტული და საბჭოთა იდეოლოგიისათვის ყოვლად მიუღებელი გახლდათ ეს თეორია, როგორც იდეალისტური, საფუძველს რომ აცლიდა მატერიალისტური დოქტრინის ერთადერთობას. დასავლეთში კი მოიწონებდნენ ამ აღმოჩენას და დიმიტრი უზნაძის სახელსაც ფარზე აზიდავდნენ ფსიქოლოგთა წრეებში, და საქართველოშიც გამოუჩნდებოდნენ მიმდევრები, ერთბაშად მთელი სკოლა რომ შეიქმნებოდა, მაგრამ გარდაიცვლებოდა თუ არა ამ თეორიის შემოქმედი, კიდეც მომზადდებოდა მძაფრი და ულმობელი იერიში განწყობის თეორიის გასაქარწყლებლად და სულაც ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დასახურად.

ერთ მხარეს იდგებოდა საბჭოთა იმპერია.

მეორე მხარეს - დიმიტრი უზნაძის მოწაფეები, რომელთაგან ყველა ვერ გამოიჩენდა გაბედულებას და განზე გადგებოდა, მაგრამ ვინც არ შეეპუებოდა რეპრესიულ მანქანას, თავგანწირვითაც გადაეშვებოდნენ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც გარეგნულად დისკუსია ერქვა განწყობის თეორიის პრობლემატიკის ირგვლივ, სინამდვილეში კი სწორედაც ბრძოლა გახლდათ სიმართლისა სიცრუის, სიწრფელისა, ტენდენციურობისა, ბუნებრიობისა, ხელოვნურობის, სიკეთისა ბოროტების წინააღმდეგ.

ძალთა უთანასწორო დაპირისპირება თავისას გაიტანდა, რომ არა აჭრილი დრო - სტალინის აღსასრულისთანავე სახელისუფლებო ცვლილებანი კრემლშიც და აქაც, საქართველოს რესპუბლიკაშიც... და კიდევ - რომ არა მოულოდნელად გამოჩენილი ქომაგი ოთარ ჩხეიძის სახით, ვინც თავისი რომანის - „ბურუსი“ - მთავარ თემად აქცევდა განწყობის თეორიის დაცვას და სიუჟეტურ ქარგას იმ დისკუსიის საფუძველზე გაშლიდა, ოქმის მასალებსაც რომ გაეცნობოდა და შემოიტანდა თხრობაში.

და კიდეც დაიტეხდა ხელისუფლების რისხვას, „მნათობში“ სიმონ ჩიქოვანის თავგამოდებთი გამოქვეყნებული ამ ეპიკური ქმნილებისათვის, საყვედურს რედაქტორიც რომ ვერ გადაურჩებოდა, „ბურუსი“ კი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის მიერ გამოცხადდებოდა შავბნელ მოვლენად.

მკითხველი აღტაცებით შეხვდებოდა ამ პუბლიკაციას, მაგრამ ჩეკისტური კრიტიკა ძალიან აილესებოდა მის მიმართ... და თუ როგორ გადაურჩებოდა მწერალი დაპატიმრებას, ამის თაობაზე ჩემს ბიოგრაფიულ რომანში „აგვისტოს შვილები (მამა-ჩემი ოთარ ჩხეიძე)“ ამოიკითხავთ. ამჯერად კი მთავარი ისაა, რომ იერიში ოთარ ჩხეიძისაკენ გადაინაცვლებდა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტი როგორღაც გვერდით მირჩებოდათ. და ასე გადაურჩებოდა განწყობის თეორიაც და ეს ინსტიტუტიც იმ საზარელ განზრახვას.

თვითონ ფსიქოლოგები, დიმიტრი უზნაძის მოწაფეები თუ მოწაფეთა მოწაფეები, ასე ხსნიდნენ თავიანთ გადარჩენას - „ბურუსის“ მოქცევით გაშმაგებულ ვნებათა შუაგულში, და არაერთხელ ეტყოდნენ მწერალს მადლობას, როგორც კი საამისო შემთხვევა მიეცემოდათ.

„ბურუსი“ არამცთუ იმხანად, ოც წელიწადს ვეღარ გამოქვეყნდებოდა წიგნად, და ოცი წლის შემდეგაც ცალკე არ ეღირსებოდა გამოცემა - მხოლოდ სხვა რომანთა გვერდით. სამჯერ კი გამომზეურდებოდა 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. და მხოლოდ ახლახან, გამომცემლობა „პალიტრა ელის“ სერიაში „ქართული პროზის საგანძური“ ეღირსებოდა ცალკე დასტამბვა - 2011 წელს მოხდებოდა ის, რაც წესით ჯერ კიდევ 1956 წელს უნდა განხორციელებულიყო.

ასეა თუ ისე მკითხველისათვის უკვე ადვილად ხელმისაწვდომია და, გარდა თავისთავადი მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებებისა და ეპოქის დოკუმენტური სიზუსტით ასახვისა, თვითონ განწყობის თეორიის არსსაც თვალნათლივ წარმოსახავს - მწერლური ხელოვნებით არის გადმოცემული დიმიტრი უზნაძის ამ თეორიის ფსიქოლოგიური საფუძვლებიც და საზოგადოებრივი დანიშნულებაც.

ასე რომ, მკითხველს შეუძლია აქედანაც გაიკვლიოს გზა ამ დოქტრინის მეცნიერული განსჯისა და სრულყოფილად შეცნობისაკენ, რასაც ჩვენი პატრიარქი შეგვაგონებს და ერთ-ერთ ყველაზე საძურ და აუცილებელ საქმედაც მიაჩნია.

...არა, რატომ უნდა დაგვასწრონ უცხოელებმა მისი აზიდვა ფარზე, თორემ კი!..

როსტომ ჩხეიძე



დიმიტრი უზნაძე



ოთარ ჩხეიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოდას აყოლილი თბილისი

სალი კიპაროიძე

ერთხელ, ოსკარ უაილდს უთქვამს: „მოდა ისეთი უშნო რამ არის, რომ ექვს თვეში ერთხელ მაინც უნდა შეიცვალოსო“. როგორც ჩანს, ინგლისელი დრამატურგის სიტყვები მსოფლიომ კარგად გაითავისა, ასე რომ, ხელოვნების ეს დარგი ერთ ადგილზე არასდროს ჩერდება, ის ყოველთვის ბრუნავს და ხშირად რთულია დროულად აჰყვე და მისდიო მის ტენდენციებს. მოდას საკუთარ თავს თავადვე ვუქმნით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა თუ აქსესუარებით, ყველაფერი ეს კი ნებისმიერი ადამიანის თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. მოდა - ეს არის ვიზუალზე ასახული, შინაგანი მეს ერთგვარი გამოვლინება, რომელიც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს. ამბობენ, რომ გამოხედვა პირფერობს, ღიმილი ცრუობს, მაგრამ ტანსაცმელი არასდროს იტყუება.

მოდის საწყისები დასავლურ სამყაროსთან ასოცირდება, ვინაიდან სწორედ აქედან იწყება მოდის რენესანსის ეპოქა. ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში ევროპას შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული მისი არსი და ეფექტურობა. მოდა იმ დროის წყობილებისა და იდეების გამოხატულებაა, რომელშიც იქმნება. ამიტომაა, რომ დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი პროცესების შედეგად ის ახალი მიმდინარეობითა და ტენდენციებით ნაცვლდება. „მოდა მიდის, სტილი კი რჩება“, – ამბობდა კოკო შანელი, თუმცა, როგორც ჩანს, ეს ორი რამ ერთი მეორის კვალდაკვალ მაინც თანაარსებობს. ტელევიზიით გაუთავებლად წარმოგვიდგენენ სხვადასხვა ქვეყნების „Fashion week“- ებს, პოპულარული ჟურნალები მოდის უახლეს ტენდენციებზე ამახვილებენ ყურადღებას და მათი მოწოდებების ფეხდაფეხ მიდევნებას გვთავაზობენ, თუმცა ეს ყველაფერი საკმაოდ შორსაა იმ რეალობისგან, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით. მოდა ყველაზე დიდი თავისუფლებაა, რომელიც ყველაზე დიდი შეზღუდვებით იქმნება. მართლაც, დღეს ხომ იგი წარმოუდგენლად დიდ თავისუფლებას იძლევა და ამ თავისუფლებას ანიჭებს ყველას, მთავარი ხდება სწორი არჩევანის გაკეთება და ინდივიდუალურად მოხდენა საკუთარ სხეულზე, მას ხომ ჩვენზე უკეთ არავინ იცნობს.

მიუხედავად ამისა, თბილისში, დღესდღეობით, მოდა წარმოუდგენელია სიტყვა „ბრენდის“ გამოყენების გარეშე. ერთი შეხედვით მარტივი სიტყვა მაგიურია და სამყაროს ისე ატრიალებს, რომ მომხმარებლებს აიძულებს დაუფიქრებლად იყიდონ იგი. ის კი არავის ახსოვს, რომ პოდიუმებიდან და მოდური ჟურნალებიდან სამოსის კოპირება უზადო გემოვნებით ნაქები იმიჯის გარანტი სულაც არ არის. მოდური სამოსი, პოდიუმზე რომ ასე ლამაზია, ხშირად არაფრად ვარგა სარკეში. ცუდი ნამდვილად არ არის, რომ თბილისური საზოგადოება ცდილობს ფეხი აუწყოს დანარჩენი მსოფლიოს რიტმს და პარიზს, ნიუ-იორკსა და მილანთან ერთად, შორეულ კავკასიაში ერთდროულად გვაცვია „ცელინე“-ს მაისურები, ლუი ვიტონის ჩანთები და მოდური მოკლე კაბები, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქამარს უფრო ჰგავს, მაგრამ არსებობს რამდენიმე დეტალი, რომელიც გასათვალისწინებელია, საქმე იმაშია, რომ ხანდახან, ჩვენდა სამწუხაროდ, არსებობს რაღაც, რაც არ გვიხდება, მერე რა რომ მოდაშია, თანაც თბილისი საკმაოდ პატარა ქალაქია და შესაბამისად, აქ უფრო თვალში საცემია „ინკუბატორის წიწილებივით“ მოსიარულე მოქალაქეები. მოდაში კვლავ დაბრუნებული „კანსშეზრდილი“ ვიწრო შარვლების ბუმი კი, სხეულებს, რომლებიც იდეალურისგან საკმაოდ შორსაა, აგრესიულად უსვამს ხაზს. თუ მსოფლიო მოდის ერთ-ერთ გამორჩეულ დიზაინერს კარლ ლაგერფილდს დავუჯერებთ, არასოდეს უნდა გამოვიყენოთ სიტყვა „ძვირი“, რადგან ყველას შეუძლია გამოიყურებოდეს კოხტად ძვირფას ტანსაცმელში, უნდა შეძლოთ მაისურსა და ჯინსებშიც კი კოხტა იყოთ. ახლა კარგი ტანსაცმელი ყველა საფეხურზე არსებობს, მთავარია მონდომება.

ტანსაცმლის გარდა ჩვენს პატარა ქალაქში მოდურობა ბევრ სხვა ქცევაშიც გამოიხატება. მაშინ, როცა ძმები გრიმები „ფიფქიას“ ზღაპარს წერდნენ, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ლამაზი, ბოროტი დედინაცვლის გარდა, წლების შემდეგ, თავიანთი სილამაზის დასაზუსტებლად სარკეს უამრავი ქალი ტელეფონით ხელდამშვენებული მიმართავდა, თუმცა სარკის მაგივრად სოციალურ ქსელზე ატვირთვისას, მათ მეგობრები ეტყვიან, არის თუ არა ვინმე მათზე ლამაზი. ეს ტენდენცია იმდენად მასშტაბურია, რომ მსოფლიო მოიცვა და საკუთარი კამერით, სარკის წინ თავად ჰილარი კლინტონი და მერილ სტრიპიც კი პოზირებენ. როგორც ჩანს, ამ ფაქტში საგანგაშო არაფერია, ეს გატაცების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც, ალბათ, სახეს მალე იცვლის. მანამდე კი, როგორც გაირკვა, ადამიანთა უმრავლესობა ამას ინიტომ აკეთებს, რომ სურს, დამოუკიდებლად დააფიქსიროს ის მომენტი, როდესაც ძალიან კარგად გამოიყურება. ჩვენთან მოდაშია, მეგობრებს ანახო რა გაცვია, სად იმყოფები ან სად იმყოფებოდი, „checkin“-ი იმისთვის, რომ ყველამ გაიგოს სად ვართ. ამ თემის ავკარგიანობაზე დავა არ ღირს, თითქმის ყველას გაგვიკეთებია ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი, თუმცა ამ საქციელს ყველა სხვადასხვანაირად განმარტავს. ზოგისთვის ეს უბრალოდ „ღადაობაა“, ზოგისთვის ცხოვრების წესი, უცნაურია, მაგრამ ზოგიც, ფაქტების მიუხედავად, საერთოდ არ აღიარებს, რომ ისიც სხვებისნაირია.

ერთი სიტყვით, დღეს თბილისში არსებობს მოდის აყოლის ტენდენცია ნებისმიერ სფეროში, ჩაცმა-დახურვით დაწყებული, ჭამა-სმითა და ფოტოგრაფიით დამთავრებული. ბოლო 5 წელია სისტემატური სახე მიეცა ქუჩაში ფოტოაპარატებით სიარულს. ქალაქის ყველა კუთხე კუნჭულში „ფოტოგრაფთა“ მრავალათასიანი არმია დაძრწის. ერთი შეხედვით თითქოს ცუდი არაფერია იმაში, რომ ხელოვნება „მოდაშია“, თუმცა რეალურად განვითარების რა ეტაპზეა ფოტოგრაფია საქართველოში და არიან თუ არა პროფესიონალები ჩვენს ქალაქში, ამაზე ფოტოგრაფი დავით ჭალიძე გვესაუბრა.

დავით ჭალიძე (ფოტოგრაფი):

„გვაქვს საკმაოდ დიდი ისტორია, უფრო და უფრო მეტი ფოტოგრაფი ხდება ცნობილი ჩემთვის. ბევრი მათგანი საზოგადოებამ საერთოდ არ იცოდა, ხოლო ზოგიერთს ხალხი იცნობდა, როგორც რიგითი ფოტოატელიეს ფოტოგრაფი (ანუ კომერციულის უკან რა ხდებოდა არავინ იცოდა). თუმცა დღეს თბილისში ერთი ორი მცოდნე ფოტოგრაფია. საკმაოდ ბევრი წავიდა და უცხოეთში დაიმკვიდრა თავი, თუმცა მათ შესახებ ერთეულებმა იციან. რეალურად ცოტა პროფესიონალი გვყავს, რადგან დონე საკმაოდ დაბალია. ხოლო თუ ვინმეს სურს რეალურად განათლების მიღება, საზღვარგარეთ მიდის. ქართული ესტრადასავითაა, არ არის ფული, არ არის მსმენელიც. აქაც ასეა, დამკვეთი ცოტაა, შესაბამისად, შემფასებელიც და დამფასებელიც. ტელევიზიები, ჟურნალები და ა.შ. ხშირად იყენებენ ფოტოებს ნებართვის გარეშე, რაც შეეხება ფულის არ გადახდას, ქართული მომენტი, ნაცნობობა ან უბრალოდ თავხედობა და უფასოდ ფოტოს გამოყენება. შესაბამისად ხარისხიც არაა, მკითხველიც ეჩვევა ნაგავს და მოდაშიც ისაა, რასაც საზოგადოება მიჩვეულია. ასე რომ, ხალხს არც უჩნდება კარგის, უკეთესის მოთხოვნა, შესაბამისად და მასას უყალიბდება ცუდი გემოვნება, ნიჭიერები კი მხოლოდ ოცნებობენ „მოდას აყოლილი ქალაქიდან“ გაქცევაზე“.

გაქცევამდე კი ყველამ ვიცით, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს საკუთარი ხედვა. მთავარია არ მოვექცეთ ჩარჩოებში და გასაქანი მივცეთ საკუთარ ფანტაზიას, ეს კი საშუალებას მოგვცემს მასისგან გამორჩეულად და განსხვავებულად გამოვიყურებოდეთ. განუმეორებელი სტილის შერჩევა მოდური ტენდენციებისა და საკუთარი გემოვნების გათვალისწინებით ხდება. თანამედროვე მოდა საბაზრო ეკონომიკის კანონებით ცხოვრობს, სადაც შემთხვევითი რყევებიც ისეთი კანონზომიერია, როგორიც სავალუტო კურსის და ფასების ცვლილებები. სწორედ ამიტომაა, რომ პოდიუმებზე ათასობით კოლექციის დემონსტრირება ხდება, მაგრამ მათგან უმრავლესობა პოდიუმს ვერ სცდება და ეს კანონზომიერიცაა. შესაბამისად, ქართველებმა მოდის ბოლო ტენდენციებს აუცილებლად უნდა შევუხამოთ საკუთარი ინდივიდუალიზმიც, არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი - მოდა თამაშივითაა, ამ თამაშს კი იგებს ის, ვისაც საკუთარი სტილი აქვს. ივ სენ ლორანი კი მოდის მოყვარულებს თავის საიდუმლოს უმხელს, საიდუმლოს, რომელიც წლების განმავლობაში ისწავლა - „კაბის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი გახლავთ ქალი, რომელიც მას ატარებს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართული კინოთეატრები, გახმოვანება - რუსული

სალი კიპაროიძე

ის ამბავი, რომ ქართულ კინოთეატრებში ფილმები რუსულ ენაზე არ უნდა გადიოდეს სადავო ნამდვილად არ არის. თუმცა ფაქტია, რომ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ენა ქართულია, კინოთეატრებში დღემდე აქტიურად უჩვენებენ რუსულ ენაზე დუბლირებულ ფილმებს. უცნაურია, მაგრამ დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელიც პროტესტს უცხადებს ყველაფერ „რუსულს", საკუთარ მოქალაქეებს კინოკულტურას რუსული ენით აზიარებს. ეს არ ნიშნავს რუსული ენის დისკრიმინაციას და მით უმეტეს ეს არ არის ბოიკოტი რუსული ენის წინააღმდეგ, უბრალოდ, თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში, რომელიც პატივს სცემს საკუთარ სუვერენიტეტს ან თავიანთ ენაზე ახმოვანებენ ფილმს, ან უკიდურეს შემთხვევაში ორიგინალ ვერსიას, მშობლიური ენის სუბტიტრებით უშვებენ. ხშირ შემთხვევაში არსებობს ზემოთ აღნიშნული ორივე სახის სეანსი, მაყურებელი კი მისთვის მისაღებ ვარიანტს თავად ირჩევს, მაგრამ საქართველოში ფილმები „რუსულად" დღემდე უალტერნატივოა და თანაც, როგორც წესი, გახმოვანებულ ფილმებში ორიგინალური ფონოგრამის ხმა მაქსიმალურადაა დაწეული, ასე რომ, მაყურებლები თავისთავად იძულებულები არიან უსმინონ რუსი მსახიობების დიალოგებს.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 2008 წლის ბოლოს, იყო მცდელობა, რომ ქართულ კინოთეატრებს უარი ეთქვათ რუსულ გახმოვანებაზე და ყველა ფილმი ქართულად ეთარგმნათ, თუმცა ყველაფერი ისე სპონტანურად მოხდა, რომ გადაწყვეტილების სპონტანურობა მის რეზულტატზე აისახა. მაშინდელი „ჯეიმს ბონდის" გახმოვანება დღემდე ცუდად ახსოვს საზოგადოებას. ის, რაც მაშინ დარბაზში ხდებოდა კინოკრიტიკოსების აზრით, ერთი დიდი პრიმიტიული თვითშემოქმედება იყო. ასე რომ, მაყურებელმა არც ქართულად დუბლირებული ფილმის მიმართ გამოხატა დიდი აღფრთოვანება, სწორედ ამიტომ, კინოთეატრების მფლობელებმა მალე დაივიწყეს „სამშობლოს სიყვარული" და იმის მაგივრად, რომ ხარისხი გაეუმჯობესებინათ, ქართული კინოქსელი კვლავ რუსეთის კინოკომპანიებს მიაბეს.

თუმცა გავიდა 3 წელი და ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. 2011 წლის 1 იანვრიდან კინოთეატრები ვალდებულები არიან ქართულ ენაზე გახმოვანებული ფილმები უჩვენონ საზოგადოებას, ან უკიდურეს შემთხვევაში, წარმოებულ ენაზე ქართული სუბტიტრებით. კანონის დარღვევა კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, დაწესებულების სანქცირებას იწვევს. კანონში გარკვევით წერია ჯარიმის ოდენობაც. პირველად დაფიქსირების შემთხვევაში, კინოთეატრი 1 500 ლარით ჯარიმდება, განმეორებით 3 000 ლარით, ხოლო მესამედ და მეტჯერ დაფიქსირებისას - 10 000 ლარის ოდენობით. უცნაურია, მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ ფაქტი სახეზეა, ქართული საზოგადოებისთვის ყველა ფილმი კვლავ „რუსულია". ჯერ კიდევ სამი წლის წინ „რუსთაველისა" და „ამირანის" მარკეტინგის სამსახური აცხადებდა, რომ ისინი, ძირითადად, ფილმების ქართულ ენაზე დუბლირების კუთხით მუშაობდნენ. დღესდღეობით კი ფაქტი სახეზეა, ქართულად დუბლირება მხოლოდ ანიმაციურ ფილმებს ეხება, სხვა მხრივ ცვლილები არ ჩანს და არც უახლოეს მომავალში იგეგმება. ასე რომ, არღვევენ თუ არა კანონს ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს კინოქსელში არიან ჩართულნი, ჯერჯერობით კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

როგორც გაირკვა, მოსკოვიდან ფილმის ასლის ჩამოტანა, ქართული კინოთეატრებისთვის ბევრად უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ორიგინალის შესყიდვა, თანაც საკმაოდ „ძვირი" სიამოვნების მიღების შემდეგ ქართულ კინობიზნესს ახალი პრობლემის გადაწყვეტა მოუხდება - ფილმის გახმოვანება ქართულ ენაზე, რომელიც ორიგინალთან მაქსიმალურად ახლოს იქნება და პროფესიონალი მსახიობების ხმა ჰარმონიულად შეერწყმება კინომუსიკას, ზუსტად ისე, როგორც სიმღერის ტექსტი ერწყმის კარგ მელოდიას.

ქართულ ენაზე პროფესიულად დუბლირებული ფილმები კი მხოლოდ და მხოლოდ მიიზიდავს მაყურებელს და საფუძვლიანი ეჭვი არსებობს იმისა, რომ შესაძლებელია კინოთეატრს ის მოგება მოუტანოს, რის შემდეგაც მოსკოველ გამქირავებლებთან ვაჭრობის საჭიროება, ნარსულს ჩაბარდება.

„მოქალაქის" აღმასრულებელი დირექტორი ყოფილი თანამშრომლების ბრალდების შესახებ

სალომე გოგოხია

ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობის ერთ თვესაც არ ითვლის. თუმცა, მისი აღმასრულებელი დირექტორი გიორგი საბანაძე საზოგადოების ყურადღების ქვეშ უკვე მოექცა.

გასულ კვირას, ერთ-ერთ ბეჭდურ მედიაში საბანაძის ყოფილი თანამშრომლების ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ისინი საბანაძეს „მოგეიფე" წარსულს უხსენებენ და გასული წლის მაისში, „ლგბტ"-ს ჩაშლილი „გეი-პარადის" ორგანიზებაში „ადანაშაულებენ".

გიორგი საბანაძე ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ამ თანამდებობას ის ახლაც იკავებს.

საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლების ინტერვიუს მიხედვით, ვერშემდგარი „გეი-პარადის" შემდეგ, ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, თანამშრომლებმა გიორგი საბანაძემ და ემზარ ჯგერენაიამ ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის ე.წ „ფრანგულ დარბაზში" შეკრებილ „ლგბტ"-ს წარმომადგენლებს მამაკაცის ფალოსის ფორმის ტორტი მიართვეს და ერთად დააგემოვნეს.

რთული სათქმელია, ეს განცხადებები რეალურია თუ მხოლოდ „მოქალაქის" აღმასრულებელი დირექტორის დისკრიმინაციას ისახავს მიზნად.

„პრაიმტაიმი" სამივე ადრესატს დაუკავშირდა და მათი არგუმენტებიც მოისმინა.

საჯარო ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს გერმანიაში დავუკავშირდით. გიორგი კეკელიძემ დაგვიდასტურა, რომ საბანაძე დაკავებულ პოზიციას ინარჩუნებს.

„გიორგი საბანაძე რჩება ჩვენს თანამშრომლად. ამჟამად, შვებულებაშია", – გვითხრა კეკელიძემ.

რაც შეეხება მისი მისამართით არსებულ ბრალდებებს, კეკელიძემ მას სიცრუე უწოდა.

„ეროვნული ბიბლიოთეკა ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზულ კომენტარს ვერ გააკეთებს. ამ სტატიაში გიორგი (საბანაძე. – რედ.) – რაღაც მითიური ტორტის მჭამელად, მე კი ბაბუაჩემის მკვლელად ვარ გამოყვანილი. არ მიმაჩნია სერიოზულად ტირაჟირება. მივეჩვიე, ხან მასონი ვარ, ხან სტუდენტებს ვრყვნი, ხან სამი ცოლი მყავს. ახლა ბაბუაჩემის თვითმკვლელობაც დამაბრალეს, რაც ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ამბავია. მეხუთე კლასში ვიყავი, როცა ეს მოხდა, გამორჩეულად მეწყინა. რას იზამ. რაც დამოუკიდებელი ცხოვრება დავიწყე, ხშირად ენაცვლება ერთმანეთს კარგი და ცუდი. მე ვცდილობ, კარგს დავეყრდნო. არავისთვის ჩივილს არ ვაპირებ. მხოლოდ

გიორგი საბანაძე: „17 მაისს არაფერი ჩატარებულა და მითიური ტორტი ბუნებაში არ ყოფილა"

წარმატებას ვუსურვებ ამგვარ გზაზე", – გვითხრა კეკელიძემ.

„პრაიმტაიმი" არასამთავრობო ორგანიზაციის „მოქალაქე" აღმასრულებელ დირექტორს გიორგი საბანაძეს ესაუბრა. მისი თქმით, ყოფილი თანამშრომლების მხრიდან ეს ბრალდებები სხვა დროს არ მოუსმენია.

გიორგი საბანაძე:

– მსგავსი ბრალდებები მანამდე არ ყოფილა.

– მაშინ რას უკავშირებთ? იქნებ, თქვენს თანამდებობრივ წინსვლას მოჰყვა ეს ბრალდებები?

– წარმოდგენა არ მაქვს, რას დავუკავშირო. 17 მაისს არაფერი ჩატარებულა და მითიური ტორტი ბუნებაში არ ყოფილა. სასაცილოა. შეგიძლიათ, შეამოწმოთ, ვინ არის ამ აქციების ორგანიზატორი.

– სამივე ადრესატი ბრალდებებს უარყოფთ და ამბობთ, რომ ეს სიცრუეა, გამოდის, ყოფილი თანამშრომლები ცილს წამებენ, სასამართლოში ჩივილს ხომ არ აპირებთ?

– იურისტი არ ვარ და არ ვიცი. 17 მაისი სამუშაო დღე იყო და მახსოვს, სამსახურში ვიყავი.

– საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობას აგრძელებთ?

– ბიბლიოთეკაში მუშაობას ვაგრძელებ. დავრჩები თუ არა, არ ვიცი. ჯერჯერობით „მოქალაქეში" გამოსაცდელი ვადით ვარ. დირექტორმა უნდა გადაწყვიტოს.

რაც შეეხება ემზარ ჯგერენაიას, მან ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ბრალდებებს აბსურდი უწოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მომხმარებელთა უფლე

თეონა ბოგვერაძე

მომხმარებელთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისთვის და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლისთვის საშიში პროდუქციისა და მომსახურებისგან თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ის აქტუალურია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, თუმცაღა განსხვავებულია პრობლემის სირთულე და მისი გადაწყვეტის გზები. განვითარებულ ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა დიდი ხანია ერთ-ერთი აქტუალური სფეროა, საქართველოში კი ეს საკითხი მრავალი წლის განმავლობაში მეორეხარისხოვანი იყო. ამას განაპირობებდა ის, რომ უფრო ხშირად მომხმარებელთა უფლებები ბიზნესის ლიბერალიზაციასთან, ჯანდაცვისა თუ სოფლის მეურნეობის ცალკეულ საკითხებთან ერთად განიხილებოდა. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყნის ბაზარი აბსოლუტურად დაუცველი იყო არასაიმედო პროდუქციისგან, ხოლო თავიანთი უფლებების შესახებ მოსახლეობას მინიმალური ცოდნაც კი არ ჰქონდა და, სამწუხაროდ, ამ მხრივ დღესაც არასახარბიელო მდგომარეობაა.

თამუნა (20 წლის სტუდენტი):

– თამუნა, ოდესმე თუ გიყიდია პროდუქტი, რომელიც უხარისხო გამომდგარა?

– სტუდენტი ვარ და დატვირთული გრაფიკის გამო ხშირად ვერ ვახერხებ სახლში მისვლას, ამიტომ გარეთ სადილობა მიხდება ხოლმე. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ხაჭო მიყიდია და გახსნისას მივმხვდარვარ, რომ ძველი იყო. საშინელი სუნი ჰქონდა.

– ოდესმე თუ გქონია მცდელობა, უკან დაგებრუნებინა უხარისხო პროდუქტი?

– ზუსტად ვიცი, რომ არ დაიბრუნებენ და ზედმეტი კამათის თავი არ მაქვს. თან მერე რით ვუმტკიცო, თქვენთან შევიძინე ნივთი და უხარისხობის გამო გამომიცვალეთ-მეთქი. აბსურდია ასეთი რამ. მგონი, არც ხდება საქართველოში.

ლევანი (25 წლის, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი):

– ლევან, ოდესმე თუ გიყიდია პროდუქტი, რომელიც უხარისხო გამომდგარა?

– კი, არაერთი შემთხვევა მქონია, როცა პროდუქტი მიყიდია და უხარისხო გამომდგარა. განსაკუთრებით გამოვყოფდი ალკოჰოლურ სასმელებს.

– ოდესმე თუ გქონია მცდელობა, უკან დაგებრუნებინა უხარისხო პროდუქტი?

– საქართველოში ასეთი პრაქტიკა არ არსებობს. ადამიანებმა არ იციან, რომ მათ შეუძლიათ უკან დაბრუნონ უხარისხო პროდუქტი. თავიდან მეც ასე ვიყავი და მიმაჩნდა, რომ გაპროტესტებას აზრი არ ჰქონდა, რადგან შედეგს არ გამოიღებდა. თუმცა მას შემდეგ, რაც გაცვლითი პროგრამით 1 წლის განმავლობაში გერმანიაში მომიწია ცხოვრება და იქაური ბაზარი ვნახე, დავაკვირდი იქაური მომხმარებლისა და მოვაჭრის ურთიერთობას. აქ დაბრუნების შემდეგ გამიჩნდა სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე დაინერგოს ასეთი მომსახურების კულტურა ჩვენს ქვეყანაშიც. ამიტომ დღესდღეობით ვარ მომთხოვნი მომხმარებელი. ვითხოვ ინფორმაციას პროდუქტის შესახებ, რაც ცოტა მიუღებელია ზოგიერთი გამყიდველისთვის და გაოცებული სახეებით მიყურებენ.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი 2012 წლის 8 მაისს გაუქმდა, რის შემდეგაც სამომხმარებლო სფერო რეგულირების გარეშე დარჩა. ახალი ხელისუფლების პირობებში კი, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულმა ჯგუფმა ახალ კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო.

აღნიშნული კანონპროექტის მიზანია განისაზღვროს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები და სახელმწიფო პოლიტიკა; ჩამოყალიბდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ომბუდსმენისა და მედიაციის ინსტიტუტი; დაიხვეწოს საწარმოო, კომერციული თუ ბიზნესსაქმიანობაში მომხმარებელთან დამოკიდებულებისა და ქცევის კულტურა; ხელი შეეწყოს სამომხმარებლო განათლების განვითარებას, ასევე, მომხმარებლის უფლებები დაცული იყოს ევროპული სტანდარტით გათვალისწინებული ნორმით.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი ისეთ საკითხებსაც აწესრიგებს, როგორებიცაა, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისგან დაცვა, მისთვის სანდო, სრული და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება, მომხმარებლის უფლებების დაცვა ხელშეკრულების შესაბამისი და შეუსაბამო პროდუქციის მიღების შემთხვევებში და სხვა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი „მომხმარებელთა ომბუდსმენის“ პრაქტიკის დანერგვას გულისხმობს, რომლის მოვალეობაც მომხმარებელთა ინტერესების დაცვა იქნება. მომხმარებელთა ომბუდსმენს 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე. ერთი და იგივე პირი ამ თანამდებობაზე შეიძლება 2-ჯერ დაინიშნოს.

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხი ბოლო პერიოდის განმავლობაში აქტუალური გახდა, ხშირია ისეთი ფაქტები, რომლებიც ქართულ ბაზარზე ჭარბი რაოდენობით უხარისხო პროდუქტის არსებობაზე მეტყველებს. მაგალითისთვის, გაგახსენებთ 2014 წლის რამდენიმე შემთხვევას: 2014 წლის 4 იანვარს ინტერნეტში გავრცელდა სტატია, რომელიც იუწყებოდა ახალი წლის დღეებში, თბილისში 515 ადამიანის ალკოჰოლით ინტოქსიკაციას, 2014 წლის 8 იანვარს წერდნენ საქართველოს დედაქალაქში, ლესელიძის ქუჩაზე საშაურმის საკვებით 9 ადამიანის მოწამვლაზე. ხოლო 2014 წლის 26 იანვარს გავრცელდა ინფორმაცია ქ.ბათუმში შაურმით 10 ადამიანის მოწამვლის შესახებ. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში არსებობს მომხმარებელთან დამოკიდებულებისა და ქცევის კულტურის დაბალი დონე, არ არსებობს სამომხმარებლო განათლების ხელშეწყობა. რაშია გამოსავალი და რა არის მომხმარებელთა ძირითადი უფლებები? ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ იურისტ ნინო მილორავას ესაუბრა:

– ქალბატონო ნინო, რა არის მომხმარებლის ძირითადი უფლებები?

– მომხმარებელს აქვს რამდენიმე უფლება, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებულია. ესენია: 1. საქონლის უსაფრთხოების უფლება, ანუ მომხმარებელს უფლება აქვს, მოელოდეს, რომ გასაყიდად გამოტანილი საქონელი მისი ჯანმ-

ქუჩის ხელოვნ

სალი კიპაროიძე

დღეს თბილისში არსებობს ადამიანების ისეთი კატეგორია, რომელიც მუსიკას ოპერაში, ფილარმონიასა და ე.წ. „Open Air“-ებზე უსმენს, ზოგი კი მუზეუმში დადის ფერწერული ტილოების სანახავად და ცდილობს ასე გაითავისოს ხელოვნება. თუმცა ხანდახან ოპერასა და მუზეუმებში სიარული ბევრი ადამიანისთვის ძვირი სიამოვნებაა. მიუხედავად ამისა, ჩვენს სივრცეში არსებობს ისეთი ხელოვნებაც, რომელიც ნებისმიერი ჩვენგანისთვისაა ხელმისაწვდომი. ესაა ის, რასაც ჩვენ „ქუჩის ხელოვნებას“ ვუწოდებთ, ესაა ხელოვნება საზღვრებს გარეშე, რომელსაც ისეთი ადამიანები ქმნიან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ურბანული ხელოვნება საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა.

ქუჩის მხატვრობის ინსპირაციად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 30 000 წლის წინ ჩვენი წინაპრების მიერ გამოქვაბულის კედლებზე შექმნილი ნახატები, რომლებიც ნადირობას, თევზაობას ან სხვა საყოფაცხოვრებო მოვლენებს აღწერდნენ. მაშინ კი, როცა პირველყოფილი ადამიანები გამოქვაბულის კედლებზე ხატავდნენ, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მოვიდოდა დრო, როცა მათ ნახატებს გრაფიტულ ხელოვნებად აღიქვამდნენ. სწორედ ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრაფიტული გამოსახულებების ისტორია თან სდევს კაცობრიობის ისტორიას. გრაფიტის ზოგიერთი ნიმუში ძველი საბერძნეთისა და რომის იმპერიის პერიოდიდან შემორჩა, მაშინ ასოები ორნამენტებით და მინიატურებით ივსებოდა. უძველესი გრაფიტის მაგალითები შემორჩენილია აგრეთვე უძველეს ქალაქ პომპეიში, დასავლეთ იტალიაში, რომელიც ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად განადგურდა. მტვერმა ცოცხლად დამარხა ადამიანები და შემოინახა კედლები, რომლებზეც ამოკაწრული იყო გრაფიტის უძველესი მაგალითები. ადამიანები იგივეს ჩვენს ეპოქაშიც აგრძელებენ და, როგორც ადრე, ახლაც არ ითვლება, რომ გრაფიტი არაა მხოლოდ ნახატი კედელზე, ის შეიძლება იყოს ყველაფერი, მარტივი ნაჩხაპნიდან რთული ორნამენტული კედლის მხატვრობამდე. ათასწლეულების შემდეგ „cave art“-მა გამოქვაბულიდან თანამედროვე ურბანულ სივრცეში, „street art“-ში, შენობების კედლებზე გადაინაცვლა და საკუთარი დამოკიდებულების, პოზიციის გამოხატვის ფორმად ჩამოყალიბდა.

თანამედროვე გრაფიტის დაბადება 70-იან წლებში იწყება, სწორედ მაშინ დაიწყო ხალხმა, პოპულარობის მიზნით, კედლებზე თავიანთი სახელების წერა. მალევე გრაფიტის არტისტებმა საკუთარ სახელებს შეუდარებელი ხელოვნების ნიმუშები, ნახატები შეუხამეს და 1970-1980 წლებში ნიუ-იორკის მეტროს ვაგონები მოძრავ მუზეუმებად გადაიქცა. შენობის კედლებზე, პროსტიტუციის რეკლამებიც ჩნდებოდა. მეოცე საუკუნის ბოლოს, ჰიპების თაობისა და პოსტმოდერნისტული ეპოქის დადგომის შემდეგ კი, არტისტული გამოხატვის ამ ფორმას „სტრიტ არტი“ ეწოდა, ერთი პირველი გრაფიტის ნიმუში გერმანიაში მუსოლინის პორტრეტი იყო, მოგვიანებით, პარიზის ქუჩებს მოედო დიდი ფრანგი სტრიტ არტისტის ვირთხები. თუმცა ქუჩის ფილოსოფოსად მაინც გრაფიტის მხატვარი ბრიტანელი არტისტი ბენქსი ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ათასობით სტატია და რეპორტაჟია მომზადებული, არავინ იცის როგორ გამოიყურება, სად ცხოვრობს და საერთოდ, ვინაა ეს საკულტო ფიგურა. ფულის სისტემასთან მარადიული მებრძოლი, რომელიც უტოპიური იდეებით იყო შთაგონებული, ცდილობდა თავისი ნახატებით სამყარო უფრო სუფთა, კედლები კი უფრო ჭუჭყიანი გაეხადა.

80-იან წლებში კი ბევრ ქალაქში დაიწყო გამოსვლები გრაფიტის წინააღმდეგ. მალევე ლოს-ანჯელესის მერიამ იყიდა რამდენიმე მანქანა, ისინი საღებავით ჰქონდათ სავსე და თუ სადმე ნახავდნენ გრაფიტის ნახატს კედელზე, მაშინვე ღებავდნენ. ამ კამპანიის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გრაფიტის მხატვრებისთვის ახალი ნახატის დახატვის სურვილი დაეკარგათ, რადგან ყველა ნახატი დახატვიდან 24 საათში ქრებოდა. თუმცა ფაქტია, ამ მცდელობამ სრული ფიასკო განიცადა, გრაფიტმა მალე საზღვრები გაარღვია და მთელ მსოფლიოს მოედო, მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად საზოგადოების მიერ უმსგავსო დაზიანებად და არასასურველ ვანდალიზმად აღიქმებოდა. თუ დღეს თბილისის ქუჩებში გავივლით, შევამჩნევთ, რომ ქუჩის ხელოვნების მხატვრებს გადაწყვეტილი აქვთ ქუჩა თავიანთ გალერეებად აქციონ. მათი ნამუშევრების შემხედვარე მივხვდებით, რომ კედლის არტისტები ნამდვილი შემოქმედები არიან. როგორც ჩანს, მხატვრები ისეთივე ხელოვნებად აღიქვამენ გრაფიტს, როგორც ტილოზე ფერწერას.

ბენქსს მიმდევრები საქართველოშიც ჰყავს, ერეკლე ((GREAT ERE)) ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ბენქსის მხატვრობა ქართველებს გააცნო.

„გრაფიტი ნამდვილი ხელოვნებაა, ესაა მისი ერთ-ერთი სტილი, რომელსაც კიდევ რამდენიმე განშტოება აქვს და საკმაოდ საინტერესოა, მას ზუსტად ისევე აქვს თავისი დატვირთვა, როგორც სხვა ხელოვნების დარგებს. ესაა ხელოვნება, რომელიც აზრის გამოხატვის, რაიმეს გაპროტესტებისა და პირიქით, მოწონების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ასე რომ, ხშირად გრაფიტით შესრულებული ნამუშევრებით მხატვრები სხვადასხვა მოვლენებთან მიმართებაში საკუთარ პოზიციას და პროტესტს აფიქსირებენ. მიუხედავად ამისა, გრაფიტის დატანა შენობის ან ნაგებობის კედლებზე პატრონის ნებართვის გარეშე, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ჩვენთანაც კრიმინალად ითვლება და კანონით ისჯება. მთავარია, რაღაც კონკრეტული წესები დაიცვა, არ უნდა დახატო სხვის საკუთრებაზე და ა.შ. გრაფიტი ხელოვნების სხვა დარგებზე იმიტომ იმარჯვებს, რომ ქალაქის ნაწილი ხდება. როგორც ბენქსი ამბობდა, მაგარია, როცა შენი ნამუშევრები მუზეუმში კიდია, მაგრამ საკმაოდ კომფორტულია,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბეჭი და საქართველო

რთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხოა; 2. ეკონომიკური ინტერესების დაცვის უფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელს აქვს უფლება, არ იყოს მოტყუებული და შეცდომაში შეყვანილი; 3. ინფორმაციის მიღების უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ პროდუქტის თვისებებზე, საგარანტიო ვადაზე, მის შემადგენელ კომპონენტებზე ინფორმაცია მომხმარებელს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოს; 4. მომხმარებელს აქვს ნაკლის გამოსწორების უფლება, ანუ, თუ თქვენ მიერ შეძენილი ნივთი არ აკმაყოფილებს იმ თვისებებს, რასაც თქვენ დაგპირდნენ ნივთის შეძენისას. თქვენ გაქვთ უფლება, მოითხოვოთ მისი გამოცვლა ან დაბრუნება; 5. ზიანის ანაზღაურების უფლება, ანუ თუ საქონლის ან მომსახურების რაიმე თვისების გამო მომხმარებელი დაზარალდა – მას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და მიღების უფლება აქვს.

– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მომხმარებლის ძირითადი უფლებები უკეთ იყოს დაცული?

– მომხმარებლის უფლებების უკეთ დაცვისთვის კარგ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად აუცილებელია სამომხმარებლო განათლების განვითარება. მნიშვნელოვანია საწარმო, ბიზნესაქმიანობაში მომხმარებელთან ქცევის კულტურის ამაღლება. ასევე, მნიშვნელოვანია აქტიურად იმუშაოს მთავრობამ, მოხდეს ხარისხის კონტროლი და რაც მთავარია, თავად მომხმარებლებმა უნდა მოითხოვონ, რომ კარგად მოემსახურონ, ამიტომ მოქალაქეებს მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ მომხმარებელთა უფლებების შესახებ.

– თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, რამდენად ხშირია საჩივრები მომხმარებელთა უფლებების დარღვევების შესახებ?

– ხშირია უკმაყოფილო მომხმარებელთა რაოდენობა, თუმცა არის ბარიერები, რის გამოც მოქალაქე სასამართლოში აღარ ჩივის. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მაგალითია ის, რომ სასამართლო ხარჯები ბევრად აღემატება შეძენილი ნივთის ღირებულებას.

– რა რეკომენდაციებს მისცემთ, რას ურჩევთ ქართველ მომხმარებელს, რომ მათი, როგორც მომხმარებლის, უფლებები არ დაირღვეს?

– როდესაც რაიმე ნივთის შეძენას დააპირებთ, გულდასმით გაეცანით, წაიკითხეთ საგარანტიო ფურცელი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტეთ, გინდათ თუ არა ამ ნივთის შეძენა. თუ მომსახურების გამწევმა მოგატყუათ, ნუ დაგეზარებათ და აუცილებლად დაფიქსირეთ თქვენი პრეტენზია საჯაროდ, მიმართეთ იურისტს, მომხმარებელთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს და რაც მთავარია, აუცილებლად შეინახეთ საქონლის შეძენის დამადასტურებელი საბუთი (ქვითარი, ზედნადები, ჩეკი) – ამ დოკუმენტებზე მითითებული ინფორმაცია პასუხისმგებელი იურიდიული პირის უტყუარი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, რაც გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მან უარყოს თქვენთვის საქონლის მოყიდვის ფაქტი.

ეგს (Street Art)

„Great Ere“ - მხატვარი

როცა ისინი რომელიმე კედელს ან ნანგრევს ამშვენებენ, თუმცა ფაქტია, გრაფიტი ყოველთვის ხელოვნების დროებითი ფორმა იყო. შენ ხატავ, ისინი შლიან “.

თბილისში მიწისქვეშა გადასასვლელებსა და შენობის კედლებზე ხშირად შევხვდებით სხვადასხვა პოზიციის გამომხატველ გრაფიტულ წარწერებსაც. როგორც ჩანს, გრაფერები მუშაობენ მაშინ, როდესაც ქალაქს სძინავს, გვიან ღამით ან გაამთენიისას. ხატავენ ვაგონებზე, მიწისქვეშა გადასასვლელებში, უღიმღამო უბნებში, ხატავენ იმისთვის, რომ ქალაქის ნაცრისფერი უბნები, დილით ჭრელი, მრავალფეროვანი და მოულოდნელი სიურპრიზებით სავსე დაგვახვედრონ. სწორედ ესაა ქუჩის მხატვრების სპონტანური გამოფენა, რომლის დამთვარიელებლების რაოდენობა არც ერთ მუზეუმს არ დაესიზმრება.

ქუჩაში ხელოვნებას მხატვრების გარდა მუსიკოსებიც აკეთებენ, რასაც ჩვენ „ანდერგრაუნდ მუსიკას“ ვუწოდებთ. მან ადგილი ქუჩაში, კერძოდ კი მიწისქვეშეთში, 60-იანი წლებიდან დაიმკვიდრა. ქუჩის მუსიკოსები უკრავდნენ არაკომერციულ მუსიკას და თავიანთი სოციალური აქტივობით იპყრობდნენ გამვლელების ყურადღებას. ზოგიერთისთვის სიმღერა და მიწისქვეშეთში დაკვრა შემოსავლის წყარო, ხოლო ზოგისთვის უბრალოდ საკუთარი შემოქმედების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მხატვრობისგან განსხვავებით სამართალდამცავები ასეთი ტიპის ხელოვნებს არც სხვა ქვეყნებში და არც ჩვენთან ნამდვილად არ ერჩიან.

ამ მუსიკის იდეოლოგია საკუთარი მოსაზრების და იდეალების გულწრფელად გამოხატვაშია. სამოციან წლებში „ანდერგრაუნდ“-ის სულისჩამდგმელები ჰიპები იყვნენ. ისინი ამ მუსიკის საშუალებით ქადაგებდნენ მშვიდობასა და თანასწორობას მსოფლიოში. დღეს, თბილისში, მიწისქვეშეთის მუსიკოსები, ისევ ყოველდღე გვხვდებიან ჩვეულ ადგილას და მადლიერ თვალებს აყოლებენ მათი მუსიკით ნასიამოვნებ გამვლელებს. უმეტესობა თვლის, რომ ისინი უბრალოდ ადამიანები არიან, რომლებსაც გაუჭირდათ და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიწისქვეშა გადასასვლელებში დაკვრა დაიწყეს, თუმცა მუსიკოსები, რომლებიც თავს ხელოვნებას სწირავენ, იქ მხოლოდ მატერიალური გაჭირვების გამო არ დგანან. როცა მათ ცხოვრების გზად მუსიკა აირჩიეს, ყველანაირი წინაპირობა ჰქონდათ ამისთვის, ტალანტი, მონდომება და საქმის სიყვარული, თუმცა მათ არ ჰყავდათ მსმენელი, აუდიტორია, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ყველა ხელოვანისთვის, მით უმეტეს, მუსიკოსისთვის. სწორედ ამიტომ უკვე კარგად ნაცად ხერხს მიმართავენ და ხდებიან მიწისქვეშეთის მუსიკოსები. აქ ისინი იჩენენ მსმენელს და ამასთანავე სტიმულს თავიანთი საქმის გასაგრძელებლად. ამ ადამიანებისთვის ხალხის სიყვარული ყველაზე დიდი გასამრჯელოა, თუმცა ისინი მაინც არ წყვეტენ ოცნებას დიდ სცენაზე, არ კარგავენ იმედს, რომ ერთხელაც გამოჩნდება ვინმე, ვინც მათ ნიჭს შეამჩნევს და შემდეგ სწორედ ისე, როგორც ოდესღაც ელვის პრესლი ან ჯონი ქეში, ისინიც ნამდვილ სტუდიაში ჩაწერენ სიმღერას, რომელიც მალე ლეგენდად იქცევა.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ურბანული ხელოვნება ყოველთვის იყო და იქნება ამოსუნთქვის საშუალება ხელოვანი ადამიანებისთვის, ან თუნდაც მათი ხელოვნების მოყვარული ხალხისთვის. მიუხედავად მრავალი აკრძალვისა, როგორც ბენქსი იტყოდა, ხელოვანისთვის ყოველთვის უკეთესია, პატიება ითხოვოს მერე, ვიდრე ნებართვა - მანამდე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირველი ხარისხის საპატიო ჯვარი და ანაბეჭდი „უკვდავთა თაღში“

my View
თამარ გონგაძე

ქართველი ბანი 59 წლის გახდა

EXCLUSIVE

12 თებერვალს პაატა ბურჭულაძეს 59 წელი შეუსრულდა. მსოფლიო დონის მომღერლისთვის წელს ეს საიუბილეო თარიღი ემოციური აღმოჩნდა. ავსტრიის სახელმწიფო ჯილდო პირველი ხარისხის საპატიო ჯვარი ხელოვნებასა და მეცნიერებაში გაწეული ღვაწლისთვის სპეციალურად ამ დღისათვის სტუმრად ჩამოსულმა ავსტრიის თეატრების ჰოლდინგის ხელმძღვანელმა გეორგ შპრინგერმა პერსონალურად გადასცა. ქართველმა ბანმა ჯილდო იუბილისადმი გამართულ ღონისძიებაზე მიიღო. მიღებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი დავით ყიფიანი ესწრებოდნენ. ეს ჯილდო აღებული აქვთ მუსიკოსებს - ფრენკ სინატრასა და ჰერბერტ ფონ კარაიანს. ქართველი ბანის დებიუტი 1985 წელს ავსტრიაში ვერდის ოპერა „ლუიზა მილერიში“ შედგა. მას შემდეგ ავსტრიამ მომღერლის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

მანანა ბერიკაშვილი: - ავსტრიამ, თავის დროზე, 30 წლის წინ, როგორც შემოქმედი, ფაქტობრივად, იშვილა პაატა და ძალიან დაეხმარა, რომ მისი კარიერა ასე წარმართულიყო. ავსტრიის შვილობილი ავსტრიამ დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი. როგორც აგვიხსნეს „პირველი ხარისხის საპატიო ჯვარი მეცნიერებასა და ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისთვის“, - ეს მათი ყველაზე მაღალი ჯილდოა.

მეორე საჩუქარი მომღერალმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით მიიღო. ეს არის თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის „უკვდავთა თაღში“ ჩვენი საამაყო ბანის ხელის ანაბეჭდების საზეიმოდ გახსნა.

„გაისად ბატონ პაატას 60 წელი შეუსრულდება და, ალბათ, ეს თარიღი პომპეზურად აღინიშნება. ჩვენ ერთი წლით დავასწარით ამ ამბავს და მისი ანაბეჭდი „უკვდავთა თაღში“ მანამდე დაიდებს ბინას, ვიდრე ის 60-ის გახდება. მე ერთი ვიცი, ამ მუზეუმში დღეიდან ვერ შემოვა ვერც ერთი ადამიანი, პაატა ბურჭულაძის ხელის ანაბეჭდები რომ არ დაინახოს“ - ამბობს გიორგი კალანდია, მუზეუმის დირექტორი და „უკვდავთა თაღის“ გაკეთების ინიციატორი. თაღში ნახავთ ელდარ შენგელაიას, ოთარ მეღვინეთუხუცესის, კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის ხელის ანაბეჭდებსაც. ცერემონიალს ქართველ ხელოვანებთან ერთად ტალინიდან, მოსკოვიდან, სანქტ-პეტერბურგიდან, ვენიდან ჩამოსული სტუმრებიც ესწრებოდნენ. იუბილარმა მათ დიდი მადლობა გადაუხადა. წითელ ხალიჩაზე მომავალი შინაგანად ძალიან ღელავდა და ემოციებით სავსე იყო.

პაატა ბურჭულაძე: - ძალიან ემოციური დღეა ჩემთვის. ავსტრიიდან ჩამოვიდა ჯილდო და ის კულტურის სამინისტროში მივიღე. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ხელის ანაბეჭდების გახსნაც ისეთი ადამიანების გვერდით, როგორებიც არიან გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე, ელდარ შენგელაია, ოთარ მეღვინეთუხუცესი... მადლობა ყველას სიყვარულისთვის და ჩემი დღევანდელი სიხარულის გაზიარებისთვის.

- გიყვართ საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნა?

- ძალიან მიყვარს, დაბადების დღეს არაფერი სჯობს.

- რა ემოციას გაგვიზიარებდით?

- გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

იმ დიდ სიკეთეს, რომელსაც მომღერალმა ფონდი „იავნანას“ სახე მისცა, 3 მარტს ათი წელი უსრულდება. ამ იუბილეს, დედის დღეს, „იავნანა“ მისთვის ჩვეული ქველმოქმედებით აღნიშნავს. 24-საათიან ტელემარათონს „რუსთავი 2“-ზე გალა-კონცერტი მოჰყვება. კონცერტისთვის ელოდებიან სტუმრებს - ლეგენდარულ ბარიტონს - რენატო ბრუზონის და აღიარებულ ტენორს მარჩელო ჟორდანის.

პაატა ბურჭულაძე: „3 მარტს ყველა ჩვენგანისგან მეასე სახლი გადაეცემა ოჯახს“

პაატა ბურჭულაძე: - „იავნანა“ პაატას არ გაუკეთებია. ხალხის სურვილი იყო მისი გაკეთება. მე ერთადერთი ის გავაკეთე, გავაერთიანე ის ხალხი, ვისაც სიკეთის კეთება უნდა. 3 მარტს ყველა ჩვენგანისგან მეასე სახლი გადაეცემა ოჯახს.

გურამ ოდიშარია: - მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს ჰყავს პაატა ბურჭულაძე. მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის, რაც მან გააკეთა, როგორც დიდებულმა შემოქმედმა, ქველმოქმედმა, მოღვაწემ. მქონდა ბედნიერება მის კვალდაკვალ ვყოფილიყავი ევროპაში. მან ბევრ ქვეყანას შეაყვარა ჩვენი სამშობლო, მისი პატივისცემით გვცემენ პატივს. ეს დღე ბატონი პაატასია, 2014 წელი კი ქართული ოპერის წლად გამოვაცხადეთ. თავისთავად ძალიან ნიჭიერი ადამიანია. ძალიან შორს გაიტანა ჩვენი ქვეყნის სახელი. საზოგადო მოღვაწეა. ის არ შემოისაზღვრება მხოლოდ თავისი ხელოვნებით და საოპერო მოღვაწეობით. მისი ქველმოქმედება და „იავნანა“ იცით, რამდენი შეჭირვებული დაასახლა. სახეზე სინათლე აქვს გადაფენილი. პაატა სიკეთისა და სინათლის რაინდია. თუ კულტურის სამინისტრო ამ ჯილდოს შემოიღებს, პირველს მას დავაჯილდოვებთ.

მანანა ბერიკაშვილი: - ჩვენ ღირსების ორდენით დავაჯილდოვეთ და მე მგონი, ყველაზე მთავარი პაატაში ღირსებაა. ღირსეული ადამიანი, ძალიან დიდი შემოქმედია. ისეთ ქველმოქმედებას ეწევა, რაც მე აქამდე საქართველოში არ მახსენდება. საამაყოა, რომ ჩვენ პაატა გვყავს.

კახი კავსაძე: - პაატა ჩემი მეზობელი იყო, ვორონცოვზე ერთ ეზოში ვცხოვრობდით. მაშინ მარქსის მოედანი ერქვა. ეგ რომ დაიბადა, მე უკვე ახალგაზრდა კაცი ვიყავი. ბუნთულა ბიჭი იყო. მომღერალი და საზოგადო მოღვაწე თუ გამოვიდოდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. ბავშვობაში ამის „ნიშნებს“ არ იძლეოდა. დღეს პაატას ყველა წარმატება ჩემთვის დიდი სიხარულია. რა არის მისი მთავარი ღირსება? თავმდაბალი და ჭკვიანი კაცია. ზრდილი კაცია, ოჯახიშვილია. ცუდის კეთება თქმის ყველას შეუძლია, მაგრამ სიკეთის - ყველას არა. პაატას კი შეუძლია. ეს მისი მხარეა. სიკეთის კეთების გროსმაისტერია.





გივი ბერიკაშვილი: - ძალიან გახარებული ვარ. ის გაცილებით მეტს იმსახურებს. თავის ქვეყანასა და ხალხს ისე კაცურად მოექცა, რომ მე მინდა ყველა ქუჩაზე იყოს მისი ხელის ანაბეჭდები. ის ქართველ ხალხს თავდავიწყებით უყვარს. მას საქართველო უყვარს.

ნიკუშა შენგელაია: - გადასარევი ადამიანია. დიდი შემოქმედია. სულითა და გულით ვულოვაც. ახლა უკვე მისთვის მთავარი ჯანმრთელობაა. გარდა იმისა, რომ ნიჭს აფრქვევს და სიამოვნებას გვგვრის, ძალიან დიდ სიკეთეს აკეთებს. ეს მისი უდიდესი ღირსებაა. თავისი ქვეყნისა და ადამიანებისადმი სიყვარულმა რამდენ მრავალშვილიან ოჯახს გაუჩინა სახურავი. ასი წელი ჯანმრთელობას ვუსურვებ.

რუსუდან ფეტვიაშვილი: - ჯილდოებს და დაბადების დღეს ვულოცავ. ყველასთვის საამაყო ადამიანია. უნიკალური თვისებების მქონე კაცია, გამორჩეული შემოქმედია. საზოგადო მოღვაწეა, იმდენს ასწრებს, რომ ჩემთვის გამოცანაა.

ერეკლე საღლიანი: - ის ერთდროულად არის მომღერალი, შემოქმედი და მეცენატი. ეს იშვიათია. ხშირად მეცენატებს შემოქმედებითი სული აკლიათ. შემოქმედს კიდევ არ აქვს მეცენატობის საშუალება. პაატას ორივე შეუძლია, კიდეც მღერის და უპატრონო ბავშვებს თავშესაფარს აძლევს...

ომარ მხეიძე: - ღმერთმა ნიჭიერება და კაცთ სიყვარული დააბერტყა. ბევრი მინახავს დიდი მომღერალი, მაგრამ ხალხის ასეთი სიყვარული დაიმსახურო, ამას ღმერთისაგან დაფერთხილი ნიჭი სჭირდება. თვითონ არის ასეთი და იმიტომ. პაატა მხოლოდ თავის თავს კი არა, ჩვენ გვჭირდება. უნდა ვუბრძანოთ, რომ დიდხანს იცოცხლოს!

გურამ ოდიშარია: „პაატა სიკეთისა და სინათლის რაინდია. თუ კულტურის სამინისტრო ამ ჯილდოს შემოიღებს, პირველს მას დავაჯილდოვებთ“

პაატა ბურჭულაძე: „დაბადების დღეს არაფერი სჯობს, ძალიან მიყვარს“

რუსუდან ფეტვიაშვილმა პაატასთვის ხარების ხატი დანერა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

80 წლის იუბილე „ჩუბჩიკას“ გარეშე

my View

თამარ გონგაძე

რამდენიმე ქართველ ხელოვანზე მინანია - როგორ არ ვიცნობდი და ამ ცხოვრების შარაგზაზე ვერ მოხერხდა ჩვენი დამგზავრება-მეთქი. ერთ-ერთი „ჩუბჩიკაა“ - მხატვარი თენგიზ მირზაშვილი. გადმოცემით, მონათხრობებით, სატელევიზიო სიუჟეტებით, წაკითხულით, მის მიერ ილუსტრირებული წიგნებით ვიცნობ. გული მწყდება, რომ მის ფერად, თბილ, მურაბებით დამტკბარ და სიკეთით მოფარდაგებულ სახელოსნოში ერთხელაც არ შემიჭყიტავს, ჩემთვის ნახატი არ უჩუქნია და სიყვარულით გაცისკროვნებული, მეტყველი თვალები არ შემოუნათებია. „ეს „ჩუბჩიკაა“ - თბილი, რბილი ფერების ნახატებზე რომ უთქვამთ, ჩემთვის „უცნობ“ მხატვარს მის პეიზაჟებში ინტერესით ჩავკვირვებივარ. მისი შემოქმედი სითბოს შრეებსა და ფერებს მიღმა მიძებნია. „ჩუბჩიკას“ ნახატი თითქმის ყველა მის ნაცნობს აქვს. ყველას უშურველად ჩუქნიდა თავის ნახატებს, ვინც ამის სურვილს გამოხატავდა, ვისაც ფერწერა უყვარდა. საოცარია ის, რომ მისი ინტერესთა სფერო მხატვრობას სცდებოდა და ლიტერატურას ერთვოდა. თავის თავს „თვითნასწავლ მოხალისე რუსთველოლოგს“ უწოდებდა. გულისხმიერებით ეკიდებოდა „ვეფხსიტყაოსნის“ ტექსტსა თუ გალაკტიონის ლექსების შესწავლას. მისი აქტიურობით მომზადდა და დაიბეჭდა „გალაკტიონოლოგიის“ სამი წიგნი, წიგნი ფიროსმანზე ორ ტომად... ლიტერატურისადმი მისი სიყვარული ვლინდება იმაშიც, რომ ის 100-მდე წიგნის ილუსტრაციის ავტორია. „სახელოსნოში რომ მიხვიდოდი, შეეძლო შეშის ღუმელზე პური გაეფიცხებინა და მურაბით მოერთმია“, - იხსნებენ ნაცნობები. ამ ღუმელზე თურმე მუდმივად შიშინებდა ჩაიდანი. ჩაისთან ერთად ნებისმიერი ხილის მურაბას დააგემოვნებდით. მურაბები კი სულ მისი მადლიანი ხელით იყო მოხარშული... მოკლედ, კაცი, რომელშიც სულიერება თვალშისაცემი იყო - ეს „ჩუბჩიკაა“. დედაც და მამაც მხატვრები ჰყავდა. სოფიო ლემბერგი მთელი სიცოცხლე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქართული კედლის მხატვრული ფრესკების ასლებს ხატავდა. ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების ისტორიის ასლთა კოლექციებში. მუშაობდა მიტოვებულ და უკაცურ ეკლესია-მონასტრებში, უღრან ტყეში, ველსა და სოფელში - ძეგლის მდებარეობის მიხედვით. პატარა თენგიზიც თან დაჰყავდა. იგი ბავშვობიდან შეეზარდა ჩანავლულ ფრესკებსა და გაცრეცილ ხელნაწერებს, სასაფლაოს ქვებსა და ძველი ეკლესიების ჩამოფშვნილი კედლების მტვერს. უკვე ნათელია, რომ სხვანაირი „ჩუბჩიკა“ შეუძლებელი იყო ყოფილიყო.



ამირან არაბული:
„2008 წლის 1 იანვარი იყო... სტუმრები მყავდა და რაღაც არ მაჩერებდა, ვერ ვისვენებდი. საღამო იყო. წავედით „ჩუბჩიკასთან“, ქიაჩელზე. გადასხმები უკეთდებოდა. ორ საათში დაიღუპა... რომ მივხვდით, აღარ იყო, მივედი და დავუხუჭე თვალები... ძალიან მშვიდად წავიდა“

EXCLUSIVE





მანანა თავაძე:
„22 წლიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრება მასთან ერთად გავატარე. ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. სიყვარულის ახსნაც არ იყო საჭირო“



გუგა კოტეტიშვილი:
„როგორც ხატი, ერთი „ჩუბჩიკა“ ყველა ოჯახში უნდა იყოს“

ამირანი ადამიანი იყო. მის გვერდით ყოფნა მართლა სიხარული იყო. ბევრი რომ ვაქო, ესეც მერიდება.

- ასე მგონია, სულ მინდვრის ყვავილები უნდა ეჩუქებინა თქვენთვის.

- ხშირად მოჰქონდა მინდვრის ყვავილები... წიგნები მოჰქონდა. იცოდა - რა მაინტერესებდა და ამის გათვალისწინებით.

ამირან არაბული: - 28 წლის განმავლობაში მე, ეთერი და თენგიზი ყოველდღე თუ არა, დღეჩაგდებით მაინც ვიყავით ერთად. წიგნზე -„შენდობით მომიხსენიე“ მუშაობისას, ჩემი სოფლიდან - ჯუთადან დაწყებული თუშეთით დამთავრებული ერთად დავდიოდით... ბატონი თენგიზი საუკეთესო მეგზური, დამკვალიანებელი იყო ამ სფეროში. ყველაფერს სხვა თვალით უყურებდა. იცნობდა და სწვდებოდა იმ უსახელო ქვითხუროების შემოქმედების სიმაღლეს და სიღრმეს.

უზღვავი სიკეთე, უშურველობა, მისი სიტყვები გულიდან მოდიოდა. თუ ვინმეში შეამჩნევდა მწერლობის, მხატვრობის ნიჭს, წააქეზებდა, ხელს შეუწყობდა და დაეხმარებოდა. ოფიციალურობა არ უყვარდა. ბატონობით რომ მიმართავდი სწყინდა. გაუთავებულ პერანგს დასრესდა და ისე ჩაიცვამდა. იმიჯს ვერ მოიგონებ, ხელოვნურად ვერ შეიქმნი, თუ შინაგანად არ ხარ ისეთი.

- მისი მურაბები ლეგენდაა... ინტერნეტში მათ რეცეპტსაც გადავაწყდი.

- მისი მურაბები ეკლექტური იყო, შერეული - ფორთოხლის, მანდარინის, ვაშლის, მსხლის - ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული. ამიტომ გამოდიოდა გემრიელი. მურაბის დიდოსტატი იყო. ფერადი იყო მისი მურაბა. სახელოსნოში რაღაც უნდა ეკეთებინა. მურაბებს ხარშავდა. მე და ეთერმა რომ ვიქორწინეთ, სოლოლაკში ვცხოვრობდით, ვიწროდ ვიყავით. თენგიზმა გვითხრა, ჩემთან გადმოდით სახელოსნოშიო. გვერიდებოდა. არ შეგვეშვა და ბოლოს თავის სახელოსნოში გადაგვიყვანა. იქ თითქმის წელიწადი ვიცხოვრეთ. როცა დილით ვიღვიძებდით, ის სახელოსნოში უკვე მოსულიც იყო და წასულიც. მაგიდაზე გვხვდებოდა ხაჭო, არაჟანი, მაწონი.

- რა ფრაზა გახსოვთ?

- კარზე ზარს თუ ვინმე დარეკავდა, იმერულად ამბობდა - „მევიდა ვინცხა“.

- რა ისწავლეთ მისგან?

- ჩემს წიგნს გამოქვეყნებამდე ვაკითხებდი, ზედმეტად მხატვრულად გიწერია, ცოტა დაბლა დაუწიეო, მეგობრულად მირჩევდა ხოლმე. ტექსტიდან სიტყვებს ამოყრიდა, შეარბილებდა. როცა რამეს ვწერ, სულ ვფიქრობ, თენგიზი რას მეტყოდა, მოეწონებოდა თუ არა-მეთქი. მისი ასამდე ნახატი მაქვს. ჩემი ორი წიგნი მისი გაფორმებულია. ეთერის წიგნები ხომ მით უმეტეს. სხვა თაშორის, მე დავუხუჭე თვალები... 2008 წლის 1 იანვარი იყო, სტუმრები მყავდა და რაღაც არ მაჩერებდა, ვერ ვისვენებდი. საღამო იყო. წავედით „ჩუბჩიკასთან“, ქიაჩელზე. გია ყანჩელი, ელდარ შენგელაია, ზურაბ კიკნაძე, თორნიკე კოპალეიშვილი იქ იყვნენ. გადასხმები უკეთდებოდა. ორ საათში დაიღუპა... რომ მივხვდით, აღარ იყო, მივედი და დავუხუჭე თვალები... ძალიან მშვიდად წავიდა... დღემდე ცოცხალი მგონია. ფიზიკური გაქრობა და გასვლა არაფერია. მთავარი საქმე და სახელია, რომელიც სამუდამოდ რჩება. მე იმის ცოცხალი განცდა მაქვს, რომ თენგიზი ცოცხალია. მის უნიკალურ ნახატებში ცოცხლობს. იქიდან გვკარნახობს ბევრ რამეს.

ეთერ თათარაიძე უცრემლოდ ვერ ისმენდა მისთვის ახლობელი ადამიანის მოსაგონრად წარმოთქმულ სიტყვებს.

ეთერ თათარაიძე: - ძალიან მეძნელება მასზე საუბარი იმიტომ, რომ ვფიქრობ, ამ დედამინაზე ყველაზე მეტად მე მაკლია მისი სიცოცხლეც და მისი ყოფნაც. დღე არ იყო, „ჩუბჩიკა“ არ მოსულიყო, ვახუშტი კოტეტიშვილს არ შევხვედროდით. ისეთი ხვავრიელი და კეთილი იყო უფალი ჩემდამი მთელი ცხოვრება, რომ ის ადამიანები, ვისთან შეხვედრაზეც კი სხვები ოცნებობდნენ, წლობით, ჩემთან ერთად ამყოფა. მათი წასვლით ჩემი ცხოვრებისა და სულიერების დიდი ნაწილი ვითომ დასრულდა. მაგრამ მაქვს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ძალიან ბევრს ვფიქრობ, თუ როგორ მოვუარო მათ ხსოვნას. ვიცი, რომ მე არავინ ვიქნებოდი ამქვეყნად, უფალს რომჩემთვის ასეთი მეგობრები არ გამეტებინა. უბრალოდ, ვიქნებოდით მე და ლექსები სადღაც...

გივი შაჰნაზარი: - რეზო ინანიშვილთან ურთიერთობის მეშვეობით დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. მე მისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი მღელვარება ვიცოდი. სულ დადიოდა, სულ ეფერებოდა დედამიწას, ხელის გულს გადაუსვამდა. მისი სულის განფენილობა სრულიად საქართველოშია მოდებული. თენგიზის სულიერება მთელ საქართველოს არის მოდებული...

გუგა კოტეტიშვილი: - ბავშვობიდან მახსოვს. ჩემთვის მნიშვნელოვანი პიროვნებაა, ჩემზე გავლენა იქონია, არა მხოლოდ მხატვრობის თვალსაზრისით, არამედ განმანათლებლისაც. ბევრმა არ იცის იმდენ რამეს აკეთებდა, ჩუმად, თავისთვის. დადიოდა სოფლებში, კითხულობდა ლექციებს. პოეზია უყვარდა. ქართული პეიზაჟი - ეს თენგიზ მირზაშვილია. მე მირზაშვილს სკოლებში სასწავლო პროგრამაში შევიტანდი. დიდი გემოვნების მქონე, ესთეტიზმის მატარებელი, დახვეწილი ადამიანი იყო. მისი ნახატები მის პიროვნებას ჰგავს - მშვიდი, ჩუმი, ზომიერად ფერადი. ხუმრობით ამბობდნენ, ერთი დიდი ნახატი ჰქონდა და იმას ჭრიდაო. ყველას აქვს სახლში „ჩუბჩიკას“ ნახატი. როგორც ხატი ერთი „ჩუბჩიკა“ ყველა ოჯახში უნდა იყოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

„ქართული ხმები“ 15 წლისაა - „საიუბილეო ალბომი“ და კონცერტი თაყვანისმცემლებს

ბოლო ორი კვირაა სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობით სარგებლობს „ქართული ხმების“ და ნიაზ დიასამიძის საინტერესო დუეტი ბორის გუგეშაშვილის სიმღერით „ბეჩა ყირამალა“. ნიაზის ვერსია ბევრს უყვარს, არანაკლებ საინტერესო გამოვიდა ეს ვერსიაც. „ქართული ხმები“ 15 წლისაა. ანსამბლი იუბილეს ალბომითა და კონცერტით აღნიშნავს. 1 მარტს ფილარმონიაში მათი ალბომის პრეზენტაცია და კონცერტია დაგეგმილი. კონცერტის რეჟისორი ბაკურ ბაკურაძეა. ალბომზე ანსამბლი ორი წელი მუშაობდა. ის „ბრავო რექორდსში“ ჩაიწერა. ალბომი ორი სიდისგან შედგება და მას „საიუბილეო ალბომი“ ჰქვია. ერთში თანამედროვე არანჟირების ფოლკლორული კომპოზიციები შედის, მეორეში ქალაქური სიმღერები, ძველი ჰიტები და ახალი სიმღერები.

ზაზა შენგელია, „ბრავო რექორდსის“ დამფუძნებელი: „ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია იმით, რომ „ქართული ხმებისთვის“ საიუბილეო ალბომია. დიდი დრო დახარჯა რეპერტუარის შერჩევაში, ახლებური არანჟირების გაზრებაში, ჩაწერის პროცესიც რთულად მიდიოდა, დიდი სამუშაო იყო გასაწევი. ორი ამოცანა იდგა ჩვენ წინაშე: ერთი - გაგვეწია ანგარიში მათი მუსიკის თაყვანისმცემლებისთვის, მეორე - ამ ანგარიშთან ერთად ეს ალბომი მსმენელისთვის სიახლე ყოფილიყო, თუ რა ნოვაციით ხვდება იუბილეს ანსამბლი. ამდენად დილემის წინაშე ვიდექით - ტრადიციულ სტანდარტულ ფორმატში გაგვეკეთებინა სიდი ალბომი და თან თამამი და ნოვაციური ყოფილიყო. ალმობს განსაკუთრებული ელფერი მისცა „ქართულ ხმებთან“ საინტერესო კოლაბორაციამ - ნიაზ დიასამიძის, ზვიად ბოლქვაძის, რომა რცხილაძის, სალომე ბაკურაძის... ალბომშია რევაზ ლაღიძის, გია ყანჩელის, მარიკო კვალიაშვილის სიმღერები. ასევე მოხვდა სპეციალურად მათთვის დაწერილი ნატო გელაშვილის „თეთრ კლავიშებს“. ჯუმბერ ამანათაშვილის ორი ახალი სიმღერა. მიშა მდინარაძის და დავით მალაზონიას არანჟირებული სიმღერები. ასე რომ, მრავალფეროვანი თაიგულია. ყველა ეს სიმღერა შეუყვარდება მსმენელს, როგორც ყველა მათ მიერ შესრულებული სიმღერა. „ქართულ ხმების“ შემადგენლობას ძალიან უყვარს ქართული სიმღერა, შრომისმოყვარეები არიან, იუმორი აქვთ. ვფიქრობ, მთლიანობაში ისეთი პროდუქტი გამოვიდა, როგორიც მათ და მათ თაყვანისმცემლებს ეკადრებათ“.

ქეთათოს კინოცენტრში პროექტი შეაქვს

„იმედია, დაფინანსდება“

ქეთათოს „ფეისბუქზე“ დაუდეს ფოტო - კანზე ამოსვირინგებული ფრაზა „მე გადავცურავ ზღვას“. არ ვიცი, ეს გოგო ვინ არის, აშკარად კარგი გოგოაო, ჩვენთან კომენტარში თქვა ქეთათომ. ირაკლი ჩარკვიანზე ფილმის გადაღებას ისევ გეგმავს. კინოცენტრისგან კონკურსის გამოცხადებას ელოდება, რომ პროექტი შეიტანოს. რეჟისორი დათო კვაჭაძე იქნება, პროდიუსერი კი, ქეთათოსთან ერთად, ლაშა ხალვაში. ფილმის ბიუჯეტს ჯერ ვერ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ მინიმალური თანხა დაჯდება. „ძალიან სერიოზული ნამუშევარი იქნება. მასში რეჟისორთან და სცენარის ავტორთან ერთად პროდიუსერებიც საკმაოდ აქტიურად ვართ ჩართულები. იმედია, დაფინანსდება“.

სალომე ქათამაძისა და დათო ფორჩხიძის ტანდემი

„ახალი ხმის“ პირველი სეზონის გამარჯვებული სალომე ქათამაძე თავის მწვრთნელ დათო ფორჩხიძესთან ერთად პირველ ალბომზე მუშაობს. ალბომზე მუშაობა რამდენიმე თვეს გაგრძელდება. მომღერალი და პროდიუსერი შეხმატკბილებულად მუშაობენ. ამჟამად პირველ სიმღერას წერენ. „ამ ალბომში ყველა სიმღერა დათოსი იქნება. კარგ მუსიკას ვაკეთებთ, მსმენელს მოეწონება“ - ამბობს სალომე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პაპუნა შარიქაძე - ჯაზმენი, რომელსაც ბექა გოჩიაშვილის წარმატებას უწინასწარმეტყველებენ

EXCLUSIVE

„ბექასთან შედარება წარმოუდგენელია. ის სულ სხვა დონეა, დიდი გამოცდილების პატრონია. სხვა მუსიკას უკრავს, მე სხვანაირი საშემსრულებლო სტილი მაქვს. ის ვირტუოზია. ძალიან მაგარი ტექნიკური მონაცემები აქვს. ჩემზე ამბობენ, რომ ძალიან მუსიკალური ვარ. ყველანაირად შევეცდები ჩემი გასაკეთებელი გავაკეთო“

my View
თამარ გონგაძე

დახვეწილი გემოვნება, ჰარმონიული და მელოდიური აზროვნება, კომპოზიციური ნიჭი - ასე აფასებენ 16 წლის პაპუნა შარიქაძეს. ის საზოგადოებამ ბოლოს პროექტით - „სხვა ყანჩელი“ გაიცნო. გენიალური კომპოზიტორის ჯაზური ჰანგებით აჟღერებული კომპოზიციების კონცერტის მეორე ნაწილში პაპუნამ ათი კომპოზიცია დაუკრა. დამწყები ჯაზმენი ამ საღამოს აღმოჩენად დასახელდა. კომპანია „ბადაგონის“ დაწესებული გია ყანჩელის ყოველწლიური პრემია გიორგი კიკნაძესთან ერთად გაიყო და ხუთი ათასი ლარი შეხვდა. პაპუნა ნიჭიერთა ათწლედში სწავლობს. მესამე წელია მისი პედაგოგი ზურა რამიშვილია, ბექა გოჩიაშვილის პედაგოგი. პაპუნას ბექას წარმატების გამეორებას უწინასწარმეტყველებენ.

წერს კომპოზიციებს. ერთი ბექა გოჩიაშვილს მიუძღვნა, ერთს ძმის სახელი დაარქვა, ბალადა „თომა“, ერთი პედაგოგს მიუძღვნა.

თავის მომავალს ამერიკაში ხედავს. ბერკლის საზაფხულო სკოლაში ყოფნისას შანსის გამოყენებას და გამოცდის ჩაბარებას აპირებს. ბედს ცდის. ნიუ-იორკში, ნიუ სქულში სწავლა უნდა. „ჯულიარდს ჯობიაო, ასეც ამბობენ. ჯულიარდი პრესტიჟულია, თორემ მასზე კარგი სასწავლებლებიც არსებობს, მე ნიუ სქულში მინდა სწავლა“.

პაპუნას მამის გენი გამოჰყვა. მამა მღეროდა და საქსოფონზე უკრავდა.

მუსიკალურ ათწლედში ჯაზის განყოფილებაზე სწავლობს, უკვე მეოთხე წელია.

ერთი წლის წინ ჯაზკვინტეტში ბუკა კარტოზიამ და მარინა ბერიძემ აიყვანეს. ჯგუფში „ანა ბანას“ სხვადასხვა წლის გამარჯვებულები არიან. პაპუნა 2008 წლის გამარჯვებულია. კვინტეტში ბანია. სიმღერების არანჟირებასაც აკეთებს.

ზაფხულში ლაიპციგის აკაპელის ფესტივალზე პირველი ადგილი აიღეს. მერე იყო ავსტრიის აკაპელის ფესტივალი და მეორე ადგილი. ორგანიზატორებმა დეკემბერში ვენაში მიიწვიეს სოლო კონცერტის ჩასატარებლად.

„ეს იყო ჩვენთვის პირველი კონცერტი. 12 კომპოზიცია შევასრულეთ. წარმატებით გამოვედით. მარტში მივდივართ ნიუ-იორკში კონკურსზე. ორ ჯაზურ სტანდარტს და ორ ქართულს ვიმღერებთ. შევასრულებთ „ხორუმს“

„ეს იყო ჩვენთვის პირველი კონცერტი. 12 კომპოზიცია შევასრულეთ. წარმატებით გამოვედით. მარტში მივდივართ ნიუ-იორკში კონკურსზე. ორ ჯაზურ სტანდარტს და ორ ქართულს ვიმღერებთ. შევასრულებთ „ხორუმს“. თუ ნახევარფინალში გადავედით მაისში სან ფრანცისკოში მოგვიწევს ჩასვლა. ბუკა კარტოზიას სექსტეტი წლების წინ ამ კონკურსის გამარჯვებულია.

პროექტში „სხვა ყანჩელი“ მეგობრის წყალობით მოხვდა. კონცერტში პაპუნას გამოყვანა სანდრო ყანჩელს და გიგა კობალაძეს მერაბ ლორთქიფანიძემ ურჩია. „ჯაზკლუბი „ჯაზი საზღვრებს გარეშე“ მერაბის იყო. იქ პედაგოგთან ერთად ვუკრავდი. ბებემ იცოდა ჩემი შესაძლებლობები. ექვსი დღე მოვანდომე მუსიკის ათვისებას. გია ყანჩელის მუსიკისთვის ეს დრო ძალიან ცოტაა. მგონი, კარგად ჩაიარა. სიფრთხილით იყო გასაკეთებელი, ისეთი თავისუფალი არ ხარ, როგორც ჯაზურ სტანდარტებში. ვცდილობდი ის მთავარი შინაარსი მეპოვა, რაც მათში დევს. მგონი ხალხი კმაყოფილი იყო“.

აღებული თანხის გამოყენებას საქმეშივე აპირებს. ივლისში ბოსტონში ბერკლის საზაფხულო სკოლაში მიემგზავრება. „ბერკლის სწავლის დაფინანსება უმბრიის ჯაზფესტივალზე მოვიპოვე. გასულ ზაფხულს იტალიაში ერთი კვირა დავყავი. მქონდა მასტერკლასები და ძალიან მაგარი კონცერტები მოვისმინე. ჯარეტი, ჩიკ კორეას და ჰერბი ჰენკოკის დუეტი. ვერ წარმოვიდგენდი ამ კონცერტებს ასე ცოცხლად თუ მოვუსმენდი. ხუთმა მოვიგეთ სრული დაფინასება. 14 ივლისიდან 18 აგვისტომდე იქ გავატარებ“.

- ბექა გოჩიაშვილს იცნობ? ერთი პედაგოგი გყავთ.

- ვიცნობ, ვმეგობრობთ. თბილისში რომ ჩამოდის, ვნახულობ. ჯაზკლუბში გავიცანი. მანაც დაუკრა და ჩვენმა პედაგოგმა გაგვაცნო ერთმანეთს.

- ბექას გადარებენ, მის წარმატებას გაიმეორებსო.

- მიხარია, მაგრამ ბექასთან შედარება წარმოუდგენელია. ის სულ სხვა დონეა, დიდი გამოცდილების პატრონია. სხვა მუსიკას უკრავს, მე სხვანაირი საშემსრულებლო სტილი მაქვს. ის ვირტუოზია. ძალიან მაგარი ტექნიკური მონაცემები აქვს. ჩემზე ამბობენ, რომ ძალიან მუსიკალური ვარ. ყველანაირად შევეცდები ჩემი გასაკეთებელი გავაკეთო.

- შენს მომავალს სად ხედავ?

- ჯაზში და სიმღერაში. სიმღერის დათმობა არ მინდა. უფრო დიდი დრო მაქვს მასში დახარჯული. ექვსი წლიდან ვმღერი, ჯაზს კიდევ 13 წლიდან ვუკრავ. „ანაბანამ“ დიდი გამოცდილება მომცა. მანამდე გოგი დოლიძის სახელობის ფესტივალი იყო. მერე ხელოვნების აკადემიის კონკურსი. ვნახოთ... ამ ეტაპზე ამერიკაში წასვლა და სწავლის გაგრძელება მინდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თბილისი LIVE“-მა „რუსთავი 2“-ის

my View
თამარ გონგაძე

„მე მგონი, „თბილისი ლაივი“ ბრუნდება, ნახევარი ფეხით უკვე „რუსთავი 2“-ში ვართ. ბევრი ვიფიქრეთ, როგორ დაგვეწყო და ბოლოს კლუბში შოუბიზნესის მცირე ნაწილის თავმოყრა გადავწყვიტეთ. ორწლიანი პაუზის შემდეგ სხვა შოუბიზნესი დამხვდა. ბევრი ახალი სახეა. შოუბიზნესი ისეთი მოსაწყენი გახდა, ია ფარულავა გათხოვდა კიდეც, ბავშვის გაჩენას აპირებს, ქრისტინე იმედაძემ კიდევ ქსოვა დაიწყო“ - ასე მიესალმა „მედუზა ლაუნჯში“ შეკრებილ საზოდოებას თიკო სადუნიშვილი. „ცისარტყელა ფართიზე“ რომ იყავი, ამას გარშემო ყველაფერი გახსენებდა, ხალიჩა, ბანერი, კლუბის მორთულობა, ორცხობილები, კოქტეილები, ჟელიბონები, თიკოს წამწამებიც კი.

„იმედია, არ დაგაბნიათ ჩვენმა მოსაწვევმა და ცისარტყელის ფერებმა. დაფიქრდებოდით, გეი ფართიზე ხომ არ გვპატიჟებენო... რახან მოხვედით, პროგრესია და თუ გეგონათ, რომ გეი ფართიზე მოდიოდით და მაინც მოხვედით, ეს კიდევ უფრო დიდი პროგრესია“.

ერთი წლის წინ დაუწყიათ გადაცემის აღდგენაზე ზრუნვა. როგორც თქვეს, „თბილისი ლაივის“ გაშვებაზე ბევრი არხი ვერ დაიყოლიეს. „ბევრი არაფერი ხდება თბილისში და რა უნდა გადაიღოთო, გვეუბნებოდნენ. „იმედმა“ წამყვანი შევცვალოთ და ისე გავაკეთოთ გადაცემაო, შემოგვთავაზა. მე როგორც ვიცი, ამ ტიპის გადაცემის გაკეთებაც უნდოდათ“, - ამბობს თიკო. მერე სტუმრებს შორის მოსული დათო იმედაშვილი გამოტყდა.

დათო იმედაშვილი: - ძალიან მენანებოდა, რომ თიკო სადუნიშვილი ეკრანზე არ ჩანდა. ნიჭიერია და დამალული არ უნდა იყოს. „თბილისი ლაივი“ თიკოს შოუა. მის გარეშე მეორეხარისხოვანი იქნებოდა გადაცემა, ამიტომ არ გამოვიდა. ჩვენი მცდელობის მიუხედავად, რომ ის „იმედზე“ დაბრუნებულიყო, არ გამოვიდა. მერე გადავწყვიტეთ, რომ გადაცემა „რუსთავი 2“-ზე გაკეთებულიყო.

საპილოტე გადაცემა, რომლისთვისაც „თბილისი ლაივის“ შემოქმედებითმა ჯგუფმა ეს ივენთი სპეციალურად მოაწყო, სწორედ 13 თებერვალს „მედუზა ლაუნჯში“ გადაიღო. მართალი ვთქვა, ბოლოს მსგავსი ტიპის „ტუსოვკურ“ საღამოზე სად ვიყავი, ვერ გავიხსენე. არ მიწვალია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ან არ იყო, ან ისე ვიწრო წრეში მოეწყო, სადაც პრესის ადგილი არ მოიძებნა. მოკლედ, ორი წლით დაპაუზებული დროის წამზომი ისევ აწიკწიკდა.

„მიუხედავად იმისა, რომ გადაცემის არქივის სამწლიანი ბაზა გვაქვს, საპილოტე გადაცემის ჩაწერა მაინც მოგვთხოვეს. აინტერესებთ, ორი წლის შემდეგ როგორ ფორმაში ვართ. „რუსთავი 2“ მაღალ ხარისხს ითხოვს“ - ილიმება „თბილისი ლაივის“ სახე.

გადაცემა სავარაუდოდ 26 თებერვლამდე გავა ეთერში. მას ძველი გუნდი ამზადებს. პროდიუსერი ისევ ალინა არველაძეა.

ალინა არველაძე: - გვინდა ეს ფერები თბილისურ გართობაში შემოვიტანოთ, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ ბოლო დროს, დაიკლდა ქალაქს. ძალიან იშვიათად კეთდება ღიონისძიებები. ჩვენც პასიურად ვიყავით. ეს ჩვენთვის სამსახური აღარ იყო. ხმები ისმის, რომ ამ მხრივ ქალაქმა მოიწყინა. ამიტომ გადავწყვიტეთ საპილოტე გადაცემისთვის ჩვენითვე შეგვექმნა შესაბამისი გარემო, რომ ხარისხიანი გამოსულიყო. „თბილისი ლაივის“ კეთება მომენატრა. თუმცა აქამდე სხვა საქმით ვიყავი დაკავებული. გამიხარდა გადაცემის აღდგენის საშუალება რომ მომეცა. ვეცდები პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით მივუდგე. უკვე სხვა თვალით ვუყურებ ყველაფერს, სიტუაციაც შეიცვალა. იმედია, ჩვენთვის ეს დასვენება უკეთესობისკენ შეიცვლება. პაუზამ ბევრ რამეზე დაგვაფიქრა და გადაცემაში თუ რაიმე შეცდომები გვქონდა დაშვებული, უნდა გამოვასწოროთ. გვინდა უფრო ცოცხალი იყოს და იმაზე არ ვიყოთ დამოკიდებული - სად, რა ხდება. რუბრიკები და განწყობა თვითონ უნდა შევქმნათ. გადაცემა სტუდიური არ იქნება. ასეთი ბევრი გადაცემაა უკვე ეთერში. ამიტომ გვირჩევნია ჩვენი ხაზი რაც იყო, ის შევინარჩუნოთ.

წამყვანი „კრისტიან დიორის“ ჰაეროვანი მწვანე კაბით ჩვეულ ამპულაში თავს ბედნიერად გრძნობდა. არ იმჩნევდა 37 გრადუს ტემპერატურას, რომელიც „ზა კადრომ“ გაგვიმხილა.

„მოვინამლე და თან ხომ ამბობენ, როდესაც ჭორაობენ ყურები გიხურსო. მე კიდევ ვამბობდი, ჩვენი მოსაწვევები ერთდროულად გაიხსნა, დაახლოებით 11 საათზე და ამ დროს 38-ზე ამინია სიცხემ-მეთქი“.

ია ფარულავა: - თბილისს ძალიან აკლდა „თბილისი ლაივი“. ის პერიოდი, რაც ეთერში არ გადიოდა, ვაკუუმი იყო. მიხარია, რომ გოგონებმა „რუსთავი 2“- ზე განაახლეს პროექტი. მე როგორც ვიცი, კიდევ უფრო მეტად ჩასაფრებული და სკანდალური იქნება. თუ სადმე „ტუსოვკაზე“ ნავედით, ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, რას ჩავიცვამთ. ერთსა და იმავეს ვერ ჩაიცვამთ, თორემ მტრისას, თიკოს მწარე ენას რა გადაურჩება. ეს გადაცემა ქალაქის პულსაციასთან ასოცირდება, „ტუსოვკებთან“ და ხალისთან ასოცირდება, რომელიც ამ ბოლო დროს დავკარგეთ. იმედი მაქვს, ეს გადაცემა ამ ხალისს შემოიტანს.

ქეთათო: - ეს გადაცემა უნდა არსებობდეს. მე მომწონდა. ტელევიზორს საერთოდ აღარ ვუყურებ. მოხარული ვიქნები, რომ აღდგეს. მე თიკო ბევრ გამოფენაზე, კონცერტზე მინახავს. განსხვავებულ ივენთებს აშუქდებდა.

ნახევარი ფეხით უკვე „რუსთავი 2“-ში ვართ“

„ბევრი არაფერი ხდება თბილისში და რა უნდა გადაიღოთო, გვეუბნებოდნენ. „იმედმა“ წამყვანი შევცვალოთ და ისე გავაკეთოთ გადაცემაო, შემოგვთავაზა. მე როგორც ვიცი, ამ ტიპის გადაცემის გაკეთებაც უნდოდათ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...თვის „ცისარტყელა ფართი“ მოაწყო

EXCLUSIVE

„ძალიან მეწყინებოდა, რომ თიკო სადუნიშვილი ეკრანზე არ ჩანდა“

„თუ სადმე „ტუსოვკაზე“ წავედით, ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, რას ჩავიცვამთ. ერთსა და იმავეს ვერ ჩაიცვამთ, თორემ მტრისას, თიკოს მწარე ენას რა გადაურჩება“

მეც მქონდა ამ ტიპის გადაცემა და ვიცი, ის აუცილებელია.

ნინი ბადურაშვილი: - ამ გადაცემის ხშირი მაყურებელი ვიყავი. საინტერესოდ აშუქებდა, რა ხდებოდა თბილისში. გემოვნებით გაკეთებული იყო. იმედი მაქვს, უკეთესადაც გააგრძელებენ. მე მაკლდა „თბილისი ლაივი“. მიხარია, რომ ბრუნდება. ჩემთვის თბილისის ცხოვრებასთან, კარგ განწყობასთან ასოცირდება. მაგალითად, სადღაც ვერ წახვედი და გაინტერესებს, რა ხდებოდა, ჩართავდი „თბილისი ლაივს“ და გაიგებდი, რა ხდებოდა, ანუ ღირდა თუ არა მისვლა. თან კარგ განწყობაზეც დაგაყენებდა.

მაკა შალიკაშვილი: - ქართულ სატელევიზიო სივრცეს ნამდვილად აკლდა ეს გადაცემა. მომენატრა. ფერადი და საინტერესოა თავისი თემებით. მე იმდენს ვერთობი და დავდივარ კლუბებში, მინდა, რომ გავშუქდე. გამაშუქოს თიკომ. ვულოცავ!

ვახო ბიჭიკაშილი: - ორმაგად მიხარია, რომ „რუსთავი 2“-ზე უნდა გავიდეს ეს გადაცემა. შუქდება ის, რაც თბილისში ხდება. თბილისურ რეალობასთან ასოცირდება.

გიორგი ლიფონავა: - ვერ ვიტყვი, რომ მისი მაყურებელი ვიყავი, მაგრამ გეტყვით, რომ რეიტინგი „რუსთავი 2“-ზე ექნება. საინტერესოა ამდენი ხნის მერე როგორი გახდება ეს გადაცემა.

ლევან როსტომაშვილი: - თიკო ჩემი ახლო მეგობარია. „თბილისი ლაივი“ „იმედში“ წარმატებული პროექტი იყო და ვუსურვებ, რომ „რუსთავი 2“-ზე ორჯერ მეტად წარმატებული იყოს. ეს გადაცემა ბომონდურ ცხოვრებასთან, „სვეცკობასთან“ ასოცირდება. ეს დღეს აკლია ტელესივრცეს. ბევრი აპროტესტებდა და მაინც უყურებდა. მე გავაგრძელებ ყურებას.

ლელა მებურიშვილი: - მიხარია, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ არ ვიქნებოდი. ყოველკვირეულ ამბებს ვიგებდით. მე არ ვარ კლუბების ხშირი სტუმარი. და სადაც არ ხარ, იქაურობაზე რაღაც დონით უნდა იცოდე ამბები. პოლიტიკაზე მეტად ნამდვილად მაინტერესებს შოუბიზნესის სიახლეები. ვფიქრობ, ეს გადაცემა აკლდა თბილისს. იმედია, კიდევ უფრო წარმატებული იქნება.

თაკო ჩხეიძე: - ყველა ქვეყანას აქვს ამ ტიპის გადაცემა. აქაც უნდა იყოს. ყველა დავიღალეთ პოლიტიკით, აღარ გვინდა. კვირის კულტურული მოვლენების და სიახლეების შემაჯამებელი გადაცემა საჭიროა. ვუსურვებ, კარგი ღონისძიებები ჩატარდეს, რომ შემდეგ გააშუქონ.

ზუზუ ბეჟაშვილი: - ძალიან მომენატრა თიკო ეკრანზე. კარგია, რომ არ იყო ცოტა ხანი. ამ დროს ხვდები, დაგაკლდა თუ - არა. ისეთი მდორე ცხოვრება გვაქვს, რომ ეს გადაცემა საჭიროა. ის თავისუფლებასთან ასოცირდება.

სალომე ქათამაძე: - ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გადაცემაა. მრავალფეროვანი და სიანტერესო. ყველაზე ხშირად მის საყურებლად ვიმყოფებოდი ტელეეკრანთან.

გია ცინაძე: - მიხარია „ტუსოვკა“ რომ „იჩითება“. შეიძლება ამ გადაცემაში უფრო ლამაზად ჩანს ის რეალობა, რაც თბილისშია, თუმცა საჭიროა მისი არსებობა. მას შეუძლია იარსებოს. ცუდი ქვეყანა გვაქვს, მთავრობა რომ იცვლება, რაღაცები იცვლება და ეს შოუბიზნესთან რა შუაშია, ვერ ვხდები.

დათუნა სირბილაძე: -„თბილისი ლაივი“ ღამის ცხოვრებაზე იყო მორგებული, რაც ყველას აინტერესებს. „გულაობასთან“ ასოცირდება. ყველგან ვერ მოხვდები, ამ დროს გაინტერესებს, სად რა ხდება. ვულოცავ თიკოს, ძალიან მიხარია.

ეკო ფანგანი: - მე თიკო მაკლდა ეკრანზე. „თბილისი ლაივი“ ცალკე მაკლდა. მოკლედ, მიხარია.

სტუმრების ნაწილი მალე წავიდა, ნაწილი ჭორაობით დაკავდა, ალკოჰოლის მოყვარულები „ბარსტოიკასთან“ მოკალათდა. თიკო სტუმრებისგან კრეფდა კომენტარებს, მათ განწყობას იგებდა. ალინა კმაყოფილი ჩანდა.

ალინა არველაძე: - საღამო ისეთი გამოვიდა, როგორიც ჩავიფიქრეთ. იმედია, ჩვენი დაბრუნება და გართობა ყველას ესიამოვნა. გადასაღებად ბევრი კარგი ინტერვიუ გვაქვს, კარგი სტუმრები, ბევრი ლამაზი ფერი და ერთი სული მაქვს ეთერში როდის ვიხილავ ამ ყველაფერს.

პრიდიუსერისგან განსხვავებით პირდაპირი იყო თიკო, როგორც ყოველთვის.

თიკო სადუნიშვილი: - ძალიან გვიან მოვიდნენ სტუმრები, ზოგი მათგანი ძალიან ადრე წავიდა. უფრო მეტი ხალხი გვყავდა დაპატიჟებული, არ მოვიდნენ. საქართველოში ხომ ასეა, ბევრს დაპატიჟებ და ნახევარი მოვა. ასე იყო ჩვენთანაც. არ მეწყინა, იმიტომ რომ ჯერ ეთერში არ გავსულვართ. საღამო შედგა, შევძელით ერთად გაგვეკეთებინა ეს ლამაზი საღამო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N6 (256) ორშაბათი, 17 თებერვალი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

პირველი ხარისხის საპატიო ჯვარი და ანაბეჭდი „უკვდავთა თაღში“







პატრიარქის ქადაგება - დითირამბი განწყობის თეორიისა

EXCLUSIVE

პაპუნა შარიქაძე - ჯაზმენი, რომელსაც ბექა გოჩიაშვილის წარმატებას უნინასწარმეტყველებენ

EXCLUSIVE

„ქართული ხმები“ 15 წლისაა - „საიუბილეო ალბომი“ და კონცერტი თაყვანისმცემლებს

ISSN 1987-7404

9 771987 740005

80 წლის იუბილე „ჩუბჩიკას“ გარეშე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება